



N34 (585)

25/VIII-31/VIII-2011

ფასი 1 ლარი



**ბარო ქაჯანია  
მეყურებულს  
სიურპრიზს  
უეზადებს**

**ვისთან ერთად  
აიკლო საგურამო  
ნიუსსა მეყურებულსა**

**ანი ტინსტილაკე:  
„ვნანობ, დედას  
რომ არ დავუჯერებ“**

**ჩვენი ჩრედი  
მინილ ჯავახიშვილი  
ზვიდგომეული  
ტომი V**

**უაგიქლიათ უეიქილოთ  
„გზის“ ამ ნოქართან ერთად!  
წიგნი და „გზა“ ერთად  
6 ლარი ღირს  
წიგნის ფასი 5 ლარი  
უეადგამ  
მინილ ჯავახიშვილი  
ტომი VI**

**მესკლუზივი**



**წმინდა ნინოს წყაროვა  
მონათლული პირველი  
ოჯახის ტრაგედია**

**„45 წელია, ხალხს  
ხმასს არ ვსვამ...“**

**ჩამომ ალანარაკდა  
უდანუშულო დამნაშავე**

**დატომებს თუ არა ჩობერბ  
სტურუა საქართველოს**



**„ხალისუღლაა მავსტროს კი  
არა, საქართველოს ავნებს...“**



**ქუჩის  
მუსიკოსობით  
ახდენილი  
ოცნება**

**„აირველ დღეს  
350 ლარი ვიუოვ...“**



**ჯაზა იამაშვილი:  
„ის ქაღები თეაღებიდან  
სეხსლს აურქვევდნენ“**



**როგორ გავუმკლავდეთ ზღვისა და მთის დასაუადებებს**



Salmaris

# MON PLATIN – მკვდარი ზღვის კოსმეტიკა სამკურნალო თვისებებით



Mon Platin  
PROFESSIONAL FORMULA  
NBCosmetics Group  
Tel.: 222 69 90

Mon Platin-ის ბრენდის კოსმეტიკამ არც ისე დიდი ხანია მოიკიდა ფეხი საქართველოს ბაზარზე. მისდამი ინტერესის მთავარი მიზეზი მისი სამკურნალო თვისებები და დამზადების ტექნოლოგიაა. „მონ პლატინის“ აქვს რამდენიმე ხაზი: DSM – სხეულის, სახისა და თმის მოვლისთვის განკუთვნილი ესთეტიკური კოსმეტიკა, ასევე – შავი ხიზილალის ექსტრაქტზე დამზადებული პრემიუმ ხაზის კოსმეტიკა, თმის მოვლის პროფესიონალური ხაზი და „სალმარისის“ შამპუნები. სულ ბრენდი 200-ზე მეტი დასახელების პროდუქციას აერთიანებს, რომელთა უმეტესობაც სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა.

გვინდა, ყურადღება გავამახვილოთ „სალმარისის“ ხაზის შამპუნების სამკურნალო თვისებებზე. მათ უნარი შესწევთ, შეაჩერონ თმის ცვენა, აღადგინონ დაზიანებული თმა და მოხსნან თავის კანთან დაკავშირებული პრობლემები. „სალმარისის“ აქვს როგორც თმის ცვენის, ისე ქერტლის საწინააღმდეგო სამკურნალო და ყოველდღიური მოხმარების სხვადასხვა ტიპის შამპუნები. მომავალში ეს ხაზი ქართველ მომხმარებელს შესთავაზებს მკვდარი ზღვის მინერალებზე დამზადებულ ტალახის სამკურნალო შამპუნს, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

გარდა ამისა, გვინდა შემოვთავაზოთ ბრენდის პროდუქციაში არსებული პრობლემური და დაავადებული კანისთვის განკუთვნილი სამკურნალო და აღმდგენი კოსმეტიკური ნაწარმი, რომელიც ეფექტურია ფსორიაზის, პიემენტური ლაქებისა და სხვადასხვა ტიპის გამონაყარის დროს.

ტალახის ნიღბები და სამკურნალო მარილები მოსახლეობის ყველა სოციალურ სეგმენტზეა გათვლილი.

„მონ პლატინი“ უნიკალურია იმით, რომ მისი ყველა პროდუქტი დამზადებულია ცივი გამოწურვის მეთოდით და შენარჩუნებული აქვს ყველა საუკეთესო თვისება.

დარწმუნებულნი ვართ, ქართველი მომხმარებელი კმაყოფილი დარჩება ჩვენი პროდუქციით, რომელიც მათ პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება.

ისრაელის  
კოსმეტიკური  
ჯგუფი  
მის: თბილისი;  
თევდორე  
მღვდლის №15.  
ბინა 17  
ტელ: 222-69-90

[www.icg.com.ge](http://www.icg.com.ge)  
[www.nbcosmetic.com](http://www.nbcosmetic.com)



## მსოფლიო საბა ჯგუფთან ერთად

## ქ. თბილისის მერიის კატარონაჟით



თბილისი ბანკი  
TBC BANK დაფინანსებით

ჩაბარება  
2012 წლის დეკემბერი

მშენებლობის პროცესის  
ონლაინ კონტროლი

## გურამიშვილის 78

მთავარი ოფისი:  
თბილისი,  
გუდაუშვის 7

238 44 33  
577 777 077  
579 770 110

[www.saba-jgupi.ge](http://www.saba-jgupi.ge)



# ჯანიხბთ ჩამონბს?

ზოგი ჰღეუსი გთავაზობთ შიდა და გაჩე უახების ყვედაზე დიე აჩრევანს საქახთველოში!

- ❖ ბუნებხივი გჩანტიცა და მახმახილბს ფიღებბს;
- ❖ კიბბის საფეუბეხებბს;
- ❖ კეჩამიკუღ ნანახმბა და დამინიხებუღ იატკატს!

მის: აკ. წეხეთღის გამზ. 115ა  
 აკ. წეხეთღის გამზ. 117  
 ტკ: 577 200 700; 577 200 500;  
 235 80 00; 235 80 08

გთავაზობთ ნებბსმიეხი დიზაინის ბუნებხივი გჩანტიცის და მახმახილბს ნაკეტობებბის დამზადებბს

ღანიყათ ჩამონბი ჩვანთუნ კხითაღ!



[www.ZODI.ge](http://www.ZODI.ge)



## როღენი - წონაში დასაკლები უნიკალური საშუალეზა!

მისი დროული მიღეზა თავიდან აგასილებთ წონაში მატეზასს დანიალბით თვავი 9 კილოღღა!

- ⊗ კალორიკუჩად სეფთა, ბუნებხივი ჰელოეჟი
- ⊗ ხელს უშღის ნახშირწყდებბის სხიღებში ბედანვდანს
- ⊗ ხელს უწყობს სხიღებბის ბოლოღღა დანვანს
- ⊗ უკვიღთებბს მდენს კნეხბიბის მომახებბის ფონზე
- ⊗ წოხმადღა დანყყანს სიღსუენის ჰეოხომონი დეჰბინი დე კოღასბინიღინი
- ⊗ მოხბანიზმიღენ ბემოეჟს ზედმეხი სიღსე დე შინეჟებბი
- ⊗ ანახიღებბს სეჟბღის მომნეღებეღ სისბემანს

## როღენი



მიღებბის დინ გავეღანბით ინსტრუქციას, გვირღბბით მოვღენებბის შიხეზებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიღებბით ემბბს

მოგვაკიღთებთ მისამართეზა:  
 თბიღისი, რუსთავეღის გეგზ. №28  
 ან მიღბართბით  
 „უეარსის“-ს, „ჰი ჰი სი“-ს სააფთიეჟო ქსელს,  
 დე სხვე ქალბბის აფთიეჟებბს.  
 დეგვიკეპვირღბბით ტელ. ნომრებეზე  
 293 19 87; 230 97 52  
 მოზ: 595308405;

e-mail - [promoita@mail.ru](mailto:promoita@mail.ru)  
[nikosaniltd@mail.ge](mailto:nikosaniltd@mail.ge)



# ბიბლუსი

Books

## „ბიბლუსის“ ყველა მალაზიანი

### მისამართები:

თბილისი:

აღმაშენებლის № 121

იოსებოძის № 49

ბახტრიონის № 12

რობაქიძის № 7

რუსთაველის № 40/1

თბილისი სენაკის რაიონი, მ-3 სართული

გლდანი ა მ/კ, I კვ № 50

ოზურგეთი: 9 აპრილის პარკი

რუსთავი: მებობროვის № 12

სამცხედია: სააკაძის № 6

სენაკი: რუსთაველის № 239

ფოთი: ფარნავაზ მფის № 15

ბათუმი: მამედ აბაშიძის № 62

ბოლნისი: სულხან-საბას №106

ზესტაფონი: აღმაშენებლის №187

საჩხერა: თავისუფლების 1 № 17

ქუთაისი: ლ. ნუსუბიძის № 1

თამარ მფის № 34

ზუგდიდი: რუსთაველის № 87

ხაშური: ქოსტავას ქუჩაზე არსებულ სკოლაში

რუსთაველის № 69

ქალაქიდან გადისარ?  
გაყოფილი წიგნები!  
წაიკითხეთ, გაერთეთ,  
უკეთესად იქნება!

წიგნები  
1 ლარიდან!

# 31 აპრილამდე

ტელ: 2 307-402  
[www.biblusi.ge](http://www.biblusi.ge)





## მოგზაურობა დანაგვიანებულ სამოთხეში

„შესვლა 60 თეთრი, ან 30 წთ მუშაობა. მანქანის გაჩერება 1 ლარი“. ძალიან დავინტერესდით, თუ რა საშუალოს ასრულებდნენ მსურველები „ოცნებაში“ შესვლის სანაცვლოდ“...

12



## უმცროსი ცინცილაძის სიყვარული და სინანული

„კარგი იქნებოდა, მეც მათ გზას გაეყოლოდი. დედა ბოლო წუთამდე მთხოვდა, სამსახიობოზე ჩააბარეო და არ დავუჯერე, ახლა კი... ვნანობ. მაგრამ ტყუპთან ერთად ნამდვილად გამიჭირდებოდა“.

22



## ცხოვრება

### ფაფასიანი გოგონას საიდუმლო



„შენ წარმოიდგინე, აქ პირველად რომ დავჯექი, 4 საათში 350 ლარი „გავაკეთე“. მერე, როცა თვალი შემაჩვიეს, ჩემმა ყოველდღიურმა შემოსავალმაც იკლო და დღესდღეობით, დღეში 50 ლარს ვშოულობ“.


32



- **მინიატიურები** 5  
ერთიც დამისხი, კუკავა! ახალ ქალაქს გაუმარჯოს!
- **ჭრალი მსოფლიო** 6
- **პოლიტიკა** 8
- **საზოგადოება** 9  
„მსოფლიო დაგვიცინებს, თუ ასეთ ნიჭიერ ადამიანს სხვა ქვეყანას დაუთმობთ“
- **რეპორტაჟი** 12  
მოგზაურობა დანაგვიანებულ სამოთხეში...
- **პერსონა** 14  
„ხელისგულზე ტარებას არ მოვითხოვ, თუმცა არც წაგებულნი ომის ჯარისკაცობას დავიბრალბ“
- **იკივა!** 15  
კიდევ ერთი გაძვირებული გადასახადი თუ სოციალური თანასწორობის აღდგენის მცდელობა?..
- **საზონი** 14  
„არ ვიცი, „შუა ქალაქში“ გაგრძელდება, თუ — არა“
- **დღესასწაული** 19  
სახალხო დღესასწაული „ხვრამზეობა-2011“
- **არდადეგები** 20  
ცივი ინგლისელი ქალები და ზაზა იაქაშვილის ოცნება
- **აგაღა** 22  
უმცროსი ცინცილაძის სიყვარული და სინანული
- **შოუბენი** 24  
უღიპო სიძე და ცოლი, რომელსაც პროცესორი მოჰყვება

## მზა გენილები

### მოულოდნელად გასხადებული საიდუმლო



„კაცს სახლში საიდანლაც შემთხვევით შემორჩენილი თეთრი ხალათი ჩააცვა, წნევის აპარატი და ფონენდოსკოპი შეაჩერა და ისეთი სცენა გაითამაშეს, ვითომ ცუდად იყო და ექიმი ჰყავდა გამოძახებული. მაგრამ ქმარმა ყველაფერი წინასწარ იცოდა და რას მოატყუებდნენ?!“

62



■ <b>პარსკვლავები</b>	<b>26</b>
მონიკა ბელუჩი 46 წლის ასაკში ყურნალისთვის გაშიშვლდა	
■ <b>გაღი კაისია</b>	<b>28</b>
ნინონმინდის წყაროზე მონათლული პირველი ოჯახის ტრაგედია	
■ <b>ნამდვილი აგაპი</b>	<b>31</b>
გოგოს ტანგა უჩანდა...	
■ <b>ქუჩის მუსიკოსი</b>	<b>33</b>
ფაფახიანი გოგონას საიდუმლო და შეხვედრა ზაზა იაქაშვილთან	
■ <b>გვიმრავლოს!</b>	<b>34</b>
მრავალშვილიანი ოჯახის პატარა „ვიკინგები“	
■ <b>თინეიჯარული პონტები</b>	<b>36</b>
თავისუფლების გემო და იძულებით გათხოვილი	
■ <b>პრობლემა</b>	<b>38</b>
სიმელოტე და თმის გადაწერვა	
■ <b>იმიჯი</b>	<b>40</b>
როდისაა საშიში ტატუს გაკეთება	
■ <b>თემა</b>	<b>41</b>
შფოთვითი აშლილობა, დეპრესია, ფსიქოზის სიმპტომები	
■ <b>ერულიტი</b>	<b>44</b>
ეკა მჟავანაძის აუსრულებელი ოცნება	
■ <b>ანტიდეპრესანტი</b>	<b>46</b>
■ <b>ასპარეზი</b>	<b>46</b>
შეჯიბრება ქალაქურ კრივში	
■ <b>ტაქარი</b>	<b>48</b>
მიძინება ყოვლადმინდა ღვთისმშობლისა	
■ <b>ჯანმრთელობა</b>	<b>50</b>
■ <b>ავტო</b>	<b>51</b>
■ <b>წვეთი პოეზია</b>	<b>52</b>
■ <b>რჩეული</b>	<b>53</b>
მიხეილ ჯავახიშვილი	
■ <b>ქართული ლიტერატურა</b>	<b>54</b>
რუსუდან ბერიძე. ურჯუკი (გაგრძელება)	
■ <b>რომანი</b>	<b>58</b>
სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (გაგრძელება)	
■ <b>გზავნილები</b>	<b>62</b>
■ <b>გონიერი მკითხველი</b>	<b>65</b>
■ <b>ყველა ერთსათვის</b>	<b>66</b>
■ <b>მოგილიზაცია</b>	<b>68</b>
■ <b>ქართული სპორტის ლეგენდები</b>	<b>74</b>
■ <b>გასართობი</b>	<b>78</b>
■ <b>ასტროლოგია</b>	<b>80</b>
■ <b>სკანოვრდი</b>	<b>81</b>
■ <b>ეს სამყაროა</b>	<b>82</b>

## სამყარო



### როდისაა საშიში ტატუს გაკეთება

„კლიენტების უმეტესობამ არ იცის, რა არის ტატუ და რისთვისაა საჭირო. ვცდილობ, ვილატის ნახატი არ „დავაკოპირო“, ყველას ექსკლუზივი დავუხატო...“

**40**

## ბიბლუსი




ყალბი ლტოლვა

აცხცახებული მარჯვენა ავნიე, რომ მომექნია და სილა გამეწნა, მაგრამ ჰაერშივე ღონივრად დამიჭირა ხელი. — არ გირჩევ ამას, ანა! — მშვიდად გამაფრთხილა.

კუშტად შევხედე. მზერა ჩააყოლა ჩემს აპილპილ-ბულ ლანვებს, მერე ყელს, მერე ქვემოთ...

**58**

## ტაიმ-აუტი



### სასმელები და დაღვივის წესები

ფრანგული აბსენტი, რომელსაც აბზინდას ექსტრაქტს ურევდნენ, ევროპის მრავალ ქვეყანაში აკრძალული იყო, რადგან

მიაჩნდათ, რომ სასმელი ჰალუცინაციასა და შიზოფრენიას იწვევდა.

**82**

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“  
გამოცემის კვირაში ერთხელ, სუთუბათობით  
გაზეთი „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**  
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**  
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**  
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაძე**  
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49  
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge  
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.



# ერთივ დამისხი, უყუავს ახალ ქალაქს გაუმარჯოს!



**შესავლის ნაცვლად** არა, არა, რაღაც უნდა მოვიფიქრო, რომ „პროვოკატორის“ გვერდი სხვებზე გვიან, თუნდაც ოთხშაბათს წავიდეს სტამბაში, თორემ მართლა უზერხულად ვარ მკითხველთან — სწორად ისეთ რამეს ვუყვები ხოლმე „ახალ ამბად“, რომ ამაზე სუთშაბათამდე უკვე ნალადავებიც არის და მოყვარულს —

მაგრამ არის „მარადიული“ თემები, აი, ყოველთვის, ყოველ ეპოქაში რომ სასაცილო და „სამაიმუნო“ იქნება — „ნაცვებიც“ და „ოპოზიციც“ ხომ ასეთი თემების დიდოსტატები არიან. თუნდაც ახლა — მიშამ ანაკლიაში „ქალაქი გახსნა“, კუკავა კი (კუკავა ხომ იცით?) მოსკოვში მიდის.

მკითხავთ ალბათ, კუკავა რომ მოსკოვში მიდის, ეგ რა ახალი ამბავია — ეგ, როგორც კი ბილეთის ფულს („37 მანეთს“) იშოვის, მაშინვე იქ გარბისო. მაგრამ მთავარი — მიზანია, რისთვისაც მიემგზავრება ონიშენკოს უნდა სთხოვოს, რუსულ ბაზარზე „ბორჯომი“ დააბრუნოს (კუკავამ უნდა სთხოვოს ონიშენკოს, და ყველაზე „მაგარი“ ის იქნება, იმან რომ თხოვნა შეუპოვლოს).

„იქით არიან ბარბაროსები და აქეთ არის ცივილიზაცია, იქით არიან მონღოლოიდური გადმონაშთები და იდეოლოგია, აქეთ არის უძველესი კოლხური ევროპა, უძველესი ცივილიზაცია“ — ეს საქართველოს პრეზიდენტის, სიმპათიური, განათლებული, პოლიგლოტი, კეთილი, მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი (უფრო ზუსტად — „ჩმორებიანი“), მოსამართლე, მოწყალე, მორჭმული, განგებინანი, მეომარი უებრო, მოუბარი წყლიანი... (კაცო, ასეთი რამე სადღაც სხვაგანაც წამიკითხავს...) მიხვილ საკავშირის სიტყვებია!



მმ... ახლა „მეომარი უებრო“ „ოდნავ“ გადაჭარბებულია, მაგრამ „მოუბარი წყლიანი“ ხომ ნაღვია, „ფაიზალი“! (ვაი! მგონი, ამ სიტყვაზეც ციხეა!) ოღონდ ხანდახან ვერ უგებენ... და, სხვათა შორის, მე წინასწარ ვიცი ხოლმე, როდის ვერ გაუგებენ — აი, თუნდაც ახლა: „მონღოლოიდურ გადმონაშთებს“ მთლად კარგად ვერ გაიგებს, მაგალითად, ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან აბიშის ძე ნაზარბაევი, რომელიც „ნაუმონღოლოიდებს“ თავის ყაზახეთიანად, ჩვენმა „მოუბარმა წყლიანმა“ კი, თბილისში ყოფნისას, სულ „ყოფნალების შთამომავალი“ და „ქართველების ნათესავი“ ეძახა... რა ვიცი, რა ვიცი...

ისე, რა ეგონა აღმაშენებელს, ყიფალები რომ გადმოსახლა?! ხომ გადაუხადეს სამაგიერო მათმა „შთამომავალმა“, რესპუბლიკის მოედნის მფლობელმა ყაზახებმა! ხომ გადააბრძანეს მისი ძეგლი დილომში! ახლა შინისკენ რომ მივდივარ ხოლმე (იქით ვცხოვრობ), შუქნიშანზე გაჩერებული, მისი ცხენის ბოდიში და, გენიტალიებს ვუყურებ ყოველ საღამოს (ჰმ, „ზეპირად ვიცი“ უკვე), სანამ ის ოხერი მწვანე არ აინთება!

კარგი, ეგ იქით იყოს და, სტურუა რომ ქსენოფონისთვის გამოუშვეს თეატრიდან (არ ვაფასებ, არის თუ

არა ქსენოფონი, არც მაინტერესებს მისი სპექტაკლების გარდა არაფერი), ეს „ბარბაროსი მონღოლოიდები“ და „ველური ზანგები“ არ „ტეხავს“ და კაცს რომ სომენი პრეზიდენტი არ უნდოდეს, ამისთვის უნდა დახვრიტო? ნავა ეგ სტურუა მოსკოვში და დავრჩებით აქ ვარსი-მამვილის ამარა.

ანაკლიას რაც შეეხება: ამ პროექტით მართლაც სრულიად სხვა მასშტაბზე გავიდა ჩვენი პრეზიდენტი — თვით პროექტის გრანდიოზულობას კი არ ვგულისხმობ, არამედ იმას, თუ როგორი პროგრესია მის მიერ გახსნილ-ლენტ-გაჭრილი პროექტების სიაში: ჯერ სათამაშო მოედნებს ხსნიდა, მერე — საბავშვო ბალებს, მერე — სკოლებს, მერე — საავადმყოფოებს, უნივერსიტეტებს, ფაბრიკებს, ქარხნებს... ამ ბოლო დროს სასტუმროები „დაამულამა“, მაგრამ რაღაც ახალი უნდოდა, რაღაც ორიგინალური — და მოიფიქრა! ადგა და ახალი ქალაქი „გახსნა“! აი, ეგრე — ანაკლია კვირას სოფელი იყო, ორშაბათს კი ოფიციალურ ქალაქად „გაიღვიძა“! როგორ და ისე! ხო-შიანად! ხოში ჰქონდა მიშას და იმიტომ!

ხვალ ადგება და, მაგალითად, ჩუმლაყს გამოაცხადებს ქალაქად, ზეგ — შიბლიანს, მახეგ — სასირეთს... ერთ კვირაში გორს „ჩამოალაბორანტებს“, ერთ თვეში — რუსთავს გამოაცხადებს „ორლობედ“, მერე კი დედაქალაქში ისევ რომ წააგებენ არჩვენებს, თბილისსაც სოფლობას მიუსჯის... ისე, ხოში აქვს, საქართველოს ისტორია 2003-დან დაიწყო და იმიტომ...

**P.S.** ეს კუკავა კიდევ, ასეთ დროს, უპატრონოდ გვტოვებს და მოსკოვში მიდის! ჰოდა, მაღლს თუ შვრენს, ბარემ „მარლიც მოყაროს“ და ონიშენკოსგან რომ გამოვა, მედვედევთანაც შეიაროს — რუსების პრეზიდენტმა განაცხადა, ჩვენი ქვეყნის პრობლემა არაყია და არა ღვინო და ამ კეთილშობილ სასმელზე უნდა გადავიდეთო. ჰოდა, მიდი, რა, შე კაცო, ერთი-ორი „იაშიკი“ ღვინოც იქნება მაგანაც აიღოს („პაპილიაზე“ ონიშენკოსთან გამოვა „ბორჯომით“) და გზის ფულს ამოიღებ, რა (37 მანეთი იქით, 37 — აქეთ, სულ — 74. თან გარკვეულ კატეგორიაზე შეღავათებია) —

P.P.S. იცით, მიშას, ასე ვთქვათ, „უცნაურობებზე“ ვბრაზდები მაინც და ამათზე ველარც ვბრაზდები და ველარც ვიცი ხოლმე — ვითარგუნები... ქართული პოლიტიკური ოპოზიცია — ანუ, „ნაცები“ რომ წავლენ (აუფ, მოვინდომე, რა...), მათ მაგივრად რომ ხალხი უნდა მოვიდეს, ეს ის ხალხია... რას გადაგეკიდფ, რა მნიშვნელობა აქვს, კუკავა იქნება თუ გუკავა, მაგრამ რა მაინტერესებს, იცით? იმ ონიშენკომ რომ ჰკითხოს, — შენ ვინ ხარ და ვინ გამოგზავნაო, ამან რა უნდა უპასუხოს?..

პროვოკატორი





# ქვეყანა

## AMBEBI.GE — ლიდერთა შორის

საერთაშორისო ვებკომპანიამ — alexa მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ვებგვერდების რეიტინგი გამოაქვეყნა. კომპანია ინტერნეტ-რესურსების პოპულარობის ანალიზს სისტემატურად ატარებს. მსოფლიო რეიტინგის ლიდერია Google. ქვეყნების მიხედვით შედგენილ რეიტინგში, საქართველოს ქვეთავში სოციალური ქსელი აცეხოვკ ლიდერობს; მედიასაშუალებებს შორის კი — ambebi.ge და „ინტერპრესნიუსი“ (ipn.ge). 500 ქართულ ვებგვერდს შორის, ambebi.ge 21-ე, „ინტერპრესნიუსი“ კი — 26-ე ადგილზე განთავსდა. მაჩვენებელი ვებგვერდების ვიზიტორების რაოდენობის მიხედვით არის გამოთვლილი. ■

## ზუბატიის სამეფო წყვილის უნაღლიე „მარჯნი“




გერმანიის ქალაქ ლადენბურგში მდებარე რესტორანში — „Zum Gueldenen Stern“ შვედეთის მეფეს — კარლ XVI-სა და მის მეუღლეს, დედოფალ სილვიას მომსახურებაზე უარი უთხრეს. რესტორნის მფლობელმა ნადინ შელენბერგერმა გულახდილად თქვა, რომ მეფე-დედოფალი უბრალოდ, ვერ იცნო; თანაც იმ დროს რესტორანში გერმანელი წყვილი ქორწილს ზეიმობდა და ყველა ოფიციალტი დაკავებული იყო. „სამეფო ოჯახები ნაკლებად მაინტერესებს, არც შურნალებს ვკითხულობ“, — განაცხადა

ნადინმა. შელენბერგერის თქმით, თუნდაც სცოდნოდა, რომ მის წინ შვედეთის მეფე-დედოფალი იდგა, რესტორანში მაინც ვერ შეუშვებდა. „სწორად გამიგეთ, არა აქვს მნიშვნელობა, დედოფალია თუ მენაგვე, ადგილი მაინც არ გვექონდა“, — დასძინა მან. ნადინი და მისი მეუღლე მაიკლი შვედეთის სამეფო ოჯახს ოფიციალურ ბოდიშს გაუგზავნიან და რესტორანში სადილად ნებისმიერ დროს მიიწვევენ. მას შემდეგ, რაც სამეფო ოჯახმა გერმანული რესტორნისგან გამასპინძლებაზე უარი მიიღო, მის გვერდით მდებარე იტალიურ რესტორანში ისადილა. ■

## რუსი მენავთობაების უიბალო პრობნოზი

„როიტერის“ ინფორმაციით, რუსეთ-ლიბიის ბიზნესკავშირის ხელმძღვანელმა არამ შეგუწცმა განაცხადა: „ჩვენ ლიბია საბოლოოდ დავეარგეთ. მწვანე შუქს აღარ აგვინთებენ და თუ ვინმე სხვაგვარად ფიქრობს — თავს იტყუებს“. სააგენტოს ინფორმაციით, რუსულმა კომპანიებმა: „გაზპრომმა“, „გაზპრომნეფტმა“ და „ტატნეფტმა“ ლიბიის გაზისა და ნავთობის საბადოების ასათვისებლად მილიონობით დოლარი ჩადეს, მაგრამ კადაფის წინააღმდეგ დაწყებული საომარი მოქმედებების დაწყების გამო, ამ მიმართულებით სამუშაოები შეჩერდა. როგორც ცნობილია, მოსკოვმა არაერთხელ გააკრიტიკა ნატოს ოპერაცია ლიბიაში და გაეროს რეზოლუციასაც არ დაუჭირა მხარი. თუმცა მოგვიანებით, რუსეთმა, სხვა სახელმწიფოების მსგავსად, მუამარ კადაფის გადადგომისკენ მოუწოდა. ■



## FORBES-მა უბდილრანი მწარლუბის ათეული გამოაჰლინა

გაგლენინამა გამოცემამ ყველაზე მაღალანაზლაურებადი მწერლების სია გამოაქვეყნა. ამერიკელი ჯეიმს პატერსონი ფსიქოლოგ ალექს კროსის შესახებ დაწერილი მძაფრსიუჟეტიანი რომანისთვის, რეიტინგის სათავეში მოექცა. მან ერთი წლის განმავლობაში 84 მლნ დოლარი გამოიმუშავა და „ფორბსის“ მწერლების ტოპათეულის ლიდერი მეორედ გახდა. მწერალი სტაბილურად მაღალ შემოსავალს საგამომცემლო სახლთან — „ჰეტჩერ ბუქ გრუპ“ გაფორმებულ 150-მილიონიან კონტრაქტს უმადლის. პატერსონი გამომცემლობასთან 17 წინის გამოშვებაზე შეთანხმდა, მათგან დღემდე მხოლოდ 10 გამოიცა. რეიტინგში მომდევნო ადგილი რომანისტმა დანიელა სტილმა დაიკავა. მან წელიწადში 35 მლნ შემოსავალი მიიღო. მესამე ადგილი, 28 მლნ დოლარით, სტივენ კინგმა დაიკავა. სუთულში მოხვდნენ: დეტექტიური რომანების ავტორი ჯანეტ ივანოვიჩი (22 მლნ) და გახმაურებული „ვამპირული“ საგის — „ბინდის“ ავტორი სტივენ მაიერი (21 მლნ). ■





# რამაზ ჩხიკვაძის მეუღლე გარდაიცვალა

ჩეხეთში რამაზ ჩხიკვაძის მეუღლე — ნატაშა კობახიძე გულის შეტევით გარდაიცვალა. იგი 24 აგვისტოს, რამაზ ჩხიკვაძესთან ერთად, რომელიც ამჟამად ჩეხეთში სამკურნალოდ იმყოფება, საქართველოში უნდა ჩამოფრენილიყო. გარდაცვალებამდე ნახევარი საათით ადრე მან რადიო „ობიექტივს“ რუსთაველის თეატრიდან რობერტ სტურუას გათავისუფლების გამო ინტერვიუ მისცა. „რამაზი ასეთ მძიმე მდგომარეობაშიც კი განიცდის. რობიკოს რაც დაემართა, ამან ძალიან დაგვამწუხრა. ჩვენ საუკეთესო წლები ერთად გავატარეთ. რამაზმა რობიკოსთან ერთად მთელი ეპოქა შექმნა მსოფლიო თეატრში. საქართველო მსოფლიომ მათი სპექტაკლებით გაიცნო. ეს არ უნდა მომხდარიყო. ისეთი დიდოსტატი, როგორც რობერტ სტურუა, არ შეიძლება, უცერემონიოდ ქუჩაში მოისროლო, — განაცხადა ნატაშა კობახიძემ და ასე მიმართა დიდ რეჟისორს: — რობერტ მაგრად იყავი! შენთვის ყველა კარი ღიაა. ახალი თეატრებით ისტორიას ხელახლა ვერ დაწერენ.“



რუბრიკა მოამზადა  
ნათაშა ბახტურიძემ  
გამოყენებულია ინტერნეტპორტალ  
ambebi.ge-ს მასალები

# პოლიკლინიკების გაყიდვა დაიწყო...

თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული 50 პოლიკლინიკიდან 7 უკვე გაიყიდა, — ამის შესახებ ჟურნალისტებს თბილისის მერიის პრესსპიკერმა ბაჩო დოლიძემ აცნობა. ბაჩო დოლიძე გამოეხმაურა „თავისუფალი დემოკრატების“ წევრის, ვიქტორ დოლიძის განცხადებებს, რომელიც პოლიკლინიკური ქსელის პრივატიზების საკითხს ეხებოდა. როგორც ჟურნალისტებს პრესსპიკერმა განუცხადა, პოლიკლინიკური ქსელის პრივატიზება უკვე განხორციელდა 7 პოლიკლინიკაში, მათგან 3-4 შეისყიდა თავად მედპერსონალმა. პოლიკლინიკები გაიყიდა ვაშლიჯვარში, პეტრიძისა და ახუნდოვის ქუჩებზე, სამგორსა და ვარკეთილში. ბაჩო დოლიძის თქმით, პოლიკლინიკური ქსელის პრივატიზაცია განაპირობა იმან, რომ კერძო სამედიცინო დაწესებულებები ფინანსურად უფრო ეფექტიანად მუშაობენ. მისივე განმარტებით, გაყიდულ პოლიკლინიკებში შენარჩუნდება პროფილი 5 წლის განმავლობაში, ასევე ფასები. ხოლო იქ მომუშავე პერსონალს კვალიფიკაცია აუმაღლდება. „პოლიკლინიკური ქსელის პრივატიზაცია არ ხდება დაფარულად და ამის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია მერიის ვებგვერდზე“, — აღნიშნა ბაჩო დოლიძემ. „თავისუფალი დემოკრატები“ თბილისის მერიისგან პოლიკლინიკების პრივატიზაციასთან დაკავშირებით გეგმისა და გრაფიკის წარმოდგენას ითხოვენ.

ქ. ფოთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის  
საკათედრო ტაძარი



გაბთი 200355  
ჯეოსელი 700555  
ბილაინი 700555

ბთხოვთ დარეკოთ

წმიდა ანდრია  
პირველწოდებულის  
სამონასტრო კომპლექსი



გაბთი 200320  
ჯეოსელი 700305  
ბილაინი 700333





# ვინ უფრო მატ წიწილას დაითვლის უამოდგომაზე?

ამ ზაფხულს ოპოზიციონერი ლიდერების დანაპირები ხელისუფლებამ შეგვისრულა: მართალია, ოპოზიციონერები მთელი გაზაფხულის განმავლობაში გვპირდებოდნენ, დასვენებას არ ვაპირებთ, წელს განსაკუთრებული უნდა „ცხელი ზაფხული უნდა მოვანყოლო“, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი გავუკეთებიათ, ხელისუფლება კი მართლაც გვარიანად გაისარჯა... თუ როგორი იყო წელს პოლიტიკური ზაფხული და როგორ შემოდგომას უნდა ველოდოთ — ამის შესახებ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის ხელმძღვანელი სოსო ციხაძე გვესაუბრება.

## საბუნა ბახტურიძე

— როგორც შარშან და შარშანწინ, ხელისუფლებამ ამ ზაფხულსაც უპასუხისმგებლო ნაბიჯები გადადგა. მმართველმა ძალამ ისარგებლა იმ ფაქტით, რომ საქართველოში არ არიან დიპლომატიური კორპუსის პირველი პირები, რომ თბილისის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გასულია დედაქალაქიდან, რომ ოპოზიციის მხრიდან პოლიტიკური აქტიურობა შემცირებულია და თუ რაიმე არაპოპულარული გეგმის განხორციელება უნდოდა, ყველაფერი მოასწრო. დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბს ნახევარი წლის განმავლობაში საჯარო განცხადება არ გაგვიკეთებია, უმთავრესად შიდა დისკუსიებით შემოვიფარგლებოდით, მაგრამ ამ ზაფხულს მომხდარმა მოვლენებმა გადაგვანწყვეტინა, საზოგადოებისთვის ჩვენი საერთო ხედავ გაგვეცნო. დამოუკიდებელი მედიასაშუალებებით გავავრცელეთ განცხადება და საზოგადოებას მმართველი ძალის მიერ გადადგმული უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების შესახებ ჩვენი პოზიცია გავუზიარეთ. გზავნილში შევხებით რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის, სტრატეგიული ობიექტების გასხვისებისა და დევნილთა მორიგი გამოსახლების საკითხებსა და პენიტენციარულ სისტემაში შექმნილ ურთულეს ვითარებას. აღვნიშნეთ ისიც, რომ ამ ზაფხულს ახალი ძალით გაჩაღდა ჯაშუშომანიის თამაში, რის შედეგადაც, არა მარტო ქართველებმა, არამედ მთელმა საერთაშორისო საზოგადოებამ დაინახა, თუ რა ტიპის ფობიები ამოძრავებს ჩვენს ხელისუფლებას. აქცენტი გავაკეთეთ იმაზეც, რომ თავისუფალი მედია ხელისუფლების მუდმივი სამიზნეა. ძალიან უპასუხისმგებლო ნაბიჯი იყო სატელევიზიო ანძის გადაცემა ადამიანისთვის, რომელსაც არც ფული აქვს, არც ცოდნა და არც ანძის განკარგვის სურვილი. ჩვენ მიერ გავრცელებულ განცხადებ-

ბაში ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ქვეყნისთვის პრინციპული საკითხია სახელმწიფო ინტერესების დაცვა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის განწევრების პროცესში და ხელისუფლებისგან მოვითხოვეთ, ვინრო-პოლიტიკური დივიდენდების მოსახვეჭად უარი არ თქვან სერიოზულ, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ინტერესებზე. ამ ზაფხულს მერიამაც საკმაოდ იაქტიურა და ელექტროენერჯისა და დასუფთავების „ტყუპ ძმად“ გამოცხადებით თბილისელების გული უსაზღვროდ „გაახარა“, შემდეგ — საბავშვო ბაღებს შეუწყვიტა დაფინანსება. ერთი სიტყვით, წელს „სატყიავარი კიდეე ბევრია“... დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი აპირებს, რომ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ხშირად გამართოს საჯარო განხილვა, დისკუსია და საზოგადოების კიდეე უფრო დიდ ნაწილს მისცეს საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის საშუალება. გვინდა, რომ ეს დისკუსიები ხელმისაწვდომი იყოს მედიისთვის და ხელისუფლებამ იცოდეს, თუ რას ფიქრობენ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. სულაც არ არის საჭირო, რომ ჩვენს ტელეფონებს უსმინონ, ისედაც არ ვაპირებთ ჩვენი მოსაზრებების დამალვას. ექსპერტთა კლუბი იმისთვისაც მზად არის, რომ კონსულტაციები გამართოს და ითანამშრომლოს ხელისუფლებასთან. ჩვენ ვიბრძვით არა ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ ქართული სახელმწიფოს საიმედო მომავლის შესაქმნელად.

— რით ახსნით იმ ფაქტს, რომ ხელისუფლების ასეთი აქტიურობის დროს ოპოზიციონერები არსად ჩანან?

— ოპოზიციის ნაწილი დამშვიდდა და გადავიდა „ნაციონალური მოძრაობის“ მფარველობის ქვეშ.

— „ახალ მემარჯვენებს“ გულისხმობთ?

— იმათ, ვინც საარჩევნო სისტემის არსებული რეალობით კმაყოფილია. აშკარაა, რომ „თავისუფალი დემოკრატებისა“ და „თავისუფალი საქართველოს“ გარდა, არავინ აქტიურობს.

— „თავისუფალი დემოკრატებისა“ და „თავისუფალი საქართველოს“ მსგავსად, ლეიბორისტებიც აქტიურობენ...

— ლეიბორისტების აქტიურობა პერმანენტული ხასიათისაა და პოლიტიკური დატვირთვებით არ გამოირჩევა. თან ეს აქტიურობა გამოიხატება მხოლოდ ერთი პოლიტიკოსის სატელევიზიო გამოსვლებით — უბრალოდ, ამ პოლიტიკოსის აზრებს სხვადასხვა ადამიანი გადმოგვცემს. ლეიბორისტების ლიდერს პოლიტიკური ეთერი არა აქვს მონოპოლიზებული, თორემ... ისე, ამ ხელისუფალთა ხელში, რომელთათვისაც სოციალური საკითხები მესახარისხოვანი თემაა, ლეიბორისტებს სალაპარაკო თემას რა გამოუღვეს, მათ 24-საათიანი ეთერის ათვისებაც კი შეუძლიათ. „თავისუფალი დემოკრატები“ და „თავისუფალი საქართველო“, ასე თუ ისე, საქმეს რეალურად აკეთებენ.

— რეალურად საქმის კეთებაში რას გულისხმობთ?

— ჩემი აზრით, საქმის რეალურად კეთება, ზაფხულის პერიოდში საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამყარებაა, რასაც ოპოზიციური პარტიები დღემდე ვერ ახერხებდნენ. ამ ზაფხულს ეს ოპოზიციონერი ლიდერები უფრო გააქტიურებულები არიან. ვნახოთ, რას მიიღებენ შედეგად, „წინილებს შემოდგომამდე ითვლიან“.

— როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები შემოდგომაზე, როდესაც წინილებს, ოპოზიციასთან ერთად, ხელისუფლებაც დაითვლის?

— გარწმუნებთ, შემოდგომისთვის ხელისუფლება ოპოზიციასზე გაცილებით მეტ წინილას დაითვლის. ფიქრობ, ხელისუფლება წინასწარჩევნო მზადებას დაინწყებს და პირდაპირ იერიშს მიიტანს პოტენციურ ამომრჩევლებზე. ოპოზიციური ძალები კი ერთმანეთთან ურთიერთობების გარკვევას, შესაძლოა — ანგარიშსწორებასაც ვერ ასცდებიან. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ოპოზიციური ბანაკში შემოდგომისთვის რაიმე სოლიდური პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბებას არ ველო. რადგან არა მხოლოდ სახელისუფლებო, არამედ ოპოზიციური სპექტრის გარკვეული ნაწილიც დაინტერესებული იქნება წინმსწრები შედეგის მქონე ოპოზიციური ძალის ჩაძირვით. ■





# „მსოფლიო დაბვსინებს, თუ ასეთ ნიჭიერ ადამიანს სხვა ქვეყანას დავუთმოთ“

## სათუნა პახტურიძე

„ძალიან გთხოვთ, დაგვიტოვეთ რობიკო სტურუა“ — ამ თხოვნით რუსთაველის თეატრის დასი საქართველოს ხელისუფლებას მიმართავს. მსახიობების თქმით, ქსენოფობიაში სტურუას დადანაშაულება — უსამართლობაა.

„სტურუას ერთ სპექტაკლსაც კი ვერ დაასახელებთ, სადაც ქსენოფობია იგრძნობა. მის ნებისმიერ სპექტაკლში გემოვნება, ესთეტიკა, სიკეთე, ჰუმანურობა, პატრიოტიზმი ერთდროულად არის წარმოჩენილი. აფხაზეთის კონფლიქტი ახალი მომხდარი იყო, როდესაც მოსკოვში გასტროლებზე ჩავიტანეთ „ლამარა“ და გაცდნენ რუსები, სპექტაკლში ჩეჩენი გმირი იჩო რომ ნახეს. გვეკითხებოდნენ, რა ძალა გყოფნით, ასე დადებითად წარმოაჩინოთ იმ ერის ადამიანი, ვინც ასე ძალიან გავნითო?“ — იხსენებს ზაზა პაპუაშვილი. პაპუაშვილთან



რობიკო არც ქსენოფობია და არც სომეხთმოძულე, ის ერისკაცია,

ელით საკუთარ თავს ესვრის ლაფს, თორემ რობიკოს ვერაფერს დააკლებს. ხედავთ, რა ამბავია ატყბილი?! სტურუას მარტო რუსეთში კი არა, სხვა ქვეყნებშიც სთავაზობენ სამსახურს. მსოფლიო დაგვცინებს, თუ ასეთ ნიჭიერ ადამიანს სხვა ქვეყანას დავუთმოთ. თანაც — რისთვის? სულ არაფრის გამო, ვიღაცის უსაფუძვლო ბრალ-

ფიქრები მანვალედა, გამუდმებით ვეკითხებოდი ჩემს თავს, თუ რამდენად სწორად გავაკეთე პროფესიული არჩევანი? იმ პერიოდში „სამსონაძის ბედნიერ ბილეთში“ ჩემივე ასაკის ახალგაზრდა კაცის როლის თამაშმა მომიწია. როლში მთელი ჩემი განცდები ჩავდე და რობიკომ ზუსტად, შეუცდომლად დაინახა ჩემი შინაგანი სამყარო. სწორედ მისმა ჩემდამი დამოკიდებულებამ, მის მიერ ჩემი შესაძლებლობების შეფასებამ დამარწმუნა, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. მას შემდეგ მტანჯველ ფიქრებს აღარ შევუწუნებია. რობიკო იმდენად ცხადად ხედავს თითოეული მსახიობის შინაგან სამყაროს, ისე კარგად ესმის ჩვენი და ისე ზუსტად ერკვევა ჩვენს შესაძლებლობებში, რომ არც კი ვიცი, ვინ უნდა შეძლოს მისი ადგილის დაკავება. პირადად მე არც ერთ რეჟისორს არ გავწირავდი რუსთაველის დასთან მუშაობისთვის.

### თათული დოლიძე

— რობიკო არც ქსენოფობია და არც სომეხთმოძულე, ის ერისკაცია, ხელოვანია, რომელიც ერს სიფხიზლისკენ მოუწოდებს. სტურუა, გარდა იმისა, რომ არის დიდი რეჟისორი და დიდი ადამიანი, მასზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებს ანუ — არასდროს იტყუება. არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ სტურუას სპექტაკლები არ უნახავთ და არც დიდ რეჟისორად აღიარებენ. კი, მაგრამ ხომ შეიძლება, ნახონ და მერე იმჯელონ? ვინც რობიკოს შემოქმედებას გაეცნობა, მის ქსენოფობი-

## ის ჯაცი ქართული ჯულბარის ცოცხალი საგანძურია და მისი გარეთ გაშვება, გაჩუქება — დანაშაულის ბოლოფასია

ერთად, მისი კოლეგებიც (ჯახი კავსაძე, გურამ საღარაძე, ჯემალ ლალანძი, ია სუხიტაშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, გოგა ბარბაქაძე, ბესო ზანგური...) ირწმუნებიან, რომ ქართული თეატრიდან პატონი რობერტის წასვლა ქვეყნისთვის უდიდესი დანაკარგი იქნება. როგორც ისინი ამბობენ, სტურუა არა მარტო დიდებული რეჟისორი და საუკეთესო პროფესიონალია, არამედ ღირსეული პიროვნება და გამორჩეული ადამიანაცაა.

### ჯასა ფოცხიშვილი

— მე თუ მკითხავთ, რობიკო სტურუა ერთ-ერთი კი არა, ყველაზე საუკეთესო, მაღალი რანგის რეჟისორია და მისი თეატრიდან გაგდება სამარცხვინო საქციელია. საქართველოს ისტორიას ახსოვს ასეთი სამარცხვინო მაგალითები. ბოლოს და ბოლოს, მიხეილ ჯავახიშვილი და ევგენი მიქელაძე დახვრიტეს... ეს ხელისუფლება ასეთ უღირსი საქცი-

დებისთვის!.. რობიკო რომ ქსენოფობი იყოს, არ იტყოდა, — ვეკიდები ჩემს სომეხ ბიცოლაზე! არც სომეხი მეგობრები ეყოლებოდა. როგორც ჩანს, ამ ხელისუფლებამ ნიჭიერებას ბრძოლა გამოუცხადა, მაგრამ რობიკოს ვერ მისწვდებიან, ვერაფერს აწებენ, მხოლოდ თავადვე დაზარალებიან. ყველასგან გამორჩეულია, როგორც ნიჭიერებით, ისე ადამიანობით. საოცრად მომხიბვლელი, მიმზიდველი და თავმდაბალი ადამიანია. სხვებივით, პლაგიატორი კი არ არის, ხუთჯერ გადაღებულს რომ მეექვსედ იღებენ. ის ყოველთვის ახალ სიტყვას ამბობს. უდიდესი ბედნიერება მხვდა წილად, რომ მასთან ვმუშაობდი. ალბათ იცით, კლიპში — „დაიცავი საქართველო“ — გადავიღე.

### ზაზა პაპუაშვილი

— ჩემი თეატრში მოსვლის ამბავს გავიხსენებ. მტანჯველი



რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge





ზმს ისევე ვერ დაიჯერებს, როგორც ჩვენ ვერ ვიჯერებთ. მასთან ერთად არაერთხელ მიმუშავია და ვიცი, როგორი პიროვნებაა. სხვისთვის უსაფუძვლოდ შეურაცხყოფის მიყენება, შენიშვნის მიცემა არ შეუძლია. უალრესად დახვეწილი ადამიანია, შენიშვნასაც კი ისე მოგცემს, რომ გულს არ გატკენს, თავმოყვარეობას და ღირსებას არ შეგილახავს. ეს კაცი ქვეყნისთვის უდიდეს საქმეს აკეთებს. მისი ბოლო სპექტაკლი XXI საუკუნის საუკეთესო რეჟისურის ნიმუშად აღიარეს. ნუთუ ამ ნიჭიერ ადამიანს უნდა შეველიოთ?! იქნებ ხელისუფლებამ გაითვალისწინოს სტურუას ღვაწლი და

განწარმოუდგენელი აუცილებელი გვხვდებოდნენ. არიან რეჟისორები, რომელთა შემოქმედება ზოგ ქვეყანაში მოსწონთ, ზოგან — არა; რობიკოს დადგმულ თეატრზე ყველა ქვეყანაში ერთნაირად გიჟდებოდნენ. ალბათ იცით, რომ ის მსოფლიოს საუკეთესო რეჟისორთა ხუთეულშია შეყვანილი. ბენიერი ვარ, რომ მის შემოქმედებას წიგნებიდან ან ჟურნალ-გაზეთებიდან კი არ ვიცნობდი, არამედ პირადად მქონდა ამ დიდ მესტროსთან ურთიერთობა და მის წარმატებებს ვიზიარებდი. ეს კაცი ქართული კულტურის ცოცხალი საგანძურია და მისი გარეთ გამშვება, გაჩუქება — დანაშაულის ტოლფასია.



თუ საერთოდ დაგოვებს თეატრს და სპექტაკლებსაც აღარ დაღვამს, მეც წავალ თეატრიდან



ისინი ისედაც დიდი ხანია, ჩვენს საგანძურზე ნადირობდნენ, ჩასაფრებულები ელოდნენ ასეთ მომენტს

ერთხელ საქართველოს პრეზიდენტმა თქვა, რომ ნელ-ნელა ყველა ნიჭიერ ქართველს დააბრუნებდა სამშობლოში. მე მისი მჯერა და დარწმუნებული ვარ, ასეც მოიქცევა. რობიკო ის კაცი არ არის, გულხელდაკრეფილი დაჯდეს, სარეჟისორი სავარძლის გარეშე ვერ გაჩერდება, აუცილებლად დადგამს სპექტაკლებს, სადაც მოახერხებს, იქ. ნიჭიერი, შემოქმედი ადამიანია და სხვაგვარად ვერ იცხოვრებს. აქ თუ არა, მაშინ სხვის ბუდეში უნდა დადოს კვერცხები, ეს კი ჩვენ არ გვაძლევს ხელს. გვხვეწებით, რუსეთს ნუ დაფუთობთ ჩვენს საგანძურს! ისინი ისედაც დიდი ხანია, ჩვენს საგანძურზე ნადირობდნენ, ჩასაფრებულები ელოდნენ ასეთ მომენტს. ამიტომაც არის, რომ ყოველდღე ურეკავენ და

დაგვიტოვოს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად?!

**ჯეგაშვილი ლაღანიძე:**

— რობიკო სტურუას სტუდენტობიდან ვიცნობ. ასაკით მასზე ბევრად უფროსი ვარ. თეატრშიც უფრო ადრე დავეინყე მუშაობა. იცით, ძალიან დიდი მოკრძალებით მოვიდა თეატრში. მისმა პირველივე სპექტაკლმა მოიპოვა წარმატება და მაშინვე დაიწყო ლაპარაკი ახალგაზრდა ნიჭიერ რეჟისორზე. როდესაც „ასურგასის დღე“ დავდგით, კრიტიკოსებმა თქვეს, — სტურუა ისეთი რეჟისორია, ტელეფონის წიგნი რომ მისცე, იქიდანაც კი კარგ სპექტაკლს გააკეთებსო. მართლაც ასე იყო, ის დგამდა კარგ და ძალიან კარგ სპექტაკლებს, საშუალო და ცუდი მის შემოქმედებაში არაფერი ყოფილა. 40 ქვეყანა მოვიარე რობიკოს სპექტაკლებით. „რიჩარდი“, „კავკასიური ცარცის წრე“... „კავკასიური ცარცის წრე“ 30 წლის განმავლობაში ექვსას ორმოცდაათჯერ ვითამაშეთ. რომელ ქვეყანაშიც უნდა ჩაესულიყავით, ყველ-



ეს ხელისუფლება ასეთი უდიდესი საქციელით საკუთარ თავს ესერის ლაფს, თორემ რობიკოს ვერაფერს დააკლებს

სულ უფრო და უფრო მიმზიდველ წინადადებებს სთავაზობენ. მერწმუნეთ, მას ძალიან არ უნდა რუსეთში წასვლა. თავად აქვს ნათქვამი, — საქართველოში, ჩემს დასთან ერთად ყველაზე მეტად მიხარია და მიადვილდება მუშაობაო. ჩვენც ასე ვართ, ძალიან გვიყვარს მასთან მუშაობა, იმიტომ, რომ თითოეულ ჩვენგანს კარგად გვიცნობს. ხომ გაგიგონიათ „მუნჯის ენა დედამ იცისო“? ასეა ჩვენი საქმეც. უმორჩილესად ვხვდებით ჩვენს ხელისუფლებას, პატარა საშუალება მაინც თუა, დაგვიტოვონ ეს კაცი ქართულ თეატრში. რობიკო მართლა არ არის ქსენოფობი. 48 წელია, რუსთაველის თეატრში ჩემ გვერდით მუშაობს და კარგად ვიცნობ. როდესაც სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნეს და თეატრის რეფორმა დაიწყო, ორკესტრის ხელმძღვანელად, დირიჟორად სომეხი ვოვა ოგანეზოვი დაინიშნა, რომელიც დღესაც მის გვერდით დგას და ჩვენთან ერთად ითხოვს მესტროს თეატრში დატოვებას. როდესაც ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური პირობები იყო, გასტროლებზე მცირე ბიუჯეტის გამო ყველა მსახიობი ვერ მიგვიყავდა. ისეთი მსახიობიც კი დაგვიტოვებია, როგორც ედიშერ მაღალაშვილი გახლდათ, მაგრამ სცენის გამნათებელი, მხატვარი არუთინოვი რობიკოს გვერდიდან არ მოუშორებია. მთელი მსოფლიო მოატარა ამ კაცს. თუ სომხებს მართლა ვერ იტანდა, მაშინ რატომ ანებებდნენ ასე?!

**ზასო ჯანაშვილი:**

— რობერტ სტურუას წყალობით, მე მუდმივად თეატრის ცხოვრებით ვცხოვრობ. ის არა





მარტო დიდი მესტრო, არამედ სიურპრიზების ოსტატიც გახლავთ. ბავშვი ისე შემეძინა, რომ ჯვარი არ მქონდა დანერილი. დავინუნუნე, — ჯვრის დანერა და ბავშვის მონათვლა მინდოდა, მაგრამ ჯერ ვერ ვახერხებ-მეთქი. ზუსტად ორ დღეში თეატრიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ სვეტიცხოველში ჯვრისწერისა და ბავშვის ნათლობის ხარჯებს რობიკო საკუთარ თავზე იღებდა. რობიკო ჩვენთვის მხოლოდ რეჟისორი არ არის. ის უდიდესი ადამიანია. თუ ეს კაცი საერთოდ დატოვებს თეატრს და სპექტაკლებსაც აღარ დადგამს, მეც წავალ თეატრიდან. როგორც ვიცი, მესტროს უამრავი შემოთავაზება აქვს, არა მარტო რუსეთიდან, არამედ — არგენტინიდან, საბერძნეთიდან, ინგლისიდან. ასე რომ, ხელისუფლება თავისი ანგარიშსწორებით, სტურუას კი არა, საქართველოს ავნებს...

**ღიმილი ჯაინი:**

— არ ვიცი, იცით თუ არა, რომ სოსუმდიან დევნილი თეატრი სწორედ რობიკო სტურუამ შეიფარა რუსთაველის თეატრში. ქართულ თეატრზე მისი ღვაწლი რომ უსაზღვროა, ეს ყველამ იცის. სტურუა მარტო ნიჭიერი კი არა, ძლიერიც არის. იცით, მისი ძალა როდის ვიგრძენი?.. ბულგაკოვის „სრბო-



არ მინდა, ამ ადამიანის საქართველოდან გაშვება და რუსთაველის დასთან, ჩემს კოლეგებთან ერთად, ყველაფერს გავაკეთებ მის საქართველოში დასატოვებლად

ლა“ დათო ხინიკაძესთან ერთად დავდგით. მე გენერალ ჩარლოტას როლი მერგო. ცხონებულ დათოს სხვა გეგმები ჰქონდა — ჩარლოტა გმირად ჰყავდა წარმოჩენილი. სტურუამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა, გმირებს ფუნქციები შეუცვალა, მაგრამ დათომ შეკამათებაც კი ვერ გაბედააი, მაშინ მივხვდი, ვისთან მქონდა საქმე...

**თამიკო ჭიჭინაძე:**

— ჩემს პროფესიულ ცხოვრებაზე ბატონმა რობიკომ უდიდესი გავლენა იქონია. მისგან ბევრი რამ ვისწავლე, არა მარტო როგორც მსახიობმა, არამედ როგორც ადამიანმა, როგორც

კაცმა. არ მინდა, ამ ადამიანის საქართველოდან გაშვება და რუსთაველის დასთან, ჩემს კოლეგებთან ერთად, ყველაფერს გავაკეთებ მის საქართველოში დასატოვებლად. მაინც, რას გავაკეთებ?.. არ ვიცი, ცუდს არაფერს. ჩვენ გამოვხატავთ პროტესტს უსამართლობის წინააღმდეგ. ჯერ არ ვიცი, რამდენ ხანს ან რა ფორმით გაგრძელდება პროტესტი, რუსთაველის თეატრის დასსა და შემოქმედებით კოლექტივს ჯერ არ გვაქვს გადაწყვეტილი, თუ როგორ გავაგრძელებთ მოქმედებას. მხოლოდ ის ვიცი, რომ ისე არ გავჩერდებით. ■

25 აპრილიდან - 1 სექტემბრამდე

**„რევი ჩრეული“**

ძარბაველი კლასიკოსების რჩეული ტომეულები.

ყოველ ხუთშაბათს  
შურნალ „გზასთან“ ერთად.

**მაგარი ბარეკანით**

**№5 მიხაილ ჯავახიშვილი**

**შვიდტომეული**

უკვე გამოსული ტომები (ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული, გალაკტიონ ტაბიკის ხუთტომეული. მიხაილ ჯავახიშვილის I, II, III, IV ტომი) შვიდიტომიანი შვიდიტომიანი წიგნის ბალაზიკაში!

წიგნის ფასი: **5 ლარი**  
შურნალთან ერთად: **6 ლარი**



# მოგზაურობა დანაბვიანულ სამოთხეში და უსნაურად მოაზროვნე ადამიანები

უმშვენიერესი ბუნება, წინვოვანი ტყეები, არქეოლოგიური ძეგლები, ნაგვისა და დანგრეული ან ნახევრად დანგრეული შენობების ფონი — ამ ყველაფერის ნახვა თბილისიდან 60 კილომეტრში, დაბა მანგლისში შეგიძლიათ. ეს უმშვენიერესი რაიონი თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ალგეთის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ხალხურ გადმოცემაში მანგლისის სახელის წარმოშობის 2 ვერსიაა შემონახული: პირველი გადმოცემების თანახმად, მანგლისთან მყოფ სოფელ კველთაში მანგლებს (თანამედროვე ქართულით — ნამგლებს) აზნადებდნენ, რის გამოც ახლომდებარე დასახლებას „მანგლისი“ დაარქვეს; მეორე ვერსიით, ამ დასახლებას სახელი ბიზანტიელი ხუროთმოძღვრის, მანგლისის სიონის მშენებლის — ვინმე მანგლის პატივსაცემად დაარქვეს.

## საბუნებრივი პარკი

გარდა იმისა, რომ მანგლისის ბუნება უმშვენიერესია, ჰაერი კი — სამკურნალო თვისებებით მდიდარი, მისი მიმდებარე ტერიტორია უძველესი არქეოლოგიური ძეგლებითაა მდიდარი. ხის კოტეჯი, რომელშიც მე და ჩემი მეგობრები დავბინავდით, ორ ნასახლარს შორის იყო მოქცეული,



ბანაკში შეველი თუ არა, მაშინვე თვალწინ წარმომიდგა, თუ როგორი შეიძლება იყოს მტრისგან აოხრებული დასახლება

ნასახლარი კი მთლიანად ეკალბარდებში გახლდათ გახვეული. გარშემო რომ მიმოვიხედე, ბევრი ასეთი ნანგრევი ვიხილე. საქართველოში არც ჩამონგრეული კედლების ნახვა გაგიკვირდება და არც ეკალბარდების; ამ ყველაფერმა მხოლოდ იმიტომ გამაოცა, რომ ჩვენი კოტეჯი დაბის ცენტრში, ტყეპარკთან ახლოს, ერთ-ერთ საუკეთესო დასახლებაში გახლდათ განთავსებული. როდესაც კოტეჯის მეპატრონეს ვკითხე, — ამ ნასახლარებს რატომ არ ანგრევთ? ხომ შესაძლებელია, აქ ქვეწარმავლებიც იყვნენ-მეთქი! — მიპასუხა, — შესაძლებელია კი არა,

არიან კიდევ, მაგრამ კედლების დანგრევის უფლებას მთავრობა არ გვაძლევსო. მინდოდა, ვინმე კომპეტენტური პირისთვის მეკითხა, — თუ რატომ არ აძლევენ მანგლისელებს ნანგრევებისგან დაბის ცენტრის განმენდის უფლებას, მაგრამ ადგილობრივებმა მითხრეს, აქ კომპეტენტურიც, მამასახლისიც და ბატონ-პატრონიც ძმები ბეჟუაშვილები არიან და მათ დაუკითხავად ჩიტი ბუდეა ვერ გაიკეთებსო. ბეჟუაშვილებს არაფერს ვაბრალებ, ამას თავად მანგლისელები ამბობენ. ისე, ცოდვა გამხეილი ჯობს და... ამ „ჩამშვებებმა“ სულაც არ იცოდნენ, ჟურნალისტს რომ ელაპარაკებოდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ისიც კი მითხრა, — ეს რა არის, თქვენ საბავშვო სპორტულ ბანაკში — „განთიადში“ უნდა ნახოთ, რა ხდება: ბავშვებს ნახევრად დანგრეულ შენობებში აცხოვრებენ, სულაც არ არის გამორიცხული, დღეს ან ხვალ რომელიმე ჩამოინგრეს და ტრაგედია დატრიალდეს; გარდა ამისა, ბავშვებს საშინელ ანტისანიტარიისა უწევთ ყოფნაო. მათი თქმით, ამ ბანაკიდან შემოსული თანხაც ძმები ბეჟუაშვილების ბიუჯეტში მიდის.

„განთიადს“ მივაშურე. ბანაკში შევედი თუ არა, მაშინვე თვალწინ წარმომიდგა, თუ როგორი შეიძლება იყოს მტრისგან აოხრებული დასახლება. დანგრეული ან ნახევრად დანგრეული შენობები, სამხარეულო, რომელიც ძველ სარდალს უფრო ჰგავს, და საპირფარეო, სადაც პირადად მე სიც-

ოცხლის დაზღვევის გარეშე არ შევიდოდი... მეგონა, რომ ბანაკში სულ რამდენიმე დამსვენებელი იქნებოდა, მაგრამ ეზო სავსე იყო სხვადასხვა ასაკის პატარებითა და მოზარდებით. ერთ-ერთი დამსვენებლის მშობელმა მითხრა: „ბანაკში კარგი პირობები ნამდვილად არ არის, მაგრამ აქ ერთი დღე, სამჯერადი კვებით, მხოლოდ 15 ლარი ჯდება. ეს ძალიან კარგია, რადგან შესაძლებლობა მაქვს, ბავშვს ჰაერი გამოვუცვალო. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ არც მინდა, რომ ამ ბანაკში უკეთესი პირობები იყოს: ასეთ შემთხვევაში დასვენება ასე იაფი აღარ იქნება და ძალიანაც რომ მინდოდეს, ბავშვს ქალაქიდან ვეღარ გავიყვან“.

ბანაკის დათვალეორების შემდეგ, მეგობრებთან ერთად, „როშის“ მონახულება გადავწყვიტე. ეს არის ტყეპარკი, რომელიც მანგლისის სავიზიტო ბარათად მიიჩნევა და, როგორც ადგილობრივები ამბობენ, აქ განთავსებული ატრაქციონებიდან შემოსულ თანხებსაც ჩვენთვის უკვე ნაცნობი ძმები განკარგავენ. „როშა“ მართლაც საუცხოოა, თავისი უზარმაზარი ფიჭვის ხეებით, მდინართა და პატარა-პატარა ჩანჩქერებით. პარკში შესულმა ჰაერი ღრმად შევისუნთქე, მინდოდა, ფილტვებში ფიჭვის სურნელით გაჟღერებული სასიამოვნო „მასა“ ჩამეშვა. ერთი, ორი სამი და... ჰოი, საოცრებაც, რაღაც უსიამოვნო სუნი ვიგრძენი — დაახლოებით ისეთი, ჩემს ქალაქში (რუსთაველი) სადარბაზოების გვერდით მოთავსებული ნაგვის ბუნკერების გვერდით ჩავლისას რომ მიგრძნია. სიმაართლე გითხრათ, შევფოთდი: მართალია, გარშემო ნაყინისა თუ სხვა ნუგბარის ქალაქი და კოლოფი მრავლად ეყარა, მაგრამ წესით, ამ ყველაფერს მყრალი სუნი არ უნდა ჰქონოდა. ვიფიქრე, რომ ჩემი საქმე მთლად კარგად არ იყო ანუ — ფიჭვის სურნელს სხვაგვარად შევიგრძნობდი... ხმა არ ამოვიღე და გზა განვაგრძე, მაგრამ ჩემს მეგობრებს ერთი უცნაური რამ შევნიშნე, — ყველა ცხვირს იჭმუხნიდა და აქეთ-იქით გაოცებული იყურებოდა. ბოლოს ერთ-ერთმა ამოთქვა, რომ არასასიამოვნო სუნს გრძნობდა...

მაღე ულამაზეს პატარა ხევს მივადექით, რომელშიც პატარა მდინარე მოედინებოდა და ჰაერში დატრიალებული „სურნელის“ მიზუზიც დავადგინეთ: გარდა იმისა, რომ ხევი სავსე იყო საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, რამდენიმე საპირფარეოს საკანალიზაციო მილიც პირდაპირ ამ მდინარეს უერთდებოდა. ჩემი მეგობრის 11 წლის





ტბა-პარკი „ოცნება“ მართლაც ნამდვილი აღმოჩენაა



შვილმა მდინარე რომ დაინახა, ხელიდან გაგვისხლტა და წყალში შეტოპა. დედამისმა კოტეჯში დაბრუნების შემდეგ ბავშვი იმდენი ხანი „ხეხა“, პატარა სანდრო ყორანიც რომ ყოფილიყო, მაინც გათეთრდებოდა...

მეორე დღეს, აქეთ-იქით ხეტიალისას, მე და ჩემმა მეგობრებმა შემთხვევით, ტბა-პარკი აღმოვაჩინეთ. სიტყვა — „აღმოვაჩინეთ“ შემთხვევით არ გამოიყენება: ტბა-პარკი „ოცნება“ მართლაც ნამდვილი აღმოჩენაა, თუ რატომ — ამას თავადაც მალე მიხვდებით.

ლობზე, რომელიც ხის ტოტებისა და ავტობუსის ძველი კარებისა თუ სკამებისგანაა შეკონსტრუირებული, ასეთი ტრაფარეტი მიმაგრებული: „შესვლა 60 თეთრი, ან 30 წთ. მუშაობა. მანქანის გაჩერება 1 ლარი“. ძალიან დავინტერესდით, თუ რა სამუშაოს ასრულებდნენ მსურველები „ოცნებაში“ შესვლის სანაცვლოდ, მაგრამ ტბა-პარკის მფლობელმა ერთი აგვათვალისწინა-ჩაგვათვალისწინა და გამოგვიცხადა, რომ ჩვენ მუშაობის შნო მაინც არ გვექონდა, და ჩვენთან ლაპარაკში დროის ტყუილად ფლანგვა არ ღირდა. გული არ გაგვიტეხავს, არც უკან დაგვიხევია, მუშაობის თუ არა, ტბაში გაგრილებას შნო ხომ მაინც გვექონდა... შესასვლელში კიდევ ერთი ტრაფარეტი დავინახე წარწერით — „აქ კეთილი გულით ხარ, კეთილი გზით იარე. არა!.. რა“. ისე, ამ ტბის მფლობელისგან კარგი ოპოზიციონერი გამოვიდოდა, არა? მართლაც, გულის განმგმირავ ლოზუნგებს მოიფიქრებდა...

ტბას არა უშავდა რა, ოღონდ ერთი ნაპირი იყო დაჭაობებული, მისი შემოგარენი კი, რბილად რომ ვთქვათ, ძველი ნივთების მუზეუმს მოგაგონებდათ. ხალხი აქაც ბევრი იყო და მათაც უხაროდათ, რომ ტბა კეთილმოწყობილი არ იყო, წინააღმდეგ შემთხ-

ვევაში ასე იაფად ანუ 60 თეთრად გაგრილებას ვერ მოახერხებდნენ. ბიჭები წყალში ხისგან შეკონსტრუირებული ტრამპლინიდან ხტებოდნენ, ან წყლის ველოსიპედებსა თუ დაუანგულ ნავეებში სხდებოდნენ და ხისგან გამოჩორკნილ ნიჩბებს თავმომწონედ უსვამდნენ, თან თვალებს აპარებდნენ ჭაობის მცენარეებს ამოფარებული გოგონებისკენ, რომლებიც შორტებსა და მაისურებში გამოწყობილები იღებდნენ ნამზეურს. მიუხედავად იმისა, რომ ნავეში ან წყლის ველოსიპედში ჩაჯდომა სარისკოდ მომეჩვენა, 11 წლის სანდროს ხათრით და კიდევ იმის იმედით, რომ ცურვა ვიცი, ერთ-ერთი დაუანგული ველოსიპედი ამოვარჩიეთ, 2 ლარი გადავიხადეთ და 30 წუთით ტბაში შევცურეთ. ნახევარსაათიანი „ნაოსნობის“ შემდეგ ნაპირზე გასვლა დავაპირეთ, მაგრამ მალევე მივხვდით, რომ ეს არც ისე იოლი იყო. რკინის ჯოხი, რომლის მეშვეობითაც ველოსიპედს მიმართულებას ვუცვლიდით, ბუდიდან ამოვარდა... ბევრი ვინჯალეთ თუ ცოტა, როგორც იქნა, ნაპირს მივალწიეთ. სანდროს ეს ხმაილა არ გაუშვლია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, წყლის ველოსიპედზე ცხოვრებაში აღარ დაჯდება...

მანგლისში ერთადერთი ადგილი, სადაც ბუნების სილამაზითა და სისუფთავით ერთდროულად შეგიძლიათ დატკბეთ — ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის უზარმაზარი, ქვის-

გალაფინიანი ეზოა. ასწლოვანი ხეები, ქვის კოსტა ბილიკები და ხასხასა, მწვანე ბალახი საოცრად თვალწარმტაც გარემოს ქმნის. თვით ტაძარი, რომელიც ისტორიულ წყაროებში IV საუკუნიდან მოიხსენიება, ჩემი აზრით, ისტორიის ყველაზე კარგი და საინტერესო „მთხრობელია“: მასში არსებულ თითოეულ ფრესკასა და ჩუქურთმაზე შეგიძლიათ ამოიკითხოთ, როგორც ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის, ასევე რუსეთის იმპერიის ნამოქმედარის კვალი. აქ ნახავთ ხანძრისგან შექვარტლულ კედლებსა და თალებს, რომლებზეც ქართული და რუსული ჩუქურთმები ერთმანეთს ენაცვლება. ტაძრის შესასვლელში რუსების საამაყო — ორთავიანი არწივია გამოსახული. როგორც ჩანს, ოკუპანტები აქაც აქტიურად ცდილობდნენ ქართული სულიერების რუსულით ჩანაცვლებას. ასევე ბევრი საინტერესო ამბის შეტყობა და გარკვევა შესაძლებელი იმ საფლავის ქვებზე ამოტიფრული ეპიტაფიების საშუალებით, რომლებიც ტაძრის გარშემოა მიმოფანტული. ქართველი თავადების გვერდით რუს გრენადერთა პოლკის ოფიცრებსა და მათი ოჯახის წევრებსაც საპატიო ადგილი აქვთ მიჩენილი.

გულდამძიმებულმა დავტოვე მანგლისი. გული მხოლოდ იმის გამო როდი მწყდება, რომ ჩემი ქვეყნის ეს ისტორიული მხარე ასეთი მოუფლელი, მოუწესრიგებელი და დანაგვიანებულია. ყველაზე მეტად ის ფაქტი მაშფოთებს, რომ ქართველები ამ ყველაფერს არ აპროტესტებენ. პირიქით, ასე ურჩევნიათ, რადგან ეშინიათ, რომ თუ ყველაფერი მოწესრიგდება და დასუფთავდება, აქ დასვენებაც გაძვირდება და შესაბამისად, მათთვის კიდევ ერთი კურორტი გახდება ხელმიუწვდომელი. ■



# თალიზი

თმის ბალანსირების კლინიკა

თბილისი ქ. 27 ტელ: 214-15-15  
www.talizi.ge



# ხელისგულზე ტარებას არ მოჰვითხოვ, თუმცა არს წაბეჭული ომის ჯარისკაცობას დაჰვიბრალებ

21 წლის ახალგაზრდა, დაფლეთილი ხელ-ფეხით, ნახევრად დაქვეითებული სმენითა და მხედველობით, რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოათავსეს... ეს იყო 18 წლის ნინ — მაშინ ბიორბი გელითაური საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოდა. სწამდა, რომ ქართველები რუსეთის იმპერიალიზმთან გამკლავებასა და დამოუკიდებელი, ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას შევძლებდით. ახლა ის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენისა და მედლის — „მხედრული მამაცობისათვის“ მფლობელი, 39 წლის თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკია და მოვლენებს უფრო პრაგმატულად აფასებს...

## ხათუნა კახტურიძე

საზოგადოების დიდი ნაწილი სამხედრო ექსპურტის ამპლუაში იცნობს. თავად ამბობს, რომ ექსპურტობას უურნალობს „აბრალევენ“, სინამდვილეში უბრალოდ, პროფესიონალი სამხედროა. ჰყავს მუშელ და ორი ვაჟიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ 21 წლის ასაკში დაოჯახდა, მუშელზე დღემდე შეყვარებულია. ირწმუნება, რომ მიაა ერთადერთი ქალია, ვინც კი ოდესმე ჰყვარებია. დედა რუსი ჰყავს, საშუალო განათლებაც რუსულ ენაზე მიიღო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ებრძოლა...

— **ბატონო გიორგი, რუსულ სკოლაში ვისი ინიციატივით შეგიყვანეს?**

— ბაბუამ უმაღლესი განათლება ლენინგრადში მიიღო და უნდოდა, მეც მის კვალს გაეყოლოდი... რუსული სკოლა კი დავამთავრე, მაგრამ მერე საქართველოში 9 აპრილის ტრაგედია მოხდა... ამ ამბის შემდეგ რუსეთში სწავლის გაგრძელებას ვეღარავინ და ველარაფერი მაძიებდა. 1989 წელს მომხდარმა მოვლენებმა ჩემი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია. მაშინ მივხვდი, როგორი მომავალი მინდოდა ჩემი ქვეყნისთვის...

— **მაინც რის გაკეთებას აპირებდით ან როგორი მომავალი გინდოდათ ქვეყნისთვის?**

— მინდოდა, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გამხდარიყო და დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყო. 1989 წელს ჯერ კიდევ 16 წლის ვახლდით. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი არ ვიყავი, მაგრამ ვცდილობდი, თავისუფლებისთვის ბრძოლაში ჩემი პატარა წვლილი შეემტანა. დედა სულ ამბობდა, ბავშვი იმავე ფესვებსა და ტრადიციებზე უნდა აღიზარდოს, რაზეც მისი მამა-პაპაო. დედა რუსი მყვოლებოდა, „ციგანი“ თუ სომეხი, მე მაინც

ქართველი ვიქნებოდი და ჩემი ქვეყნისთვის ვიბრძოლებდი. სამხედრო საქმე და ისტორია ბავშვობიდან მიტაცებდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის ჯარის ოფიცრობა არ მინდოდა. შევანაბრე ბატალიონი ჩამოყალიბდა თუ არა (1992 წელს, 7 იანვარს), მაშინვე იქ ჩავირიცხე და აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ჩატარებულ თითქმის ყველა საბრძოლო ოპერაციაში მივიღე მონაწილეობა. ოცეულის მეთაურიც ვიყავი, ჯავშანსატანკო სამსახურის უფროსიც და ასეულის მეთაურიც.

— **როგორც ვიცო, საკმაოდ მძიმე ჭრილობები გაქვთ მიღებული. პირველად სერიოზული საფრთხის წინაშე როდის აღმოჩნდით?**

— საბრძოლო ნათლობა ცხინვალის რეგიონში, ზნაურის რაიონში მივიღე. შეიარაღებული მტრის პირისპირ პირველად მაშინ აღმოვჩნდი, თუმცა განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ყველაზე მძიმედ 1992 წლის 14 აგვისტო მახსენდება. „შევანაბრე“ ბატალიონის დესანტი განთავსდა-ლესელიძე



ტანკის გყვიაბურქევიდან ნასროლი ერთი გყვია მარჯვენა იდაყვის სახსარში მომხვდა, ორი — მარჯვენა ფეხში

ში (საქართველო-რუსეთის საზღვარზე) გადაგვსეს. იმ დღეს ჩემი უახლოესი მეგობარი ლაშა დუნდუა (დედისერთა ბიჭი) დაიღუპა. მის სახელს ჩემი უფროსი ვაჟი ატარებს, რომელიც ახლა 16 წლისაა... განთავსდა-ლესელიძე რომ დავიკავებო, რამდენიმე დღეში გაგრა-შიც შევედით. 5 სექტემბერს კი იქიდან „შევანაბრე“ ბატალიონის „ნარჩენები“ გამოგვიყვანეს. მარიამობისთვის ბზიფზე შეტევის შემდეგ 150 კაციდან მწყობრში მხოლოდ მე, 35 რიგითი და რამდენიმე მოხალისე დავრჩით... აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ჩვენი ბატალიონიდან სულ 67 კაცი დაიღუპა. ჩემი სიცოცხლე ყველაზე დიდი საფრთხის წინაშე 1993 წლის 9 ივნისს, ანუარხუს სიმაღლეზე ბრძოლისას დადგა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც რუსები უკვე ლიად ჩაებნენ საბრძოლო ოპერაციებში. „შევანაბრე“ ასამდე ჯარისკაცი რუსი მედესანტეების, აფხაზეთისა და ჩრდილოკავკასიელ მოხალისეთა 400-კაციანმა დაჯგუფებამ ალყაში მოგვაცქია. მათ 4 ტანკი და ერთი „ბემეჰ“ ჰყავდათ. ალყაში 30 საათის განმავლობაში ვიბრძოლეთ. მტრის ოთხივე ტანკი და დიდი რაოდენობით ცოცხალი ძალა განადგურეთ. ტანკის ტყვიამფრქვევიდან ნასროლი ერთი ტყვია მარჯვენა იდაყვის სახსარში მომხვდა, ორი — მარჯვენა ფეხში. თავიდან თბილისში აპირებდნენ ჩემს გადმოყვანას, მაგრამ მატარებელში ძალიან ცუდად გავხდი, ჰაეროვანი განგრენა დამენყო და სანიტარიული ვაგონის ექიმმა ქუთაისში დამტოვა, სადაც გადაუდებელი ოპერაცია ჩამიტარეს.

— **რას გრძნობდით ან რას ფიქრობდით, როდესაც მძიმედ დაჭრილი ალყაში იყავით მოქცეული?**

— მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ცუდად ვგრძნობდი თავს, გონი არ დამიკარგავს, რეალობას ადეკვატურად აღვიქვამდი. ძალიან განვიცაადე, როდესაც ჩემი მეგობარი, ზურაბ უსენაშვილი დაიღუპა. ყველაზე დიდი საშინელება ის იყო, რომ მტრისთვის წინააღმდეგობის განწევა აღარ შემიძლო. „შევანაბრელების“, ტყვედ ჩავარდნაზე საუბარიც ზედმეტი იყო. ჩემს თანამებრძოლებს, შტაბთან შეთანხმებით, ტყვია-წამლის გათავების შემთხვევაში, ოპონციის დატოვების გეგმაც ჰქონდათ შემუშავებული. ვიცოდი, თანამებრძოლე-





ბი არ მიმატოვებდნენ, ეს გამოირიცხული იყო, მაგრამ იმასაც ვხვდებოდი, რომ ზედმეტი ტვირთი ვიქნებოდი... ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ცუდი აზრები მაწუხებდა.

**— თავს მოკვლავ ფიქრობდით?**

— კი, ვფიქრობდი, ოღონდ — მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

**— როგორ გგონიათ — ომი ადამიანის რეალურ სახეს წარმოაჩენს?**

— ადამიანი ბრძოლისას მართლაც უფრო წარმოაჩენს რეალურ სახეს, ვიდრე სამოქალაქო ცხოვრებაში. თუმცა ისეთებსაც ვიცნობ, რომლებსაც ომში ტყვიის არ ემინოდათ, სამოქალაქო ცხოვრებაში კი თანამდებობის დაკარგვის შიშით საკუთარი პოზიციის გამოხატვას ერიდებიან. ზოგს არც თანამდებობა აქვს — უბრალოდ, დისკომფორტის შექმნისას კი ემინია.

**— პირადად თქვენზე ომმა რა გავლენა იქონია?**

— უფრო მაქსიმალისტური და მომთხოვნი გახდი, როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიმართაც. ომიდან ახალდაბრუნებულს ადამიანებისთვის რაღაც რაღაცების პატიება და კომპრომისზე წასვლა ძალიან მიჭირდა, თუმცა ვხვდებოდი, რომ ეს კარგი არ იყო.

**— ეს თვისება დღემდე შემოგარჩა?**

— ცოტათი. ასაკმა და ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ კომპრომისზე წასვლა თავიდან მასწავლა. ახლა ადამიანებს გაცილებით მეტს ვაპატიებ, ვიდრე 15 წლის წინ. მხოლოდ საკუთარი თავის მიმართ დავრჩი ძველებურად მომთხოვნი.

**— ის ფაქტი როგორ მოქმედებს თქვენზე, ვეტერანებს მაროდირობაში რომ ადანაშაულებენ?**

— ეს ბრაზდება საკუთარ თავზე არასდროს მიმიღია, ამიტომ არც არასდროს გავდიზიანებულვარ. მკვლელი და ყაჩაღი ყველგან და ყოველთვის არის. სამოქალაქო ომის დროს „შავნაბადას“ ბატალიონი ფოთში 1992 წლის აპრილის ბოლოს შევიდა და ოქტომბრამდე იყო დისლოცირებული. შეგიძლიათ, მოსახლეობაში გაიკითხოთ და დარწმუნდებით, რომ ჩვენი მხრიდან ყაჩაღობის ერთი ფაქტიც კი არ დაფიქსირებულა. 1993 წლის თებერვალში სასტიკად დასაჯეს „შავნაბადას“ ორი რეზერვისტი, რომლებმაც პოზიციებიდან დაბრუნებისას ერთ-ერთი მიტოვებული სახლიდან ბროლის ჭალი წაშლიეს... არც იმის გამო ვბრაზობდი, რომ ომის დროს ნახევარი საქართველო შინ იჯდა ან რესტორნებში ქეიფობდა. მართალია, ძალიან უკომპრომისო ვიყავი, მაგრამ

მანც არ ვფიქრობდი, რომ ყველა მამაკაცს იარაღი უნდა აეღო ხელში. ჩემთვის ომში წასვლა არავის დაუძალებია, მინდოდა და წავედი. ამის გამო საკუთარ ქვეყანას ყვედრებას ნამდვილად არ დავუწყებ და არც ხელისგულზე ტარებას მოვიტხოვ, მაგრამ არც წაგებულნი ომის ჯარისკაცობას დავიბრალებ. ჩემი ქვეყნისთვის რაც შემიძლო, ყველაფერი გავაკეთე და ახლა სუფთა სინდისით ვცხოვრობ. ომში ფასეული, მეგობრობის გარდა, არაფერი შემიძენია, ბევრი რამ კი დავკარგე... დედაჩემმა ამ ყველაფრის გამო მხოლოდ ერთადერთხელ მისაყვედურა. 21 წელი რომ შემისრულდა, ხელ-ფეხში დაჭრილი, ნახევრად დაქვეითებული სმენითა და მხედველობით საავადმყოფოში ვინექი. დედამ მხოლოდ ეს მითხრა, — ნახე, შენს თავს რა დამართო!..

**— ნანობ?**

— არაფერს ვნანობ. ხვალ ისევ რომ დავჭირდე ჩემს ქვეყანას, დაუფიქრებლად მოვიკიდებ ხელს იარაღს.

**— ფიქრობთ, რომ 2008 წლის აგვისტოში ქვეყანას არ დასჭირდით?**

— 2008 წლის აგვისტოში, სამწუხაროდ, შეიარაღებულ ძალებში აღარ ვმსახურობდი, მოხალისეები კი ხელისუფლებამ არ გამოიყენა. სად წავსულიყავი?.. მით უმეტეს, რომ ომი დღე-ნახევარში დამთავრდა (მესმის, რომ ახლა მოხალისეების დრო აღარ არის, სამწუხარო ის არის, რომ სარეზერვო სამსახური არ არის სათანადოდ ჩამოყალიბებული). ისე, რაც უნდა მომხდარიყო, თბილისის მაინც არ დავტოვებდი. პროფესიონალი სამხედრო ვარ და ზუსტად ვიცი, რასაც გავაკეთებდი.

**— მაინც რას გააკეთებდით?**

— მხოლოდ ერთს გეტყვით: ვიდრე ცოცხალი ვიქნებოდი, მტერი თბილისში ვერ იბოგინებდა...

**— ვეტერანები ამბობენ, რომ აფხაზეთის ომი მეტრობლებმა კი არა, პოლიტიკოსებმა წააგეს. თქვენ, როგორც პროფესიონალი სამხედრო, რას ფიქრობთ ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— აფხაზეთის ომის მარცხი მხოლოდ პოლიტიკოსების კი არა, ხალხის ბრალაც იყო. მარცხის პირველი მიზეზი ის გახდა, რომ მეტრობლები მორალურად დაიღალნენ, გამარჯვე-

ბის პერსპექტივას ვეღარ ხედავდნენ. იმ პერიოდში ჯერ არც სახელმწიფო იყო ბოლომდე ჩამოყალიბებული და არც არმია. შესაბამისად არც საზოგადოება იყო ერთიანი. პირადად ჩემზე — არა, მაგრამ ბევრ მეომარ-



უფროს ბიჭს სამხედრო საქმე ნამდვილად, არ აინტერესებს; პატარა ჯერ მხოლოდ 3 წლისაა და არ ვიცი, რას იზამს

ზე ძალიან ცუდად მოქმედებდა ის ფაქტი, რომ როდესაც ისინი სისხლს ღვრიდნენ, მათი თანამემამულეები რესტორნებში ქეიფობდნენ...

**— ომის დამთავრების შემდეგ თქვენი ცხოვრება როგორ წარმოებდა?**

— ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ შეიარაღებულ ძალებში სხვადასხვა თანამდებობაზე ვმსახურობდი. 2000-2001 წლებში გერმანიაში ბატალიონის მეთაურისა და ლოჯისტიკის მართვის კურსები გავარე. 2002 წელს გენერალური შტაბის „ქ-4“ მთავარი სამმართველოს 1-ელი სამმართველოს უფროსი გახდი. მერე სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსის მოადგილედ გადამიყვანეს. აქტიურად ვმუშაობდ და რეფორმებზე ლოჯისტიკასა და სახმელეთო ჯარებში. ეს ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი პერიოდი იყო ჩემს კარიერაში. ჩვენი ჯარი, თავისი საშტაბო და მართვის საორგანიზაციო სტრუქტურებით, სწორედ მაშინ მიუახლოვდა ნატოს სტანდარტებს. 2003 წელს კოსოვოში (ბუნდესვერის შემადგენლობაში) ქართული კონტინგენტის მეთაური ვიყავი. 2004 წლის იანვარში ისევ გერმანიაში, გენერალური შტაბის აკადემიაში მიმავლინეს სასწავლებლად, რომელიც 2005 წელს დავამთავრე.

**— როგორ მოხდა, რომ პროფესიონალი სამხედრო, რომლის მომზადებისთვისაც საკმაოდ დიდი თანხა დაიხარჯა, დღეს შეიარაღებულ ძალებში აღარ მსახურობ?**

— გენშტაბის აკადემიის დამთავრების შემდეგ თბილისში რომ ჩამოვე-



დი, აღარსად დამინუნეს. თავდაცვის სამინისტროს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ ჩვენ ერთად ვერ ვიმუშავებდით. პრინციპში, მართლებიც იყვნენ — ჩვენი ერთად მუშაობა მართლაც არ შეიძლებოდა...

რატომ?

— პოლიტიკა, რომელსაც ოქრუ-აშვილი და მისი გუნდი არმიაში ატარებდნენ, ჩემთვის სრულიად მიუღებელი იყო. სამწუხაროდ, ოქრუ-აშვილის მიერ დაწყებული არმიის ნგრევის პროცესი არც ახლა შეჩერებულა. ჯარი დღესაც მინისტრისა და სხვა მაღალჩინოსნების პირადი მოსახრებების მიხედვით იმართება, რაც სერიოზულ საკადრო პრობლემებს იწვევს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ შეიარაღებული ძალების სამეთაურო რგოლში თითქმის არავინ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას. გერმანულ და ამერიკულ ჯარში ბატალიონის მეთაურის საშუალო ასაკი 40 წელია; გარდა ამისა, მას ყველა საფეხური უნდა ჰქონდეს გავლილი (როგორც სამტაბო, ასევე სამეთაურო). ბატალიონის მეთაურისთვის გენშტაბის აკადემიის დამთავრებაც აუცილებელი მოთხოვნაა. ჩვენში მეთაურებად ქუჩიდან მოსული ბიჭები მოჰყავთ. ლეიტენანტის განათლების მქონე ადამიანებს სახმელეთო ჯარების სარდლებად და ბრიგადების მეთაურებად ნიშნავენ. ეს იგეგვა, ექთანნი საავადმყოფოს მთავარ ექიმად რომ გაამწესო. რა, ამერიკასა და გერმანიაში დებილები არიან და ჩვენ გენიოსები გვყავს, 20 წლის ბიჭებს ბატალიონებს რომ ვანდობთ?! თუ მართლა გვინდა, რომ ძლიერი ჯარი გვყავდეს, ხელისუფლებამ ამ სფეროსადმი მიდგომა რადიკალურად უნდა შეცვალოს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სამხედროების საქმეებში პოლიტიკოსები არ უნდა ერეოდნენ.

ამჟამად რას საქმიანობთ?

— საინტერესოს არაფერს — ოჯახის სარჩენ ფულს ვმოულობ...

ოჯახის წევრების მიმართაც მაქსიმალისტი ხართ?

— კი, შვილებისგან ბევრს მოვითხოვ.

სამხედრო საქმით ბიჭებიც ხომ არ არიან დაინტერესებულნი?

— უფროს ბიჭს სამხედრო საქმე ნამდვილად, არ აინტერესებს; პატარა ჯერ მხოლოდ 3 წლისაა და არ ვიცი, რას იზამს. დღეს შეიარაღებულ ძალებში იმ ვითარებას ვერც ვხედავ, რომ მიხდოდეს, ჩემი შვილები პროფესიონალი სამხედროები გახდნენ. თუმცა, თუ საჭირო იქნება, ფორმასაც ჩაიცვამენ და იარაღსაც აიღებენ ხელში.

# ქიჯავ პრტი გაპირებული გადასახადი თუ სოციალური თანასწორობის აღდგენის მსდელოჯა?..

საბავშვო ბაღების მართვის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა სააგენტო, რომელიც, მისივე მსჯელობით, თბილისელებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სწავლებასა და გაუმჯობესებულ მომსახურებას შესთავაზებს. მშობელი გათავისუფლდება ყველა იმ ხარჯისგან, რომლის გადახდაც წლების განმავლობაში არაოფიციალურად უწევდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ბავა-ბაღების თვითდაფინანსებაზე გადასვლის შესახებ მერიის ინიციატივამაც არანაკლები უკმაყოფილება და გაურკვეველობა გამოიწვია. ეს განსაკუთრებულად ეხება მომსახურების ღირებულებას: წავკისის, შინდისის, კოჯრისა და ტაბახმელის ბაღებში მინიმალური გადასახადი 30 ლარს შეადგენს, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში — 40-დან 60 ლარამდე, ვაკე-საბურთალოში კი — 80 ლარს...

### ნირო ჯაპახიშვილი

სააგენტომ პირველ ეტაპზე, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბაღებში მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილების, ხოლო 15 აგვისტოდან — სხვა კატეგორიების მსურველთა მიღება გამოაცხადა. ტელევიზიით ხშირად მოისმენდით განცხადებას იმის თაობაზე, რომ ნებისმიერ მშობელს შესაძლებლობა ჰქონდა, აერჩია საბავშვო ბაღი და დარეგისტრირებულიყო ვებგვერდზე ან პირდაპირ მისთვის სასურველ ბაღში მისულიყო. მაგრამ ერთი შეხედვით მარტივი პროცედურა ლამის გადაუღაზავი აღმოჩნდა, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ონლაინ-რეჟიმში დარეგისტრირების საშუალება არ ჰქონდა. მაგალითისთვის შორს ნასვლა არ დამჭირებია — თავდაც ვახლავართ მცირეწლოვანი ბავშვების დედა. აი, რა გადამხდა თავს ბაღში ბავშვის მონაწილად ბრძოლისას (სხვა სიტყვას ვერ ვუნოდებ).

15 აგვისტოს დაახლოებით 12 საათზე ვცადე, ჩემი შვილი სახლთან ახლოს მდებარე ბაღში დამერეგისტრირებინა, მაგრამ — ამაოდ. ბოლოს საბუთებით ხელდამშვენებულმა ბაღს მივატურე. მასწავლებელმა დამამშვიდა: პრობლემა არ არის, სხვებმაც ვერ მოახერხეს დარეგისტრირება, საბუთები დატოვეთ და დღესვე მივხედავით. მეც წამოვედი, მაგრამ სახლამდეც არ ვიყავი მისული, როცა დამირეკეს, ბოდიში მომიხადეს და მითხრეს, რომ მათდა გასაოცრად, ადგილები აღარ ყოფილა, რეგისტრაციაც დამთავრებულა და თურმე სწორედ ამიტომ ვერ ვახერხებდი ვებგვერდზე დარეგისტრირებას. მივხვდი — სახლიდან მოშორებით მდებარე ბაღში 3 წლის ბავშვის ტარება მომიწევდა...

ტელეფონს მიუვჯექი და დიდი წვალების შემდეგ, მითითებულ ნომერზე სააგენტოს დაუკავშირდი. კითხვებზე — როგორ მოხდა, რომ სულ რამდენიმე საათში დამთავრდა რეგისტრაცია, ან რატომ არ იღებს ბაღი ვალდებულებას, პირველ რიგში, საკუთარი უბნის ბავშვები დააკმაყოფილოს, რატომ უნდა ვატარო ბავშვი სახლიდან მოშორებით, თან ამისთვის უფრო დიდი თანხა — 80 ლარი ვიხადო? — მიპასუხეს, რომ არაფერის თქმა არ შეეძლოთ და ჯობდა, მერიის პრესსამსახურის დაკავშირებოდი. იქ „მაცნობეს“, რომ პრესსამსახური მხოლოდ ყურნალისტებთან ურთიერთობს, ხოლო მოქალაქეთა შეკითხვებს „ცხელ ხაზზე“ უპასუხებენ. „ცხელი ხაზის“ თანამშრომელსა და ჩემ შორის კი ასეთი „ცხელი“ დიალოგი გაიმართა:

— ქალბატონო, დღეს დილიდან ვცდილობ მივიღო ამომწურავი პასუხი იმაზე, რაც მაინტერესებს და ძალიან გთხოვთ, თქვენც სხვასთან არ „გადამამისამართო“.

— კი, ბატონო, მაგრამ აქ რატომ დარეკეთ?

— სააგენტოში მირჩიეს, პრესსამსახურში დამერეკა, იქ კი მითხრეს, „ცხელ ხაზზე“ დარეკო. გამცემთ თუ არა პასუხს?

— კონკრეტულად მაინც რა გაინტერესებთ?

— რატომ არ იღებს ბაღი უბნის ბავშვებს? არ არსებობს რაიმე კანონი, რომელიც ამ ყველაფერს დაარეგულირებს?... და ა.შ.

— უკვე დაზუპირებული კითხვები დაესვი და პასუხს დაველოდე.

— კი, მაგრამ, მეზობელს მაინც არ ჰქონდა კომპიუტერი, რომ გესარგებლათ და ასეთი პრობლემა არ შეგქმნოდათ?..





ყველა იქნება თანაბარ სასწავლო პირობებში, მიუხედავად მისი სოციალური სტატუსისა

ყველანაირ პასუხს ველოდი ამის გარდა. სიმართლე გითხრათ, ერთხანს სახტად დავრჩი...

— კი, მაგრამ, დილის 9 საათზე მეზობელი გამეღვიძებინა — ადექი და ბავშვი ბაღში დამირეგისტრირემეთქი? თანაც, როგორც სააგენტოში მითხრეს, რეგისტრაცია ლამის 12 საათზე დაწყებულია, ამის შესახებ კი არ გამოუცხადებიათ...

— იცით, მართლა არაფრის თქმა არ შემიძლია ნეტავ, შემეძლოს დაგეზმართო. იქნებ სააგენტოში დარეკოთ და იქ გაარკვიოთ? ნესით, იქ უნდა გაგცენ კონკრეტული პასუხები...

აი, ასეთ ჯადოსნურ წრეში აღმოჩნდა ჩემსავით, ბევრი მშობელი... ამის შემდეგ ვცადე, როგორც ჟურნალისტს გამერკვია ყველაფერი და კვლავ მერიის პრესსამსახურს დავუკავშირდი. რადგან „მთლად უფროსებთან“ შეხვედრა შეუძლებელია, დავთანხმდი მოთხოვნას, კითხვები ელექტრონული ფოსტით გამეგზავნა და აი, როგორი წერილობითი დიალოგი გამოვივიდა ბოლოს.

— ბატონო გიგი უფულავას ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება ისიც იყო, რომ ბავშვბაღები უფასო იქნებოდა. რამ განაპირობა დიფერენცირებული გადასახადის დანქება?

— საბავშვო ბაღების მიმართებაში მერიამ გადაწყვეტილება მიიღო ძალიან ღრმა შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. სექტემბრიდან რეფორმა გადამწყვეტ ფაზაში შედის და ჩვენ უფლება არ გვქონდა მიგველო გადაწყვეტილება, რომელიც მომავალში უსამართლობისა და არაობიექტურობის განცდას შექმნიდა... (თავს უფლებას მიეცემ, პასუხები ცოტათი შევამცირო, ზოგადი ფორმულირებების ხარჯზე, მით უმეტეს, რომ განხორციელებული რეფორმის მოტივაცია ნაწილობრივ უკვე გაშუქდა მასმედიაში. — ავტ.) სახეზე იყო სოციალური უსამართლობის მომენტები, კერძოდ, 5000-მდე სოციალურად დაუცველი ბავშვი ბაღში ვერ ხვდებოდა.

ბოდა. რეგისტრაციის დროს მოსახლეობა არათანაბარ პირობებში იყო და ვინც ვერ ხვდებოდა ბაღში, მათ უწევდათ საკმაოდ მაღალი თანხების გადახდა კერძო ბაღებში. ეს კი უსამართლობაა, რადგან ვინც ხვდებოდა, ის არ იხდიდა

გადასახადს (ან იხდიდა მოუწესრიგებლად) და ვინც ვერ ხვდებოდა, ის მაღალ გადასახადს იხდიდა. (ცოტა არ იყოს, უცნაურად მეჩვენება ეს არგუმენტი: ვერ ვხვდები, სოციალურად დაუცველი ოჯახები კერძო ბაღში 200-300 ლარის გადახდას როგორღა ახერხებდნენ? — ავტ.)

— გადახდის ახალი წესი საკმაოდ ბუნდოვანია — რატომ არის, რომ როგ ბაღებში გადასახადი 80 ლარს აღწევს, ზოგში კი 30 ლარია? ყველაზე ძვირი მაინც ვაკუსაბურთალოს რაიონში მდებარე ბაღებია. გამოდის, რომ საცხოვრებელი ადგილის პრესტიჟულობის მიხედვით ადგენენ გადასახადს?

— გადახდის სისტემა ნამდვილად, არ არის ბუნდოვანი. თანხა მერყეობს 30-დან 80-ლარამდე, მაგრამ მისი შევსება იმ თანხამდე, რაც ერთი ბავშვის შენახვას სჭირდება, მოხდება მერიის მიერ. ბაღებს ექნება დამოუკიდებელი აქტივობები, რომელსაც მომხმარებელს შესთავაზებს და ფასის განსაზღვრას სწორედ ეს განაპირობებს და არა — ბაღის ადგილმდებარეობა. შესაბამისად, ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავთ, რომ ბაღებს სხვადასხვა დაფინანსება ჰქონდეთ. პირიქით, ეს კონკურენციას უწყობს ხელს, რაც აუცილებელია მათი მოტივაციისა და განვითარებისთვის.

— მერიის განცხადებით, რეფორმის შედეგად ბავშვს, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, საშუალება ექნება, თანაბარ პირობებში აღიზარდოს, რეალურად კი მივიღებთ იმას, რომ ბევრი ბავშვი ბაღში საერთოდ ვეღარ ივლის. არარეალურია შეღავათიც, რომლის მიხედვითაც, მესამე ბავშვს უფასოდ მიიღებენ, რადგან იშვიათად თუ ჰყავს ვინმეს ერთ-ერთულად ბაღის ასაკის სამი ბავშვი.

— როცა ჩვენ ვლაპარაკობთ თანაბარ პირობებზე, საუბარია ერთ კონკრეტულ ბაღზე, სადაც ყველა იქნება თანაბარ სასწავლო პირობებში, მიუხედავად მისი სოციალური სტატუსისა. ერთსა და იმავე ბაღში არ უნდა არსებობდეს დიფერენცირებული სასწავლო გარემო.

— ყველაზე დიდი მოთხოვნა იყო ბაღებზე, სადაც გადასახადი მცირეა და სწორედ იქ შეიქმნა ადგილები. გამოდის, იქ მცხოვრები იძულებულია, რომ თავისი უზნიდან მოშორებით და თანაც ძვირად ღირებულ ბაღში ატაროს ბავშვი?

— ნამდვილად ვერ დავეთანხმებით ამ მოსაზრებას. რეგისტრაციის დაწყებიდან რამდენიმე წუთში შეიქმნა სწორედ ის ბაღები, სადაც დაფიქსირებული იყო მაქსიმალური გადასახადები და დღესაც ძირითადი მოთხოვნა ამ ბაღებზეა. იქ, სადაც დაბალი ფასია, მოთხოვნილებაც შედარებით დაბალი იყო და მომდევნო დღეებშიც რჩებოდა ვაკანსიები.

მერიამ გამოთქვა მზადყოფნა, უბასუხოს ნებისმიერ კითხვას საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით, რისთვისაც მის თანამშრომლებს მადლობას ვუხდით, თუმცა მათი პასუხების გაცნობისას ერთი ცნობილი გამონათქვამი გამახსენდა: „მამა ომში მიდიოდა და შეილი ამბავს უყვებოდაო“. აბა, სხვა რა უნდა ვფიქროვო? გამოდის, რომ ამ რეფორმით გახარებულმა მშობლებმა პირველივე წუთებში 80-ლარიან ბაღებში დაარეგისტრირეს ბავშვები, მე კი ჩემს სახლთან მდებარე ერთ-ერთ შედარებით იაფ ბაღში უბრალოდ, მომაცუყეს, როცა მითხრეს, რეგისტრაცია დასრულდაო. აი, ასეთია სოციალური სამართლიანობის აღდგენის ჩვენებური წესი...

**მოლსტარინის საწოში აპარატი** **გლუკომეტრები**

89 ლარი **35** ლარი 35-99 ლარი

EasyTouch GC **35** ლარი **35-99** ლარი

მის: ბორჯომის ქ. №4 ტ: 234 74 03; 599 19 60 55

ჩააბარე ქველი, დააბარე 27 ლარი და მიიღე

**ახალი გლუკომეტრი + 10 ტესტ-ფურცელი**



# „არ ვიცი, „შუა ქალაქში“ გაბრძნობა, თუ — არა“

მოგესხნებათ, ტელევიზიებისთვის საზაფხულო „არდადეგებია“ და შესაბამისად, მაყურებლისთვის საყვარელი, ამა თუ იმ სერიალის გამირებიც ისვენებენ, ახალი სეზონისათვის ენერჯიას იკრებენ და საშემოდგომოდ სიურპრიზებსაც გვპირდებიან. სერიალის — „შუა ქალაქში“ — რამდენიმე მსახიობს დავუკავშირდი და დასვენების შესახებ ვესაუბრე:

## თათა დაღუაული

### ბარო ქაჯანია:

— ამჟამად ბებია-ბაბუასთან ვარ ხაშურში — მეუღლესთან და შვილებთან ერთად ვისვენებ. ზოგჯერ სათევზაოდ დავდივარ, მაგალითად — სკრაში. მანამდე რაჭაში, ამბროლაურის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ვიყავი, ნიკორწმინდის ზემოთა და ძალიან ლამაზი ადგილია. შაორის ტბაზეც დავდიოდით ხოლმე. მოკლედ, ასე, ოჯახურ გარემოში ვისვენებ.

### შაორის ტბაზე ხომ არ გაირუჯეთ კიდეც?


— მე არა, თუმცა ბევრი დადიოდა გასარუჯად. მთის ნარუჯი უფრო „მძაფრია“ — იქ მზე უფრო კარგად გვეიკვება.

### რას აკეთებთ ხოლმე მთელი დღის განმავლობაში, როგორ ერთობით?

— ისეთი გადატვირთული წელი მქონდა, ძირითადად, ვისვენებ. ახლაც ჰამაკში ვწევარ და ისე გესაუბრებით.

### სერიალის სეზონის განახლება როდისაა დაგეგმილი?

— ზუსტად არ ვიცი, ალბათ ოქტომბრის დასაწყისში. შეხვედრა ჯერ არ გვექონია და ვნახოთ, რაღაც გეგმები არის, მაგრამ ჯერჯერობით ვერ გავამხელ, რა და როგორ იქნება, სიურპრიზად დავტოვებ.



ოჯახურ გარემოში ვისვენებ



მე და ჩემს დაქალს შვილები გვყავს წამოყვანილი და მთელი საგურამო ავიკვლით

### რაიმე სხვა შემოთავაზებებსაც ხომ არ ელოდებით?

— შესაძლოა, ამ მხრივაც იცოს რაღაც სიახლე, ესეც სექტემბერში გაირკვევა ამახსაც სიურპრიზად დავტოვებ. ახმეტელის თეატრშიც შემოდგომიდან განვაახლებთ სეზონს და მაყურებელს როგორც ახალ, ისე ადრინდელ სპექტაკლებსაც შევთავაზებთ. აი, ასეთი ამბებია, მოკლედ რომ გითხრათ.

### ხომ არ იცით, სად ისვენებს კახა ვრონაძე? მასთან დაკავშირება ვერ მოვახერხებ...

— კახა ზემო რაჭაშია და მისი ტელეფონი იქ არ იჭერს.

### ენიუტა მაყაშვილი:

— შვილთან ერთად, 10 დღით ანი ლებანიძესთან — ჩემი დის „დასთან“ ვიყავი კავთისხევში. ძალიან კარგად დავისვენე. ძირითადად, ბავშვის რეჟიმზე ვიყავი აწყობილი, მაგრამ მეხმარებოდნენ და ვერთობოდით კიდეც, ვსერილობდით, აუზზე ვირუჯებოდით, ვსაუბრობდით... ჰამაკი, მუსიკა, ფილმები და ა.შ. მერე 2 დღით თბილისში ჩამოვედი და ამჟამად საგურამოში ვიმყოფები. მე და ჩემს დაქალს შვილები გვყავს წამოყვანილი და მთელი საგურამო ავიკვლით. ჩვენი მეგობრები ამოდიან

ხოლმე, ზოგჯერ მწვადს ვწვავთ, ვმხიარულობთ და ასე ვერთობით.

### ზღვაზეც ხომ არ აპირებთ ნასვლას?

— ვფიქრობ, მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვი, რადგან ზღვაზე ბავშვის გარეშე უნდა წავიდე და ეს რამდენად გამომივა, არ ვიცი. ძალიან მინდა, 3-4 დღით მაინც წავიდე და კარგად დავისვენო.

### რუსკა სად ისვენებს?

— რუსკას ფილმის გადაღებები აქვს და მწვანე კონცხზეა. ამიტომ კავთისხევშიც ვერ მოახერხა წამოსვლა.

### სერიალის — „შუა ქალაქში“ — გადაღებები როდისაა გეწყებათ, ხომ არ არის უკვე ცნობილი?

— ჯერჯერობით არ ვიცი, როგორი იქნება ჩემი მუშაობის განრიგი. ისიც არ ვიცი, „შუა ქალაქში“ გაგრძელდება, თუ — არა. „რუსთავი 2“-ზეც გადაცემა „ლაბორატორიის“ 18 სერია ჩაინერა და პროექტი დასრულდა. ახლა სექტემბერს ველოდები, რომ გავიგო, რა და როგორ იქნება.

ჭორიკანა ნოდარის როლის შემსრულებელს, ნიკა წულუკიძეს facebook-ის მეშვეობით დავუკავშირდი და თავის საზაფხულო ვოიაჟებზე მოკლე და ამომწურავი პასუხი გამომიგზავნა:

— ჯერ ლონდონში ვიყავი, მერე 10 დღით ბათუმში ჩავედი, „ქეთო და კოტე“ ვნახე და ლეგრანის კონცერტსაც დავესწარი. ახლა ანტალიაში გახლავართ. სხვათა შორის, დიეტაზე ვარ და 12 კილოგრამი დავიკვლი.



ჯერ ლონდონში ვიყავი, მერე 10 დღით ბათუმში ჩავედი





ირმა სარულიძე

„ფშავის აღორძინებისა და განვითარების“ კავშირმა და თიანეთის გამგეობამ კვირას, 21 აგვისტოს უკვე მეორედ მოაწყო ფოლკლორის ზეიმი და სახალხო დღესასწაული „ხვარამზეობა“.



კატო ჯავახიშვილი

ვირი — ოქტომბრის მინურულს მოეწყო, — წლეგანდელი კი ულამაზესი სოფლის ამწვანებულმა მთებმა, გრილმა ნიაგამა და... „ერთი ლექსის კონკურსმა“ დაამშვენა.

ლიტერატურულ კონკურსში მხოლოდ პოეტი ქალები „შეეჭიდნენ“ ერთმანეთს ხვარამზეს სახელობის პრემიისა და მინდვრის ყვავილებით დაწნული ულამაზესი გვირგვინების მოსაპოვებლად.

„ხვარამზეობა-2011“-ზე დანვრილებით „გზის“ მომდევნო ნომერში გიამბობთ, ამჯერად კი მხოლოდ ლიტერატურული კონკურსის ძირითად შედეგს გაგაცნობთ:

ჟიურის გადამწყვეტილებით, პირველი პრემია ლელა ცუცქერიძეს ერგო ლექსისთვის „დიაფილმი“, მეორე — მარიამ წიკლაურს ლექსისთვის „ცას აბია ცაბაურთა“, ხოლო მესამე — ნინო ქადაგიძეს ლექსისთვის „მეტრფე“.

ლიტერატურულ კონკურსზე ჩვენც — გამომცემლობამ „პალიტრა L“-ს და ჟურნალმა „გზამაც“ დავანესეთ პრიზი. ჩვენს ორ რჩეულს „ჩვენი

# სახალხო დღესასწაული „ხვარამზეობა-2011“

რჩეულის“ ორი ხუთტომეული გადავეცით. პოეტები კი ლექსებით შევარჩიეთ, რადგან, როგორც კონკურსს შეეფერება, მათი ავტორების ვინაობა არ ვიცოდით.

ჩვენი რჩეული გახდა რიგით მე-13 ნომრით აღნიშნული ლექსი — „ვეძებ“, რომლის ავტორი ბევრისთვის საყვარელი სიმღერების ტექსტის ავტორი, პოეტი ნანა ცინცაძე აღმოჩნდა. ქალბატონ ნანას ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული გადავეცით, მეორე რჩეულს — უსათაურო ლექსის ავტორს, პოეტ კატო ჯავახიშვილს კი — გალაკტიონ ტაბიძის ხუთტომეული.

კიდევ ერთი პირობა დავთქვით — ჩვენ მიერ არჩეული ლექსები „გზაში“ დაგვუბეჭდა და ამ პირობას ახლავე შევასრულებთ.



ნანა ცინცაძე ლექსს კითხულობს

### კატო ჯავახიშვილი

\*\*\*

ქალავ, მთას ნანწავი უმოკლდება, ბარად, მთები არა, ბორცვებია. ეგებ შეგაჩერონ ამ კლდეებმა სანამ ფერდობები გაცვდებიან. ტოვებს ნისლი ახლა და ხეობებს ადევნო ჭირხლად ჩემი ანათალი, ნეტა, სუროსავით მეხვეოდე, ნეტა, ლამეებად დამეთვალე. ქარებ დაგივლიან სიზმარეთში, კაბა აგწვია მუხლისთავზე, იქნებ სიტყვად მაინც ამომეთქვი, ფურცელს ლექსად მაინც დაგსრისავდე. ვარცლში გულმოკლული მთვარე გდია, ხევი ივსება და იბურება, აღარ შემომძახო შარაგზიდან, აღარ გამაგონო დაბრუნება. ცრემლი დასდენია კარიბჭეს და ხავსი დავიწყებდა მოსდებია, ქალავ, მთას ნანწავი უმოკლდება, ბარად, მთები არა, ბორცვებია.

### ნანა ცინცაძე

ვეძებ

ისე ძალიან მიყვარხარ, ვერ გაგიმეტე ჩემთვის... გული შეასკდა ნიაღვარს, სულის კვილი შემშლის. ნეტა ვის ვარქვევთ პირველს და ნეტა ვინ არის ბოლო... კვირტმა მიწის ქვეშ იფეთქა, მე მელოდება მხოლოდ. ნამით გაშეშდა მსოფლიო, ნამი არ კვდება ნამში. ჯერ სისხლით ვწერდი, მოდიო, — მერე მე თვითონ წავშლი. ისე ძალიან მინდებარ, ჩემი სურვილი მენვის. მაინც სხვა გზებით მივდივარ, ხიღია მხოლოდ ბენვის.

არ მინდა შენი შეხება, ნადი, რომ სადმე გნახო, შენი აჩრდილი მეხვევნა, რომ ისევე ხელი ვახლო. ეს სულ ერთია, ვინა ხარ, არ გვეითხები სახელს. ეს მე მინდა და მიყვარხარ და ჩემი ხორციც ამხელს, რომ მავინწყდება სიკვდილი, როცა ქვესკნელშიც ვეძებ. გკარგავ... მოგიხმობ გიჟივით, გაპოულობ... შენთან ვერ ვძლებ.



გვირგვინოსნები და ჟიური



# სასხე

## ცივი ინგლისელი ქალები და ზაზა იაქაშვილის ოცნება

მიუხედავად იმისა, რომ არც ისე ცხელი ზაფხულია, საზოგადოებისთვის საინტერესო და ცნობილი სახეების ხილვა ქალაქში მაინც იშვიათობაა. ამ პერიოდში ჟურნალისტებს რესონანსების მოძიებაც გვიჭირს. გადავწყვიტე გამერკვია, სად ისვენებდა ცნობილი „დეტექტივი“, ზაზა იაქაშვილი. ტელეფონით დავუკავშირდი და მითხრა, რომ თავის აგარაკზე იყო და ინტერვიუსთვის თბილისში ჩამოვიდოდა. ასეც მოიქცა და დაწვრილებით გვესაუბრა ყველა იმ ქვეყანაზე, სადაც უმოგზაურია და სადაც დიდი სიამოვნებით დაისვენებდა...

### ნათია ჟივიკა

— დასასვენებლად მთის კურორტ გირჩევნა თუ — ზღვა?

— ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორი წელი მქონდა. ღვთის მადლით, ეს წელი ჩემთვის შემოქმედებითად საკმაოდ დატვირთული იყო. უამრავი სამუშაო მქონდა და ხშირ შემთხვევაში, დღე-ღამეში სულ რამდენიმე საათი მეძინა ხოლმე. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ვამჯობინებ, რომ წლევიანდელი შვებულება მთასა და ბუნებაში გავატარო. წვერში მაქვს აგარაკი და დასვენების დღეებს სწორედ იქ გავატარებ. მართლაც საოცარი ბუნებაა, მდინარე ვერცე ჩამოდის. საბედნიეროდ, იქ ძირითადად ხელოვანი ხალხი — მსახიობები, მხატვრები, რეჟისორები ისვენებენ. მოკლედ, ძალიან წყნარი და მშვიდი სიტუაციაა, მაგრამ ხმაურიანი მოლხენა თუ მოგვიანდება, ამის საშუალებაცაა, რადგან იქ ადგილობრივი მოსახლეობა არ არის, მხოლოდ დამსვენებლები ვართ და შესაბამისად, არავის შევანუხებთ.

ერთი სიტყვით, ძალიან მიყვარს ჩემი აგარაკი. საერთოდ, წყლის დიდი მოტრფიალე ვარ და ზღვასაც ხშირად ვსტუმრობ ხოლმე, მაგრამ იქ ორ კვირაზე მეტხანს ვერ ვჩერდები, რადგან აქტიური დასვენება მიწევს, ეს კი თავის მხრივ ძალზე დამლელია. ასე რომ, წელს მხოლოდ წვერში წავალ...

— საზღვარგარეთის კურორტებზე თუ დაგისვენია?

— დასასვენებლად საზღ-

ვარგარეთ არასოდეს ვყოფილვარ, იქ მხოლოდ სამუშაო ვიზიტებით თუ ჩავსულვარ, თუმცა არც ამით ვარ უკმაყოფილო. მაგალითად, ორი წლის წინ, „რუსთავი 2“-ის ორი ჯგუფი ფორტ ბოიარდში გავემგზავრეთ, სადაც ამავე სახელწოდების თამაშში მივიღეთ მონაწილეობა. ეს მოგზაურობა ჩემთვის დაუვიწყარია. ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ფილმია „თავგადასავლების მაძიებლები“, რომელიც სწორედ ფორტ ბოიარდშია გადაღებული. ბოიარდს კატერით რომ ვუახლოვდებოდით, სულ ამ ფილმის კადრები მახსენდებოდა და მისი საუნდტრეკი ჩამესმოდა ყურებში. ეს ჩემთვის საკმაოდ ამაღლებელი მომენტი იყო... მერე მსოფლიო შექსპირის ფესტივალზე ამერიკაში, კერძოდ — სანტა-ბარბარაში გავემგზავრეთ, სადაც ლევან ნულაძის მიერ დადგმული „ზაფხულის ღამის სიზმარი“ ნავიღეთ. ამის შემდეგ კი, ნიუ-იორკსა და ინგლისშიც ვახსენებ. 31 დეკემბერს, ზიგ-ბენის წინ შევხვებ ახალ წელს და ეს ჩემთვის დაუვიწყარი იყო. აი ასე, სამუშაო ვიზიტით მიწვევს საზღვარგარეთ გამგზავრება, მაგრამ თითოეული ასეთი მოგზაურობა ემოციურად მავსებს...

— უცხო ქვეყანაში ჩასული პირველად რითი ინტერესდები?

— რითიც ყველა ტურისტი. აუცილებლად ვათვალიერებ მათ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, მუზეუმებს, თეატრებს, ლამაზ და ცნობილ ქუჩებს... ამერიკაში ჩასულმა თაიმ-სკვერი რომ არ ნახო, წარმოუდგენელია. თავისუფლების ქანდაკებასთანაც აუცილებლად უნდა მიხვიდე და მანჰეტენიც ფეხით მოიარო. საოცარი ის იყო, რომ ამ განახლებული მანჰეტენის გვერდით ისეთი ბინძური ქუჩები იყო, რომ ვერც კი გაივლიდი. ბრუკლინიც დავათვალიერე... ძალიან მინდო-



წყლის დიდი მოტრფიალე ვარ და ზღვასაც ხშირად ვსტუმრობ ხოლმე, მაგრამ იქ ორ კვირაზე მეტხანს ვერ ვჩერდები





და ფილადელფიაც მენახა, მაგრამ სამწუხაროდ, ველარ მოვასწარი. რაც შეეხება ინგლისს, ის ჩემი საოცნებო ქვეყანა იყო, მისი ნახვა ძალიან მაინტერესებდა და გამიმართლა, ამ ქვეყანაში ისევ ლევან ნულაძის მეშვეობით მოვხვდი. ლონდონში მისი კიდევ ერთი სპექტაკლი — „ფერსული“ წავიღეთ, სადაც მე და მანანა კოზაკოვა არ ვთამაშობდით, მაგრამ ბატონმა ლევანმა მოიფიქრა, რომ მე და მანანა ამ სპექტაკლს ინგლისურად გავხმოვანებდით. ამ ყველაფრის ძირითადი ნაწილი რასაკვირველია, იმპროვიზაცია იყო, თუმცა ამ სვლამ იმდენად გაამართლა, რომ იქაური რეჟისორები ძალიან მოიხიბლნენ.

**— უცხო ქვეყანაში ჩასული, მათი მსახიობური მინაცემებით თუ ინტერესდები და ადგილობრივ სპექტაკლებს თუ ნახულობ?**

— რასაკვირველია. ამერიკაში ჩვენს სპექტაკლს იქაური ხალხისგან ისეთი ყრიაბული და აღტაცება მოჰყვა, გაგვიკვირდა, ასეთი რა ვქენით-თქო, მაგრამ მერე მათ მიერ ნათამაშევი შექსპირის პიესები რომ ვნახე, მივხვდი, საკმაოდ ობიექტურად შეგვაფასეს. ადამიანმა ენა რომც არ იცოდეს, შექსპირის პიესების შინაარსი მაინც ყველამ ვიცით. მე ენაც საკმაოდ კარგად ვიცო, მაგრამ მაინც ვერ გავიგერეჟისორს ან მსახიობებს რისი თქმა სურდათ. თურმე მართლა კარგები ვყოფილვართ. მერე ამერიკელი ახალგაზრდა მსახიობებიც გავიცანით, რომლებმაც ძალზე თბილად მიგვიღეს. სპექტაკლების მერე გამოგვივლიდნენ ხოლმე და ხან ბარში გვეპატიუებოდნენ და ხან — ექსკურსიებზე. მართლა დიდი პატივი გვცეს. რაც შეეხება ინგლისს, მიუხედავად იმისა, რომ იქაურები გაცილებით თავშეკავებულები არიან და ცოტა ზემოდანაც იყურებიან, ჩვენთან დამოკიდებულებამ ეს ვერ შევნიშნე. ისინიც აღფრთოვანდნენ ჩვენი მსახიობური ნიჭით და ემოცია არც დაუმაღლავთ.

**— უცხოელი ქალები თუ მოგეწონა?**

— საოცრად არაჯანსაღი გარეგნობა აქვთ ამერიკელებს. მათი უმრავლესობა საკმაოდ მსუქანია. ამის მიზეზს ვხვდები კიდევ — მათ საკვებს კარგი გემო არა აქვს. პურს რომ თაფლის გემო ექნება და ცარიელი საფუფრით იქნება გაჯერებული, რა თქმა უნდა, გასუქდება ადამიანი. სულ ნორმალური საკვების ძებნაში ვიყავით. სიმართლე რომ გითხრათ, არც ინგლისური კერძები მოგვეწონა. პაკისტანელების რესტორანს მივაგენით, სადაც მართლაც

არაჩვეულებრივ კერძებს ამზადებდნენ და იაფიც ღირდა...

**— ზაზა, მე ქალებზე შეგეკითხე.**

— ჰო, მართალი ხარ. მიუხედავად ამერიკელი ქალების სიმსუქნისა, იქ გაცილებით მეტი ლამაზი გოგონა ვნახე, ვიდრე — ინგლისში. ინგლისელი ქალები საკმაოდ ცივები არიან. ამერიკაში მაინც ჩამოსული ქალები არიან. ერთი-ორი ისეთი ლათინოსი ვნახე, ცეცხლებს რომ აფრქვევდნენ თვალებიდან. მოკლედ, ქალების შეთვლიერება ყველა ქვეყანაში მოვახერხე.

**— მხოლოდ შეთვლიერება? არ მჯერა, რომ საკურორტო რომანი არ გქონია...**

— როგორ არა, ეს დასვენების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. რა ვუთხარი იმ ერთ დღეს, მით უფრო — უცხოეთში გატარებულს, თუ ვინმე

არ მოგეწონება და ვინმეს არ ეფლირტავები. მოკლედ, საკურორტო რომანი ხშირად მქონია, ხან გაგრძელებულა ეს რომანი, ხან — არა.

**— ბოლოს ისიც მითხარი, რომელია შენი საოცნებო ქვეყანა; სადა დაისვენებდი დიდი სიამოვნებით?**

— საერთოდ, მოგზაურობა მიყვარს, მით უმეტეს, სულ თითზე ჩამოსათვლელი ქვეყნები მაქვს ნანახი და აბსოლუტურად ყველაფერს ვნახავდი. აქებენ ესპანეთს, პარიზიც ძალიან რომანტიკული მგონია და დიდი სიამოვნებით ვნახავდი. ეგვიპტეც საოცარი ქვეყანაა. მექსიკაში, მექსიკურ პირამიდებსაც სიამოვნებით ვნახავდი, რადგან ამ თემაზე ბევრი მაქვს ნაკითხული და მაინტერესებს. ინდოეთშიც ვიმოგზაურებდი. მოკლედ, ყველა ქვეყანას თავისი ხიბლი აქვს და ყველგან სიამოვნებით გავემგზავრებოდი. ■

მთავარი მიზეზი მოხსნობები  
მიზეზი მოხსნობებისგან!

შურნალ „რეიპინგთან“ ერთად

წითლისე წიგნები -  
უწყოსად იქნები!

32

29 აპრილი - თარიღი №32  
მთხრობალი - ხორხე ლუის ბორხესი

ფასი ... 2 ლარი!!!

5 სექტემბერი  
ტომი №33 - ანტონ ჩეხოვი

უკვე გამოცემული ტომები უზიარებლად უზიარებლად უზიარებლად უზიარებლად.



# უმცროსი ცინცქილაძის სიყვარული და სინანული

ერთი თვეა, რაც სამხატვრო აკადემიის გრაფიკული დიზაინის ფაკულტეტი დაამთავრა და დიპლომიც დაიცვა. ამბობს, ღამეებს ვათენებდი ნერვიულობისგან, ვიდრე სადიპლომო ნაშრომს დავასრულებდიო. არადა, ვინ იცის, როგორი მსახიობი გამოვიდოდა, მშობლების კვალს რომ გაჰყოლოდა?.. რამდენიმე სარეკლამო რგოლში მაინც მოხვდა. ძალიან ლამაზი გოგონაა და ვფიქრობ, იმიტომაც შეარჩევდნენ. ოჯახიც გამორჩეულად ლამაზი აქვს — თავისი პატარა და დიდი ოჯახიც... ჩემი რესპონდენტი ბევრისთვის საყვარელი მსახიობების — ზურაბ ცინცქილაძისა და თამარ დათუაშვილის უმცროსი ქალიშვილი, ტყუპი მერაბიკოსა და მარიამის დედა, ანი ცინცქილაძეა, რომელსაც საზაფხულო არდადეგებზე ტელეფონით ვესაუბრე.



## ირმა ხარშილაძე

— ანი, საით ხარ — ტრადიციისამებრ, ბათუმში თუ ასევე ტრადიციისამებრ — კოჯორში?

— (იცინის) ამჯერად, ტრადიციისამებრ, კოჯორში. ბათუმი უკვე მოვიარეთ. ბავშვებს ძალიან შეუყვარდათ ზღვა. თავიდან ეშინოდათ, მაგრამ ბოლოს წყლიდან ვეღარ ამოწყავდა — უშიშრად შერბო-

ნენ დიდ ტალღებში. ხშირად დავდიოდით ჩემს სოფელშიც, რომელიც დაახლოებით 5 კილომეტრშია ბათუმიდან. იქაურობა განსაკუთრებით მერაბიკოს შეუყვარდა. ყოველ დილით იღვიძებდა ტირილით, სოფელში წამიყვანეთო. მართლაც ულამაზესი ადგილია — ზღვაც კი მოსჩანს. ბავშვების დაბადების დღეც ბათუმში აღვნიშნეთ. თითოეულს ცალ-ცალკე ტორტი ჰქონდა, მერაბიკოს — ბიჭის, სპაიდერმენი ეხატა, მარიამს — გოგოსი ანუ ვარდისფერი და ბარბიანი. შემდეგ დელფინარიუმში ვიყავით, სადაც ულამაზესი შოუ ვნახეთ და მერე — აკვაპარკში. მოკლედ, ვეცადეთ, რომ ბავშვები გაგვეერთო, რადგან იქ თანატოლი არავინ ჰყავდათ. მერაბიკო და ზურა ბაბუა ძალიან მეგობრობენ. ზურას „ბაბაკის“ ეძახის. ერთად შეცურავდნენ ხოლმე წყალში და საათობით იყვნენ. მერაბიკო, რა თქმა უნდა — გასაბერი ყილეტი. ზურა ძალიან კარგი ბაბუაა და მასთან ერთად ბავშვები უფრო დამჯერებიც არიან, ჩვენ — ქალებს კი გვაგიჟებენ და ძალიან, ძალიან ცელქობენ. ახლა

კოჯორში ვისვენებთ. რაც მთავარია, ბავშვები აქაც კარგად ერთობიან, რადგან გვერდით ბევრი თანატოლი ბიძაშვილი ჰყავთ. მხიარულად ვატარებ ზაფხულს: მათთან ერთად ხან ქვიშაში ვთამაშობ, გზები გამყავს და სასახლეებს ვაშენებ, ხან ველოსიპედზე „ვკატაობ“, ხან სასრილოვებზე ვსრიალებ. ამიტომ, რომც გინდოდეს, ვერ მოიწყენ... ჩემი მშობლები, და და დისშვილები კი ახლა ზღვაზე ისვენებენ. ჩვენ ალბათ მეტად ვეღარ ჩავალთ, რადგან პატარები ბალში შემყავს, ბალი კი პირველ სექტემბერს იწყება. მეც მუშაობის დაწყებას ვაპირებ. ალბათ ჩემი პროფესიით, სარეკლამო სააგენტოში ვიმუშავებ.

## — მაგისტრატურაში არ აბარებ?

— მაგისტრატურა ერთი წლით გადავდე, რადგან მსურს, ზუსტად განვსაზღვრო, სად ჩავაბარო. არ მინდა, დაუფიქრებელი ნაბიჯი გადავდგა. ბავშვობიდან ტანსაცმლის დიზაინერობა ან მსახიობობა მინდოდა, საბოლოოდ კი სხვა რამ ავირჩიე, თუმცა ხელოვნებას არ ვუღალატე. მაგისტრატურისთვის ალბათ მაინც მოდელირებას ავირჩევ. ამიტომ მოსამზადებლად და კარგად მოსაფიქრებლად ერთი წელი მაქვს.

## — სადმე გადალება რომ შემოგთავაზონ?



ქმარ-შვილთან ერთად





— გადაღება ძალიან მიყვარს. თავს ისე ვგრძნობ, როგორც თევზი წყალში. ალბათ პროფესიადაც ყოველთვის ისეთი რამ უნდა აირჩიო, რაც ძალიან გიყვარს, გამოგდის და გეხერხება. ფოტოგადაღებაც ძალიან მიყვარს და სარეკლამო რგოლისაც. ეპიზოდური როლები მხატვრულ ფილმებშიც შემისრულებია, სერიალებშიც მითამაშია. დიდი სიამოვნებით შევასრულებდი მხატვრულ ფილმში მთავარ როლს. სერიალიც — „გოგონა გარეუბნიდან“ ძალიან მომწონს. მიმაჩნია, რომ დანარჩენ ქართულ სერიალებს ჯობია. ყველა თაობისთვისაა, ძალიან კარგი მსახიობები მითამაშობენ, გემოვნებით არის ყველაფერი გაკეთებული, სიუჟეტიც საინტერესოა — მოკლედ, ყოველ პარასკევს, 10 საათიდან მთელი ოჯახი ამ სერიალს ვუყურებთ... ვაა, რა რეკლამა გამომივიდა (იციინის)?!. მომწონს, ჩემი მამიკოც ამ სერიალში რომ თამაშობს და ვისურვებდი, სინამდვილეშიც ტელევიზიის მეპატრონე ყოფილიყო.

**— ზურა ჰვავს მის გმირს, არჩილ წილოსანს?**

— ძალიან. არჩილიც ისეთივე თბილი და ლმობიერია, როგორიც — მამა. ბათუმში რომ ვიყავით, პატარა ბავშვები სულ გარს ეხვეოდნენ ზურას, სურათების გადაღება უნდოდათ, გაბრწყინებული სახით უყურებდნენ, მშობლებს ეძახდნენ: აი, არჩილიო (იციინის)! ეს გმირი მართლაც, ყველას უყვარს. მახსოვს, ერთხელ მამას საქორწინო ეპიზოდის გადაღება ჰქონდა თბილისში, რესტორანში. ეს რესტორანი ვაკის პარკში მდებარეობს. მერაბიკო და მარიამიც სულ იქ არიან ხოლმე. მამაჩემს შეუყვანია რესტორანში და დეკორაციები და მსახიობები უჩვენებია. შინ რომ დაბრუნდნენ, მარიამი დედაჩემს ეუბნება, — იცი, მე ზურას ქორწინება ვიყავი და არ შევედიო, ანუ დაამშვიდა, მე შენ მხარეს ვარო (იციინის). ძალიან მომწონს, დედაც და მამაც მსახიობები რომ მყავს. მიმაჩნია, რომ კარგია, როდესაც ცოლ-ქმარს ერთი და იგივე პროფესია აქვს. ვფიქრობ, უფრო უგებენ ერთმანეთს და უწყობენ ხელს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ოჯახ-



მარიამი უფრო ჩემზეა მოჯაჭვული, მერაბიკოს მამიკო და ბაბუები უყვარს (დედ-მამასა და შვილებთან ერთად)

ში ასეა — დედა ყველაფერში ეხმარება მამას და — პირიქით.

**— ისე ლაპარაკობ, მგონი, გული გწყდება, მსახიობი რომ არ ხარ.**

— კარგი იქნებოდა, მეც მათ გზას გავყოლოდი. დედა ბოლო წუთამდე მთხოვდა, სამსახიობოზე ჩააბარეო და არ დაუფუჯერე, ახლა კი... ვნანობ. მაგრამ ტყუპთან ერთად ნამდვილად გამიჭირდებოდა. მინდა, ჩემი შვილებიდან რომელიმე მაინც გამოვიდეს მსახიობი. უფრო მარიამზე ვფიქრობ, რადგან მერაბიკო ფეხბურთზე მინდა,

ვატარო. მართალია, ჩემს მეუღლეს უნდა, მარიამი ჩოგბურთელი იყოს, მაგრამ ვნახოთ, რისი ნიჭიც აღმოაჩნდება, მერე თვითონ აირჩევს. მარიამი უფრო ჩემზეა მოჯაჭვული, მერაბიკოს მამიკო და ბაბუები უყვარს. მარიამი სულ იბრანჭება, კაბებს იცვლის, ტუშს ისვამს, ცეკვავს, მღერის. ისე, და-ძმა ძალიან ჩხუბობს, როგორც ტომი და ჯერი (იციინის). ბუნებით ორივეს გვგვანან — მეც და მამასაც, გარეგნობით კი ორივე — ჩემს მეუღლეს. ბევრ რამეს ვსწავლობ ზურასგან, სკოლაშიც მეხმარებოდა, აკადემიამიც, დიპლომზე მუშაობის დროსაც. ახლაც მუდამ იდეებს მანვდის. დედას და მამას რომ ვუყურებ, მიხარია: 38 წელიწადზე მეტია, ცოლ-ქმარი არიან და როგორ პატივს სცემენ ერთმანეთს! მამა ძალიან ყურადღებიანია, ორივე კი — თბილი და მზრუნველი. დღეს ასეთ ახალგაზრდა წყვილს იშვიათად შეხვდები. აი, ასეთი ოჯახი მაქვს, ასე ვცხოვრობთ და იმედი მაქვს, მთელი ცხოვრება ასე ვიქნებით — სიყვარულით. მე კი... ჯერ-ჯერობით გრაფიკოსი დიზაინერი ვარ, ბაკალავრიატდამთავრებული, თუმცა ვნახოთ, შეიძლება, მოდელიერ-დიზაინერად ან მსახიობადაც მოგვევლინოთ მომავალში. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება (ილიმის).



კარგი იქნებოდა, მეც მათ გზას გავყოლოდი. დედა ბოლო წუთამდე მთხოვდა, სამსახიობოზე ჩააბარეო



# უდიპო სიძე და სოლი, რომელსაც პროცესორი მოჰყვება

ელენე ბასილიძე

**მასო ბიჭიკაშვილმა** თავის-ნაირი ხუჭუჭა და საყვარელი გოგონა იპოვა და ცოლადაც მოიყვანა. ახალშეუღლებულ წყვილს როცა დავეუკავშირდი, ინტერვიუზე სიამოვნებით კი დამთანხმდა, მაგრამ მეუღლესთან ერთად მოსვლა ვერ მოახერხა და ამჯერად „ცალად“ ჩავწერე.

— ძალიან კარგად ვარ. ჩემს ცხოვრებაში მომხდარი სიხალე გცოდნიათ უკვე... დაქორწინების შემდეგ მე და ჩემი მეუღლე ბათუმში ვიყავით. მართალია, კარგი ამინდები არ დაგვმთხვავა, მაგრამ მე კი გავიხარე: ზუსტად საჩემო ამინდები იყო — საქეიფო... განრიგიც შესაბამისი გვექონდა — რესტორანი, სახლი, ძილი... მართალია, ბათუმური ამინდებით ვერ გავახარე მეუღლე, მაგრამ ახლა ჩემს მეგობარს, ეკა ლოლაძეს ვარშავაში უნდა ვწვიოთ. მას ჩემი და სოფოს შეუღლებაში დიდი წვლილი მიუძღვის: იყო პერიოდი, როცა სოფოსთან ნაჩუბარი ვიყავი და ეკას ძალისხმევით შევრიგდით. ამ შერიგების შემდეგ ცოლადაც მოვიყვანე და მინდა, ამ ადამიანს მადლობა პირადად გადავუხადო.

**— მეუღლეზე მომიყვი, რას საქმიანობს სოფო?**

— სოფო რევია პროფესიით ჟურნალისტიკა და შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში მუშაობს. წლების წინ გავიცანი, თეატრალურ უნივერსიტეტში სწავლობდა, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. მის ჯგუფში თითქმის სულ გოგონები იყვნენ და მათთან ვემგობრობდი. უნივერსიტეტში სწავლის დროს ერთმანეთს „გამარჯობა-გაგიმარჯოთი“ ვიცნობდით. რამდენჯერაც შევხვდებოდით, — უი, შენც ჩემნაირი თმა გქონია, ხუჭუჭა, ხუჭუჭაო — ერთმანეთს ვეხუმრებოდით. ერთ დღესაც, რეკლამაში გადაიღეს და იქ შევხვდი. მერე სოციალურ ქსელში დავიმატე... 2 წელი შეეყვარებულეები ვიყავით. ბევრი რამ გამოვიარეთ ერთად, არაერთხელ დავმორდით და შევრიგდით... ბოლოს 4 თვე ნანახი არ მყავდა, ცოლადაც ისე მოვიყვანე!

**— ეს როგორ?**

— მისი გრეის კონცერტზე ბათუმში იყო. საღამოს მოვრჩი თუ არა გადავლეს, იმ ღამესვე მატარებლით ბათუმში წავედი — ვიცოდი, რომ იქ



იყო. ბულვართან მისი მანქანა დავინახე და მესივლი მივწერე, — ისვენებ-მეთქი? არ მიპასუხა. იმ დღეს გამო-მასწრო და ბათუმიდან წამოვიდა. რომ დავურეკე და ვკითხე, — სად ხარ-მეთქი? — ქუთაისშიო, — მიპასუხა. — გაჩერდი ქუთაისში, ხვალ მანდ ჩამოვალ და გნახავ-მეთქი, ვთხოვე. — არა, სურამში გაჩერდებიო. — კარგი, მაშინ სურამში იყავი და ზეგ ჩამოვალ-მეთქი. — არა, მაზეგ წამოდი და ხაშურში, ჰამაკებთან დაგხვდებიო, — გამეხუმრა. 2 დღის შემდეგ თბილისში რესტორანში დავვატყე. იმ დღეს ჩემი მეგობრის, კობა იაგანაშვილის დაბადების დღე იყო და შეიძლება ითქვას, რომ ცოლი კობამ მომაცხანინა. სოფო რესტორანში რომ მოვიდა, მანქანაში კომპიუტერის პროცესორი ედო და დედამისს უთხრა, 1 საათში სახლში ვიქნებიო. ჩემმა მეგობარმა ალუბლის ხის მერქნისგან ბეჭედი გააკეთა და კოტიკო თოლორაიამ ჩვენი შეუღლება დალოცა. მოკლედ, სოფო თავის პროცესორიანად მოვიყვანე ცოლადა.

**— ალბათ შენი გადწყვეტილება მისთვის ძალიან მოულოდნელი იყო.**

— კი, არ ეგონა, რომ ამ ნაბიჯს გადავდგამდი. მანამდეც იმიტომ ვჩხუბობდით, რომ ძალიან მერყევი ხასიათი მქონდა, უაზრო რაღაცები მიბრუნებდა ტვინს... საბოლოოდ მივხვდი, რომ ამ ადამიანთან მინდოდა ცხოვრება. სოფო მთელ ჩემს ცხოვრე-

ბას პარალელური ხაზით გასდევდა. აი, ეს იყო სიყვარული.

**— რამდენი ხანია, რაც შეუღლებდით?**

— 28 ივლისს მოვიყვანე ცოლადა. ჯერ კიდევ ცხელ-ცხელი ამბავია.

**— ბოლოს შენთან ინტერვიუ რომ ჩავწერე, ღიპს მოვიშორებო, — დამპირდა; ვხედავ, პირობა შეგისრულდება...**

— კი, მიუხედავად იმისა, რომ მე და სოფო ბათუმში სულ ქეიფში ვიყავით, ბევრი არ მომიმატებია, რადგან მანამდე დღეებზე ვიყავი. აი, ნახე, მართლა აღარ მაქვს ისეთი ღიპი, არა?!

**— ნამდვილად. მოდი, ახლავის მომიყვი, მეუღლის ამპლუაში როგორ გრძნობ თავს?**

— ძალიან მაგარი შეგრძნება ყოფილა, როცა გვერდით საყვარელი ადამიანი გაყავს. აქამდე თუ მარტო მეძინა, ახლა დილით ჩემს უსაყვარლეს ადამიანთან ერთად მეღვიძება და ძალიან მაგარი... აქამდე თუ ერთი ვიყავი, ახლა ორნი ვართ და ერთად ვგეგმავთ მთელ დღეს: მოდი, დღეს მოვიწახულოთ ჩვენი მშობლები; მოდი, ხვალ იქ წავიდეთ, ზეგ — აქ... ადრე არავინ მეკითხებოდა, სად მიდიხარ და როდის მოხვალო?.. დედაჩემი შეჩვეული იყო ჩემს არანორმალური ცხოვრების გრაფიკს. ახლა უფრო მეტად ვაფასებ დროს. გუშინ ტაძარში ვიყავი, მერე მეგობართან ერთად, „მაკდონალდსში“ გავიარე. სოფომ მომწერა, რამდენ ხანში მოხვალ, ქმარო? — 25 წუთში-მეთქი — მივწერე. სახლში რომ მივედი, თურმე ზუსტად 25 წუთში მივსულვარ. 3 ქალი: დედაჩემი, სოფო და ჩემი და ითვლიდნენ, რამდენ წუთში მივიდოდი სახლში. შენზე მართალი კაცი არ არსებობსო, — შემაქვს.

**— სოფორზე თუ უკეთობდი?**

— საზღვარგარეთ რომ მივდიოდი, ჩემთვის თუ ერთ წყვილ კედს ვიყიდდი, სოფოსთვის, ჩემი დისთვის და დედაჩემისთვის უამრავ რამეს ვუზიდებოდი. ვიცოდი, რა მოსწონდა და მისთვის ჩამომქონდა. ისე, განსაკუთრებული სიურპრიზები არ მახსენდება, ალბათ არ გამიკეთებია...

**— მეუღლეები რამდენად ჰგავართ ხასიათით ერთმანეთს?**

— ზუსტად ისეთივეა, როგორც მე, მაგრამ ჩემზე თიფთიფა...

**— აბა, ახლა თიფთიფა გადამითარგმნე...**





— დღეს საელჩოში მივდიოდით და ძალიან აქოთქოთდა. სამსახურში აგვიანდებოდა და ძალიან ლელავდა. არადა, ვერ ვიტან, როცა დილიდან თაფთაფებენ და თიფთიფებენ. მაგ დროს აუცილებლად მრჩება რაღაც... დილით სახლიდან დალაგებული და დაწყობილი უნდა გავიდე. დღეს როგორც დაინყებ, ისე წარიმართება. მე ქართლური სიმშვიდე მახასიათებს, ის კი მოგესხნებათ, მეგრულია (ილიძის)..

**— დიასახლისობა თუ ქვრება, გემრიელი კრძებით არ განებივრებს?**

— კი, ამას წინათ სადილი გამიკეთა და გემრიელი გამოუვიდა. დედამისი არაჩვეულებრივი კულინარია, ბებიაც. ოჯახის წევრებისგან გემრიელი კრძებითაა განებივრებული. ჯერჯერობით არ უნევს მომზადება: ჩემს მშობლებთან ერთად ვცხოვრობთ და სანამ ცალკე გადავალთ, მანამდე დედაჩემი ამზადებს ყველაფერს.

**— თავს როგორ გრძობს შენ გვერდით, ქუჩაში ხალხს ყურადღება არ აღიზანებს?**

— ბათუმში ენრიკეს კონცერტის დროს ბულვარში მოგვინია გავლამ. ხალხი რომ დაეინახე ჩვენც წამოსული, — აბა, სოფო, გამაგრდი, ჩართე შენი პოლიციური გონება და როგორმე კორიდორით გამიყვანე აქედან-მეთქი, — ვეზუმრებოდი. ზოგი მთვრალი მოდიოდა ჩვენთან და, — ყველა იდიოტი შენვე რატომ უნდა წამოვიდესო?! — უკვირდა (იკინის). ამ ბოლო დროს მიეჩვივნენ ჩემს სახელს, თორემ ხან ზაურა ვიყავი, ხანაც — „დუბლიონკა“. კარგად დავიწყებულ, ძველ სახელებსაც მესახიან ხოლმე ქუჩაში.

**— ამ ყველაფერს უკვე დიდი ხანა შეეჩვიე არა?**

— კი, აბა, რა.. რაც მთავარია, ბავშვებს ვუყვარვარ. სოფო სშირად მეკითხება, — ასე რატომ მოსწონხარ



ამას წინათ ამერიკაში მაგარი ამბავი გადაშობდა...

პატარებსო? მე თვითონაც არ ვიცი, რატომ ვუყვარვარ; ალბათ თოვლის ბაბუას მამსგავსებენ. ცოტა უცნაური თოვლის ბაბუა კი ვარ, შავი წვერითა და ყავისფერი „დუბლიონკით“. პატარა ბიჭუნებს უფრო მეტად მოეწონვარ — ალბათ ზაურას ვაჟკაცად მიიჩნევენ, თორემ ლენინი მე არ ვარ და... მეც ძალიან მიყვარს პატარები და ალბათ იოლად გრძობენ ჩემს დამოკიდებულებას მათ მიმართ. ჩემი მეგობრის ბავშვები ისე მიყვარს, არ ვიცი, როგორ ავხსნა. ქუჩაში თუ დავინახე ბავშვი, გიჟივით ვეფერები. ამას წინათ ამერიკაში მაგარი ამბავი გადამხდა: მე და სოსო თოლორაია მანჰეტენზე, თეატრში მივდიოდით და ქუჩაში ძალიან საყვარელი, ხუჭუჭა ბავშვი შეგვხვდა. შენ გენაცვალე-მეთქი! — მივფერე. სოსომ მაშინვე ხელეში ჩამართკა: — რას აკეთებ, გადაირიე? გამოეთრიე დროზე აქეთო... რომ ვკითხე, — რატომ, რა დავაშავე-მეთქი? — ახლა დედამისს შეიძლება ეჩივლა, ათასი მიზეზი მოედო, მერე დაგაკისრებდნენ ჯარიმას, ვერ გადახდიდი და ჩაჯდებოდი ამერიკის ციხეშიო, — ამისნა. იქ ადამიანის უფლებები იმ დონეზეა დაცული, რომ მგონი, უკვე თავადვე წუხდებიან ამით. კიდევ კარგი, ის ქალი მიხვდა ჩემს დამოკიდებულებას და ჩემს მოფერებაზე გაელიმა, თორემ ვაი, შენს ვახოს!

**— თქვენს ამერკულ ამბებზე ლეგენდები დადის.**

— როგორც ნიკა არაბიძე ამბობს, და მეც ვეთანხმები, 4 დღე „გაგანია“



ხან ზაურა ვიყავი, ხანაც — „დუბლიონკა“


ბრუკლინში ამერიკელი არ გვინახავს. ქართულ რესტორანში ისე გაგვაქანეს, თითქოს დიდი მონატრებულები ვყოფილიყავით. საქართველოდან რომ მივდიოდი, პირიდან მწვადი ტრაპზე გამაგდებინეს და ამერიკაშიც იგივე არ დაგვხვდა?! —

**— ახალი სეზონიდან რას „გვიპირებთ“?**

— ცუდს არაფერს. როგორც ყოველ წელს, ამ ახალ სეზონსაც გრანდიოზული გეგმებით ვინწყებთ. ჩემს საყვარელ, პატარა გადაცემაზე — „კომედი შოუ“ — ვგიჟდები, მზე და მთვარე ამომდის. რაც შეეხება „თქვენს შოუს“, ბევრი ნიჭიერი სახე გამოჩნდა, გადაცემასაც საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს. დიდი შანსია, რომ კიდევ ერთი ახალი გადაცემა დაგვემატოს, რომელიც მაყურებელს ასევე ძალიან მოეწონება.

**— გაგნყვტო ნელში ამდენი გადაცემა.**

— უნდა გაგნყვიტოს კიდევ — ჩვენი საქმე იუმორია და იუმორით უნდა ვემსახუროთ ჩვენს ქვეყანას!



4 დღე „გაგანია“ ბრუკლინში ამერიკელი არ გვინახავს



თვითონაც არ ვიცი, რატომ ვუყვარვარ; ალბათ თოვლის ბაბუას მამსგავსებენ





# მონიკა ბელუჩი 46 წლის ასაკში უურნალობისთვის გაშიშვლდა

ჟურნალ Paris Match-ის მკითხველმა ახალი ნომრის გარეკანზე მშვენიერი მონიკა ბელუჩის შიშველი სხეული იხილა, რომელსაც გამჭვირვალე თეთრი ქსოვილი ოდნავ უფარავდა სხეულს. მსახიობი ახალგაზრდულად, სექსუალურად გამოიყურება და კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ 46 წლის ასაკშიც ახალგაზრდა და მომზიბვლეელია. შარშან მშობიარობის შემდეგ ვარსკვლავი ოდნავ გასუქდა, მაგრამ ახლა, როდესაც პატარა ლეონიმ ძუძუს თავი დაანება, მონიკამ მოხდენილი სხეული დაიბრუნა. ჟურნალ Paris Match-ის ფოტოსესიისთვის მონიკა ბელუჩი რამდენიმე სამოსით წარდგა.

## მგრძნობიარე და მშვენიერი...


მოსდელი საღამოს კაბა მსახიობის უნაკლო მკერდს აშიშვლებს. მეორე, წინწკლებიანი კაბა მსახიობის ბიუსტს უსვამს ხაზს და ბოლოს, შავი საცურაო კოსტიუმი... მონიკა ბელუჩი ყველა ფოტოსურათზე მაყურებლისთვის ჩვეულ ფორმამია — მგრძნობიარე და დიდებული.

ვარსკვლავი სამოსს იცვლიდა და უმშვენიერეს სხეულს წარმოაჩენდა



მას შემდეგ, რაც მსახიობის უმცროსმა ქალიშვილმა ძუძუს თავი დაანება, მონიკამ ძველებურად მოხდენილი სხეული დაიბრუნა.

გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში მონიკამ ფრანგ მსახიობ ვენსან კასელთან ოჯახური ბედნიერების შესახებ ისაუბრა და განაცხადა, რომ ადამიანურ ურთიერთობებში რაციონალიზმის წინააღმდეგია. „ყველაფერი ინსტინქტებზეა დამოკიდებული, მხოლოდ ემოცია და არავითარი რაციონალიზმი — ან გიყვართ, ან — არა... არ უნდა ფიქრობდეთ: ძალიან კარგი, ორი შვილი გყავს. 16 წელია, ცოლ-ქმარი ვართ და ასე გაგრძელება ურიგო არ იქნებოდა, ამისთვის რა უნდა გავაკეთო?... ვფიქრობ, წყვილმა ურთიერთობის შენარჩუნებაზე უნდა იზრუნოს... მე ამას ყოველდღე ვაკეთებ. შესაძლოა, ჩვენი ურთიერთობა ამოიწუროს და რომელიმე ჩვენგანი მიხვდეს, რომ კიდევ რაღაც არის საჭირო, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი წესრიგშია“.







Monica Bellucci *l'éternel féminin*

Les années passent, ses filles grandissent, elle enchaîne les rôles. Mais conserve la même mari et toujours la même beauté

ინტერვიუში მონიკამ იმ ბედნიერების შესახებ ისაუბრა, რომელსაც შვილები ანიჭებენ



46 წლის ვარსკვლავს ნახევრად შიმველი სხეულის გამოჩენის არ ეშინია

ფოტოსურათები, რა თქმა უნდა, ფოტოშოპითაა დამუშავებული, მაგრამ მონიკას სილამაზე კვლავ აღგვაფრთოვანებს.

მონიკამ გაამხილა, რომ მეორე ბავშვის გაჩენას არ აპირებდა, მაგრამ როდესაც შეიტყო, რომ ორსულად იყო, „ამ ამბავმა ფრთები შეასხა“.

„არ მეგონა, რომ მეორე ბავშვს გავაჩენდი, რადგან ჩემი ცხოვრება უფროს ქალიშვილს, დევას მივუძღვენი. მინდოდა, მუდამ მის გვერდით ვყოფილიყავი და მისი ცხოვრების თითოეული წამით დავმტკბარიყავი. შემდეგ, მეორე შვილის გაჩენაზეც დავფიქრდი... დევა ძუძუს 9 თვე ნოვდა, მაგრამ როდესაც ლეონი გავაჩინე, ძუძუს ვერ მოვწყვიტე და ბავშვი დედის რძეს 1 წელი მიირთმევედა, მხოლოდ რამდენიმე თვის წინ გადაეჩვია“.

რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯაშიძემ

### წიგნების სერია

„ახალი ქართული ლიტერატურა“

შურნალ „ლიტერატურულ პალიტრასთან“ ერთად

ყოველთვე

ერთი თანამედროვე ავტორი

საქართველოს ნომერთან ერთად

ჩვენ 5 - თონა დოღუნჯაშვილი

„ANIMAL PLANET“

წიგნის ფასი 3 ლარი. (შურნალთან ერთად 5 ლარი.)

უკვე გამოშვებული ტომები: დათო ტურაშვილი, თამარი ფხაკაძე, რატი ავალოშვილი, დავით ქართველიშვილი შვიდიპლიათ შვიდიპლიათ წიგნის მაღაზიებში



# ცხოვრება

## ნიმუშიდის წყაროზე მონათლული პირველი ოჯახის ტრაგედია

თბილისის საქალაქო სასამართლო მალე რეპრესირებული ადამიანების საქმეების განხილვას დაიწყებს. მორალური ზიანისთვის სახელმწიფომ თითოეულს ან მის პირველი რიგის მემკვიდრეს ფულადი კომპენსაცია უნდა გადაუხადოს. ჯერჯერობით უცნობია, რა თანხას მიიღებენ საბჭოთა რეპრესიის მსხვერპლები, მაგრამ საზოგადოების მოლოდინი დიდია. არაერთმა მოქალაქემ სასამართლოს უკვე მიმართა და თითოეული საქმე ინდივიდუალურად განიხილება. პირველი განაცხადი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ივნისში შეიტანა. ისინი რეპრესირებული 86 წლის გიორგი სარალიძის უფლებებს დაიცავენ.



### რატომ ალყარაქდა გიორგი სარალიძე წლების შემდეგ

#### თაა სურსილაა

ადვოკატ კახა კოჭორიძის თქმით, მოხუცს სახელმწიფომ 70 ათასი ლარი უნდა გადაუხადოს. „გიორგი სარალიძემ უმძიმესი წლები გამოიარა: იმხელა ტანჯვა აქვს გადატანილი, გადავწყვიტეთ 70 ათასი ლარი მოგვეთხოვა. როცა მის საქმეს ვსწავლობდი, გაოგნებული ვიყავი — იშვიათია ადამიანი, რომელსაც ასეთი ბედი ერგო“, — მითხრა კახა კოჭორიძემ. სასამართლო პროცესამდე ბატონ გიორგი სარალიძესთან გასაუბრების დეტალებში გარკვევა მეც გადავწყვიტე. ამ მიზნით მოხუცს სანზონაში, საკუთარ ბინაში შეუთანხმებლად ვწვიე.

ბინის კარი გამხდარმა, შავებში ჩაცმულმა, თეთრწვერა მოხუცმა გამიღო და ხელით მანიშნა, მობრძანდითო. მისაღებ ოთახში ერთი კუთხე სალოცავად მოეწყო, პატარა მაგიდაზე ლოცვის ნიგნები და სანთლები ელაგა.

— ბატონო გიორგი, ჟურნალისტი ვარ. თქვენი მისამართი იურისტთა ასოციაციაში მომცეს. შეუთანხმებლად გეწვიეთ, მაგრამ თუ წინააღმდეგი არ იქნებით, იქნებ ჩვენი ინტერვიუ შედგეს, — ვუთ-

ხარი მოხუცს. დაფიქრდა, ხელით სკამისკენ მიმითითა, თვითონ სანერკალამი და ფურცელი აიღო და დამინერა: „თქვენთვის არ უთქვამთ, მე რომ საერთოდ არ ვსაუბრობ? ციხიდან დაბრუნების შემდეგ, პროტესტის ნიშნად, დღემდე აღარ ვლაპარაკობ“.

ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. შემდეგ ისევ წერილობით რამდენიმე კითხვა დამისვა. მეერ დამინერა: მოვიფიქრებ და თუ გადავწყვეტ ინტერვიუ მოგცე, ისევ შევხვდეთო.

რამდენიმე დღეში მოხუცს ისევ ვწვიე და საოცრება მოხდა — ის ალაპარაკდა და თავისი ომახიანი ხმით განვლილი ცხოვრების შესახებ მიაშბო. დროდადრო ამბების გახსენებისას, თვალები ცრემლით ევსებოდა, მაგრამ საუბარს მაინც აგრძელებდა. გულისყურით ვუსმენდი კეთილ მოხუცს და ბოლოს აღმოვაჩინე, რომ 3 საათზე მეტი გასულიყო. „არ ვიცი, ღირს კი ამდენწლიანი დუმისის შემდეგ ალაპარაკება? პატიმრობის შემდეგ გადავწყვიტე, არავის დავლაპარაკებოდი. დღემდე ყველას წერილობით ვკონტაქტები. ამ ინტერვიუს ნაკითხვის შემდეგ, შეიძლება, ჩემმა ნაცნობებმა დაგნამონ, ჟურნალისტი რაღაცას იგონებს, ამ კაცს წლებია ვიცნობთ, მაგრამ

მისი ხმა არავის გაგვიგონიაო. მართლა არ ვიცი, ღირს კი საერთოდ ყველაფრის მოყოლა? მაგრამ რადგან დაგპირდით, მოგიყვებით. რამდენიმე წელია, მხოლოდ საეკლესიო პირებს ვესაუბრები. დღეს კი შენთან ვარღვევ დუმილს“, — მითხრა ღიმილით.

#### გიორგი სარალიძე:

— სიღნაღის რაიონის სოფელ მამნაარში დავიბადე და გავიზარდე. ჩემი ბავშვობა, ახალგაზრდობა და დიდობაც საშინელი იყო. ღმერთმა დაიფაროს ყველა ბავშვი მსგავსი ცხოვრებისგან. 6 წლის ვიყავი, მოულოდნელად დედა რომ გარდაემეცვალა და ობლად, დედის სითბოს გარეშე დავრჩი. ამ ტრაგედიიდან ცოტა ხანში, მამაჩემიც დაიკარგა, ვერსად მიაგნეს. მამა ხელოსანი, დურგალი კაცი იყო. წმინდა „სტალას“ ეძახდნენ. საოცარი ხელი ჰქონდა. ყველა სახის ავეჯს ამზადებდა. ბოდბის, წმინდა ნინოს სახელობის ტაძარი რომ აშენდა, კარ-ფანჯრები მამაჩემმა, გიორგი სარალიძემ დაამზადა და ჩასვა. წნორში სახელოსნო





ჰქონდა. იქ ნასული, უკან აღარ დაბრუნდა. ფაქტობრივად, უპატრონოდ დავრჩი. სკოლაში ნასვლის ასაკიც მოვიდა. დედაჩემის ორი მეგობარი ქალი, ჩვენი მეზობლები მოვიდნენ და მითხრეს: — შვილო, სკოლაში მისაყვანი ხარო და სასწავლებელში პირველად სწორედ მათ მიმიყვანეს... მამა თვეების შემდეგ გამოჩნდა. გაირკვა, რომ „შინსასკომელებმა“ სამუშაოდ იძულებით, დაღესტანში წაიყვანეს. იქ მდინარის ბოგირებს აკეთებდნენ და მისი დასრულების შემდეგ, თვეების მერე გამოუშვეს...

**პირველი სასჯალი**

— მეორე კლასში ვსწავლობდი, როცა დედას მეგობარი, ანა ძალო მოვიდა და მითხრა: — შვილო, ხვალ აღდგომია. კვერცხები შევლებ, სანთლებიც მზად მაქვს, ჩემთან ერთად სასაფლაოზე წამოდი და დედაშენს სანთელი დაუთხე, წითელი კვერცხი გადაუგორეო. გამიხარდა და წავედი. მეორე დღეს საკლასო ოთახში დირექტორი შემოვარდა და მკითხა, — შენ გუშინ სად იყავი? პასუხს არც დალოდებია: — ფოტოგრაფისთვის დავალეხული მქონდა, ვინც საფლაოზე გავიდოდა, ყველა ბავშვისთვის სურათი გადაეღო; შენი ფოტო აქ მაქვს; წერა-კითხვა უკვე იცი, ბაბუა-ბებიებს იქით უნდა აუხსნა, რომ არავითარი აღდგომა და ქრისტე არ არსებობს, ეს ცრურწმენაა; საბჭოთა გმირი მაშინ იქნები, სანთლებს რომ გადაუყრიო. მერე მერხზე დამახეთქა: — შენგან საბჭოთა მოქალაქე არ გამოვა; რა „ოქტომბრელი“, რა კომკავშირელი უნდა გამოხვიდეთ?! მერე უურნალო ჩემს სახელსა და გვარს ხაზი გადაუსვა... გარკვეული პერიოდის შემდეგ, ვილაცხების ჩარევით, სკოლაში დამაბრუნეს... წლები გადიოდა... მერვე კლასში ვიყავით, ექვსმა მეგობარმა რომ მოვილაპარაკეთ, სოფელში იმ ქალბატონებს დავხმარებოდით, რომლებსაც ქმრები და შვილები ომში დაედუღათ და მარტონი დარჩნენ. მათ ვენახებს ვბარავდით. ისინი 5 რუბლს გვაძლევდნენ, პურსაც გვაჭმევდნენ. გვიხაროდა, რომ ვშრომობდით, მათაც ვხმარებოდით და ჩვენი ფულიც გვქონდა. ამ გზით მოგროვილი პირველი ფულით ჭადრაკი ვიყიდე. მერე ძირითადად, წიგნებს ვყიდულობდი... აღდგომისთვის წინასწარ მოვემზადე; მინდორში გავედი, ენდრო ვიპოვე, კვერცხებიც შევლევ; სახლში საკუთარი ხელით ჩამოვქენი სანთლები. სკოლაში დილით ადრე წავედი

და ყველა კლასელს მერხზე წითელი კვერცხი და სანთელი დავუდე, მერე კი ისევ უკან გამოვიპარე... გაკვეთილზე ჩვეულებრივად მივედი, მაგრამ მიხვდნენ, ჩემი გაკეთებული რომ იყო და ისევ მკაცრად დამსაჯეს. „დამნაშავე“ ბავშვებს სკოლის „პადავალში“ გკვეთავდნენ, ეს იყო დასჯა. ერთხელ სოფელ საქობოში წინა ძალო შემხვდა. თავში ხელებს იშენდა და სასწრაფო მითქვამდა: — ჩემი შვილი, ჩემი ქეთო და აპატიმრეს და საბჭოში წაიყვანესო. ქეთო ჩემზე ორი წლით უფროსი იყო. მაშინ 16 წლის ვიყავი. ახალგაზრდა გოგოს დაპატიმრების მიზეზი გადასახადის არგადახდა გახლდათ: მაშინ ყველა ოჯახს ე.წ. „ნალოგი“ ჰქონდა დაკისრებული. ქეთოს ოჯახსაც უნდა მიეტანა საქობლის ტყავი, კვერცხები, ხორცი... თუ დაკისრებულ გადასახადს ნატურით ვერ გადაიხდიდნენ, მაშინ თანხით უნდა აენაზღაურებინათ. „ნალოგის“ ბევრი სახეობა იყო და ვინც მას ვერ იხდიდა, იჭერდნენ: საბჭოთა კავშირის მონინალმდეგე ხარ, გადასახადს რომ არ იხდიო. საბჭოს შენობას სარდაფი ჰქონდა და დაკავებულებს იქ ათავსებდნენ. იმ ადგილას რომ მივედი, საბჭოს ხელმძღვანელობიდან არავინ დამხვდა, გადასახადის ასაკრებად სოფელში იყვნენ გასულები. სარდაფიდან ქალების ჩურჩული ისმოდა. გამოველაპარაკე. ქეთომ მითხრა, — ნადი, შარში არ გახვიოო, — მაგრამ რკინა ვიპოვე, იმით კარის ურდული გავტეხე და იქიდან ქეთო და კიდეც ერთი ქალი გამოვუშვი. ამ ფაქტის გამოც მკაცრად დავისაჯე...

**უდანახალო დამნაშავე**

— მამაჩემმა თანასოფელი ქალი შეირთო ცოლად (მას პირველი ქმარი გარდაცვლილი ჰყავდა). საერთოდ, დედინაცვლებზე ბევრი ცუდი მსმენია, მაგრამ მე საოცრად კარგი დედინაცვალი მყავდა, „დედას“ ვეძახდი. ადამიანი მისნაირ დედას ინატრებს. მადლობა ღმერთს ამისთვის! მზრუნველი ქალი იყო. ღვიძლი შვილივით გამზარდა, თავს მევლებოდა და არაფერს მაკლებდა. იმ დროს უმაღლეს სასწავლებელში მონყობა 20 ათასი მანეთი ღირდა, სამედიცინოზე — 70 ათასი. ჩემს დედინაცვალს მზითვეში ოქროს ნივთები

მოჰყვა. მან ყველაფერი გაყიდა, სასწავლებელში ჩემს მოსაწყობად ფული რომ შეეკონინებინა. სკოლა წვლებით დავამთავრე და თბილისში წავედი. „ზიფში“ — რკინიგზის საინჟინრო ფაკულტეტზე მოვეწყვე. კარგად ვსწავლობდი. გამოცდები ჩავაბარე, მეორე კურსი დავხურე... ყურძნის კრეფის პერიოდში იყო და ოჯახს კახეთში, რთველში ვებმარებოდი. ყურძენი დავკრიფეთ, სახლში პურმარილი გაიშალა. სუფრასთან ვისხედით, ვილაც მამაკაცმა რომ მიკითხა. ინსპექტორი აღმოჩნდა. „კაგებედან“ იყო გამოგზავნილი და იქ გაყოლა მთხოვა. მეუბნებოდა, — დონბასიდან როდის ჩამოხვედი? შენზე საჩივრებია შემოსული და წასაყვანად მოვედიო. გაკვირვებული ვუსმენდი: არსად ვყოფილვარ, რაღაც გეშლება-მეთქი, — მაგრამ მოითხოვა, თბილისში გაველოდი, — იქ გაარკვევენ, სტუდენტი რომ ხარ და გამოგიშვებენო. სხვა გზა არ იყო, მას თბილისში გამოვეყვი. მაშინ ერთი ორთქლმავალი დადიოდა და იმით წამოვედი. დედა ძალიან შეწუხდა; გამომიშვა იმ იმედით, რომ გაუგებრობა გაირკვეოდა. ჩანთაში საგზააღი ჩამილაგა, მშიერი არ დარჩეო. თბილისში რომ ჩავედი, ინსპექტორმა მითხრა, — ეგ ჩანთა საცავში ჩააბარე და იქიდან რომ გამოხვალ, მერე აიღეო. ჩავაბარე, მაგრამ იქიდან გამოსვლა არ მეღირსა: მალე „კაპუზები“ აღმოვჩნდი...

დიდხანს ველოდებოდით უფროსის მოსვლას. სტუდენტული და სხვა



მერე სასჯელის მოსახდელად, სტეპლაგში გამგზავნეს

საბუთები გადავეცი. ყველაფერი უჯრაში ისე ჩაყარა, არც გადაუხედავს: ახლა ამის დრო არა მაქვსო. მერე ვილაცხები გამოიძახა და უბრძანა, — ეს ჩასვით და ყველაფერს მერე გავარკვევო. სიტყვის თქმა არა-



ვინ მაცალა, ისე შემადგეს კამერაში. იქ ორი ადამიანი იჯდა. ჩემი დაპატიმრების მიზეზით დაინტერესდნენ. ერთადერთ ფრაზას ვამბობდი, — შეცდომაა და გამიშვებენ, სტუდენტი ვარ-მეთქი. ორი დღე ყურადღება არავის მოუქცევია. მერე კარზე ვაბრახუნე, ვყვიროდი, — რატომ არ მკითხულობენ, გამიშვით-მეთქი! პატიმრებმა გაიცინეს, — აქ ვისაც სვამენ, იმას ასე ადვილად არავინ უშვებსო. მაინც არ მჯეროდა, სრულიად უდანაშაულო ადამიანის ციხეში მოთავსება თუ შეეძლოთ. არავინ მკითხულობდა, მხოლოდ პურს თუ შემოგვიგდებდნენ „კარმუშკადან“. იმასაც ვეკითხებოდი, — რატომ არ მოდიან-მეთქი? — მაგ საქმეში მე ვერ ვერევი, მხოლოდ საჭმლის მოტანა მევალებაო... იქიდან რკინიგზის სადგურთან მდებარე პატარა ციხეში გამგზავნეს. მერე გუბერნსკის ციხეში ისე გამიშვეს, რომ დაკავების მიზეზიც არ ვიცოდი. არც დაუუკითხავარ ვინმეს. უჯრაში ჩაყრილი ჩემი საბუთებისთვის არავის გადაუხედავს... იქ მითხრეს, — შენი საქმე პროკურატურაშია და სასამართლო დანიშნულიაო. პატიმრები ცემენტზე ეყარნენ. საკანში იმდენი ვიყავით, იმის საშუალებაც არ იყო, რომ ფეხები გაგვეშალა. ძირს დაყრილები ერთმანეთს ვთხოვდით და მორიგეობით ვშლიდით ფეხებს, რომ დაგვესვენა, ძირითადად კი — მოკუნტულები ვისხედით. დრო გავიდა, გათავისუფლების იმედიც დაკარგე. ერთ დღეს ზედამხედველმა საკანის „კარმუშკა“ გააღო და დაიძახა: — სარალიძე, ს ვეშაპიო! უკვე ადამიანს აღარ ვგავდი, ჩამოვდნი. ამ სიტყვის მნიშვნელობაც არ ვიცოდი, სხვებმა მითხრეს, — გათავისუფლებენო. მაინც არ მჯეროდა; მეგონა, სასამართლოზე მივყავდი. მითხრეს: პროკურორის ბრძანებით, გიშვებთო... კახეთის მატარებელს მივუსწარი და სოფელში ჩავედი. მშობლებისთვის არც უთქვამთ, სად ვიყავი. მეძებდნენ, მაგრამ ვერ მიპოვეს. მერე გავიგე — ჩემს გათავისუფლებაში ლომის წილი ინსტიტუტის ხელმძღვანელსა და დეკანს რომ მიუძღოდათ. კარგი სტუდენტი ვიყავი, კარგად მიცნობდნენ. სწავლა რომ დაიწყო და არ მივედი, სოფელში კაცი გაგზავნეს და გაიგეს, სახლიდან ინსპექტორმა რომ წამიყვანა. ასე მიპოვეს ციხეში. პროკურატურასთან ბევრი იბრძოლეს და ჩემი უდანაშაულობა დაამტკიცეს...

რატომღაც იმ ინსტიტუტში სწავლა აღარ მომინდა და საბუთები უნივერსიტეტში, საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე გადავიტანე.

**დაახიზრება მეორედ და მხედავრა ბანერალ რუსაქსთან**

— უნივერსიტეტში ლექციაზე მივდიოდი, რამდენიმე პირმა მოულოდნელად, ქუჩაში რომ დამაკავა. თავზე რაღაც ჩამომაცვეს და რომელიღაც შენობაში მიმიყვანეს. მაშინ მეოთხე კურსის სტუდენტი ვიყავი. დიდ დარბაზში აღმოვჩნდი. კაბინეტის თავში „პაგონიანი“ მამაკაცი იჯდა. სკამიდან ზანტად წამოვდგი და ჩემკენ წამოვიდა: — შე ჭაყყელა მაიმუნო, რა ბედი გქონია, პატიმრები რამდენი ხანია, „კამერაში“ სხედან და ელოდებიან, როდის გამოვიძახებ, მათთვის დრო სად მაქვს, შენ კი პირდაპირ ჩემთან მოგიყვანეს; იცი, ვინ ვარ მეო? — მკითხა ირონიით და თან გინების კორიანტილი დააყენა... — მე გენერალ-ლეიტენანტი რუსაქე ვარ, ამიერკავკასიის კონტრდაზვერვის უფროსი, ამავედროულად შინსახსკომის კომისარი! გავიგეთ, სტუდენტები ლექციის შემდეგ შეკრებილხართ და გითქვამთ, რომ საბჭოთა წყობა არ მოგწონთ, მარქსზეც გითქვამთ რაღაცები; ლანირაკებო, თქვენ ვინ ხართ, მარქსიზმ-ლენინიზმს რომ იწუნებთ?! შენზე უფრო მაგრებს დაუჩოქიათ ჩემს ფეხებთან და ჩემი ჩემები ულოკიათ! შენც მიხვალ ამ მდგომარეობაზე! — ისეც საშინელი სიტყვები წარმოთქვა და შეიგინა: — ახლა „ცეკაში“ ვარ გამოძახებული, ამის დრო არ მაქვს და აქედან წაიყვანეთო!..

ბნელ ოთახში შემიყვანეს. ირგვლივ ვერაფერს ვხედავდი. მიბრძანეს, კედელს ხელუბნეული მივკვროდი, — იცოდე, განძრევა არ გაბედო! მორიგეობდნენ. ასე დგომა აღარ შემეძლო, ძალიან დავიღავე და ვიფიქრე, ფეხებს დავასვენებ-მეთქი; ფეხი ოდნავ მოვლუნე. ამ დროს მოქნეული მატრახი მომხვდა: — ფეხები გაასწორე, ეს მეორედ არ გაბედო! ნელ-ნელა ძალა გამომეცალა და ძირს დავეცი, ფეხზე დგომა აღარ შემეძლო. ზედამხედველებმა თოკით კედელზე მიმაბეს: — აბა, ახლა კიდევ წაიქციეო!.. არც ძილის საშუალება მქონდა და იმ დღეებში წყალიც არავის მოუწოდებია. მერე სადღაც გამათრიეს. უკვე მეექვსე დღეა აქ ხარ, ახლა უნდა მოჰყვე ყველაფერსო. — რა უნდა ვთქვა? — ვკითხულობდი გაკვირვებული. დაბ-

ლა ჩამიყვანეს. იქ ორი „პაგონიანი“ დამხვდა, ერთს ხელში დანა ეჭირა. დანით ქამარი გაჭრა, მერე შარვალი და მაისური აჭრა. ყველაფერი გამხადეს და ტიტველი დამაყენეს. მერე ისევ სადღაც შემადგეს. ძალაგამოლეულს არაფრის თავი არ მქონდა. ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ცეცხლში დამწვადნენ თუ სხვანაირად მანამებდნენ... გარკვეული პერიოდის შემდეგ, საკანში ტანსაცმელი შემომიყარეს, ჩაიცვიო. ერთი ლილიც კი არ ჰქონდა. არც ჩაცმის ძალა მქონდა, ძლივს „მოვბანტე“ შარვალი, რომ არ ჩამძვრალიყო. ამის მერე ისევ გარეთ გამათრიეს და სკამზე დამსვეს. სკამი ტრიალებდა. გაგონილი მქონდა, ადამიანებს დენზე რომ აერთებდნენ და მათგან ჩვენებებს ასე წამებით რომ იღებდნენ. გავიფიქრე, ახლა ახალი წამება დაიწყება-მეთქი, მაგრამ იქ ფოტოები გადამიღეს. ამის შემდეგ ისევ ერთკაციან საკანში შემადგეს. ძირს დავეგდე და თვალები მოვსუჭე. უცებ ვიღაცის ფეხის დარტყმა ვიგრძენი, — აქ ძილი არ შეიძლებაო. მერე რამდენიმე ღამე დასაკითხავად სხვა ოთახში გავყავდი. საკანში გამთენიისას მარბუნებდნენ. ზედამხედველს რომ ვეტყოდი, — მთელი ღამე დაკითხვაზე ვიყავი, რა იქნება, ახლა მაინც დამაძინოთ-მეთქი, — მპასუხობდა, — ეგ ჩემი საქმე არ არის, კანონია, აქ დღე ძილი არ შეიძლებაო... სხვა პატიმრებაც ასეთ დღეში ჰყავდათ. დრო გადიოდა, დღეებიც ამერიც, არც ის ვიცოდი, რომელი რიცხვი იყო. როგორც იქნა, საქმის ძიება დასრულდა. სასამართლოში არ წავუყვანივარ, იქვე გამომიტანეს განაჩენი. არც ადვოკატი მყოლია. ანტი-საბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდაში დამადანაშაულეს. პროკურორმა 10 წელიწადი მოითხოვა და მოსამართლემაც მომისაჯა 10 წელი, ქონების კონფისკაციით. მერე სასჯელის მოსახდელად, სტეპლაგში გამგზავნეს.

P.S. გიორგი სარალიძე სტეპლაგიდან გაიქცა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებული ისევ დაიჭირეს და ამჯერად, ტაიმირის სასაკლავო კატორღაში გაუშვეს. თუ როგორ გაატარა პატიმრობის უმძიმესი წლები, რატომ გათხარა ციხიდან დაბრუნებულმა სახლში მიწური, როგორ შეერთო ცოლად 19 წლით უმცროსი გოგო და რატომ ჰგონიათ მის ნაცნობებს, რომ ყოფილი ტუსადი ვერ ლაპარაკობს, — ამ და სხვა საინტერესო ამბებს „გზის“ მომდევნო ნომრებში შეიტყობთ.





# გოგოს ტანბა უჩანდა...

## ინგა ჯაყელი

...სამარშრუტო ტაქსიმ მოულოდნელად დაიწყო ზიგზაგისებური მოძრაობა, ლამის ღერძულა ხაზი გადაკვეთა და კიდევ კარგი, შემხვედრ ზოლში არ მოძრაობდა მანქანა, თორემ ავარია გარდაუვალი იქნებოდა...

რომელიღაც მგზავრმა შეჰკვივლა, მძღოლის უკან მჯდომმა მამაკაცმა კი მძღოლი შეანჯღრია:

— ჩაგეძინა, შე მობელქაღლო?

იმანაც, მუხრუჭს მთელი ძალით დააჭირა ფეხი და მანქანა ადგილს მიაღწერს... როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, პატრულიც მაშინვე გამოჩნდა და მკაცრი გამომეტყველების მქონე ღიპიანმა პოლიციელმა აპილბილებულ მძღოლს სპეციალური მონყობილობა პირთან მიუტანა:

— აბა, ჩაბერე!

ხალხი დარწმუნებული იყო, რომ მძღოლი მთვრალი იქნებოდა, მაგრამ ფხიზელი აღმოჩნდა.

— აბა, რატომ გაქვს ამღვრეული გამოხედვა, ნარკოტიკის მომხმარებელი ხარ, ხომ?! — კიდევ უფრო გაიმკაცრა ხმა პატრულმა.

— ნარკომანი კი არა, კაცი ვარ, ნორმალური, ჯანსაღი კაცი და ჩემნაირები კი არა, აი, იმის მსგავსები უნდა დაიჭიროთ და ისინიც, ვინც ამათ ქუჩაში უშვებს! — მოულოდნელად იყვირა მძღოლმა და თითი „მარშრუტის“ შუა ნაწილში მდგომი გოგონასკენ გაიშვირა, რომელიც ისე განაგრძობდა მობილურ ტელეფონზე ლაპარაკს, ვითომ არაფერი მომხდარიყო...


— ეგ რა შუაშია?! — დაიბნენ პოლიციელები და ვიდრე მძღოლი რაიმეს იტყოდა, სამოცს მიღწეულმა მამაკაცმა გვერდით მდგომ 10-12 წლის ბიჭს ნაშობარტყა თავში ხელი:

— დახუჭე თავლები, შე მამაძაღლო, წიგნზე რომ მიგმეტყრებია მასე მზერა, მეხუთე კლასში კი არ ჩარჩებოდი!..

მკაცრმა პატრულმა ბიჭის მზე-

რას გააყოლა თვალი და, მასაც ჩამოუვარდა ყბა: გოგოს ჩაჩაჩული შარვიდან უზრალოდ, საცვლის სათავე კი არ უჩანდა, არამედ ბოლომდე გამოუჩინა ტანგაც და შესაბამისად, „დაზაგრული“ დუნდულებიც... მის უკან მჯდომი ორი ახალგაზრდა კაცი კი ზუსტად ისეთივე მიზნედილი მზერით იხედებოდა, როგორც მძღოლი...

პოლიციელი სალონში ავიდა და თინეიჯერ გოგოს მკლავზე შეეხო.



მან გაკვირვებულმა მოხედა:

— რატომ ვდგავართ? — მიაძიტიურად ააფახულა წამწამები, მაგრამ პასუხს არც დაელოდა, ტელეფონით განაგრძო საუბარი: — კარგი, მგონი, რალაც მოხდა. ჩავალ და დანარჩენ მანძილს ფეხით გავივლი...

პოლიციელს ნერვებმა უმტყუნა:

— იქნებ ყურადღების ღირსად გამხადო! — წამოჭარხლდა სახეზე.

— რა ხდება?! — მხრები აიჩეჩა გოგომ.

— შარვალი ჩაგძვრა და შიშველი უკანალი გიჩანს!

— გოიმი! — აღშფოთდა თინეიჯერი, პოლიციელს ხელი ჰკრა და „მარშრუტკიდან“ ჩავიდა. თან, პატრულს მუშტი მოუღერა: — იცოდე, გიჩივლებ და სამსახურს დაგაკარგვინებ!..

— მევე?! — ამის თქმაღა მოახერხა პოლიციელმა, რომელსაც ასევე „დაღენჩებულმა“ ბიჭებმა ჰკრეს

ხელი, „მარშრუტკიდან“ ჩახტნენ და შიშველ გოგოს საბელნაჭერილი ხობივით ჩაუდგნენ კვალში...

12 წლის ბიჭმაც გაიწია, მაგრამ ბაბუამ არ გაუშვა, დროზე ნაავლო მხარში ხელი:

— მიგიყვან სახლში და გასწავლი ჭკუას!

— ჩემგან რა გინდა?! — აჯიჯღინდა ბიჭი.

— ან ჩემგან რა გინდათ?! — აპყვა მძღოლი. — დამადგა თავზე,

რადგან დასაჯდომი ადგილი არ იყო. ჯერ მუცელი მომაბჯინა ლოყაზე, მერე შეტრიალდა და ლამის ცხვირი ჩამაყოფინა დუნდულებში. გამექცა თვალი, დამეხვა თავბრუ და...

— გამოვუნეროთ ჯარიმა? — ჰკითხა გამხდარმა პატრულმა ღიპიანს.

— არა! — ჭირის ოფლი მოიწმინდა ამ უკანასკნელმა. — არაა დამნაშავე.

— აბა, ის გოგო დაგვეჯარიმებინა!

— არა გვაქვს უფლება, კანონით არაა აკრძალული უკანალის გამოჩენა...

— რას ამბობ, კაცო, შენ?! — განიწმამდა 12

წლის შვილიშვილის პატრონი. — დღისით-მზისით ასე შიშველი ჩემი ცოლი არ მყავს დანახული...

ამ დროს მოშორებთ ისევ გაისმა საბურავების ღრჭიალისა და მანქანების შეჯახების ხმა...

— ა, იქით წავიდა სწორედ ის პატრონიმკვდარი! — შიშველი გოგო გაახსენდა ვილაცას და პატრულმაც სასწრაფოდ, იქითკენ აილო გეზი...

მგზავრები სამარშრუტო ტაქსიში „ალაგდნენ“. მანამდე ვილაცამ ცივი მინერალური წყალი გაუნოდა ელდანაკრავ მძღოლს:

— ა, ჩემო ძამია, გეიგრილე გული და გონება, კიდო არ მოგენიო მარცხი...

მძღოლმა ერთი ყლუპით გაანახევრა ბოთლი და მარცხნივ ჩაუხვია ისე, რომ შემთხვევის ადგილისკენ აღარც გაუხედავს...



# ფაფასიანი გოგონას საიდუმლო და შეხვედრა ზაზა იაქაშვილთან

„მამა არ იცის, რას ვსაქმიანობ“

რუსთაველის გამზირზე, ენ. შხატერების გამოფენასთან მინისქვეშა გადასასვლელია, მასზე კი პატარა, ფაფასიანი გოგონა წამოსკუბებულა და სალამურზე გატაცებით უკრავს. წინ პატარა ქუდი უდევს, რომელშიც რკინის თასია მოთავსებული, მასში კი გამლელები ფულს დაუნანებლად ყრიან — ამ სურათის დანახვისას ცხადია, გოგონასთან გამოლაპარაკების სურვილი გამიჩნდა, მაგრამ ვიფიქრე: დაველოდები და როცა დაკვრას დაასრულებს, მერე მივალ-მეთქი. ამასობაში, მის ირგვლივ უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, მათ შორის ბევრი უცხოელი იყო. ისინი გოგონას სურათებს უღებდნენ, პოზირებას სთხოვდნენ და როგორც უნდა გაგიკვირდეთ, ხურდა ფულსაც დაუნანებლად უყრიდნენ ქუდში.

## ლიკა ქაჯაია

**გვანცა სამხარაძე** 19 წლის გახლავთ და როგორც თავად ამბობს, — ხუმრობით დაწყებული საქმე პროფესიად ექცა. გარდა სალამურზე დაკვრისა, ქარგვა, ხატვა ეხერხება და მისი ნახატები თურმე ისეთივე წარმატებით იყიდება, როგორი წარმატებული და შემოსავლიანიც ქუჩის მუსიკოსობა აღმოჩნდა.

— წარმოშობით იმერელი გახლავართ, მაგრამ საქართველოს ამ კუთხეში არასდროს მიცხოვრია — თბილისში დავიბადე და გავიზარდე. სკოლის დამთავრების შემდეგ მიხდოდა, თეატრალურ უნივერსიტეტში, სამსახიობო ფაკულტეტზე ჩამებარებინა, მაგრამ სამწუხაროდ, მშობლებმა ჩემი არჩევანი არ მოიწონეს და მამა დამემუქრა: იქ რომც ჩააბარო, სწავლის ქირას არ გადაგიხდი. ამას სჯობია, საბანკო საქმე ისწავლო. მის ამ შემოთავაზებზე უარი ვთქვი, — თუ იქ არ ჩავაბარებ, სადაც მინდა, მიჩვენია, საერთოდ არ ვისწავლო-მეთქი. ახლა, ვიდრე ოცნებას ავისრულებ, იმას ვაკეთებ, რისი ნიჭიც მაქვს.

— სალამურზე დაკვრას გულისხმობ?

— არა მარტო. მიუხედავად იმი-სა, რომ ჩემთვის ხატვა და ქარგვა არავის უსწავლებია, ორივე საქმე კარგად გამომდის. ეტყობა, ეს ნიჭი მემკვიდრეობით მერგო: დედა, ბიძაშვილ-მამიდაშვილები, პაპაჩემი, მისი მამა — ყველანი ხატავდნენ. დედას სამხატვრო აკადემია აქვს დამთავრებული. ის ხატავდა, მერე კი სურათებს აქ, მხატვრების გამოფენაზე ყიდდა. პატარაობიდან ვხატავ, მაგრამ ვერასდროს ვიფიქრებდი, ისეთ ტილოს თუ შევქმნიდი, რომელიც გაიყიდებოდა. ერთხელ


დედამ მთხოვა, — შეკვეთა მომცეს და ვერ ვასწრებ; მოდი, დამეხმარე და შენ დახატეო. ჩაუფუჯე, 2 დღე მთელი გულით ვხატავდი, არავინ მანუხებდა და ჩემდა გასაკვირად, სურათი ისეთი გამოვიდა, რომ არა მარტო შეკვეთის, არამედ სხვების მოწონებაც დაიმსახურა... მას მერე შეკვეთებს მეც მძღვევენ. რაც შეეხება დედას, ის უკვე მხოლოდ აქსესუარებზე მუშაობს, ნახატების შესრულება კი მე მომხანდა.

— საინტერესოა, ძირითადად, რის დახატვას გთხოვენ?

— ბუნების, ძველი თბილისის.

— ისეთი კლიენტო ხომ არ გყოლია, რომელმაც რაღაც განსაკუთრებულის დახატვა გთხოვა?

— ერთი ასეთი შემთხვევა მართლაც მქონდა. ვიღაც კაცმა მითხრა: ისეთი ადამიანის პორტრეტი უნდა დამიხატო, რომელიც ცხოვრებას ცალი თვლით ნათელ ფერებში ხედავს, მეორე თვლით კი ყველაფერი მუქად ეჩვენებაო. მართალია, მთლად ვერ მივხვდი, რა უნდოდა, მაგრამ რაღაც მაინც დავხატე და ძალიან გამიკვირდა, როცა იმ კაცმა ნახატი უყოყმანოდ იყიდა.



დედა მხოლოდ აქსესუარებზე მუშაობს, ნახატების შესრულება კი მე მომხანდა

— სალამურზე დაკვრა ვინ გასწავლა?

— 14 წლის ვიყავი, როცა გადავწყვიტე, პიონერთა სასახლეში, სალამურის დაკვრის შემსწავლელ კურსებზე დამეწყო სიარული. იქ მისულს პედაგოგმა მითხრა: გოგო ხარ და ჯობია, დაკვრა სხვა ინსტრუმენტზე ისწავლო, მაგრამ დავიჟინე და ორი გაკვეთილი ჩამიტარა, მერე კი სიარული თავად შევწყვიტე.

— რა მიზეზით?

— ვინაიდან პიონერთა სასახლე ჩემი სახლიდან შორს იყო, მშობლები მარტოს არ მიშვებდნენ და არც თავად მომეყვებოდნენ, ამის დრო არ ჰქონდათ. მოკლედ, ოცნება ვერ ავიხდინე.

— თუმცა, როგორც ჩანს, სალამურზე დაკვრა მაინც ისწავლე?

— მხოლოდ ერთი მელოდიის შესრულება ვიცოდი, რომელიც პედაგოგმა მასწავლა... ერთ დღეს, აქ დედასთან ვიყავი. აქვე სალამურებს, ქართულ სამოსს, ფაფასებს ყიდიან. გამყიდველმა იცოდა, ამ ინსტრუმენტის რაღაც რომ გამეგებოდა და მთხოვა: სალამურის კლიენტია, მაგრამ არჩევანს ვერ აკეთებს და მოდი, დამეხმარეო... როცა ჩავეტერე და ნოტები ავიღე, მითხრეს, — ბარემ დაუკარი, არ გაჩერდეთ. დაკვრამ ისე გამიტაცა, რომ ირგვლივ ვერავის ვამჩნევდი, თან მინისქვეშა გადასასვლელის კიბეზე ჩამოვჯექი. ჩემმა ბიძაშვილმა, რომელიც იქვე იყო, ხუმრობით ქუდი დამიგდო: ისე ზიხარ, ხურდას უყოყმანოდ ჩაგიყრიანო, სალამურის გამყიდველმა კი ფაფასიო ჩამომავხატა თავზე. დაკვრა რომ დავამთავრე, მერე შევნიშნე ჩემ წინ დადებული ქუდი, რომელიც ხურდა ფულით იყო სავსე.

— და მას მერე გადამწყვიტე ფული ამ გზით გეშოვა?

— კი, ქუჩის მუსიკოსობა პროფესიად გავიხადე და თან, რამდენიმე მელოდიის დაკვრაც დამოუკიდებლად ვისწავლე. ახლა ჩემი სალამურიც მაქვს და როცა მინდა, მამინ ვუკრავ. სხვათა შორის, ადრე ქუდებს ვერ ვიტანდი, ახლა კი ფაფასი ჩემს საყვარელ აქსესუარად იქცა.

— და მგონი, სწორედ ფაფასის წყალობით გახდი პოპულარული...

— გეტანხმებო. ყველას მოსწონს და მეუბნებიან: კარგი გოგო ხარ, ტრადიციას პატივს რომ





მომწონს, სალამურზე რომ უკრავს და აქ ვუზივარ, ვუსმენ ხოლმე

სცემო... სხვათა შორის, იმის გამო, რომ აქ ვზივარ, ბევრს უპატრონო მანანწალა, მათხოვარი ვგონივარ. მუშაობა ისე არ მღლის, როგორც აბეზარი ადამიანების დაუსრულებელი და უაზრო კითხვები: ასეთი რა გიჭირს? აქ რატომ ზიხარ? პატრონი არ გყავს?... სწორედ ასეთების გასაგონად მინდა ვთქვა: პატრონიც მყავს, სახლიც მაქვს და არც მშია. მე საკუთარი შრომით ვშოულობ ფულს, თან ვერთობი და სხვებისგან განსხვავებით, სასარგებლო საქმეს ვაკეთებ — ხალხს კარგ განწყობილებაზე ვაყენებ. ადრე იმას ველოდებოდი, როდის გაიყიდებოდა ჩემი ნახატები, ახლა კი ყოველდღიური შემოსავალი მაქვს და დედას აღარ ვანუხებ, — ფული მომეცი-მეთქი.

**უცხოელები სურათს გიღებენ, გაკვირდებიან. საინტერესოა, რომელიმე მათგანი თუ გამოგლპარაკებია, შენთვის რაიმე წინადადებით თუ მოუმართავს?**

— ერთხელ მოვიდა კაცი, რომელსაც თარჯიმანიც ახლდა. მან შემომთავაზა: საზღვარგარეთ შენს წასვლას მე დავაფინანსებ და იქ სამსახურსაც გიშოვი — ერთ-ერთ რესტორანში მოგანწყობ; შენი ნიჭის წყალობით, ბევრ ფულს იშოვი, საზღვარგარეთ მუსიკის ეს უანრი ძალიან მოსწონთ, მაგრამ თუ იქაური სიტუაცია არ მოგეწონება, სურვილის გამოთქმისთანავე, საქართველოში გამოგამგზავრებო. მე კი წავიდოდი, მაგრამ აბა, იქ ვინ გამიშვებდა?..

**დედამიშვილები გყავს?**

— ძმა მყავს, რომელიც ჩემზე უფროსია. ის თანამედროვე, თავისუფალი აზროვნების ადამიანია და ჩემს საქმიანობაშიც ცუდს ვერაფერს ხედავს. აი, მამამ კი არ იცის, რას ვსაქმიანობ. მას ჰგონია, რომ რუსთაველზე დედას სანახავად გამოვდივარ... სიმართლე რომ გაიგოს, არ ვიცი, რა მოხდება.

**მერე, ჟურნალში შენი ფოტო რომ ნახოს?**

— (მანკვეტინებს) ჟურნალებს არ კითხულობს და დარწმუნებული ვარ, ამ ქუდში ვერც მიცნობს.

**რამდენად შემოსავლიანია მხატვრის პროფესია?**

— ეს დამოკიდებულია თავად მხატვრის ბედ-იღბალზე. შეიძლება, პროფესიონალის ნამუშევარი თვეების მანძილზე არ გაიყიდოს... ზოგჯერ შეკვეთილი სურათის ყიდვაზეც კი უარს ამბობენ და მერე უნდა ელოდო, როდის გაიყიდება.

**კარგი, მაშინ კითხვას ასე დაგისვამ რომელი პროფესია უფრო შემოსავლიანია — ქუჩის მუსიკოსობა თუ მხატვრობა?**

— ქუჩის მუსიკოსობა! შენ წარმოიდგინე, აქ პირველად რომ დავეჯექი, 4 საათში 350 ლარი „გავჯექეთ“. მერე, როცა თვალი შემაჩვიეს, ჩემმა ყოველდღიურმა შემოსავალმაც იკლო და დღესდღეობით, დღეში 50 ლარს ვშოულობ.

**ეგ ცუდი თანხა ნამდვილად არ არის. ზოგი ზურგით ზიდავს ტვირთს, მაგრამ ამდენს 2 დღეშიც ვერ შოულობს.**

*საუბარი იქვე მდგარმა ე.წ. „ციგნის“ გოგონამ შეგვანყვეტინა:*

— ეჰ, მაგდენს რომ ვშოულობდე... აუფ, როგორი მდიდარი ვიქნებოდი!..

**შენ ვინ ხარ?**

— მარი ვარ, გვანცას მეგობარი. მომწონს, სალამურზე რომ უკრავს და აქ ვუზივარ, ვუსმენ ხოლმე.

**დაჯვრას ხომ არ სწავლობ?**

— მინდა, მაგრამ გვანცა მეუბნება, რომ ამას ბევრი დრო სჭირდება. სამაგიეროდ, როცა უკრავს, მეც ვყვები და ვლილინებ. როგორც გვანცა მეუბნება, ლილინი კარგად გამოიმღის.

**შენ რას საქმიანობ?**

*მარიმ გაიხედა-გამოიხედა, წამოწითლდა და ჩურჩულით მითხრა:*

— ვმათხოვრობ...  
— და ამის გრცხვენია?  
— კი!  
— მაშინ რატომ აკეთებ იმას, რაც არ მოგწონს?

— სხვა არაფერი მეხერხება, მე კი იძულებული ვარ, ფული ვიმოვო და მშობლებს დავეხმარო.

**გვანცა:**

— მარი ძალიან კარგი გოგოა, მუსიკა უყვარს და საოცრად ერთგულია...

**ქუჩაში, მით უმეტეს ღამით, ბევრი მიჯრალი დადის, შენ კი გვიანობამდე მუშაობ. საინტერესოა, ვინმეს საკუთარი თავისთვის ხომ არ მიუცია უფლება, შენთვის შეურაცხყოფა მოეყენებინა?**

— შეიძლება, ზოგი ფიქრობს, რომ რაკი ფულს ასე ვშოულობ, სხვა რამეზეც

ვარ ნამსვლელი, მაგრამ გამიცნობენ თუ არა, შთაბეჭდილება ეცვლება. მიჯრალები — არა, შეურაცხყოფას ძირითადად, ფიზიკური მანდილოსნები მაყენებენ. მწარედ მახსოვს: ერთხელ, ვიღაც ქალმა ჩაიარა და დამცინავი ტონით მითხრა: აქ რას ზიხარ, წადი, იმუშავეო. ჩემ ნაცვლად, სხვამ უბასუხა: დავიჯერო, დღეში იმის ნახევარს მაინც შოულობ, რასაც ეს გოგონა გამოიმუშავებს? მიდი, გაიარე, ეს ბავშვი ცუდს არაფერს აკეთებს და ნუ ანუხებო! მათ შორის ისეთი დიდილოგი გაიმართა, შემემინდა, არ ეჩხუბათ და იმ ადგილს გავეცალე... სხვათა შორის, ბევრი თაყვანისმცემელიც გამიჩნდა. მაგალითად, ერთმა დაიჟინა, ტელეფონის ნომერი მომეცითო. — არა მაქვს მეთქი, — მოვატყუე. 3 საათის შემდეგ ყუთით მობილური ტელეფონი მომიტანა და ქუდში ჩამიგდო. ერთმა კი საიდანლაც გაიგო, რომ „დოლჩე და გაბანას“ სუნამო მიყვარს და ისე დამიტოვა, ჩემთვის სიტყვაც არ უთქვამს. დღემდე არ ვიცი, ის ბიჭი ვინაა. უბრალოდ, ჩალო და წავიდა. მაგრამონობინა, რომ მიცნობს და მფასავს...

**— ბევრ შენს თანატოლს მიანი, რომ ამ ასაკში ფულის შოვნა ნაადრევია და ურჩევნია, დრო უქმად ფლანგოს. იმათი ცხოვრება შენსაზე უკეთესი ხომ არაა? ისინი ჰაერით თავისუფლები არიან, შენ კი დაკავებული ხარ...**



მოგჯერ შეკვეთილი სურათის ყიდვაზეც კი უარს ამბობენ და მერე უნდა ელოდო, როდის გაიყიდება

— მეც შემეძლო, სხვანაირი ცხოვრება ამერჩია, მაგრამ მინდოდა, ფული ნვალებით მეშოვა, მატერიალურად დამოუკიდებელი ვყოფილიყავი. ახლა კი იმის საშუალებაც მაქვს, რომ ოჯახს დავეხმარო, დედას გარკვეულ თანხას ვაძლევ ხოლმე.

**— შენ თუ ჩაგიგდია ქუჩის მუსიკოსებისთვის ფული?**

— მსგავსი რამ სწორედ დღეს მოხდა:



# მრავალშვილიანი ოჯახის პატარა „ვიკინგები“

## „თავს მდიდარ აღამიანად მივიჩნევ“

ირინა ვეფხვაძესა და ზაზა თაბორიძეს 6 შვილი ჰყავთ. როცა მათ ოჯახში მივედი, ეზო ბავშვებით იყო სავსე და გავიფიქრე, — ექვსი კი არა, მეტი ჰყოლიათ-მეთქი. დიასახლისმა თითქოს, ჩემი აზრები წაიკითხა და გაიცინა: ყველა ჩემი არ გგონოს, მეზობლის ბავშვები არიან. აქ ყოფნა და თამაში უყვართო. მერე კი გამიმხილა: ჯანმრთელობა რომ მიწყობდეს ხელს, პატარებს კიდევ გავაჩენდი, ექვსზე არ შევჩერდებოდიო.

### მარს ჭონივილი

— საჩხერის რაიონის სოფელ სავანიდან ვარ. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გოგებაშვილის სახელობის ინსტიტუტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე გავაგრძელე, მაგრამ პროფესიით არასდროს მიმუშავია — გავთხოვდი, შვილები გავაჩინე და ამისთვის არ მეცალა (იღიმის). ამჟამად 35 წლის ვარ და 6 შვილს ვზრდი.

### მომავალი მეუღლე როგორ გაიცანით?

— სტუდენტობის დროს საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი. იქვე, მეზობელ კორპუსში ზაზას მამიდას ჰქონდა ბინა და ძმისშვილი მასთან სმირად მოდიოდა. თავიდან ჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა, მერე კი ნაცნობობა სიყვარულში გადაიზარდა. მე და ზაზა გაცნობიდან 2 წლის შემდეგ დავოჯახდით.

### სტუდენტობისას ან მანამდე თუ გიფიქრიათ, რომ ოდესმე მრავალშვილიანი ოჯახის დიასახლისი გახდებოდით?

— ბევრი შვილის ყოლის სურვილი არასდროს მქონია, მეტიც: სხვაზე რომ მეტყოდნენ, ეს ქალი

მრავალშვილიანი დედააო, ვამბობდი: მეტი საქმე არ ჰქონდა-მეთქი?! პირველი გოგო — სალომე შემეძინა, შემდეგ ბიჭი — დავითი და, მესამის გაჩენას აღარც ვაპირებდი, მაგრამ... უფლის ნებით, დღესდღეობით მრავალშვილიანი დედა ვარ. დავითის შემდეგ ქეთევანი დაიბადა, მერე მარიამი, გიორგი და ნინო. სალომე უკვე მე-6 კლასის მოსწავლეა, პატარა ნინო კი წლინახევრის გახლავთ.

### ბავშვების მოვლაში ვინ გეხმარებათ?

— აქამდე მხოლოდ მეუღლე მეხმარებოდა, ახლა კი სალომე ნამოიზარდა და ცდილობს, მხარში ამომიდგეს, საქმეები შემიმსუბუქოს. მასთან პატარების დატოვება თავისუფლად შეიძლება. დარწმუნებული ვარ, უფროსი დაიკო და-ძმებს ყურადღებასა და მზრუნველობას არ მოაკლებს. სხვათა შორის, რამდენიმე ხნის წინ ავტობუსების კონტროლიორად დავიწყე მუშაობა. მართალია, ბავშვების განსაკუთრებით კი ნინოს (რომელიც მაშინ 4 თვის იყო) დატოვება გამიჭირდა, მაგრამ რადგანაც სამუშაო გამომიჩნდა, გადავწყვიტე, ეს შანსი ხე-

ერთი პატარა ბიჭი გიტარაზე უკრავდა. კარგა ხანი ვიდექი იქვე, ტელეფონზე ვლაპარაკობდი და თან, იმ პატარას ვაკვირდებოდი. მას არავინ ჩუქნიდა ფულს. პოდა, მის ადგილას საკუთარი თავი წარმოვიდგინე, ძალიან შემეცოდა, ჯიბე მოვიჩხრიკე და 10-ლარიანი ჩაფუტედი, მისი გაკვირვებული და გახარებული თვალები უნდა გენახათ, იმ ბიჭის სახე არასდროს დამავიწყდება. როცა სიკეთის გაცემების საშუალება გაქვს, ამაზე უარი არ უნდა თქვა. მერწმუნეთ, სიკეთის კეთება საოცრად სასიამოვნოა!

### სამსახიროზე აპირებ ჩაბარებას. საინტერესოა, რომელიმე მსახიობის ფანი ხომ არ ხარ?

— ზაზა იაქსვილიზე ვაფანატებ. სხვათა შორის, მის გაცნობაზე ვოცნებობდი და ეს სურვილიც ქუჩის მუსიკოსობის წყალობით ამიხდა: ერთხელ ვილაც სიმპათიურმა ბიჭმა ჩამოიარა. დაქალთან ერთად ვიყავი, კარგ ხასიათზე გახლდით და თითო ვანიშნე ქუდში ფული ჩააგდე-მეთქი. ახლოს რომ მოვიდა, მერე მივხვდი, ვინც იყო და ცუდად გავხდი.

### ფული გაჩუქებ?

— არა, არ ჩამიგდო (იციანის). რომ მოეცა, ალბათ, იმ ფულს არასდროს დავხარჯავდი. მისი ტელეფონის ნომერიც მაქვს, ვებმიაწვდი ხოლმე, მაგრამ ამ ბოლოს დროს იმდენად დაკავებულია, რომ მერიდება, ხელი არ შეუეშალო და აღარ ვანუხებ. სანამ გავიცნობდი, მეგონა, „გაუციინარი ხელმწიფე“, ძალიან სერიოზული ადამიანი იყო, მაგრამ რადიკალურად განსხვავებული, ლალი და ხუმარა ყოფილა.

### რაზე ოცნებობს პატარა ქუჩის მუსიკოსი?

— ერთი ოცნება მაქვს: ძალიან მინდა, ვიოლინოზე დაკვრა ვისწავლო და ეს ინსტრუმენტიც მქონდეს.

### ამ ოცნების ახდენა რთული არ უნდა იყოს...

— კი, მაგრამ ფულს საკუთარი სიამოვნებისთვის ვერ ვიშვებ — ახლა მშობლებს ბინის გარემონტებაში ვეხმარები და თან, სამისოდ დროც არ მაქვს: საოჯახო საქმეებს თითქმის სულ მე ვავაგრებ, უნივერსიტეტში ჩასაბარებლადაც უნდა მოვემზადო, ვხატავ და თან, აქაც ვმუშაობ.

### საინტერესოა, ამ ოცნების ახდენაზე რატომ არ იზრუნე მაშინ, როცა მეტი თავისუფალი დრო გქონდა?

— მაშინ მატერიალურად დამოუკიდებელი არ ვიყავი და მშობლებს ვერ ვთხოვდი, დამაფინანსეთ-მეთქი, მათ კისერზე მძიმე ტვირთად ვერ დავანებებოდი. ახლა კი, როცა საკუთარი ფული მაქვს, ოცნების ახდენა მართლაც შესაძლებელია!..



დარწმუნებული ვარ, უფროსი დაიკო და-ძმებს ყურადღებასა და მზრუნველობას არ მოაკლებს





პაგარა ნინო  
წლინახევრისაა



ში 348 ლარია, მაგრამ ბინის ქირაში 200 ლარს ვიხდით, კომუნალური გადასახადიც ხომ უნდა გადავიხადოთ და თავის გასატანად ფული აღარ გვრჩება; რამდენჯერმე გადასახადებზე ვერ დავფარეთ და თვეობით სიბნელეში ვიყავით... ერთი პერიოდი, ფონდმა „იანანამ“ „პოპულის“ აქციაში ჩაგვსვა და ამ მაღაზიიდან პროდუქტი მოგვეკონდა. ახლა სასადილოში გაგვაფორმეს, საიდანაც პური და საკვები მოგვაქვს. შინ მოტანილ კერძს ცოტა წყალს, მარილს და ტომატს ვუმატებ, ყველას რომ გვეყოს. რაც შეეხება ტანსაცმელს, ძირითადად, ბიძაშვილები გვეხმარებიან. სხვათა შორის, ქალბატონმა სანდრამაც გაგვინია დახმარება — წელიწად-ნახევრის განმავლობაში ბინის ქირას გვიხდიდა, ბავშვებს საკვებით, პამპერსით უზრუნველყოფდა. საახალწლოდ პატარები ბათუმში წაიყვანა... ბათუმში წასასვლელი კი არა, ზოგჯერ იმის საშუალებაც არა გვაქვს, რომ შვილები გარეთ გავიყვანოთ. ერთ დღეს ბავშვი სურათის გადასაღებად წავიყვანე, ბალისთვის გვინდოდა. ავტობუსში რომ ავედით, ისე შეეშინდა, მთელი გზა ტიროდა... ძნელია, როცა ოჯახს, მით უმეტეს — მ-სულიანს მუდმივი შემოსავალი არა აქვს და მხოლოდ დახმარების იმედადა.

**— თქვენთვის ყველაზე დიდი პრობლემა ბინის უქონლობაა, არა?**

— დიახ. სახლი რომ გვეკონდეს, ასე აღარ გაგვიჭირდებოდა. ხშირად გვიწევს ბინის გამოცვლა: ხან თვითონ პატრონი გვატოვებინებს, ხანაც — ცუდი პირობების გამო თავად მივდივართ. ეს სახლი რომ ვიქირავეთ, მიხაროდა: ეზოა და ბავშვები ითამაშებენ-მეთქი, მაგრამ აქ საშინელი სიტუაციაა — ძველი კანალიზაციაა, რომელიც სახლის მახლობლად გადის და თითქმის ყველა სიბინძურე ეზოში შემოდის. ამას გარდა, ეზოში რა აღარ დაძვრება და მეშინია, ბავშვები არაფერმა შემოშინოს. სახლში კედლები სულ ნესტიანია, იატაკიც ჩავარდა. მინდოდა, საცხოვრებელი გამომეცვალა, მაგრამ 6-ბავშვიან ოჯახს ბინაშიც არავინ გვიშვებს — ეშინიათ, ყველაფერს გაგვიფუჭებენო. სხვათა შორის, ბინის ხშირი ცვლა სოციალურ დახმარებაზეც ცუდად აისახება: მისამართს რომ იცვლი, აგენტი თავიდან უნდა მოვიდეს, რეგ-

ლიდან არ გამეშვა. სახლიდან თითქმის მთელი დღე გასული ვიყავი და საოჯახო საქმეები ცხადია, სალომეს გადავებარე; მეუღლეს ყველაფერში მიწყობდა ხელს. ჩემი ხელფასის წყალობით, ცოტა ამოვისუნთქეთ, ბევრი პრობლემა მოვაგვარეთ და რაც მთავარია, ბავშვები საკვებით უზრუნველყოფილნი იყვნენ, მაგრამ ცუდი ის გახლდათ, რომ სალომეს სკოლის გაცდენა რამდენჯერმე მოუხდა — დილით, ბავშვების მოვლა-პატრონობაში გართულს, სკოლაში წასვლა აგვიანდებოდა და ამის გამო აღარც მიდიოდა ხოლმე...

**— მუშაობას თავი ამიტომაც დაანებეთ?**

— არა, ძირითადი მიზეზი სულ სხვა რამ იყო: ჩემი ოჯახი სოციალურად დაუცველია. წესით, ბინა მეკუთვნიან, რომელსაც მერია სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის აშენებს. 2007 წელს განაცხადი მეც შევიტანე და დამპირდნენ, რომ ბინას აუცილებლად მომცემდნენ, მაგრამ მას მერე, რაც მუშაობა დავინწყე, სოციალურად დაუცველი ოჯახების სიიდან ამომშალეს და ცხადია, ასე ბინასაც დავკარგავდი. ჰოდა, ამიტომაც გადავწყვიტე, მუშაობისთვის თავი დამენებებინა. მართალია, ჩემს ოჯახს დამატებითი შემოსავალი ძალიან სჭირდება, მაგრამ ბინის გარეშე დარჩენას ვობია, ცოტა გავიჭირვოთ... როცა გავთხოვდი, მეუღლეს ბინა ფონიჭალაში ჰქონდა, მაგრამ მამამთილის ავადმყოფობის გამო გავყიდეთ და მას შემდეგ ქირით ვცხოვრობთ.

**— თქვენ მეუღლე რას საქმიანობს?**

— ადრე მუშაობდა, მაგრამ ახლა უმუშევარია. ხელობა აქვს და თუკი საქმე გამოუჩნდება, სიხარულით მიდის, მაგრამ კლიენტები იშვიათად ურეკავენ. ჩვენი შემოსავალი თვე-

ისტრაცია რომ გაიარო, თავიდან დარეგისტრირებას კი სამი თვე მაინც სჭირდება... გული მწყდება, რომ ლარიბად მოვისხსენიები. მე შეიძლება, დღეს ძალიან მიჭირდეს, პურის ფულიც არ მექონდეს, მაგრამ თავს მაინც, ყველაზე მდიდარ ადამიანად მივიჩნევ — ექვს შვილს ვზრდი და ამით ძალიან ვამაყოფ, ამით ვარ მდიდარი.

**— შვილებზე მომიყვით რამე...**

— კარგი და ჭკვიანი ბავშვები არიან, ერთმანეთზე ზრუნავენ. ღმერთის მადლობელი ვარ, რომ ჯანმრთელები არიან. არ იციან, წამალი რა არის. ექიმთან მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმყავს, აცრა თუ უნევთ. ჩემს პატარებს ვიკინგებს ვეძახი... თუმცა, ზამთრის მოახლოებას მაინც შიშით ველოდები, რადგან არ ვიცი, რით უნდა გავათბო ბავშვები. შარშან ვმუშაობდი და თავს უფლება მივეცი, გაზის გამათბობელი გამოგვეყენებინა, მაგრამ ახლა ამას ვერ შევძლებთ. ცოტა ხნის წინ გამგეობაში შევიტანე განცხადება: იქნებ შეშით დამეხმაროთ-მეთქი და იმედაა, ამ თხოვნას დააკმაყოფილებენ.

*P.S. ირინას შვილები მთელი იმ დროის მანძილზე, რაც ინტერვიუს ვწერდი, გასუსულები გვისმენდნენ. როცა დიასახლისს ვემშვიდობებოდი, სალომემ დედას უთხრა: მე ხომ დიზაინერობა მინდოდა, მაგრამ ახლა გადავიფიქრე — ჟურნალისტი უნდა გავხდეთ!*



ჩემს პაგარებს ვიკინგებს ვეძახი...



# სიყვარულის გამო გადაკეთებული გვარი და გასადებული საპატარძლო

ლიკა ქავაია

## რუხიერი (GREEN):

„რამდენიმე კვირის წინ რუხიერკაში — „თინეიჯერული პონტები“ გქონდათ თემა: „გვარის გამო დასწრებული სასიძო-საპატარძლოები“. მაშინ მოსაყოლი არაფერი მქონდა, მაგრამ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში დატრიალებულმა ამბებმა, რომელიც დარწმუნებული ვარ, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, საზოგადოებისთვის განხილვის მთავარი თემა იქნება, გამიჩინა სურვილი, თქვენთვისაც მომეყოლა კახეთში დატრიალებული ორი ძალიან უცნაური ამბავი.

ბებოსგან გადმოცემით ვიცი, რომ 90-იან წლებში, როცა განქორწინება და საერთოდ, განათხოვარი ქალის იარაღი თითქმის სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო, ლიას თამაში ნაბიჯი გადაუდგამს და შვილი კანონიერი ქორწინების გარეშე, „ერთი ღამის“ ურთიერთობის შედეგად გაუჩენია. „ყველა მას ვჭორავდით და ვაქილიკვდით. მან განირა თავი და უცოდველი ბავშვი იმისათვის, რომ „თითით საჩვენებელი“ გამხდარიყო“, — საოცარი სიმკაცრით დასძენდა ხოლმე ჩემი მოხუცი... გავიდა წლები. ტასო წამოიზარდა, ლია მატერიალურად წელში გაიმართა, შვილი ყველაფრით უზრუნველყო, განათლების მიღებაშიც შეუწყო ხელი... ხალხი, რომელიც საკუთარი „კარგის“ წარმოჩენასა და უპირატესობის გამოუმუყურებს ლიას „ცოდვილი ცხოვრების“ გამოამკარავებით ცდილობდა, ახლა მის მესობზე იქცა. ბოზი ქალის სტატუსი პატივსაცემმა ლედომ შეცვალა და ცხოვრებაც თითქოს თავის კალაპოტში ჩადგა... ეს ყველაფერი იმიტომ გიამბეთ, რომ წარმოადგენს შეგქმნოდათ, თუ როგორ დაჰყოფინებდა ერთადერთი ქალიშვილის რეპუტაციასა და მომავალ შვილზე მართლაც რომ გადამკვდარი ქალი. ის 24 საათის განმავლობაში მუშაობდა და თან, შვილს უვლიდა, აკონტროლებდა, ასწავლიდა... ერთ მშვენიერ დღეს კი, როცა უკვე 20 წლის იყო, ტასო სახლში „ბოიფრენდთან“ ერთად მივიდა და დედას გამოუცხადა: — როგორც შენ გამაჩინე ვილაც უცნობისაგან, აი, მეც ზუსტად შენაირად, ორსულად ვარ, ოღონდ გათხოვებას არ ვაპირებო! დედის გაცეცხლებულ მზერასა და

ყვირილს კი მოკლედ უპასუხა: — არ დაგავინწყდეს, კვიცი ყოველთვის გვარზე ხტისო...

ლიას სხვებისთვის არაერთხელ უთქვამს: ტასოში იმხელა ფული დავაბანდე და იმდენად დიდ „ინვესტიციად“ მიმაჩნია, სულ რომ ქვით მიდღტონს დაეგრეს ოჯახი და პრინციპითხოვოს მისი ხელი, ცოლად მაინც არ გავატანო. შვილისთვის წარმოუდგენლად ბევრი უნდოდა. სიძედ ისეთ პრინციპს იცნებოდა, რომლის მსგავსებიც არ არსებობენ... კაცი კი, რომლისგანაც მისი შვილი ფეხმძიმედ იყო, ცოლის მოყვანას არ აპირებდა. მან



მომავალ პოტენციურ სიდედრს ამაყად გამოუცხადა: ქორწინება ჩემს გემბებში არ შედისო!..

„მე კარგად ვიცი, რას ნიშნავს იყო მარტოხელა დედა საქართველოში! მე კარგად ვიცი, რას ნიშნავს, როცა 100 კაციდან 99 შენ გჭორავს, როცა თითს ყველა შენკენ იშვერს და ჰგონიათ, რომ ადვილად მოსაპოვებელი ქალი ხარ; როცა იცი, რომ თუ ძლიერი არ იქნები, შენს შვილს საშუალოდ ააკრავენ ნაბიჭურის იარაღის“, — ამბობდა ლია. მას არ უნდოდა, მის შვილსაც ცხოვრების ისეთი გზა გაეფლო, როგორიც თავად განვლო, რომ ტასოს ის ტკივილი ეგრძნო, რომლისგან გათავისუფლებაც თავად დიდი ძალისხმევის შედეგად შეძლო... ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ტასო გარიგებით თათარ (მათი სანინააღმდეგო არაფერი მაქვს...), კოჭლ, სრულიად არამესაფერის კაცს გაჰყვა ცოლად. ტასოს და ლიას, რომელთათვისაც ყველა სოფლე-

ლი კაცი ცინგილიან და გამოსაყენებელ „მასალად“ აღიქმებოდა (არაერთხელ დაინუნეს ბიჭი მხოლოდ მისი მატერიალური მდგომარეობის, წარმომავლობის, გვარის გამო), ცალფეხა თათარიც სანატრელი გაუხდათ. ამით იმის თემა მინდა, რომ ადამიანმა ბედნიერების შანსი მხოლოდ ბიჭის (ან გოგოს) სოციალური სტატუსის, ეროვნების გამო არ უნდა გაუშვა ხელიდან.

## ამბავი მეორე

ჩემი მეზობელი ევა საკუთარ ბედნიერებაზე უარს მხოლოდ იმიტომ ამბობდა, რომ მისი რჩეული სომეხი იყო... მათ ერთმანეთი სოციალური ქსელის დახმარებით გაიცნეს (არც ერთი მათგანი თინეიჯერობის ასაკში აღარ იყო, მაგრამ მაინც...), შეხვდნენ, ერთურთი მოენონათ, მერე კი ოჯახებით მივიდ-მოვიდნენ ერთმანეთთან... ერთხელ, ასეთი „ოჯახური“ ვახშმის დროს საპატარძლოს ოჯახი სასიძოს გვარით დანტერესდა და... არა, შვილს ვერ გაატანთ! — მტკიცედ გადაწყვიტა ევას ოჯახმა! მათ უარი თქვეს ქორწინებაზე, შვილის ბედნიერებაზე, მომავალ პატარებზე და რაც მთავარია, იმ მოვლენაზე, რომელსაც ევა 38 წელი ელოდა! ქორწინლი ჩამალეს იმიტომ, რომ სასიძო სომეხი, გვარად პოგოლოვი აღმოჩნდა. ის „შავია“, ჩვენ კი „თეთრები“ ვართ; ის „მარსიდანაა“, ჩვენ „დედამინაზე“ ვცხოვრობთ, — ფიქრობდნენ ისინი. და იცით, შემდეგ რა მოხდა? კაცმა გვარი გადაიკეთა და გოგოტიშვილად იქცა! წამებში გახდა ქართველი, „შეცვალა“ სისხლი, ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები... ძირძველი, პატრიოტი, „კარენი“ ქართლელი გოგოტიშვილი გახდა, ეს გვარი კი მისაღები აღმოჩნდა ევასა და მისი ოჯახისთვის...

არ მესმის, რა მნიშვნელობა ჰქონდა ევას ოჯახისათვის სასიძოს გვარს, თუ ის ისევ „მარსიდან“ ჩამოსული იქნებოდა და „ზედსიძედ“ ჩამოსახლებოდა „დედამინაზე“? არ მესმის და მომკალით, ვერც ვერასოდეს გავიგებ, რატომ ვართ ქართველები ასეთი „ზიზილო“ ერი, რატომ არ შეგვიძლია ბედნიერებით ტკობა, რატომ ვეძებთ ყოველთვის ნუნუნის მიზეზს, რატომ ვეძებთ ჭირს, პრობლემებს, ტკივილს?... ჰო, გვინდა გვტკიოდეს იმიტომ, რომ ვეცოდებოდეთ; ვეცოდებოდეთ იმიტომ, რომ ვილაცაზე ან რაღაცაზე გავიმარჯვოთ! და უამრავ „გამარჯვებულს“ შემიძლია ვუთხრა მე, მარად დამარცხებულმა, რომ მეცოდებით! მთელი არსებით მეცოდებით ერთი ძალიან მარტივი მიზეზის გამო: კეთილი ვარ და ყველას გამარჯვება მიხარია! ■





# თავისუფლების გემო და იძულებით გათხოვილი

## აკითხვალი:

„გამარჯობა. მინდა, ჩემი ამბავი მოგიყვებო, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ანონიმურობა დაცული იქნება. აქ თინეიჯერები საკუთარ პრობლემებზე წერენ, რათა ტკივილი სხვებს გაუზიარონ ან უბრალოდ, სხვებისგან რჩევა მიიღონ, მე კი ეს ნამდვილად არ მჭირდება. უბრალოდ, მინტერესებს, ჩემს ცხოვრებაზე როგორი წარმოდგენა შეგექმნება... 23 წლის ვარ. უკვე ოჯახი მაქვს და პატარაც მყავს.“

მე და ჩემს მეუღლეს ქორწინებამდე გვქონდა ურთიერთობა და ერთ დღეს აღმოვაჩინე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. „ლოვეს“ მართლა ვუყვარდი და ცხადია, ამ ამბავმა ძალიან გაახარა, სიხარულისგან დაფრინავდა, აი, მე კი თავისუფლებასთან განშორება არ მინდოდა და გადავწყვიტე, აბორტი გამეკეთებინა (ამის აღიარების ძალიან მრცხვენია, მაგრამ ასე იყო). ეს შეყვარებულს რომ ვუთხარი, ლამის გაგიყვდა, მართლა ძალიან გამიბრაზდა და... 2 დღის შემდეგ ცოლად გავყვე. ახლა ბედნიერი ვარ. მყავს არაჩვეულებრივი ქმარი, რომელიც თვალეში შემომცინებს და პატარა ანგელოზი. ეს მესიჯი იმიტომ მოგწერეთ, რომ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად მესმის ასეთი ფრაზები: ჩემმა შეყვარებულმა რომ გაიგო, ორსულად ვიყავი, მიმატოვა და მერე იწყება კაცების ლანძღვა-გინება, ყველას ერთ ქვაბში ყრიან და ხარშავენ. არ ვიცი, სხვები რას ფიქრობთ, მაგრამ მერწმუნეთ, ამქვეყნად ჩემი მეუღლისნაირი ღირსეული ადამიანებიც არიან... მაგრამ იქნებ, მხოლოდ მე გამიმართლა?..

**P.S.** ისე, გოგონებო, მართალია, კარგი ოჯახი ღვთის ნებაა, მაგრამ მაინც, სანამ რაიმეს გადაწყვეტთ, კარგად დაფიქრდით. მერწმუნეთ, თავისუფლებას მაინც სულ სხვა მულამი და გემო აქვს. პატივისცემით“.

# „მან ჯვრისწარის დღეს მივატოვა“

## ნანუში 20:

„სალამი. ამ „ესემესს“ ვწერ და მერწმუნეთ, თან ვტირი. საშინლად შეურაცხყოფილი, დამცირებული, გულმოკლული ვარ. ჩემი ტკივილის სიტყვებით ვაღმოცემა ძალიან მიჭირს, მაგრამ შევეცდები, ყველაფერი დალაგებით გაიმბოთ. ჩემო კარგებო, თქვენი რჩევა სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დამეხმარება, ეს ყველაფერი ჰაერით მჭირდება.“

მე და ლევანი 6 თვის განმავლობაში, „ლოვეები“ ვიყავით. ერთად ვცხოვრობდით, ერთად ვანცობდით მომავლის გეგმებს და ერთმანეთი უზომოდ გვიყვარდა, მაგრამ... ერთ გოგოზე ძალიან ვეჭვიანობდი. საქმე ისაა, რომ საკმარისი იყო, ლევანს ის ენახა ან მის შესახებ რაიმე გაეგო, რომ ჭკუიდან იშლებოდა, უმართავი, აგრესიული ხდებოდა. სიმართლე გითხრათ, მის გამო ძალიან არ ვწერე ულობდი, რადგანაც ოჯახი ჰყავდა და მეგობრები, ზედმეტს ვერ გაბედავდა; თან, მასზე ნორმალური შთაბეჭდილება მქონდა, მაგრამ ბრჭყალები მალევე გამოაჩინა. ჯერ იყო და, თურმე ქმარს გაშორდა, ოქროსულობაც თან წაიღო, მერე დედამთილს ბაიტი აყიდვინა, ქმარი ხომ საერთოდ, დამონებული ჰყავდა... ამასობაში გავიგე, რომ ლევანისგან პატარას ველოდებოდი. ამ ამბავმა მეც და ჩემი სიყვარულიც უზომოდ გაგვახარა და პატარის ხათრით, ჯვრისწერის დღეც დავთქვით, მაგრამ დაოჯახება არ გვედირსა: ლევანმა ზუსტად ჯვრისწერის დღეს, უკვე ეკლესიაში მისული მიმატოვა. როგორც მოგვიანებით გავიგე; ეს იმიტომ გააკეთა, რომ იმ გოგომ დაურეკა და უთხრა: ნანა მიატოვე, შენთან ერთად მინდა ვიცხოვრო... ვერაფრით ამიხსნია იმ გოგოს საქციელი. ვიცი, ის ამ მესიჯს ნაიკითხავს და (შეგნებულად არ ვწერ მის სახელსა და გვარს) მინდა იცოდეს: ეს ყველაფერი უფალმა რომ აპატიოს, მე ვერ ვაპატიებ! სხვათა შორის, ლევანი ახლა პატიებას მთხოვს და ვგრძნობ, ჩადენილს გულით ნანობს. თქვენ რას მიწერეთ, უნდა შევურიგდე? **P.S.** ჰო, მართლა, სულ რამდენიმე დღის წინ გავიგე, რომ იმ გოგოს ვიღაც იტალიელისგან შეილი ჰყოლია. ისე, ეს ამბავი მე კი არა, მისმა ყოფილმა ქმარმაც პირველად ახლახან გაიგო. ჰო, ახლა თურმე, ვიღაც ბიზნესმენს ხვდება. მოკლედ, ეს გოგო ყველას ატუტუტებს, კაცები კი მაინც, მზად არიან, ფეხები დაუკოცონ. მგონი, მამრებმა ღირსების გრძნობა სულ დაკარგეს!“

# „შეიძლება ცხოვრება“

## თვითაქვალაობით დავასრულო“

### უცნობი:

„მე ახალი ვარ და უკვე თქვენი დახმარება მჭირდება. რამდენიმე თვის წინ ჩემი საუკეთესო დაქალი ბიძაშვილს გავაცანი. ერთმანეთი პირველი ნახვისთანავე მოეწონათ. სიმართლე გითხრათ, მათი ერთად ყოფნისთვის მეც ბევრი ვიპატიურე და მიზანსაც მივალწიე. მარი და თოკო თითქმის 3 თვის მანძილზე, ძალიან ბედნიერები იყვნენ, შემდეგ კი თოკო ძალიან შეიცვალა — „ლოვეს“ ყურადღებას აღარ აქცევდა, სულ ეჩხუბებოდა და ერთხელ, ხელითაც კი შეეხო. ამის გამო ბიძაშვილს დიდხანს არ ველაპარაკებოდი. მას ჩემზე ადრე, მარი შეურიგდა — არ ვიცი, რა დაემართა, მაგრამ თოკოსთან მივიდა და სთხოვა, შეერიგდეთო. ჰოდა, ისიც შეურიგდა და როდესაც მეგონა, რომ მათ შორის ყველაფერი მოგვარდა, შემთხვევით, თოკოსა და მისი მეგობრის ლაპარაკს მოვკარი ყური. ჩემი ბიძაშვილი ამბობდა: მარისთან ერთი-ორჯერ დავნვები და მერე, თავიდან მოვიშორებო. ამაზე ძალიან გავბრაზდი და თოკოს სერიოზულად ვჩხუბე. ახლა არ ვიცი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რადგან რამდენიმე დღის წინ, როცა მარის თორნიკესთან დაშორებაზე ჩამოვუგდე სიტყვა, მეგობარმა მითხრა: თუ შენი ბიძაშვილი მიმატოვებს, თავს არ ვიცოცხლებო. თოკოს ამ თემაზე ყოველდღე ველაპარაკები და ჩვენი ურთიერთობაც ყოველთვის ჩხუბით მთავრდება. ახლა თქვენი რჩევა ძალიან მჭირდება. მითხრით, როგორ გავუმსილო მეგობარს, რომ თოკოს მასთან მხოლოდ გართობა სურს? მეშინია, თავს მართლა არ აუტყუოს რამე, არადა, ვერც იმას დავუშვებ, რომ თორნიკემ გამოიყენოს და მერე მიაგდოს. ასე რომ მოხდეს, ამას საკუთარ თავს ვერასდროს ვაპატიებ და შეიძლება, მარამ კი არა, ცხოვრება თვითმკვლელობით მე დავასრულო. მგზავნებო, გათხოვ, ჩემთვის რჩევის მოცემა არ დაგეზაროთ. წინასწარ გიხდით მადლობას. **P.S.** განსაკუთრებით, ლუნას და რუისპირის მოსაზრება მინტერესებს“.

*P.S. მაშ ასე, თუ ნანუში 20-ისა და უცნობის წერილის ნაკითხვის შემდეგ მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 5.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.*



# წერილი ციხიდან

აიო:

„სალამი „სვაბოდაზე“ მყოფებს. მე ციხიდან გეხმეობებით. მართალია, მობილური არა მაქვს, მაგრამ ახლობლებს ხელით ნაწერი მივანოდებ და ვთხოვე, ჩემი წერილი თქვენთვის მესიჯებად გამოგზავნათ. ციხეში ვზივარ, მაგრამ კაცი არ მომიკლავს, არც ქალი შემიცდენია და არც არავისთვის „მიპოვდია“. იცით, აქ რისთვის მაყურყუტებენ? — პლანის მონევისთვის. თუმცა, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის კი არა, მისი გადაზიდვა-გასაღებისთვის გამასამართლეს — სამეგრელოდან ჩამომქონდა მწვანე ფოთლები და დამიჭირეს. ეტყობა, „ახლობლებმა“ ჩამიშვეს, თორემ ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ჰოდა, მინდა, იმ „ახლობლებს“ მივმართო: ადრე თუ გვიან, ყველას მოგვზღვებთ სამაგიერო!..

ახლა, რაც შეეხება იმ ძირითად მიზეზს, რის გამოც თქვენთვის მესიჯის მონერა განვიზრახე: ჩვენამდე „გზაც“ აღწევს და სხვა ჟურნალებიც. ძალიან მომწონს თქვენი რუბრიკა და ის, რომ მოზარდებს რჩევებს აძლევთ — ეს ნამდვილად სასარგებლო საქმეა. ვიდრე აქ მოვხვდებოდი, ერთი გოგო მიყვარდა, რომელიც ზედაც არ მიყურებდა, მას შემდეგ კი, რაც ციხეში ამოყვავი თავი, მესიჯს მესიჯზე მწერდა (სანამ მობილური და კაი ცხოვრება გექონდა). ახლა კი გამუდმებით ციხის კართან დგას და თუ შემოსვლის უფლებას არ აძლევენ, შორიდან, კედლის მეორე მხრიდან მიგზავნის ჰაეროვან კოცნას. მერე რა, რომ ამ ყველაფერს ვერ ვხედავ, იცის, რომ ეს ინფორმაცია რაღაც გზით, ჩემამდე მოვა... თურმე, ერთი სული აქვს, როდის გამოვალ. ვერ ვხვდები, ამ გოგოს რა ეტაკა, მაგრამ ფაქტია, პატიოსანი ბიჭი არ მოვწონდი, კრიმინალი კი შევუყვარდი... ჰოდა, მინდა, „გზის“ მეშვეობით მივმართო: თავი დამანებე, ხალხის სასაცილო ნუ გახდები. გირჩევ, არ დამელოდო და ოჯახის შექმნაზე იფიქრო. არ მინდა, ქალი ვანამო და გთხოვ, ნუ გახდები წამებულები. მე აქ კიდევ რამდენიმე წელი მომიწევს ყოფნა და როცა გამოვალ, არ ვიცი, რა ჭკუაზე ვიქნები. თანაც, უკვე აღარ მომწონსარ“.

# სიბელობა და თმის გადანერგვა

თემა, რომელზე ლაპარაკსაც ცნობილი გაურბიან

თმის ცვენა და სიმ-ელოტე კაცობრიობის პრობლემა იყო საუკუნეების მანძილზე და ცხადია, ის ბევრ ცნობილ ადამიანსაც აწუხებდა. უთმობით გამოწვეული კომპლექსების დაძლევა ხალხი ათასგვარი საშუალებით ცდილობდა — ზოგი პარიკს ატარებდა, ზოგიც თავის გვერდითი ან უკანა ნაწილიდან გადმოზრდილი ქოჩრით ცდილობდა პრიალა ადგილის დაფარვას და ა.შ. დღესდღეობით გალამაზების უამრავ საშუალებას შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი — აუტოტრანსპლანტაცია, იგივე — თმის გადანერგვაა. სამწუხაროდ, ბოლო დროს, მამაკაცების გარდა, მსგავსი პრობლემა ქალებსაც აწუხებს, ამის გამომწვევი მიზეზები კი სხვადასხვაგვარია და მისი შეჩერება, სპეციალისტების აზრით — შეუძლებელი.



## თემა დადებული

თმის გადანერგვის 3 მეთოდი არსებობს: **FUT** — ფოლიკულური გაერთიანების ტრანსპლანტაცია; **FUE** — ფოლიკულური გაერთიანებების ექსტრაქცია და **BHT** — როდესაც გრაფტებს სხეულის სხვა თმის ნაწილებიდან იღებენ. 2-დან 7 ათასამდე ლერი გრაფტი (თმის ძირის შემცველი ქსოვილი, რომელიც ერთი ან რამდენიმე ლერი თმისგან შედგება) სასურველ ადგილას ინერგება; რაოდენობა სიმელოტის ხარისხზეა დამოკიდებული.

აუტოტრანსპლანტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ექიმი-ქირურგი **მამუკა პაღალაძე** გვესაუბრება:

— ცნობილია, რომ გაცვენილი თმის აღდგენა მხოლოდ გადანერგვითა შესაძლებელია. არანაირი მედიკამენტოზური საშუალება, მკურნალობა, მალამო ან სხვა ნივთიერება თმის ამოყვანას ვერ უზრუნველყოფს. აუტოტრანსპლანტაციას მსოფლიოში დაახლოებით XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მიმართავენ, მაგრამ ბოლო 5 წლის განმავლობაში ეს დარგი სწრაფად

განვითარდა — ადამიანს თითქმის ვერ შეატყობ, თმა გადანერგილი რომ აქვს. ასეთი თმა ჩვეულებრივად ამოსდის, იჭრი და არ ცვივა. ამოპუტვის ან გადაპარსვის შემთხვევაშიც კი ამოვა ანუ მუდმივია. ბუდობრივი თმის ცვენის დროს გადანერგვას აზრი არა აქვს: გაცვენილ ადგილას თმის ფოლიკული არის, მაგრამ არ იზრდება...

— გადანერგვის პროცედურას რა დრო სჭირდება?

— იმ კლინიკაში, სადაც ვმუშაობ, ისეთი მეთოდები შევიმუშავეთ, რომ 2-3 საათი სრულიად საკმარისია. 20 წუთის მანძილზე პაციენტი მუცელზე წევს, კეფიდან თმას ვუღებთ, მერე სავარძელზე დაჯდება და შეუძლია, ტელევიზორსაც უყუროს, ჩვენ კი საქმეს გავაკეთებთ. ამ პროცედურაში 10 ასისტენტი მონაწილეობს. საშუალოდ, 2 ათასი გრაფტის გადანერგვას, რასაც უტხოურ, მაგალითად, აშშ-ის კლინიკებში მინიმუმ, 5-6 საათს ანდომებენ, ჩვენ 2 საათში ვაკეთებთ.

— ასეთი რა მეთოდი შეიმუშავეთ?

— გრაფტების დამუშავების





განსხვავებული ტექნოლოგია, კომპიუტერული დიაგნოსტიკა და ა.შ. ტრანსპლანტაციის დროს თმას ისე ვიღებთ, რომ სისხლის დანაკარგი ფაქტობრივად, არ გვაქვს.

— აუტოტრანსპლანტაციის შემდგომ ან მანამდე პაციენტს წინასწარი მომზადება თუ სჭირდება?

— არანაირი, უბრალოდ, თავდაბანილი და დანაყრებული უნდა მოვიდეს. ადგილობრივი ანესთეზია კეთდება და პაციენტი ვერანაირ ტკივილს ვერ გრძნობს.

— როგორ ადგენთ, თუ რა სახისაა თმის ცვენა?

— ამას წინასწარ, კომპიუტერული გამოკვლევის მეშვეობით ვადგენთ. ერთ-ერთია — ანდროგენული, რომელიც ტრანსპლანტაციას ექვემდებარება და ძირითადად, მამაკაცებში გვხვდება — როცა

ში კი 80-იანი წლებიდან და ამ ხნის მანძილზე არანაირი უარყოფითი შედეგი არ დაფიქსირებულა.

— საერთოდ, რა ინვესტის ცვენას?

— ენდოკრინული პრობლემები, გარემო პირობები, სტრესი ან სულაც, შესაძლოა, თმის ცვენა გენეტიკური იყოს. ცნობილია, რომ მამაკაცის ჰორმონი — ტესტოსტერონი თმის ცვენაზე დიდ გავლენას ახდენს. ამ პროცესის შესაჩერებლად შამპუნი ან სხვა საშუალებები ეფექტიანი რომ იყოს, მერწმუნეთ, ინგლისის პრინცს თმა არასდროს გაცვივებოდა.

— წარბებისა და ნამწამების გადანერგვა მტკივნეული ხომ არ არის?

— თავზე თმის გადანერგვასთან შედარებით, ეს გაცილებით

აუტოტრანსპლანტაცია საზოგადოებისთვის ცნობილ ბევრ ადამიანს აქვს გაკეთებული, რისი წყალობითაც, ასაკის მიუხედავად, ბევრად ახალგაზრდულად გამოიყურებიან. ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარი რამდენიმე მათგანს ვთხოვეთ, მაგრამ **ნიკა მამთარაძის** გარდა, საჯაროდ საუბარი არავინ ისურვა.

— პროცესი ჯერჯერობით არ დასრულებულა და პასუხის გაცემა გამიჭირდება. ისე, ნინა მხარეს უფრო მომწონს. ზაფხულში თმა გადაპარსული მქონდა და ახლა ხელახლა იზრდება, ეს ჩვეულებრივი პროცესია. უკანა მხარეს ერთი პროცედურა მაქვს ჩატარებული, წინ — ორი, გვერდებზე კი ჩემი თმა მაქვს. თმა ტრანსპლანტაციიდან რამდენიმე თვეში იწყებს ამოსვლას, ხოლო იმისათვის, რომ სასურველ შედეგს მიაღწიო, მეტი დროა საჭირო. პირადად მე, მე-7 ხარისხის სიმელოტე მქონდა და დაახლოებით 2 წელია, რაც გადავიწერე.

— რამდენად მტკივნეული იყო პროცედურა?

— მტკივნეული არ იყო, რადგან ძალიან კარგი ანესთეზია გამიკეთეს. უბრალოდ, დაწოლისას ცოტა დისკომფორტს ვგრძნობდი.

— შედეგით კმაყოფილი ხართ?

— ცხადია, კმაყოფილი ვარ. უფრო მეტიც, მადლობელი ვარ მათი, ვინც ეს ძვირად ღირებული ოპერაცია უსასყიდლოდ გამიკეთა. რომ არა ეს ადამიანები, აუტოტრანსპლანტაციას საკუთარი ინიციატივით არასდროს გავიკეთებდი... უკვე თმინი ვარ და მინდა, თავს გადავიხოტრავე, მინდა

— თმას გავიზრდი, ადრე კი ასეთი არჩევანის საშუალება არ მქონდა.

## შამპუნი ან სხვა საშუალება იფაქტიანი რომ იყოს, მერწმუნეთ, ინგლისის პრინცს თმა არასდროს გაცვივებოდა

თმის ცვენა შუბლის ან გვირგვინის არიდან იწყება. სხვათა შორის, ეს პრობლემა შეიძლება, ქალებსაც ჰქონდეთ (6-7 პაციენტიდან ერთი მაინცაა ქალი). კონსულტაციაზე ბევრი მოდის, მაგრამ თმას ყველა ვერ ინერგავს, რადგან დიდ ფასთანაა დაკავშირებული.

— დაახლოებით რა ფასებში მერყეობს თმის გადანერგვის პროცედურა?

— გრაფტების რაოდენობასა და მეთოდის გააჩნია; საშუალოდ, 1.000-დან 5.000 ლარამდე ღირს.

— გადანერგვიდან რამდენ ხანში იწყებს თმა ზრდას?

— თმა ზრდას დაახლოებით, 2 თვეში დაიწყებს, 7-8 თვის შემდეგ კი 70% ამოსულია.

— თმის გადანერგვას რაიმე გვერდითი მოვლენა ან გართულება ხომ არ ახლავს?

— არავითარი. რადგან ადამიანს მისივე თმას ვუნერგავთ და არანაირი ხელოვნური ჩარევა არ ხდება, ჭრილობა მეორე დღესვე შუშდება... აუტოტრანსპლანტაცია საქართველოში 1997 წლიდანაა დანერგილი, აშშ-

მარტივი პროცედურაა და დაახლოებით, 500-700 ლარი ჯდება. წამწამისა თუ წარბების გადანერგვის თხოვნით ძირითადად დამწვრობის მიღების შემდეგ მოგვმართავენ, ზოგს კი უბრალოდ, მათი გახშირება სურს, რათა უფრო ლამაზად გამოიყურებოდეს.



უკვე თმინი ვარ და მინდა, თავს გადავიხოტრავე, მინდა — თმას გავიზრდი





# სამყარო

## როდისაა საუბრი ტატუს გაკეთება

„ნახაბის წასაბლელად ანაქვე ლაზარის სხივი შევყავს“

### ერთი ყოვლანაყოილი

როგორც ტატურების ოსტატი — ანდრეი აივაზიანი ამბობს, საქართველოში ბევრმა არ იცის, თუ რა არის ტატუ და რისთვისაა საჭირო. შევითყვევ, რომ ანდრეის კლიენტებს შორის შორენა ბეგაშვილიც გახლდათ, ოღონდ ამჯერად, მსახიობს ტატუს გაკეთება კი არა, მისი ნაშლა (სავარაუდოდ — ყოფილი შეყვარებულის ინიციალების, რომელიც ხელზე ჰქონდა ამოსვირინგებული) სურდა.

ტატუ განსაკუთრებულად აქტუალური ზაფხულშია, მაგრამ ანდრეი მის გაკეთებას ზამთარში გვირჩევს.

— ტატუს ძირითადად, ზაფხულში იკეთებენ, მაგრამ წელიწადის ამ დროს ჭრილობას მზის სხივები ხვდება და კანი ღიზიანდება, ზამთარში კი — უფრო მალე ხორცდება, ნახატი კანზე უპრობლემოდ „ჯდება“... პრინციპში, თუ კარგად

და ანტიბაქტერიული საპნით უნდა დაიბანონ, უკვე გასუფთავებულ კანზე კი საჭიროა სპეციალური მალამოს წასმა, რომელიც ჭრილობას დაჩირქებისგან იცავს, შეხორცებას უწყობს ხელს. მალა-

ნონს, მაგრამ საქართველოში ძირითადად, პატარა ნახატებზეა მოთხოვნა.

— უცნაური ფანტაზიის მქონე

**კლიენტების უმეტესობამ არ იცის, რა არის ტატუ და რისთვისაა საჭირო**

მო 10 დღის განმავლობაში, დღეში 3-ჯერ უნდა წაისვა. ამ პერიოდში მზეს, ზღვას, აუზს, ცხელ წყალს, სოლარიუმს უნდა მოერიდო.

— **ტატუს გაკეთება უკვე გარუჯულ კანზე თუ შეიძლება?**

— პრობლემა არაა. მთავარია, ტატუირების მერე არ გაირუჯო.

— **ტატუს გაკეთების მსურველებს შორის რომელი სქესის წარმომადგენლები ჭარბობენ?**

**კრისტიან უბრალოდ, ლამაზი ნახატი აქვს**

— ბოლო დროს — გოგონები.

— **საინტერესოა, რის დახატვას გთხოვენ?**

— ძირითადად, ვარსკვლავებს, ნოტებს, წარწერებს იხატავენ. ეს მოდიდან გადავა, დიდი და სერიოზული მნიშვნელობის ტატუ კი — არასდროს.

— **ქალის სხეულზე დიდი ზომის ტატუ მოგწონს?**

— რა თქმა უნდა, ძალიან მომ-



მოუვლი, ტატუს გაკეთება ზაფხულშიც შეიძლება. ტატუირების შემდეგ, ჭრილობას დამცავ ცელოფანს ვაკრავთ, რათა ბაქტერიები არ მოხვდეს, 2 საათის მერე ცივი წყლითა

**კლიენტები არ გაკითხავენ?**

— საქართველოში სტანდარტული ტატუები მოსწონთ, რომელსაც კატალოგებიდან ირჩევენ. კლიენტების უმეტესობამ არ იცის, რა არის ტატუ და რისთვისაა საჭირო. ვცდილობ, ვიღაცის ნახატი არ „დავაკოპირო“, ყველას ექსკლუზივი და ვუხატო: როცა რაღაც ნახატი მოაქვთ, მას გარკვეულ დეტალებს ვუმატებ ხოლმე... უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ, ტატუ რისთვის გვჭირდება. სხეულზე ნახატი ადამიანის სულიერ მდგომარეობას უნდა გამოხატავდეს. მერწმუნეთ, ტატუ მხოლოდ სილამაზისთვის არაა. მას რაღაც სხვა, სერიოზული დატვირთვა თუ არა აქვს, აუცილებლად მოგებზრდება.

— **შორენა ბეგაშვილის ტატუს ასეთი სერიოზული დატვირთვა არ ჰქონდა? როგორც შევითყვევ, შენ-**





თან ნახატის წასაშლელად მოვიდა.

— შორენას ამაზე საუბარი არ უნდა. ეს მისი პირადი ცხოვრებაა...

— ტატუს წაშლა მარტივად ხდება?

— არა, ამისთვის რამდენიმე სეანსია საჭირო. პირველი სეანსის (კანქვეშ ლაზერის სხივი შეგვყავს) შემდეგ, 1 თვის განმავლობაში, ტატურების ადგილს ზუსტად ისე უნდა მოუარო, როგორც ტატუს გაკეთების შემდეგ უვლიდი. ნახატის მთლიანად მოსაშორებლად 4-6 სეანსია საჭირო.

— ცნობილი ადამიანები ტატუს წასაშლელად ხშირად გსტუმრობენ?

— შეიძლება, ტატუს გასაკეთებლად თვეში 2-3 კაცი მოვიდეს, წასაშლელად კი იშვიათად მოდიან.

— როგორც ვიცი, კრისტი ყიფშიძეს ფეხზე ტატურება შენ გაუკეთე. მის ტატუს რა დატვირთვა აქვს?

— სერიოზული — არაფერი. უბრალოდ, ლამაზი ნახატია...

— როგორ ფიქრობ, როცა ტატუს გასაკეთებლად გწვია, კრისტი საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში დარწმუნებული იყო თუ შორენა ბეგაშვილის მსგავსად, შესაძლოა, ერთ დღეს ნახატის წასაშლელადაც მოგადგეს?

— არა, არ ნაიშლის!

— ტატურების უმტივიანელოდ გაკეთება არ შეიძლება?

— მთელ მსოფლიოში, ტატუს ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების გარეშე აკეთებენ, რადგანაც პრეპარატი საღებავთან რეაქციაში შედის და ტატუს ფერი სხეულზე კარგად არ „ჯდება“.

— თავად რამდენ ტატუ გაქვს?

— 7. მარჯვენა ხელზე ნახატი ჯერ დასამთავრებელია. როგორც ხედავ, ხელის ერთ მხარეს ქალის პორტრეტი დავისხატე, მეორე მხარეს — ეშმაკი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალის „მეორე მხარე“ ეშმაკია. ახლა გველიც უნდა დავისხატო: ის ქალს უბიძგებს, მამაკაცი აცდუნოს. რაც შეეხება ჩონჩხის თავს, ეს სიკვდილზე გამარჯვებას ნიშნავს... მოკლედ, ძალიან ჩახლართული თემაა, რა (იცინის).

— ტატუს გაკეთების შემდეგ შენს ცხოვრებაში რა შეიცვალა?

— ყოველ დღით, სარკის წინ ვდგები და საკუთარ მოხატულ სხეულს ვუყურებ — ანუ ჩემი ტატუ ისე მომწონს, რომ მის შემხედვარეს დილიდანვე კარგი განწყობილება მეუფლებს...

# უფოთვითი აულილობა, დაპრესია, ფსიქოზის სიმპტომები

რა არის დეპრესია, უფოთვითი აულილობა, ფსიქოზი? როგორია ამ დაავადებების სიმპტომები და როგორ ხორციელდება ფსიქიკური აულილობის მქონე პაციენტთა ეფექტიანი ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა? — ეს ის კითხვებია, რომლებზე პასუხიც ბევრი თქვენგანისთვის შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს. ამ თემაზე მუშაობა ერთმა ტრადიციულმა ამბავმა და შემამოფოთებელმა სტატისტიკამ გადამაწყვეტინა, ფსიქიატრებთან საუბარმა კი დამარწმუნა, რომ საზოგადოებაში კვლავ არსებობს ამ საკითხზე ღიად საუბრის პრობლემა.

## „შუალამისას ავადგარვარ და თავის დახრჩობა მიცდია“...

### ნიკო ჯაპახიშვილი

27 წლის ნათია გილიგაშვილმა 22 თებერვალს, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ის 5 თვის ფეხმძიმე იყო. მისი უფროსი შვილი — ტატო 7 წლისაა. ნათიას დედას — თამარ გილიგაშვილს ვთხოვე, მომხდარზე გვესაუბრა...

— ნათია ჩვენი ერთადერთი შვილი, ერთადერთი პატრონი და იმედი იყო... სკოლაში ყველაფრის სულის-

ლოდ ფეხმძიმობის ბრალი იყო და გაუვლიდა.

— დედობისთვის თუ ემზადებოდა?

— მეორე შვილი როგორ არ უნდოდა, მაგრამ სწავლის დამთავრებას ელოდა. ვფიქრობ, ორსულობამ კიდევ უფრო გაურთულა მდგომარეობა. ნათია უძილობას უჩიოდა, წუხდა, — წონაში არ ვიმატებ და ალბათ ბავშვიც არ იზრდება; ნეტავ, 4 თვე როდის გავაო... რას ვიფიქრებდით, ასეთ რამეს თუ

**ერთხელ წამლები დაუღევია და ცუდად გამხდარა. „სასწრაფო დახმარების“ მანქანით საავადმყოფოში წაუყვანიათ**



ჩამდგმელი გახლდათ... სამედიცინო უნივერსიტეტის მეორე კურსზე

სწავლობდა, როდესაც გათხოვება გადაწყვიტა. ბავშვიც მალევე შეეძინა. ყველაფრით კმაყოფილი და ბედნიერი ჩანდა, პრეტენზიული და მომთხოვნი არც არასდროს ყოფილა. თავის სიყვარულსა და სიბოძის ყველას უნანილებდა. ჩვენ, მშობლებს ხომ თავს გვევლებოდა. ახლა ვფიქრობ, თვალეზი ისე რამ დამიბნელა, რომ ვერ მივხვდი, თუ როგორ უჭირდა ამქვეყნად გაძლება; როგორ ვერ შევამჩნიე, ყოველთვის გაბრწყინებული თვალეზი უცებ რომ ჩაუქრა?! მაგრამ ფიქტობრივად, რომ ეს მხოლოდ და მხო-

გაკეთებდა, ბავშვს მოსაკლავად თუ გაიმიტებდა?! ერთხელ წამლები დაუღევია და ცუდად გამხდარა. „სასწრაფო დახმარების“ მანქანით საავადმყოფოში წაუყვანიათ. ექიმებმა გვითხრეს, არაადეკვატურ პასუხებს გვცემს და დეპრესია ხომ არა აქვს, ფეხმძიმობის დროს ზოგ ასეც ემართებო. გვიჩინეს, ფსიქოლოგთან მიგვეყვანა, ჩვენ კი ეს არაფრად მივიჩნიეთ, რადგან ნათიას არავისთან არასდროს წამოსცდენია რაიმე. ახლა ვხვდებით, რომ ალბათ, მაშინაც თავის მონამვლა სცადა. მიკვირს, ბოროტ ძალას რატომ შეუწყო ხელი თავს



ვისი უძლურებით და სიკეთეზე როგორ გამარჯვებინა? მიკვირს იმიტომ, რომ მებრძოლი ხასიათი ჰქონდა... ისე გაიზარდა, ტყუილს ვერ ათქმევინებდი, მშობლებისგან დამალულ-დაფარული არაფერი ჰქონია და ახლა ნეტავ, ისეთი რა ანუხებდა, რომ ჩვენც კი გვატყუებდა, ვითომ კარგად იყო?! რამდენიმე ხნის წინ მეზობლებისთვის უთქვამს: ჩემი მეგობარი ფსიქიატრთან მივიყვანო, არადა, 4 თვის ფესმძიმე თავად მისულა ექიმთან და უთქვამს: გაორება მჭირს, რალაც ხმები მესმის და მტანჯავსო. ექიმს დაუშვინებია, — არაფერი გჭირს. ამ შენს დეპრესიას ღრმად ნუ ჩაუფიქრებდი, მშობიარობის შემდეგ გაგივლისო. ამას კი დაუჩვენებია: გინდა თუ არა, ფსიქოზი მჭირს და მითხარი, რომ ასეა, უფრო დაგწყნარებდებიო... — ასე არ არის და ტყუილად რატომ გეტყვიო?! — უთქვამს ექიმს. ფსიქიატრმა გვითხრა, რომ ადამიანი თვითმკვლელობამდე შესაძლოა, ღრმა დეპრესიამაც მიიყვანოს.

**— ბავშვი პატარა იმისთვის, რომ ეს ყველაფერი გაიგოს.**

— გარდაცვლილი პირველად სწორედ ტატომ ნახა და, გაგიყვანა ბავშვი, — ისეთი რა დავაშავეთ, რომ დედამ ეს გააკეთაო?! დალონებულება, მშობელს წერილებს სწერს, — შენ ხომ წერილი დამიტიოვე და მეც უნდა მოგწერო, დედა; თუ გიყვარდი, ასე რატომ მოიქეციო?... ისეთ რალაცებს იტყვის, გული

ბელია. საუკეთესო მეუღლე, ძვირფასი დედამთილი და მამამთილი. მათგან სიკეთის და სიყვარულის მეტი არაფერი მახსოვს. ჩემი პატარა ტატო არ დამიჩაგროთ. ძალიან გთხოვთ, ყველამ მიეცით ის სიტბო და სიყვარული, რომლის მიცემაც მე ვერ შევძელი. ჩემო ძვირფასო მშობლებო, მაპატიეთ, იმედები რომ გაგიცრუეთ. უზომოდ მიყვარხართ. ამ პატარა ანგელოზის სიცოცხლე ვერ გაჩუქეთ, ამიტომ უფალი ნაიყვანს სასუფეველში. ილოცეთ ჩემი ცოდვილი სულისთვის. მაპატიეთ ყველაფერი. ეს ალბათ ჩემი ბედისწერაა... მშვიდობით!!!“ გადარჩენისთვის ბევრი იბრძოლა ჩემმა მეორე რესპონდენტმა — 39 წლის ქალბატონმა, რომელმაც გვარის გამხელა არ ისურვა.

**ნანა:**

— რამდენიმე წლის წინ ჩემთვის უცნაური რამ შევამჩნიე: რეალობის შეგრძნება დაკარგე. გარდა ამისა, განუწყვეტილად მესმოდა რალაც ხმა, რომელიც მეუბნებოდა: ახლა ადგები და თავს დაიხრჩობო... თავიდან მეუღლესაც არაფერს ვუბნებოდი. ალბათ ეს ნარმოსახვებია, ჩემზე ზემოქმედება მოახდინა რამემ და გაივლის-მეთქი, — ვფიქრობდი. ერთხელ, შუალამისას ავმდგარვარ (როგორც შემდეგ მიამბეს) და თავის დახრჩობა მიცდია. ჩემდა საბედნიეროდ, ვილაცამ შეძლო და გადაამარჩინა; მან სახლში მიმიყვანა და ოჯახის წევრებს უამბო, რაც მოხდა.

მეუღლეს ყველაფერი ვუამბე. შეშინებულია ოთახში გამოძვება და მდარაჯობდა, რომ კვლავაც არ გაგპარულიყავი. მეუბნებოდა, — ფსიქიატრთან მივიდეთ, იქნებ რაიმე გიშველოსო და მეც, სხვა რა გზა მქონდა, გავყვი. რამდენიმე თვის მკურნალობის შემდეგ დაავადება დაფიქვ; ამის ყველაზე კარგი საშუალება თვითმკურნალობა ყოფილა. და კიდევ — ეკლესიურად დაავიწყე ცხოვრება! ახლა ვფიქრობ — მაშინ საკმარისი რწმენა და ღვთის შიში რომ მქონოდა, იქნებ ასეთი რამ არც შემთხვეოდა.

ინტერნეტში ინფორმაციის მოძიებისას აღმოვაჩინე, რომ ფსიქიატრებსა თუ ფსიქოლოგებს მსგავსი კითხვებით ხშირად მიმართავენ და სხვათა შორის, სწორედ ინტერნეტის მეშვეობით, რადგან არ სურთ, მათი ფსიქიკური პრობლემების შესახებ თუნდაც ახლობლებმა შეიტყონ. ორ გზაწილს გაგაცნობთ (სტილი დაცულია):

„დამეხმარეთ! უცნაური რამ მჭირს — სულ სევდიან განწყობაზე ვარ. თავს უხალისოდ ვგრძნობ. თითქოს აღარაფერი მახარებს. სიცარიელის და უიმედობის განცდა მაქვს. გრძობებს ვეღარ ვიმორჩილებ — ზოგჯერ ჩემი სურვილის გარეშე სიცილი ან ტირილი მივარდება. რალაცას ვაკეთებ და არ ვიცი, რატომ ან რისთვის? ბავშვების ჩვეულებრივი ხმაურიც კი, ადრე ყურადღებას რომ არ ვაქცევდი, მალიზიანებს და ყურადღებას მიფანტავს. სექსუალური მოთხოვნილებაც შემიმცირდა. ეს ყველაფერი კი მანებებს და ცოტა არ იყოს, მაშინებს. იქნებ ეს სიგიჟეა, იქნებ ეს არის ფსიქოზი? არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ოჯახის წევრებთან ჩემი მკვეთრად შეცვლილი ხასიათის გამო უკმაყოფილება მაქვს და ამიტომაც კიდევ უფრო განვიცდი ამ ყველაფერს.“

„უკვე 13 წელია, საკუთარი პიროვნების გაუცხოების შეგრძნება მაქვს. თითქოს გაორებული და აფორიაქებული ვარ. ზოგჯერ ქუჩაში ჩემი დიდი ხნის ნაცნობებს ვერ ვცნობ და ეს დისკომფორტს მიქმნის. რალაც აზრი ამეკვიპება და მოსვენებას არ მაძლევს. ამ ბოლო დროს კი სიკვდილზე ფიქრი ამეკვიპება — თითქოს ვილაც სხვაა ჩემს სხეულში ჩასახლებული და ერთსა და იმავეს მიყიყინებს, ეს შეგრძნება ჩემთვის ამოუცნობია და მტანჯავს. ოჯახის წევრებისგან მალულად, ფსიქოლოგს ვვითხე რჩევა. მან მითხრა, რომ შფოთვითი აშლილობა მჭირს. ესე იგი, დეპრესია მაქვს?! იქნებ არც მითხრა ექიმმა, სინამდვილეში რაც მჭირს?

**განუწყვებლივ მისმოდა რალაც ხმა, რომელიც მეუბნებოდა: ახლა ადგები და თავს დაიხრჩობო...**

შეგვეუშვება. მისი მესხიერებიდან რა ნაშლის იმ სურათს?! სულ ეფერებოდა დედამისს, ჩემი ლამაზი დედა ხარო, — ეუბნებოდა. ვფიქრობ და ვერ ვხვდები, როგორ შეიძლებოდა ოჯახზე, ქმარსა და პატარა შვილზე ხელი აეღო?! წერილთან ერთად, ძალიან ბევრი კითხვა დაგვიტოვა... 27 წლის ამაგი წყალში ჩამიყარა... როგორ შეიძლება, მსუხარებისგან გული არ გაგისკდეს ან კივილი არ მოგიჩვენოს ადამიანს, მაგრამ ზოგჯერ ცრემლიც კი არ მომდის...

ნათიამ ახლობლებს წერილი დაუტოვა (სტილი დაცულია):

„ჩემი ამ მდგომარეობამდე მისვლა არავის ბრალი არ არის. მთელი ორსულობის მანძილზე მძიმე დაავადება მტანჯავს. ღმერთმა იცის, ბევრი ვიბრძოლე გადარჩენისთვის, მაგრამ უშედეგოდ. ასეთ მძიმე ტანჯვას ვეღარ ვუძლებ. ძალიან ცუდად ვარ. შვებას მხოლოდ სიკვდილი მომგვრის. ჩემი ოჯახი განუყოფელი

მათ მაშინვე თვითმკვლელობის მიზეზების ძიება დაიწყეს. იმ პერიოდში მეუღლე უშუშევრად დარჩა და მატერიალური პრობლემები გვექონდა. ჩათვალეს, რომ ასეთი გადაწყვეტილება ამის გამო მივიღე, მე კი ვერ გავამხილე, რაც მჭირდა. ექიმთან მისვლაც არ მინდოდა. აბა, რა მეთქვა — რალაც ხმები მესმის და თავს ამიტომ ვიკვავ, გავგიჟდი-მეთქი?! ეს ამბავი ბავშვებმაც გაიგეს და დაიზაფრნენ, — დედა, ჩვენ რომ გაბრაზებთ, ასე ამიტომ მოიქეცი? იცოდე, აღარ გაგაბრაზებთო. ყველანი თავს მეველებოდნენ და ცდილობდნენ, არ ეწყენინებინათ, მაგრამ მეორედაც იგივე გავაკეთე, ოღონდ — დღისით, მზისით და რა თქმა უნდა, არაერთმა ადამიანმა დამინახა. მაშინაც, ღმერთის წყალობით, გადაამარჩინეს. ეს ჩემი სურვილის წინააღმდეგ ხდებოდა და სიმართლე გითხრათ, როცა გონს მოვედი, ძალიან შეშინდა და





მაინტერესებს, რამდენად ხშირია ან ნორ-  
მალურია ასეთი რამ ჩვეულებრივ, ჯან-  
მრთელ ადამიანებში?“

ყოველივე ამის შესახებ კომენტარი  
ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენ-  
ტრის დირექტორს, ფსიქიატრ **არჩილ  
გამიაშვილს** ვთხოვეთ.

— ფსიქოზის დროს მოვლენების  
არასწორი, არაობიექტური აღქმა ხდებ-  
და. ყველა ის სიმპტომი, რომელიც ადა-  
მიანს სამყაროს რეალურ აღქმაში უშ-  
ლის ხელს, ფსიქოზურია: ჰალუცინაცია  
— მხედველობითი თუ სმენითი ბოდ-  
ვა... როდესაც საქმე გვაქვს აკვიატებას-  
თან — ანუ აკვიატებულ აზრებთან,  
ქცევებთან თუ რიტუალებთან, ეს არის  
ნევროზული და უფრო მძიმე, სანგრძლი-  
ვი, ვიდრე ფსიქოზის სიმპტომები. რაც  
შეეხება დეპრესიას, ის აფექტური აშ-  
ლილობების ჯგუფში შედის და მრავ-  
ალნიანი არსებობს. ძირითადად, 2  
სახეობას გამოყოფენ: ენდოგენურია, რო-  
დესაც წინა პლანზეა მემკვიდრეობითი  
ფაქტორები; ასეთ დროს ადამიანს უცებ  
ენწყება დეპრესია და ვერ ხვდება, რა-  
ტომ; ეგზოგენური დეპრესიის დროს  
კონკრეტული მიზეზი არსებობს — ან  
ახლოებული გარდაცვალება და გლოვა  
დეპრესიაში გადაიზარდა თვეებისა და  
წლების განმავლობაში, ან შეყვარებულმა  
მიატოვა, ან ფული დაკარგა და ა.შ.  
დეპრესიის ძირითადი მახასიათებელი  
არის ის, რომ იკარგება ობიექტური და  
ობიექტური შეფასება საკუთარი თავისა-  
ც, გარემოსიც და მომავლისაც. თუ  
ადამიანი ამბობს, რომ არაფრად აღარ  
ვარგა, არანაირი პერსპექტივა არა აქვს,  
მუდმივად სევდიანი და გაღიზიანებუ-  
ლია, სიამოვნებას ვეღარ იღებს იმ საქ-  
მიანობისას, რომელიც ადრე სიამოვნ-  
ებდა, გრძობს ძილის, მადისა და ენერ-  
გიის მკვეთრად დაქვეითებას, ე.ი. დეპ-  
რესიასთან გვაქვს საქმე. დეპრესია შე-  
იძლება ფსიქოზურიც იყოს და არაფ-  
სიქოზურიც. როგორც გითხარით, მას  
თან ერთად ჰალუცინაციები: ხმები (ხში-  
რად — გარდაცვლილი ადამიანის ხმა),  
მხედველობითი და ყნოსვითი ჰალუცი-  
ნაციები; მძიმე დეპრესიის დროს ხრწ-  
ნის სუნს გრძობენ. როდესაც დეპრესი-  
ასთან გვაქვს საქმე, მაქსიმალურად  
ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან შეიძ-  
ლება, ადამიანმა სუიციდი განახორცი-  
ელოს. თუ დეპრესიას შფოთვის ელემ-  
ენტებიც ერთვით და ადამიანი გამოთ-  
ქვამს თვითმკვლელობის სურვილს, აუ-  
ცილებელია, ის ექიმის მეთვალყურეო-  
ბის ქვეშ იმყოფებოდეს ან რეაბილიტა-  
ციის ცენტრსა თუ საავადმყოფოში სტა-  
ციონარულ მკურნალობას გადაიღეს.

— **ფეხმძიმობა და მშობიარობა  
დეპრესიის ერთ-ერთი წინა პირობაა?**  
— საერთოდ, ყველა ფსიქიკურ აშლი-

ლობას წინ უძღვის გარკვეული სტრე-  
სი, რომელიც შეიძლება იყოს სოცია-  
ლური, ფსიქოლოგიური ან ბიოლოგი-  
ური ხასიათის. ყველა განცდა — ნეგა-  
ტიური თუ პოზიტიური — დამოკიდე-  
ბულია ორგანიზმის ბიოქიმიის ცვალებ-  
ადობაზე. ორსულობაც ისეთ ბიოქი-  
მიურ თუ ფიზიკურ მდგომარეობას  
მიეკუთვნება, როდესაც ორგანიზმი

**ამ ბოლო დროს სიკვდილზე  
ფიქრი ამეკვივება, მეშინია...**

მთლიანად ახალ რეჟიმზე ეწყობა.  
შეიძლება, ასეთი „გადაწყობა“ ვერ  
მოხდეს და მივიღოთ შემდეგნაირი  
დარღვევები: შფოთვა, შიში, მოჩვენ-  
ებები, აგრესია, დეპრესია... ეს ჩვე-  
ულებრივია ამბავია და ორსულს  
ყველანიანი ინფორმაციას აწვდიან  
იმის შესახებ, თუ როგორ უნდა  
მოიქცეს ასეთ რთულ სიტუაციაში.  
რაც შეეხება შფოთვით აშლი-  
ლობებს — ეს არის ნევროზული რე-  
გისტრის დაავადება. ადამიანს არ სჯე-  
რა, რომ მას შეუძლია ამა თუ იმ პრობ-  
ლემის გადაჭრა. დეპრესიის დროს ამა-  
ში დარწმუნებულია, შფოთვითი აშლი-  
ლობის დროს კი ფიქრობს, რომ ალ-  
ბათ ვერ გადაჭრის. როდესაც გამუდმე-  
ბით გაიძახის, რომ რაღაც სტიკვა და  
ვერ გადაჭრის ჯანმრთელობის პრობ-  
ლემას, ამას იპოქონდრიულ ნევროზს  
ეძახიან; თუ ფიქრობს, რომ შვილი ან  
რომელიმე ახლობელი ავარიამი მოხ-  
ვდება, გამუდმებით ასეთი შიში აქვს  
და თავიდან ვერ იშორებს, ეს გენერა-  
ლიზებული შფოთვაა; თუ ინტენსიური  
პანიკური შეტევები აქვს — ვაიმე, ვის-  
რჩობი, ვკვდები, თავბრუ მქვება და  
ა.შ. — ესეც შფოთვითი აშლილობაა.

— **თუ პაციენტი გუფუნებათ, რომ  
ვეღარ ცნობს ადამიანებს, აქვს გაო-  
რებისა და გაუცხოების შეგრძნება,  
მაშინ რასთან გვაქვს საქმე?**

— ეს შეიძლება იყოს, როგორც ნე-  
ვროზული, ასევე ბოდვითი აშლილობა.  
მაგალითად, როდესაც ეჩვენება, რომ  
უცხო ადამიანი დასდევს და მოსვენებას  
არ აძლევს, რა თქმა უნდა, ესეც შფოთ-  
ვითი აშლილობაა.

მკურნალობის ეფექტიანობის საკით-  
ხზე ფსიქოლოგ **ნათია ზადგოშ-  
ვილს** ვსაუბრებ:

— დიდი მნიშვნელობა აქვს, რო-  
გორც ამბულატორიულ, მედიკამენტურ,  
ასევე ფსიქოთერაპიულ მკურნალობას.  
ამა თუ იმ ფსიქოლოგიურ პრობლემას  
მხოლოდ წამალი ვერ მოაგვარებს. შე-  
იძლება, დეპრესიის ხარისხი შემცირ-  
დეს, მაგრამ რაღაც სხვა ფაქტორების  
გამო ეფექტიანი არ იყოს. საჭიროა  
ოჯახის წევრებთან მუშაობაც, რადგან



ბაში მათ ინტეგრაციას უწყობენ ხელს.  
იმედია, ეს სისტემა ჩვენშიც მოიკიდებს  
ფეხს და შედეგად, ბევრი პაციენტი  
სტაციონარში აღარ მოხვდება.

ბუნებრივია, სტატისტიკითაც დაინ-  
ტერესდი და 2009 წლის მონაცემები  
მოვიძიე. ამ წლის განმავლობაში რე-  
გისტრირებულია ფსიქიკური და ქცევი-  
თი აშლილობის 76457 შემთხვევა, მათ  
შორის ბავშვებში — 1651. სიცოცხლე-  
ში პირველად დადგენილი დიაგნოზით  
აღირიცხა 2505 შემთხვევა. ფსიქიკური  
აშლილობით დაავადებულთა ყველაზე  
მაღალი მაჩვენებელი აღინიშნა იმერეთ-  
ში, სამეგრელოსა და გურიაში (წინა  
წლებთან შედარებით, აღნიშნულ რეგი-  
ონებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო  
გაიზარდა), ხოლო ყველაზე დაბალი —  
სამცხე-ჯავახეთსა და თბილისში.

დისპანსერებისა და საკონსულტაციო  
დანესებულებების მონაცემებით, ფსი-  
ქიკურ დაავადებათა შემთხვევების 29,9%-  
ში აღირიცხა შიზოფრენია, შიზოტი-  
პური და ბოდვითი აშლილობები. და-  
ვირვებაზე მყოფი ამ 76457 ავადმყო-  
ვიდან 39,5% (ანუ 30192) ქალია. საინ-  
ტერესოა, როგორ ნაწილდება ფსიქი-  
კურ ავადმყოფთა კონტინგენტი ასაკისა  
და სქესის მიხედვით: 14 წლამდე ასაკის  
მოზარდებზე 76457-დან 1651 შემთხვე-  
ვა მოდის; 15-დან 17 წლამდე — 1023;  
18-დან 19 წლამდე — 1452 და ყველა-  
ზე მაღალი მაჩვენებელი — 60877 შემ-  
თხვევა 20-დან 59 წლამდე ასაკობრივ  
ჯგუფში დაფიქსირდა.

მოცემული მაჩვენებლები, სამწუხა-  
როდ, არასახარბიელოა, მაგრამ ექიმე-  
ბის დროული ჩარევითა და დახმარე-  
ბით დაავადების დაძლევა შესაძლებე-  
ლია.



# ეკა მჭავანაძის აუსრულდაელი ოცნება

„ჩემს ბავშვობაში არც ვიდეო არსებობდა და არც ნიგნი იყო. მაშინ უნიგნურობა სირცხვილად მიიჩნეოდა, ეკა მჭავანაძე და დასძენს: — როცა ახალგაზრდები ვლავარაკობდით. თეატრალურში ჩაბარების შემდეგ პერსონაჟის განსახიერების სურვილი გაქვს?“

## „საიდანლაც მაცნობი, ქალაუ“

თაბუნა კვინიკაძე

### პრავაგულის მავიარ

— თქვენ რომელი გმირის თამაში გინდოდათ?  
— ჩვენი პედაგოგი გიგა ლორთქიფანიძე იყო. როცა იგივე კითხვა მან დამისვა, ვუპასუხე, — ელიზა დუღიტლის („პიგმალიონიდან“) თამაში მინდა-მეთქი. რა თქმა უნდა, ეს ოცნებად დამრჩა, მაგრამ ვფიქრობ, თეატრალურში სწავლის დროს არანაკლებ საინტერესო როლი ვითამაშე, — ჟან ანუის ჟანა დ'არკი.

— ახლა თქვენი საოცნებო როლი რომელია?  
— არ ვიტყვი. ეს რამდენიმე რეჟისორმა იცის და მპირდებიან, რომ მათამაშებენ. ჯერ ამ როლისთვის ახალგაზრდა ვარ, დაახლოებით 5 წელი მიკლია.

— ზაირას როლზე რას იტყვით (სერიალში „გოგონა გარეუბნიდან“)?

— ამ პერსონაჟში საკუთარ თავს ალბათ ბევრი დედა ამოიცნობს. ყველას გურული ქალი ვგონივარ.

— ეს ხომ კომპლიმენტია!

— ამ სერიალმა დიდი სითბო და სიყვარული მომიტანა. ცოტა ხნის წინ ხევსურეთში ვიყავი. მგონი, იქ სულ 5 კაცი ცხოვრობს და აქედან სამმა მიცნო. ერთმა მითხრა: „საიდანლაც მეცნობი, ქალაუ“. ბოლო დროს, ჩემდა უნებურად, მეორე პროფესიაც ავითვისე — კასტინგების დირექტორი ვარ და ეს საქმეც იმდენ დროს მოითხოვს, რომ შინ დაბრუნებული, ნიგნის კი არა, ზოგჯერ სცენარის ნაკითხვასაც ძლივს ვახერხებ.

— ნიგნი მოგიპარავთ?

— არ მომიპარავს, მაგრამ ბიბლიოთეკიდან წამომიღია და შემრჩენია. ბიძაჩემს ჰქონდა ძალიან კარგი ბიბლიოთეკა. ერთხელ მასთან სტუმრად მისულს მითხრა: — ეკა, რომელი ნიგნიც გინდა, დამისახელე და გაჩუქებო. ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“ ავირჩიე. ეს ჩემთვის დიდი საჩუქარი იყო... სტიპენდია 50 მანეთი მქონდა. ამ თანხას თითქმის მთლიანად, ნიგნებსა და მხატვრების ალბომებში ვხარჯავდი. ბუკინისტებში ხშირად დავდიოდი. ოპერის წინ ნიგნის მაღაზია „საუნჯე“ იყო, ფილარმონიასთან — „ჩირალდანი“. ამ მაღაზიების ხშირი სტუმარი ვიყავი და ნიგნის გამო რიგში 2 საათიც ვმდგარვარ. ახლა ასეთი რამ აღარ ხდება: ცხოვრების წესი შეიცვალა და ნიგნების ნაცვლად დროს კომპიუტერს უთმობენ. თანამედროვეობის მომხრე ვარ, მაგრამ ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ კომპიუტერიც ეცოდინებათ და ნიგნის კითხვაც ეყვარებათ.

— რა ერქვა ძველ საბერძნეთში მონას, რომელსაც ბავშვების თვალყურის დევნება და მათი სკოლაში წაყვანა ევალებოდა?

— არ ვიცი.

— მიგანიშნებთ: ეს სახელი ახლა ერთ-ერთი პროფესიის წარმომადგენლებს ჰქვია.

— ბავშვებთან არის დაკავშირებული?



— დიახ.

— (ფიქრობს) მასწავლებელი ხომ არა?

— შეიძლება ითქვას, რომ გამოიცანით, სწორი პასუხია — პედაგოგი. „შენს სამშობლოში შენი ოჯახის დესანი უნდა იყო და სამშობლოს გარეთ — შენი ერის დესანი, რადგან შენი საქციელი შინ ოჯახის სარკეა და გარეთ — შენი ერის“, — რომელი ქართველი კლასიკოსია ამ სიტყვების ავტორი?

— ძალიან ნაცნობი სიტყვებია... უნდა გავისხენო, რომელ ნაწარმოებში წამიკითხავს (ფიქრობს)...

— მიგანიშნებთ, ამ მწერალს მამა დაუხვრიტეს, დედა კი გადაუსახლეს. 1943 წელს ისიც დააპატიმრეს, ბრალდებად შეიარაღებული აჯანყების მზადება წაუყენეს და 25-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ მალე სასჯელი დახვრეტით შეუცვალეს...

— გასაგებია, ლაპარაკია ჭაბუა ამირეჯიბზე.

— სად მდებარეობს კუნძული როდოსი, სადაც ცნობილი საოცრება — როდოსის კოლოსი მდებარეობდა?

— არ ვიცი.

— ეგეოსის ზღვაში. ეს მხატვარი 1606 წლის 15 ივლისს, ქალაქ ლეიდენში, მეწისქვილის ოჯახში დაიბადა. ის იყო ბაროკოს ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, რომელმაც მთელ ჰოლანდიურ ფერწერაზე უდიდესი გავლენა მოახდინა. თანამედროვეებმა ის ვერ დააფასეს და სიღარიბეში გარდაიცვალა.





მოგვიანებით, მას „შუქრდილების დიდოსტატი“ უწოდეს. დაასახელეთ ეს მხატვარი.

— მხატვართა ბიოგრაფიები ნაკითხული მაქვს. ამ შემთხვევაში ლაპარაკია რემბრანდტზე.

— ქალი და მამაკაცი გზაზე მიდიან. მათ ვიღაც დაემგზავრება და ჰკითხავს, — თქვენ ერთმანეთის რა ხართ? — ამის დედა ჩემი დედის დედამთილია, — უპასუხებს ქალი. ვინ არიან ერთმანეთისთვის ქალი და კაცი?

— (იციინის) ვერ გავიგე; გთხოვთ, კითხვა გამიმეორეთ (გამეორების შემდეგ), ე.ი. ქალის დედის დედამთილი მისთვის ბებიია. რა გამოდიან? მამა და შვილი. გამოვიცანი?

— დიას. რომელ ნაწარმოებშია გადმოცემული ჩარლზ დიკენსის ავტობიოგრაფია?

— ვერ გიპასუხებთ.

— „დევიდ კოპერფილდში“. რომელი ქვეყნის გვარდიელებს აქვთ პატივი, დაიცვან პაპის რეზიდენცია ვატიკანში?

— იტალიელებს, არა?

— ცდებით, ეს პატივი შვეიცარიელებს აქვთ. ეს არის ყველაზე ძვირფასი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც ლონდონის აუქციონზე 682 ათას გირვანქა სტერლინგად გაიყიდა.

— (მანყვეტინებს) სტრადივარიუსის ვიოლინო.

— „39 საფეხური“, „რებეკა“, „ჩიტები“, „ადამიანი, რომელმაც ზედმეტი იცოდა“, „ფსიქო“ — ვინ არის ამ ფილმების რეჟისორი?

— სერ ალფრედ ჰიჩკოკი.

— იმ დღეს, როცა მწერალთა სახლიდან შალვა დადიანის ცხედარი გამოასვენეს, ერთი პოეტის ცხედარი დაასვენეს. რომლის?

— ვერ გიპასუხებთ.

— გალაკტიონ ტაბიძის. იტალიის ერთ-ერთი ქალაქის საკათედრო ტაძარში ქრისტიანული სამყაროს უდიდესი სიმწინდე ინახება. თანამედროვე ლეთისმეტყველები მას „მეხუთე სახარებას“ უწოდებენ. გადმოცემის თანახმად, ის თავდაპირველად, წმინდა პეტრე მოციქულთან ინახებოდა. ქრისტიანობის დევნის დროს მალავენდენ, რადგან იუდეველები და რომაელები ქრისტიანული რელიკვიების განადგურებას ცდილობდნენ. დაასახელეთ, რომელ სიმწინდეზეა ლაპარაკი?

— ტურიინის სუდარაზე ხომ არა?

— დიას.

— ეს რუბრიკა ჩემი შვილის თაობამ უნდა იკითხოს, ბევრ რამეს ისწავლიან. თუ შეიძლება, ერთ კითხვას მეც დაგისვამთ.

— გისმენთ.

— ფილმი — „საბუდარელი ჭაბუკი“ ნანახი გექნებათ.

— რა თქმა უნდა!

— ამ ფილმში არის სიმღერა — „გულს რად მიკლაავ?“ თუ იცით, ამ სიმღერის ტექსტის ავტორი ვინ არის?

— ტექსტის ავტორი არ ვიცი, მაგრამ მუსიკა რევაზ ლალიძის დანერვილია.

— ბევრმა არ იცის. რომ წავიკითხე, გამიკვირდა: ტექსტი პიერ კობახიძის დანერილი ყოფილა. ახლა თქვენი ჯერია, აბა, შემდეგი კითხვა როგორია?

— ის თეატრისა და კინოს რეჟისორი იყო. 1913-21 წლებში რუსეთში მოღვაწეობდა. 1922 წელს საქართველოში გახმაურებული სპექტაკლებით დაბრუნდა. 1928 წელს ქუთაისში თეატრალური დასი

ჩამოაყალიბა. მუშაობდა კინოშიც. დაასახელეთ ეს პიროვნება.

— კოტე მარჯანიშვილი. ის სპექტაკლებით: „ცხვრის წყარო“ და „ურიელ აკოსტა“ დაბრუნდა.

— „ქართველებისთვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს — დედაქალაქს. მკვიდრს და დიდბოდს სახლისას — „დედაბოდს“... რამდენად გაძლიერებულია, გადიდებულია მნიშვნელობა დედისა, გაპატიოსნებულია, გალონერებულია და თავმოსაწონებული. სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც კი აღნიშნულია დედობით. ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა. სიტყვა „ქალი“ განა იზოდენას გვეტყვის, რასაც გვეუბნება „დედა“ და მასთან ერთად „კაცი“? რომელი ცნობილი საზოგადო მოღვაწეა ამ სიტყვების ავტორი?

— ილია ჭავჭავაძე.

— რომელი მდინარე იყინება ყველაზე ხანგრძლივი დროით მსოფლიოში?

— არ ვიცი.

— ლენა. რას ნიშნავს სიტყვა „ბოზი“ მცირე აზიაში?

— ლამაზს.

— ის 1934 წელს, საბჭოთა კავშირში დაიბადა. 60-იანი წლების დასაწყისში, იმ მოვლენის შემდეგ, რომელმაც მას მსოფლიო აღიარება მოუტანა, ინგლისის დედოფალთან მიღებაზე მოხვდა. სუფურაზე დანებისა და ჩანგლების დიდი რაოდენობის შემხედვარე, შეძრწუნდა, რადგან არ იცოდა, როგორ ესმარა ისინი. მდგომარეობა დედოფალმა განმუხტა: ნუ შეწუხდებით, მათი გამოყენება კარგად თავადაც არ ვიცო. დაასახელეთ ეს ადამიანი.

— იური გაგარინი.

— რომელ კონტინენტზეა მწვერვალი კილიმანჯარო?

— ამერიკის.

— ცდებით, აფრიკაშია. რომელი ქართული ფილმის გმირები არიან „ბოლოკა“ და „ბეთჰოვენა“?

— „ლიმილის ბიჭების“.

— გერმანული ანდაზის მიხედვით: „ოქროს ცეცხლი გამოცდის, ქალს — ოქრო, მამაკაცს...“

— ...ქალი“.

— სად არის დაკრძალული ალექსანდრე ჭავჭავაძე?

— არ მახსოვს.

— შუამთის მონასტერში. მარტოხელა კაცი შინ არყოფნის დროს გაქურდეს. შეიტყობდა თუ არა ამ ამბავს ცოლი აგარაკზე?

— ვერა.

— რატომ?

— მარტოხელა ვაცს ცოლი არ ეყოლებოდა. — რომელია ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტის ოკეანის დამაკავშირებელი სრუტე?

— (ფიქრობს) გიბრალტარი.

— რომელი ფრინველი იძინებს ფეხზე მდგომი?

— ბუ.

— სწორი პასუხია — წერო. რომელ ქედზეა რიკოტის ულელტეხილი?

— ლიხის.

— დაბოლოს, დაასრულეთ ბერნარდ შოუს ცნობილი გამონათქვამი: „პესიმისტი ისეთი კაცია, რომელსაც სიცილი ავიწყდება, ოპტიმისტი კი იციინს, რათა...“

— ვერ დავასრულებ.

— „...ზოგი რამ დაივიწყოს“.



# ანტილპარასატი გზაში საკითხავი კოლაქი

ძეძღვენილი თქუი ივანიძე

1. ძამა მდინარეა ქარელის რაიონში.
2. უკიოი-ე იაპონური მხატვრული სკოლაა.
3. „ლენგი“ ტაჯიკური სიტყვაა და კოჭლის ნიშნავს.
4. თეთრი ზვიგენი სქესობრივ სიმნიფეს 12 წლის ასაკში აღწევს.
5. კურდღელი თანავარსკვლავედია ცის სამხრეთ ნახევარსფეროში.
6. პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში 1930 წელს ჩატარდა.
7. თევზადუდი მთა არის ეგრისის ქედზე, მდინარე ტეზურას სათავეში.
8. კუს კბილები არა აქვს მისი ყბების ბოლოები რქოვანი შალითით არის დაფარული.
9. ფარშავანგი პოლიგამიური ფრინველია. გუნდში 1 მამალი და 3-5 დედალი ფრინველია.
10. მუხა ძალიან ნელა იზრდება. 80-100 წლისა კიდევ იმატებს სიმაღლეში, შემდეგ კი — სისქეში. ღრმა ფესვთა სისტემა აქვს, ქარგამძლეა და 800 წელიწადზე მეტს ცოცხლობს.



11. ბერგ-კოლეგია — ასე ერქვა რუსეთში სამთო საქმის მთავარ სამმართველოს, რომელიც პეტრე-ი-მა შექმნა იგი 1807 წელს გაუქმდა.
12. ავაკი ნერეთლის დედა, ევატერინე აბაშიძე იმერეთის მეფის, სოლომონ-ის შვილიშვილის შვილი იყო.
13. პიონერებსა და მოსწავლეებს, რომლებიც საბჭოთა არმიის მეომართა ოჯახებს, შრომის ფეტურანებს, პენსიონერებსა და მრავალშვილიან დედებს ეხმარებოდნენ, „თემურელებს“ ეძახდნენ. ეს მოძრაობა არცაღი გაიდარის მოთხრობის — „თემური და მისი რაზმი“ გამოქვეყნების შემდეგ წარმოიქმნა.
14. ამადონები თავიანთ ქალიშვილებს ყმანვილქალობაში ამოსწავადნენ მარჯვენა ძუძუს (ან ორივეს), რათა უფრო თავისუფლად ეხმარათ მშვილდი და სხვა იარაღი. მრავალი ავტორი ამით ხსნიდა თვით ტომის სახელწოდებას: ამადონი (a-mazos) ბერძნულად უმკერდოს, უძუძუების ჰქვია. მაგრამ ეს ეტიმოლოგია საეჭვოა და არც დასტურდება ხელოვნებაში: თითქმის ყველა ბერძნულ ქანდაკებასა და გამოსახულებაში ამადონები მშვენიერ, სისხლსავსე ახალგაზრდა ქალებად არიან გამოსახულნი, მოკლე მხედრული სამოსი აცვიათ, მკერდი უჩანთ და არავითარი დამახინჯების კვალი არ აჩვენებიათ. თუმცა შესაძლოა ისიც, რომ ხელოვანთ ეს დასახიჩრება არ ეჩვენებინათ.

# შეჯიბრება ქალაქურ კრივის

ცოტა ხნის წინ ეთნოგრაფიულ მუზეუმში ქალაქური კრივის ჩემპიონატის მეოთხედფინალი გაიმართა. შეჯიბრების 2 მონაწილეს — ირაკლი ქოქოსაძესა და ზურაბ შავერდაშვილს (კავშირის — „ქართული საბრძოლო ხელოვნება“ — სხვა წევრების მსგავსად, მათ ღია ცის ქვეშ, დარსა თუ ავდარში უზდებათ ვარჯიში, რადგან დარბაზი არა აქვთ) შევხვდით, რომლებმაც აღნიშნეს, — ბრძოლისას ერთმანეთს ვუფრთხილდებითო, თუმცა ფაქტია: ზურამ და მისმა მეტოქემ ერთმანეთი გვარიაანად დააშავეს...

## ბადაჯარბაული ჩიფი ჯი არა, პარჯიშიც მავნებელია

### ეთო ყორღანაშვილი

**ზურაბ შავერდაშვილი:**  
— ქალაქური კრივის მეორე ტურში ძლიერი მონინალმდეგე შემხვდა: ზვიად ჯაფარიძე ხელჩართულ ბრძოლებში მსოფლიოს ჩემპიონია. ჩვენ შორის საკმაოდ რთული შეჯიბრება გაიმართა და საბოლოოდ, დავმარცხდი. „მცირე“ ტრავმაც მივიღე: 3 თუ 4 ნეკნი (ექიმებმა ჯერ ვერ დაადგინეს) ჩამტვრეული მაქვს. ზვიადს ცხვირი გაუტყდა, მაგრამ ოპერაცია გაუკეთეს და ახლა კარგადაა. ასე რომ, მომდევნო ტურში გასვლასაც შეძლებს.

**ირაკლი ძეძღვენილი:**  
— მე შედარებით მცირე ასაკის — 20 წლის მეტოქე შემხვდა. ცხადია, მას იმდენი გამოცდილება არა აქვს, რამდენიც, მაგალითად — ზვიადს, მაგრამ ჩვენ შორის მაინც საინტერესო ბრძოლა გაიმართა. იმედია, მეტოქეს შემდეგ ტურშიც დავამარცხებ.

**როგორც მივხვდი, შეჯიბრებაში ასაკობრივი კატეგორიები არ არსებობს. ასეა?**

— არც ასაკობრივი და არც — წონითი. უბრალოდ, მონაწილეობის უფლება 18 წლამდე ასაკის მოზარდებს არა აქვთ. ქალაქური კრივის ტრადიციის მიხედვით, მეტოქეები ერთმანეთს კენჭისყრის შედეგად ხვდებიან.

**ზურაბი:**  
— საბრძოლო ხელოვნების სხვა სახეობებთან ერთად, ქალაქური კრივიც ომთანაა გაიგივებული, ომში კი მოგეხსენებათ, ერთმანეთს წონითი კატეგორიების მიხედვით არ ებრძვიან. ქართული საბრძოლო ხელოვნება ბრძოლის იმიტაციაა და ჩვენ ეს ტრადიცია აღვადგინეთ. ცნობილია, რომ

ასეთ შეჯიბრებებს თავად ყარაჩოხელები აწყობდნენ.

**ირაკლი:**  
— ეს ტრადიცია ქართველებმა საბჭოთა პერიოდში დავკარგეთ...

**ზურაბი:**



ეს ტრადიცია ქართველებმა საბჭოთა პერიოდში დავკარგეთ...

— ნებისმიერი დამპყრობელი ვერი დაპყრობილს იარაღის ტარებას, ვარჯიშს უკრძალავდა, საბრძოლო სულისკვეთებას უკლავდა, რათა შინაგანად გაენადგურებინა და დაემორჩილებინა. ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, ქართული ჭიდაობიდან სხვადასხვა ილეთი ამოიღეს. რუსების განმარტებით, ეს ილეთები ჯანმრთელობისთვის სახიფათო იყო, სინამდვილეში კი არ სურდათ, მებრძოლი სულისკვეთების ხალხი ვყოფილიყავით. ჰოდა, ქალაქური კრივი და მსგავსი შეჯიბრებები ჯერ ქალაქგარეთ გადაიტანეს, მერე კი საერთოდ აკრძალეს. თითქმის 200-წლიანი პაუზის შემდეგ, ღვთის წყალობითა და ჩვენი ორგანიზაციის მეშვეობით, ქართული საბრძოლო ხელოვნების ტრადიცია აღდგა და იმედია, ქართველ ხალხში საბრძოლო სულისკვეთება გამყარდება.

— რამდენი ხანია, რაც თქვენ ორგანიზაცია არსებობს?





ანტილაპკანანი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

ქეძღვენილი თქუბ ივანიძე

15. XVI საუკუნეში მოღვანე ყაზარდოს დიდი მთავარი თემურუკი ოსმალეთ-ყირიმის აგრესიის წინააღმდეგ იბრძოდა და ყაზარდოს მიწების გაერთიანებას ცდილობდა. 1557 წელს სხვა ყაზარდოელ თავადებთან ერთად, მიიღო რუსეთის მფარველობა. 1561 წელს ივანე მრისხანემ ცოლად შეირთო თემურუკის ასული კუჩენი (მარია), რამაც განამტკიცა თემურუკის მდგომარეობა. მისი მოთხოვნით, 1567 წელს მოსკოვის მთავრობამ თურგის ციხესიმაგრე ააგო, რომელიც კავკასიაში რუსეთის გავლენის ფორპოსტად გადაიქცა.



16. თეგლას მონასტერი იერუსალიმში ქრისტეს საფლავის მახლობლად მდებარეობს. იგი XV საუკუნის შუა ხანებში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრის (ჯვრის მამის), ქრისტეფორე ზედგენიძისა და მისი ნათესავების მიერ არის აშენებული. XVI საუკუნის დასასრულსა და XVII საუკუნის დასაწყისში ჯვრის მამას, ქაიხოსრო ზედგენიძეს, მონასტერში აუშენებია ზღუდე და სენაკი. 1965 წელს მიაკვლიეს წარწერას, რომელიც ასომთავრულით არის ამოკვეთილი: „ქ. მე, ზედგენისძემან, ჯუარის მამამან ქაიხოსრო, აღვაშენე ზღუდე ესე და სენაკი. წმიდაო და მხეველ ქალწულ მონაშეო თეგლა, მეოხ და მცველ ექმენ ქაიხოსროს და მისთა დედა-მამათა შეუნდგენს ღმერთმან, ამინ!“

17. ერთხელ დიოგენე სინოპელმა თვალი მოჰკრა, თუ როგორ მიათრევდნენ ტაძრის ქურუმები საპატიმროში კაცს, რომელმაც ტაძრიდან ოქროს თასი მოიპარა და წამოიხასა: ერთი შეხედეთ, დიდმა ქურდებმა პატარა ქურდი დაიჭირეს.

18. ათენელი სტრატეგი პერიკლე ერთი პერიოდი ისე გადაიტვირთა სახელმწიფო საქმეებით, რომ დიდი ხნის მანძილზე აღარ მოუწახულებია თავისი მასწავლებელი და მრჩეველი ანაქსაგორე. უყურადღებობით გულნატკენმა მოხუცმა შიმშილით თავის მოკვლა განიზრახა და საკვების მიღება შეწყვიტა. ამ ამბით შემფოთებული პერიკლე თავის მრჩეველს ეახლა და შეეხვეწა, საშინელ განზრახვაზე ხელი აიღო, შეწნაირი ნათელი გონების მრჩეველს სადღა ვიპოვო?! რაზეც ფილოსოფოსმა მიუგო: „ვისაც სანათი ღამ-სა სჭირდება, მასში ზეთის ჩასხმაც არ უნდა ეზარებოდეს!“

19. კრწანისის ბრძოლაში ქიზიყელთა, არაგველთა და თუმ-ფშავ-ხევსურთა რჩეულ რაზმებთან ერთად, თბილისელთა რაზმი იბრძოდა, რომელსაც სასახლის მსახიობთა დასის მეთაური მაჩაბელა ედგა სათავეში.

უფლება სხვებსაც მიეცეთ.

### დიდი ხანა, რაც ქართულმა საბრძოლო ხელოვნებამ გავიტაცათ?

— მორაგბე ვიყავი, მაგრამ 2 წლის წინ „ქართული საბრძოლო ხელოვნების“ წევრები გავიცანი და მივხვდი, რომ ჩემი ადგილი აქაა. სხვათა შორის, ყველაფერი იოლად ავითვისე.

### უზრახი:

— ყველა ის ადამიანი, ვინც ჩვენთან მოვიდა, მანამდე ან სპორტსმენი იყო, ან — მოცეკვავე... პირადად მე, 10 წელია, ვვარჯიშობ, თუმცა საბრძოლო ხელოვნება მანამდეც მინტერესებდა და ვჭიდაობდი, ვცურავდი... პროფესიონალი კი ვეიმი ვარ.

### დღის განმავლობაში რამდენ ხანს ვარჯიშობ?

— მინიმუმ — 2 საათს. შეჯიბრების წინ უფრო ინტენსიურად ვვარჯიშობ. განრიგს იდეალურად არ ვიცავთ და დაბადების დღეებსა თუ სხვა დღესასწაულებსაც აღვნიშნავთ, მაგრამ ყველაფერს ნორმის ფარგლებში ვაკეთებთ: გადაჭარბებული ქეიფი კი არა, ვარჯიშიც მაგნებელია.

### შენს ჩამტკრულ ნეკნებს თუ არ გავითვალისწინებთ, საბრძოლო ხელოვნება ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა?

### უზრახი:

— ტრავმული ნამდვილად არის, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობთ, არ დავშავდეთ და ერთმანეთსაც ვუფრთხილდებით... ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა: ორგანიზმი ფოლადივით იწრთობა. მერწმუნეთ, ადამიანი სახლში ჯდომით უფრო დასნეულდება.

### ირაკლი:

— 2 წელია, თავიც არ ამტკივებია. მიუხედავად იმისა, რომ ზამთარში მოკვლევადიანი მასიურით დავდივარ, არ გავცივებულვარ...

### შეჯიბრების შემდეგი ტური როდის გაიმართება?

### ირაკლი:

— სავარაუდოდ — სექტემბერში. სამომავლოდ, ქართული საბრძოლო ხელოვნების ფესტივალის მოწყობას ვაპირებთ. მასში მონაწილეობის საშუალება ნებისმიერ მსურველს ექნება. ვეცდებით, ძველი თამაშები აღვადგინოთ, რაშიც ხალხის მხარდაჭერის იმედი გვაქვს...

### ირაკლი:

— კავშირი „ქართული საბრძოლო ხელოვნება“ 2003 წლიდან არსებობს.

### უზრახი:

— თუმცა ამ კუთხით მუშაობა 90-იანი წლებიდან დაიწყო...

### ირაკლი:

— ქართული საბრძოლო ხელოვნებით დაინტერესებულმა ადამიანებმა მთელი საქართველო შემოიარეს და „ცოცხალ ლეგენდებთან“ გასაუბრების შედეგად, საბრძოლო ილეთები აღადგინეს.

### უზრახი:

— ექსპედიციების დაწყებამდე, საბრძოლო ხელოვნების შესახებ მხოლოდ ლიტერატურიდან ვიცოდით და დავინტერესდით, საქართველოში ამ ტრადიციის მომხრეები თუ ცხოვრობდნენ, ჩვენთვის ილეთების შესწავლა თუ შეეძლოთ. მადლობა ღმერთს, ასეთ პიროვნებებს შევხვდით (ძირითადად — მთაში). სოფელ-სოფელ დავდიოდით და ინფორმაციას ვაგროვებდით. მასალების მოძიების შედეგად, ჩამოყალიბდა სისტემა, რომელსაც „ქართული საბრძოლო ხელოვნება“ ჰქვია. მას 2 ძირითადი მიმართულება აქვს: საბრძოლო, სადაც ადამიანის ფიზიკური მომზადება ხდება და დადგენილი, რასაც „არტ-გენის“ ფესტივალზე, „მატილობაზე“, „არაგველობასა“ და სხვა დღესასწაულებზე წარმოვადგენთ ხოლმე. სხვათა შორის, ილეთებთან ერთად, უამრავი იარაღი აღვადგინეთ. იარაღს „ქართული საბრძოლო ხელოვნების“ წევრები — გიორგი ლაცაბიძე და ბაქარ ნათენაძე ამზადებენ.

### ქალაქურ კრივი მონაწილეობის მსურველი ბევრია?

### ირაკლი:

— მსურველი მართლაც ბევრია და გაისად ვეცდებით, ორგანიზაციის წევრების გარდა, მონაწილეობის



ქალაქური კრივი და მსგავსი შეჯიბრებები ჯერ ქალაქგარეთ გადაიტანეს, მერე კი საერთოდ აკრძალეს



# მიძინება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ამასოფლიდან გასვლას მიძინება ეწოდა. ეს უდიდესი მოვლენა წმინდა ეკლესიამ დღესასწაულად აქცია. ღვთისმშობლის მიძინებას 28 აგვისტოს ვეგებებით...

## შორანა მერაპილაძე

საეკლესიო გარდამოცემით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა მაცხოვრის ზეცად ამაღლებიდან მეჩვიდმეტე წელს მიძინა. თავისი ნეტარი მიძინების შესახებ წმინდა ქალწულს სამი დღით ადრე ანგელოზისგან ეუწყა. ამ სასიხარულო ამბის დასამონებლად, მთავარანგელოზმა გაბრიელმა მას სამოთხეში დანერგილი ფინიკის ხის ტოტი გადასცა და უთხრა, რომ ეს რტო, რომელიც ღვთაებრივი მადლით ბრწყინავდა, მის საფლავთან უნდა მიეტანათ. წმინდა ქალწული თვითონვე ითხოვდა ღვთისგან ამასოფლიდან გასვლას, ამიტომაც იყო, რომ ამ უწყებამ სიხარულით აღავსო და ნეტარი მიძინებისთვის მზადება იწყო. ამის შესახებ უპირველეს ყოვლისა, იოანე ღვთისმეტყველს ამცნო და უფალს შესთხოვა, კიდევ ერთხელ ეხილა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში საქადაგებლად წასული მოციქულები. იოანე ღვთისმეტყველმა იაკობ მოციქული — მართალი იოსების ძე, იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსი მოინახულა და ყოველივე აუწყა. მან ოთხივე მხარეს გაავრცელა ეს ამბავი.

სიონის მთაზე, იოანე ღვთისმეტყველის სახლში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, სადაც ცხოვრობდა დედა ღვთისა, თავისი ძის სურვილითა და ნებით, მისი ზეცად ამაღლების შემდეგ. მორწმუნენი მწუხარებდნენ წმინდა ქალწულთან განშორების გამო. ღვთისმშობელი აიძვებდა და ჰპირდებოდა, რომ არ მიატოვებდა მათ, ყოველთვის მსწრაფლშემწე და შუამდგომელი იქნებოდა მათი, ვინც მწუხარებისა და განსაცდელის ჟამს მიმართავდა. მის ამ დაპირებაში მთელი კაცობრიობის ნუგეშია დამარხული.

ღვთისმშობელმა ისურვა, რომ მისი სხეული გეთსიმანიის ბაღის ქვაბულში დაეკრძალათ, იოსაფატის ველთან, ზეთისხილის მთასა და იერუსალიმს შორის, სადაც მისი მართალი

მშობლები და იოსებ დამწინდველი განისვენებდნენ.

მოულოდნელად ძლიერი ხმაური გაისმა. იოანე ღვთისმეტყველის სახლთან შეკრებილმა ადამიანებმა იხილეს, რომ სახლს ნათელი ღრუბელი შემოერტყა. უფალმა აღასრულა ყოვლადწმიდა დედის სურვილი: სულიწმიდის მადლით, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მყოფი მოციქულები სასწაულებრივად აიტაცა ღრუბლებმა და ყველანი, თომას გარდა, სიონის მთაზე აღმოჩნდნენ. უფალმა ამ დროს უკვე აღსრულებუ-



ლი მოციქულებიც კი აღადგინა.

როდესაც მოციქულებმა ღვთისმშობლისგან შეკრების მიზეზი შეიტყვეს, მასთან ხორციელი განშორების გამო მწუხარებას მიეცნენ. წმინდა ქალწულმა გაამხნევა და ანუგეშა მოციქულები, თავისი ძის წინაშე მარადიული შუამდგომლობა აღუთქვა.

დადგა ჟამი ღვთისმშობლის მიძინებისა. მის სარეცელთან შეკრებილ მლოცველ მოციქულებს ესმათ ბრძანება ღვთისა, რომ ჯეროვანი პატივი მიეგოთ ღვთის დედის მიცვალებისთვის. წმინდა ქალწულმა ძეს შეავდრა ყოველი დაბადებული, შემდეგ კი იაკობ მოციქულისგან ზიარება მიიღო... მოულოდნელად განიღო სახლის ქერი. ოთახი ღვთაებრივი ნათლით გაბრწყინდა — თავად უფალი იესო ქრისტე გამოცხადდა ანგელოზთა დასის თანხლებით. ღვთისმშობელმა სარეცლიდან წამოინია და მიეგება უფალს და

ძეს თვისას. უფალმა გაამხნევა და ანუგეშა მარადის ქალწული, შემდეგ კი „ყოვლადუბინო სული მშობლის თვისისა მკლავთა ზედა მიირქუა და ამაღლდა ზეცად“. როდესაც ღვთისმშობელმა სული თვისი ძის ხელს გადასცა, გაისმა ანგელოზთა გალობა: „გინაროდენ მიმადლებულო, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“.

მოციქულები გაოცებულნი შესცქეროდნენ ზეცას. როდესაც გამოერკვნენ, გალობით განადიდეს წმინდა ქალწული, ზეციდან კი ისმა ხმა ღვთის დედისა, რომელიც მიმართავდა თავის ძესა და უფალს: „შენი ჩემდა მოცემული საუკუნოდ დაიცავ...“

მისი წმინდა სხეული, ანდერძის თანახმად, გეთსიმანიის ბაღში დაკრძალეს, რასაც აურაცხელი სასწაული ახლდა: სამი დღე-ღამის განმავლობაში, ქვაბულთან, სადაც წმინდა ქალწულის სხეული ესვენა, ანგელოზთა განუწყვეტელი გალობა ისმოდა. მესამე დღეს გეთსიმანიაში მოვიდა თომა მოციქული და გოდებით მიეახლა აკლდამას, სადაც წმინდა ქალწულის სხეული განისვენებდა. მოციქულებმა გადამწყობეს, სამარხი გაეხსნათ, რათა თომას ღვთისმშობლის თაყვანისცემისა და გამოთხოვების საშუალება მისცემოდა. როდესაც სამარხი გახსნეს, იქ მხოლოდ ღვთისმშობლის შესამოსელი იხილეს. თომა მოციქულის შეყოვნება ღვთის განგებულებით მოხდა, რათა ღვთისმშობლის აღდგომის, სხეულით ზეცად ამაღლების შესახებ გაცხადებულიყო.

მოგვიანებით მოციქულებს თავად ყოვლადწმიდა ღვთისმშობელიც გამოეცხადა ანგელოზთა თანხლებით, გაამხნევა ისინი და აღუთქვა, რომ ყოველთვის იქნებოდა მათ გვერდით, შემწედ და მფარველად.

## არსი ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულისა

ყველა საეკლესიო დღესასწაული ღრმა შინაარსითაა დატვირთული. ღვთისმშობლის დღესასწაულის უმთავრესი შინაარსი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის განდიდება, ნუთისოფლიდან დიდებით გასვლაა. ეს იყო უდიდესი მოვლენა. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი ერთ-ერთ ქადაგებაში ბრძანებს: „მიძინებით ანუ ნუთისოფლიდან გასვლით არათუ მოაკლდა რაიმე მახლობელთა მისთა და სოფელსა ყოველსა, არამედ შეიძინა დიდი რამ. რანაირად? ესრეთ, რომელ ყოვლად-





წმიდამან ღვთისმშობელმან, ვითარცა თქმულ-არს საღმრთოს გალობასა შინა დღევანდელისა დღისასა, შობასა ქალწულება დაიმარხა და მიცვალებასა სოფელი არა დაუტევა. სოფელსა ამას შინა ცხოვრება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა იყო ესოდენ მშვიდ და დაფარულ, რომელ მას ხედავდნენ არა მრავალნი პირნი, არამედ მხოლოდ რამდენიმე მახლობელი მისნი მიიღებდნენ მისგან გამოუთქმელსა ნუგეშსა, დიდსა და სულიერსა სარგებლობასა; გარნა როდესაც იგი გავიდა ამა სოფლისაგან და შევიდა დიდებასა შინა ძისა თვისისა და ღვთისა ჩვენისა, მაშინ იგი შეიქმნა მთელისა ქვეყნისათვის წყარო მადლისა და კარი მონყალისა. აჰა მიზეზი, რომლისთვისცა ყოველი კაცი სიხარულითა და დღესასწაულობითა იხსენებენ დღესა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინებასა“.

წმინდა ეკლესია ღაღადებს, რომ ღვთისმშობელი, მარადქალწული მარიამი უმადლესია ყველა ქმნილ გონიერ არსებათა შორის. იგი შეუდარებლად აღემატება თვით უმადლეს ანგელოზებს — ქერუბიმებსა და სერაფიმებს, ყველა წმინდა ადამიანს, რამეთუ მისგან იშვა ღმერთკაცი, მხსნელი კაცობრიობისა; მხოლოდ წმინდა მარიამი შეიქნა ღირსი იმისა, რომ მიეღო სიტყვა ღვთისა და ღვთის უდიდესი საიდუმლოს განხორციელებისთვის ემსახურა. ცხადია, ესოდენ ზეალმატებული პიროვნების ნუთისოფლიდან გასვლა განდიდებასა და პატივის მიგებას იმსახურებს. მისი გასვლა ფაქტობრივად, დღესასწაულიც იყო, ამიტომაც იქცა ზემის მიზეზად, რადგან მოციქულებს, მათი სახით კი მთელ კაცობრიობას აღუთქვა, რომ მარადის იქნებოდა მათთან შემწედ და მფარველად. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ბოძებული აქვს კანდიერება, იყოს კაცობრიობის განსაკუთრებული მეოხი ღვთის წინაშე. „წმინდა ეკლესია თხოვნით მიმართავს ღმერთს ყველა დიდ სათნომყოფელს, ყველა ანგელოზსა და მთავარანგელოზს, და თავის ლოცვებში შესთხოვს: ევედრეთ ღმერთსა ჩვეთვის! მარტოოდენ ღვთისმშობლისადმი იყენებს ეკლესია სიტყვებს: „გაცხოვენ ჩვენ“.

რით დაიმსახურა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა უდიდესი პატივი ღვთისა?

ყოვლადწმინდა მარიამმა თავის წილში დაუტყვევებელი დაიტია — მისგან შეისხა ხორცი მაცხოვარმა, განკაცებულმა უფალმა.

ის მისია, რომელიც წმინდა ქალწულმა აღასრულა, უნდა აღესრულებინა

ნა კაცთა შორის უპირველესს, ვინც ყველაზე მეტი იყო ადამიანთა შორის თავისი სათნოებებით, თავისი ღვთისმოსაობითა და ღვთის მცნებების აღსრულებით. წმინდა მარიამმა ყველა ადამიანზე მეტად მოისმინა და აღასრულა ღვთის მცნებები. იგი გამორჩეული და ზეალმატებული იყო თავისი მორჩილებითა და თავმდაბლობით; მისი ნება, ყოველთვის ღვთის ნებას ემთხვეოდა.

ღვთისმშობელი ამასოფლიდან გასვლამდე ათონელმა სწავლულმა, დიონისე არეოპაგელმა მოინახულა, რომელიც ქრისტიანობაზე პავლე მოციქულმა მიაქცია. იგი პავლე მოციქულისადმი მიწერილ ეპისტოლეში წმინდა ქალწულის მიმართ წერს: „ღმერთის წინაშე ვლიარზე: დაუჯერებლად მიმაჩნია, რომ თვით მაღალი ღმერთის გარდა, ვინმე შეიძლებადა ყოფილიყო ღმრთებრივი ძალითა და სასწაულებრივი მადლით ესოდენ გაბრწყინებული; კაცთაგან ვერავინ შეძლებს ჩანვდეს იმას, რაც ვნახე და შევიმეცნე არა მარტო სულიერი თვალებით, არამედ ხორციელითაც. მე თავად ვიხილე ღმერთის მსგავსი და ყველა ზეციურ სულზე უწმიდესი მშობელი ჩვენი უფლისა იესო ქრისტისი... ვიმონებ ღმერთს, რომელიც მის უწმინდეს სხეულში მყოფობდა: ჩემს მახსოვრობაში და ახალგანათებულ გონებაში შენი ღმრთებრივი სწავლებანი და მცნებანი რომ არ დამემარხა, ქალწულს ღმერთად ვლიარებდი და პატივს მივაგებდი მას ჭეშმარიტი ღმერთის ჯეროვანი თავყვანისცემით. რადგან ჩემი გონებისთვის წარმოუდგენელია ღმერთისგან განდიდებული ადამიანისთვის მეტი პატივი და დიდება, როგორც ის ტკობაა, რომელიც მე უღირსმა ვიგეე...“

რატომ ვეგებებით ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს მარხვით?

ოთხი დიდი მარხვიდან ერთ-ერთი, რომელიც წინ უსწრებს ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს, ეძღვნება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მსახურებას. მარხვა არის საზადისი დღესასწაულის შესახვედრად. ამ სამზადისში ადამიანმა უნდა დათრგუნოს ვნებები, სძლიოს ცოდვებს და განწმინდოს — გაძლიერებული ლოცვით, მსახურებით, სიწინაშლით, რათა ღრმად ჩასწვდეს დღესასწაულის არსს და მეტი მადლი მიიღოს.

რა იკითხება ღვთისმშობლის მიძინების ხატზე?

მართლმადიდებლურ სამყაროში წმინდა ქალწულის აურაცხელი ხატი არსებობს, მათ შორისაა მიძინების იკონოგრაფიული გამოსახულებაც. მიძინების ხატზე გამოსახულია სარეცელზე დასვენებული ღვთისმშობელი,

ანთებული კანდელი, მის გარშემო თორმეტი მოციქული, ორი ან ოთხი მთავარეპისკოპოსი. ზოგიერთ ხატზე გამოსახული არიან მტირალი იერუსალიმელი დედები. ამგვარი გამოსახულებები უფრო ადრინდელი ხანისაა. უფრო მოგვიანებით, მიძინების სცენაზე დაიწყეს მოციქულთა ღრუბლებით გადმოფენის ეპიზოდის გამოსახვა. ასევე გამოსახება სარეცელთან მდგომი მაცხოვარი, რომელსაც ხელთ უპყრია ღვთისმშობლის ხელი. XIII საუკუნის ბოლოდან ბიზანტიურ ხატურაში ამ ეპიზოდებს ემატება სარეცელის წინ იოფანის ხელის კვეთის ეპიზოდი (წმინდა სასწაულისა, რომელიც ღვთისმშობლის დაკრძალვის დროს აღესრულა), სცენის ზედა ზონაში კი გამოსახულია ღვთისმშობლის ამაღლება; მასზე გამოსახული ღვთისმშობელი ტახტზეა დაბრძანებული, ირგვლივ ანგელოზთა დასით. აქვე გამოსახულია ღრუბლით მოსული თომა მოციქულის ნახევარფიგურაც, რომელიც ღვთისმშობლისგან იღებს სარტყელს.

**გათსიგანია, ზათისხილის მთა — ღვთისმშობლის საფლავი**

ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სინმინდეს წარმოადგენს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საფლავი. სინმინდე ისრაელის ტერიტორიაზე, გეთსიმანის ბაღის მახლობლად მდებარეობს (გეთსიმანის ბაღი ზეთისხილის მთის ძირასაა). ღვთისმშობლის საფლავზე, აკლდამაზე, სადაც სამი დღის მანძილზე იყო დასვენებული ყოვლადპატიოსანი სხეული წმინდა ქალწულისა, 326 წელს, ელენე დედოფალმა პირველი ტაძარი ააშენა, ხოლო XII საუკუნეში ამ ადგილას ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი ააგეს. ღვთისმშობლის საფლავი ტაძრის ქვედა ნაწილში მდებარეობს, მასთან მოსახვედრად გრძელი დამრეცი კიბე მიგვიძღვის. ამავე ტაძარში განისვენებენ ღვთისმშობლის მშობლები — მართალი იოაკიმე და ანა.

ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, სადაც მდებარეობს წმინდა ქალწულის საფლავი, ქართველებს უძველესი დროიდან ჰქონიათ საკურთხეველი წმინდა საფლავის მარჯვნივ, სადაც წირვას აღასრულებდნენ. 1421 წელს იბერიელთა კუთვნილი საკურთხეველი სომხებს ჩაუვარდათ ხელში და როგორც წმინდა მიწის სხვა სინმინდეები, ქართველებმა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში კუთვნილი ადგილიც დაკარგეს.



# ზღვისა და მთის დაავადებები



## ზღვის ავადმყოფობა

ადამიანი სივრცეში ორიენტირებას მხედველობით და ვესტიბულური სისტემების ერთდროული მოქმედების წყალობით. ვესტიბულური სისტემა ანალიზებს და თავის ტვინს გადასცემს ინფორმაციას სხეულის მიერ შესრულებული სწორხაზოვანი ან ბრუნვითი მოძრაობის, აჩქარების ან შენელების, სივრცეში თავის მდებარეობის შეცვლის შესახებ. ამ სისტემიდან წამოსული იმპულსების საპასუხოდ, ჩონჩხის კუნთები ისე გადაწინააღმდეგავენ, რომ სხეულმა სივრცეში წონასწორობა შეინარჩუნოს. რაც შეეხება თანაბარ მოძრაობას ან მოსვენებით მდგომარეობას, ამ დროს ვესტიბულური აპარატი არ იგზნება.

ზღვის ავადმყოფობას უწოდებენ იმ პათოლოგიური სიმპტომების ერთობლიობას, რომელიც ვესტიბულურ აპარატზე ძლიერი, ხანგრძლივი ზემოქმედებისას ვლინდება და ტრანსპორტში სხეულის უწყვეტ, განმეორებად პასიურ მოძრაობას უკავშირდება. რყევით გამოწვეული პათოლოგიური სიმპტომები ნებისმიერი ტრანსპორტით (ავტომობილით, თვითმფრინავით, მატარებლით, გემით) მგზავრობისას შეიძლება განვითარდეს. მათი წარმოშობა იმის ბრალია, რომ თავის ტვინი ურთიერთსაინააღმდეგო სიგნალებს იღებს. რყევის მიმართ განსაკუთრებით მგრამობიარენი ბავშვები არიან. თუკი თქვენი პატარა ხანგრძლივი მგზავრობისას შფოთავს და წუხს, ზოგჯერ კი ჩაიძინებს კიდევც, მას ზღვის ავადმყოფობა აწუხებს, მაგრამ ნუ შეშინდებით: საბედნიეროდ, ამ დაავადებას, როგორც უსიამოვნოც უნდა იყოს, უარყოფითი შედეგები არ მოჰყვება.

ზღვის ავადმყოფობის დროს ადამიანს ძალ-ღონე ელევა, აღენიშნება მთქნარება, ღრმა და ხშირი სუნთქვა, გაძლიერებული ნერწყვდენა, გულისრევა, სიფერმკრთალე, ოფლიანობა, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, გულის-

ცემის გახშირება. ეს ნიშნები, ჩვეულებრივ, მგზავრობის დაწყებიდან ოცდაათიდან ნუთმი იჩენს თავს.

## როგორ დაავადდებით ზღვის ავადმყოფობა

1. თუ აუზზე დაბრძანდებით, რაც შეიძლება მეტხანს იცურეთ კროლით და თან, წარმოსახვითი ვერტიკალური ღერძის გარშემო იტრიალეთ.
2. მოგზაურობამდე სამი დღით ადრე სტაფილოს წვეწის სმა დაიწყეთ (მიიღეთ დღეში რამდენჯერმე). ეს ხანგრძლივი მგზავრობისას დაქანცვისგან გიხსნით.
3. მგზავრობის წინ მსუბუქად წაიხეხეთ. მოგზაურობა არც მშვიდი კუჭით ვარგა და არც მეტისმეტად მაძლირით — ორგანიზმისთვის ესეც დამატებითი დატვირთვაა. არ გაუკაროთ ალკოჰოლს.
4. მგზავრობამდე მიირთვით უცხიმო და ცხელი საკვები. ერიდეთ კრემიან ნამცხვარსა და გაზიან სასმელს.
5. მანქანით მგზავრობისას ჩამოსწიეთ გვერდითა ფანჯარა და სუფთა ჰაერი ისუნთქეთ. ურიგო არ იქნება, თუ არომატიზატორებს მოიშველიებთ და სალონში პიტნის ან წიწვის სურნელს დააყენებთ. ჯდომისას თავი უკან გადააგდეთ. თუ გემზე ხართ, თვალი გაუმტვრეთ უძრავ ნერტილს. მაგალითად, ჰორიზონტს.
6. თუ სწორედ ზღვაში ხდებით

ცუდად, გემის რყევისას ამგვარად ისუნთქეთ: როდესაც გემბანი დაეშვება, ჩაისუნთქეთ, ხოლო როცა აინევს, ამოისუნთქეთ. ეს მდგომარეობას ოდნავ მაინც შეგიმსუბუქებთ.

7. კისერი და საფეთქლები სველი პირსახოცით დაიზილეთ. გულისრევას იგრძნობთ თუ არა, დალექეთ ლიმონის ნაჭერი, მენტოლიანი კარამელი, საღებავი რეზინი, სანელებლები ან რაიმე მჟავა.

8. გიშველით მასაჟი: ხელის მტევანი (ხელისგულით ზევით) მუხლზე დაიდეთ, მეორე ხელის ცერა თითით კი ჯერ მაჯა დაიზილეთ, შემდეგ — ხელისგული.

9. დაბოლოს — თუკი ზღვის ავადმყოფობა განუხებთ, გამგზავრებამდე რყევის საინააღმდეგო პრეპარატები მოიმარაგეთ (ისინი ნებისმიერ ავთიაქში იყიდება), ოღონდ მანამდე, რჩევა ოჯახის ექიმს ჰკითხეთ.

## მთის ავადმყოფობა

მაღალმთიან რაიონებში რაც უფრო იმატებს სიმაღლე, მით უფრო ეცემა ატმოსფერული წნევა. დაბალი ატმოსფერული წნევის ზემოქმედებით განვითარებული პათოლოგიური სიმპტომების ერთობლიობას მთის ან სიმაღლის ავადმყოფობას უწოდებენ. ამ დროს ადამიანზე სხვა ფაქტორებიც ზემოქმედებს: დაბალი ტენიანობა, ჟანგბადის დაბალი პარციალური წნევა, მზის მაღალი რადიაცია და ჰაერის მაღალი იონიზაცია. ამ ფაქტორებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ჟანგბადის პარციალური წნევა გახლავთ.

ცნობილია, რომ ჩვენ გარშემო არსებული ჰაერი აირების ნარევისგან შედგება. სწორედ მათ წნევას ეწოდება პარციალური. ზღვის დონეზე ჰაერი 21% ჟანგბადს შეიცავს, ანუ აქ მისი პარციალური წნევა მაღალია. რაც უფრო მეტად ვშორდებით ზღვის დონეს, ატმოსფერულთან ერთად, ჟანგბადის პარციალური წნევაც მცირდება, შედეგად კი ჟანგბადის ქსოვილებამდე მიტანა ფერხდება და ვითარდება ე.წ. სიმაღლის ჰიპოქსია (ჟანგბადოვანი შიმშილი). თავდაპირველად, ჟანგბადის უმნიშვნელო დეფიციტის დროს ორგანიზმი დამცავ მექანიზმებს რთავს და ამ მდგომარეობის კომპენსირებას ახდენს, მაგრამ იქ, სადაც ჰაერი მნიშვნელოვნად გაუშნოებულია, მთის ავადმყოფობა ვითარდება.

მთის ზემოქმედება კონკრეტული მთიანი მასივის კლიმატური თავისებურებებით განისაზღვრება. მაგალითად:







მთის ავადმყოფობა ალპებში 2500 მ-ზე ვლინდება, კავკასიაში — 3000 მ-ზე, ტიან-შანზე — 3500 მ-ზე, ხოლო პიმალაიში — 4500 მ-ზე.

მთის ავადმყოფობა მწვავე შეიძლება იყოს და ქრონიკულიც. ავადმყოფობას თან ახლავს უძილობა, სისუსტე, თავის ტკივილი და ქოშინი; ზოგიერთს ეიფორია უფიქრებია, ოფლიანობა, ტაქიკარდია, ძილიანობა ანუხებს... მძიმე შემთხვევებში ადამიანმა შეიძლება გონი დაკარგოს ან ცხვირიდან, ქუთუთოებიდან, ყურებიდან სისხლი წასვდეს. მთის დაავადების სიმპტომები უფრო ხშირად აღენიშნებათ მძიმე მონიანობისა და იმ ადამიანებს, რომლებიც ბოროტად იყნებენ ალკოჰოლს.

ზოგჯერ მთის ავადმყოფობის პროვოცირებას ფსიქოემოციური და ფიზიკური გადაძაბვა, უხარისხო და არარაციონალური საკვები, წყალ-მარილოვანი ცვლის დარღვევა, ქრონიკული პათოლოგიები ახდენს. 4000 მ სიმაღლეზე მთის დაავადება ადამიანთა 15-20%-ს უვითარდება, ხოლო 5000 მ-ზე ზევით — პრაქტიკულად ყველას. ქრონიკული მთის დაავადება აქვთ ადამიანებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ 3500-4000 მ-ზე ზევით. გარდა ამისა, მათთვის დამახასიათებელია ფიზიკური და გონებრივი შრომის უნარის დაქვეითება, ცვლილებები ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ. ისინი ხშირად არიან გაღიზიანებული, უქვეითდებათ მესხიერება და შესაძლებელია, ჰალუცინაციებიც ანუხებდეთ. გართულებებს შორის განსაკუთრებით საშიშია ფილტვებისა და ტვინის მწვავე შემუშება, თრომბოზები და თრომბოემბოლიები.

გართულების დროს პირველი დახმარება ასეთია: ადამიანს ათავსებენ საძილე ტომარაში, სასუთმალს უმაღლებენ, ათბობენ, აძლევენ უანგბადს და სასწრაფოდ ჩაჰყავთ ქვევით.

მთის დაავადების მწვავე ფორმის თავიდან აცილების მიზნით, გარდა წინასწარი აკლიმატიზაციისა და სათანადო ფიზიკური მომზადებისა, მიმართავენ ფარმაკოლოგიურ პრეპარატებსაც, სახელობრ, ვიტამინებს (განსაკუთრებით — C ვიტამინს).

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 5(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

### BMW-ს ნოვასია

კომპანია BMW-მ მობილური პროექტი შეიმუშავა, სახელწოდებით The Ultimate Drive, რომელიც მომხმარებელს მსოფლიოს 50 ქვეყანაში საუკეთესო საავტომობილო გზების მოძებნაში დაეხმარება. „The Ultimate Drive სოციალური სანავიგაციო მობილური პროექტია, რომელიც მომხმარებელს არა მარტო საავტომობილო გზების მოძებნის, არამედ მათი შეფასების, კომენტირების, Facebook-ში თავისი მარშრუტების გაზიარების, ამ ყველაფრის ელექტრონული ფოსტით ან სხვა GPS-მონაცემებით გაგზავნის შესაძლებლობას აძლევს. ასეთი მომსახურების მომავალი ვერსიები BMW Financial Service-ს კლიენტებს სპეციალური ბონუს-ბალებისა და რეიტინგების გამოშვების შანსს აძლევს“, — განაცხადა გერმანული კომპანიის ფინანსური ქვეგანყოფილების ხელმძღვანელმა ედ რობინსონმა. გარდა ამისა, ახალი სერვისი არა მარტო მოძებნის, სხვებისთვის გაზიარებისა და ახალი გზების კოორდინატების გაგების შესაძლებლობას იძლევა, არამედ სმარტფონის მფლობელს აფრთხილებს, რომ ამავე პროგრამის გამოყენებით ტრასაზე სხვა მძღოლი გამოჩნდა. სერვისის უფასოდ გადმოწერა შესაძლებელია როგორც iPhone-ზე, ასევე Android-ის პლატფორმაზე აგებული მობილურ მონაცემბაზე.



### პროექტი MORGAN+E

სპორტული ავტომობილების მწარმოებელმა „მორგანმა“ პარტნიორული შეთანხმება გააფორმა ბრიტანულ კომპანიებთან — Zytek და Radshape — და ახლა მათთან ერთად მუშაობს პროექტზე, სახელწოდებით Morgan+E, რაც ორი კონცეპტუალური ელექტროსპორტ-ავტოს გამოშვებას ითვალისწინებს. სიახლეები მომავალი წლის დასაწყისში იქნება წარმოდგენილი. ამ პროექტისთვის კომპანია Zytek საკუთარ ელექტრომობილს შექმნის, ხოლო ფირმა Radshape, რომელიც ლითონის ფენების შექმნაზე სპეციალიზებულია, ალუმინის შასის დაამზადებს ავტომობილ Aero Supersport-ისთვის. ეს შასი მომავალი სპორტავტოების საფუძვლად იქცევა. ამ ეტაპზე უცნობია, თუ რომელი ძრავათი აღიჭურვება სიახლეები. წინასწარი ინფორმაციით, მანქანას 94 ცხმ-ის მქონე ელექტროაგრეგატის მოდერნიზებულ ვერსიას დაუმონტაჟებენ, რომელიც ზოგიერთ სერიულ მოდელზე, მათ შორის Smart ForTwo ED-ზე უკვე გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ სერიული Morgan Aero Supersport BMW 4,8-ლიტრიანი ბენზინის „რვიანი“ იყო აღჭურვილი. აგრეგატის შემადგენლობაში იქნება ლითიუმ-იონური აკუმულატორების კომპლექტიც და სიჩქარის გადაცემათა მექანიკური კოლოფი. კომპანია „მორგანში“ იმედოვნებენ, რომ მოთხოვნილების შემთხვევაში, კონცეპტუალურ ელექტროავტოებს სერიულ წარმოებაშიც ჩაუშვებენ.



მოამზადა ალექსი რეხვიანშიძემ



# გიგლუსი

გიგლუსი — იგივეა, რას ვაპირუსი, გრაბნილი, წიგნი

## წვეთი პოეზია

### შენი ყელი



შენი ყელი... ამბობენ, რომ შენი სწორი ყელი  
 ტერნამია შარბათისა ძველი, მამრიყელი.  
 არა! უფრო ამსგავსებენ... რას? არ ვიცი, თუ რას:  
 მარმარილოს ცისარტყელას, თუ სადაფის სურას?!  
 მე ჯი... მე ჯი გამოვძებნი სურათს ჯერ არყოფილს:  
 შენი ყელი მე მაგონებს გედის ათლილ ჰროფილს.

ორჯერ გნახე! და ორჯერვე ისე ავკაეტუცდი,  
 რომ ბუნებრივ სიკვდილს, ჩემო, რა ვქნა – აღარ ვუცდი.  
 მსურს გიმზირო და ამ მხერით გაგარჩიო სხვაში,  
 რომ ვაკვავდე, როგორც ბუზი მარგალიტის ქვაში.

აი, ეხლაც თეატრში ხარ... და თეატრის სყამებს  
 შენი ყელის არემარე მორცხვად აყამყამებს.  
 ისე ნაზად აძლევ სალამს ყველას... ყველას... ყველას...  
 რომ წარბების მათრახებით ჰხატავ ცისარტყელას:  
 და ლორნეტის ორი მინა ისე ხარბად მზვერავს,  
 რომ არ ვიცი, რით გავუძლო მაგ ჯადოსნურ მხერას.  
 ისე გშვენის მძივ-გულქანდა ყელზე მონართავი,  
 რომ... ახ, ნეტა, მე შენს ყელზე ჩამოვიხრჩო თავი.

იოსებ გრიშაშვილი

### ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია  
 არნოდ ჩიქობავას რედაქტორობით  
 1982 წელს გამომცემული  
 ქართული ენის  
 განმარტავითი ლექსიკონის  
 ერთტომეულის მიხედვით  
 შემდგენელი თეატრ ივანოძე

### ა

დასაწყისი იხ. „გზა“,  
 №2-52, 2010 — №1-33, 2011

**მანუფაქტურა** ლათ. — 1. კაპიტალისტური წარმოების ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ხელის იარაღების გამოყენება და შრომის განაწილება დაქირავებულ მუშებს შორის; 2. (ძვ.) საფეიქრო ნაწარმი — ქსოვილები, ფართალი.

**მანჭკვალა** — საჭმელი სოკო.

**მანჭო** — გუთნის სახელური.

**მანჯიკი** — მომცრო მარხილი (საბა).

**მაჟალო** — ტყის ვაშლი.

**მაჟარი** — ძველებური თოფი ერთგვარი.

**მაჟარა** — მინდვრის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე.

**მარაქ** — ერთად თავმოყრილი ქალები ლხინში (მარაქში გაურევა).

**მარახოში** — მომყავო (ღვინო, ხილი).

**მარგალიტა** — დაბალი გვირაგ; გვირგვინის მდებარე მთაში.

**მარგარინი** ფრ. — კარაქის მსგავსი ცხიმეული; მზადდება საჭმელი ზეთისა ან ქონისგან რძისა და კვერცხის დამატებით.

**მარგილი** — სარი, რომელსაც ჩვეულებრივ, ძეძვის ღობის გასაკეთებლად იყენებენ.

**მარეკი** (ძვ.) — ნადირის მომრეკი ნადირობისას.

**მართვე** — ფრინველთა და მწერთა ნაშიერი (არწივის მ. ფუტყრის მ.).

**მარიაზა** — ერთგვარი ბალახი ქოლგოსანთა ოჯახისა.

**მარიაშაკველა** — დაბალი მრავალწლოვანი ბალახი. მისი თესლიდან იღებენ წითელ საღებავს.

**მარიფათი** (საუბ.) — შნო და მოხერხება.

გაგრძელება შემდეგ ნომერში





მიხეილ ჯავახიშვილი

# ქართული წიგნი და ქართველი მწერლობა

(ნაწყობი)

ერთი მუჭა ხალხი ვართ, ისიც ევროპელებთან შედარებით მეტად ღარიბ-ღატაკნი და ჩვენი მწერლობის ჩამორჩენის ერთადერთი მიზეზიც ეს გახლავთ, თორემ ჩვენი ლიტერატურის ღარიბობას ვინ მიაწერს ქართველ ხალხის შემოქმედების უნარის სისუსტეს, ან ამონაწერს? რამდენიმე სახელი რომ მოვიგონოთ, ესეც საკმარისი იქნებოდა. ამას თუნდ მართკმადევის სიტყვები დაუმატოთ: „ქართველებს რომ შესაფერი პირობები ჰქონდეთ, მრავალს დიდ ხელოვანსა და მეცნიერს მისცემდნენ კაცობრიობასო“. საქმეც მხოლოდ „შესაფერ პირობებში“ ყოფილა. მაგრამ პირობებიც ორნაირია: დასაძლევნი და უძლეველი. უძლეველ პირობებს ჩვენს მცირერიცხოვანობას და სიღარიბეს თავი დავანებოთ. ეს მომავალ ის-

ტორიის საქმეა, დავუბრუნდეთ დასაძლევს, სადღეისო საქმეს. ერთს წერილში უკვე ვსთქვით და ესლაც ვიმეორებთ, რომ წიგნის ბეჭდვის გადაქცევა საწარმოო საქმედ და ერთგვარი სახელმწიფოებრივი დახმარება ორი უმთავრესი საფუძველია მწიგნობრობის განვითარებისა. პირველისთვის საჭიროა იაფი წიგნი და დიდი ტირაჟი, ე.ი. ბევრი მყიდველი, ე.ი. წიგნის გავრცელება. წიგნის გათავისუფლების შესახებ სხვებზე ადრე და ყველაზე მეტად სახელმწიფო გამომცემლობამ უნდა იზრუნოს. ეს არის მისი სადღეისო, უმთავრესი საქმე, და თუ მან იგი სძლია, მისი არსებობაც ერთი-ორად იქნება გამართლებული. მაგრამ ეს გახლავთ საქმის ერთი ნახევარი. მეორე ნახევარს შეადგენს განსაკუთრებული მზრუნველობა და მფარველობა, რომელიც სახელმწი-

ფომ უნდა გაუწიოს საერთოდ ხელოვნებას, და კერძოდ მწერლობას. ყველა წარმატებული ქვეყნები ამ საქმეზე უამრავს ეწერის და სახსრებს ჰხარჯავენ, ლიტერატურის მფარველობის დანარჩენს ფორმებს თავი დავანებოთ და გავისხენოთ მხოლოდ ერთი ფორმა: პრემიები. მართო საფრანგეთი წლიურად ასიოდე პრემიას აძლევს სიტყვაკაზმულ მწერლობას. სახელმწიფოს გარდა ყოველწლიურ კონკურსს ნიშნავენ საზოგადო დაწესებულებანი, ქალაქები, ჟურნალ-გაზეთები, გამომცემელი და მეცენატები. შეჯიბრება დიდი ხელნამკრავია შემოქმედებისა. ამ საგანზედაც ჩვენში მრავალი დაუწერიათ და უფრო მეტი უთქვამთ, მაგრამ სამწუხაროდ „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უდევს დიდი მზღვარი“.

1924 წელი

ორი დიდი პიროვნების — კონსტანტინე გამსახურდიას და გერონტი ქიქოძის საუბარს შევესწარი მწერალთა კავშირის ბაღში.

ბატონი კონსტანტინე ეუბნებოდა ბატონ გერონტის:

პრომეთეოსმა იმიტომ კი არ მოპარა ღმერთს ცეცხლი, რომ შემდგომ ადამის გაბრწყინებულ მოდგმას გოეთესა და ჰაინეს წიგნები დაეწვა ამ ცეცხლში, პირიქით, დღე თუ არ ეყოფოდა საკითხავად, ამ ცეცხლის შუქზე ღამითაც ეკითხა ეს ღვთაებრივი ლექსებიო...

ამ წუთში ჩემი და გამახსენდა, ღუმელში დასაწვავად გადადებულ წიგნებიდან რამდენიმე რომ მოიპარა და შემდეგ ღამღამობით უჩუმრად კითხულობდა, კითხულობდა და მაღავდა იმ დამალულ წიგნებს, შემდეგ მე ვიპარავდი და სახლის სხვენზე ვკითხულობდი. ჩემი და 12 წლისა იყო მაშინ, მე კი ცხრა წლისა. ასეთ ასაკში შეიძლება, ადრეც კი იყო ჩვენთვის ჯავახიშვილის დიდებული რომანებისა და მოთხრობების კითხვა, მაგრამ მაშინ ასაკს ვინ დაგიდევდა, ყველაფერი მოსწონებდა იყო, ქვეყნიერება თავდაყირა იდგა და ყველაფერი უკულმა იკითხებოდა...

მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ ორმოცდაათი წლის შემდეგ, სახლის სხვენზე კი არა, ამ მზისგულ-

ნოდარ დუმბაძე

## მიხეილ ჯავახიშვილი



ზე საკითხავი წიგნების ავტორის იუბილეს მოვესწრებოდი და განგება ამ საღამოზე სიტყვის წარმოთქმასაც მალირსებდა...

ჯავახიშვილი შიშით, პარკით, ალიყურით, წყევლითა და კრულვით შექმნილი მწერალია ჩემთვის, ამიტომ მიყვარს იგი ასერიგად, ამიტომ განვიცდი მას დღემდე ყმან-

ვილივით, ამიტომ მიმანჩნია თავი მის შეგირდად, რითაც უსაზღვროდ ვამაყობ და ვიამაყებ ყოველთვის.

ვაი, რა ვინრო ნაოჭი, ღარი და ხნული ჰქონია ტვინში იმას, ვისაც ეგონა, რომ მის სახელს ნაშლიდა ქვეყნიერებაზე.

ტკივილი ტკივილად დარჩა, თორემ ჯავახიშვილი იმ პატიოსან თვალსა ჰგავს, ერის საგანძურის სეიფში რომ დევს, რომელსაც ვერც მოიპარავ, ვერც გაყიდი და ვერც იყიდი, რადგან ერთადერთია, უნიკალური და ფასდაუდებელი.

ახლა ჯავახიშვილის წიგნები ყველა ოჯახში აწყვია, როგორც განძი, როგორც გაფრთხილება, გამოფხიზლება, სიმართლე, აღიარება, სიყვარული, თავდავინწყება, ინტერნაციონალიზმიც და პატრიოტიზმიც, ყველაფერი ის, რითაც სუნთქავს ქართველი ხალხი.

იგი ილიას პირდაპირი მემკვიდრე იყო, ამოღებული ხმალივით შიშველი და სამშობლოს საკურთხეველზე ზვარაკად მიტანილი.

ჯავახიშვილისნაირი მწერლები საერთოდ არ კვდებიან, და თუ კვდებიან, ხელმეორედ იბადებიან. ესე იგი, ერსა და მის მშობელ ხალხს არ ძალუძთ მის გარეშე სიცოცხლე. ასე იბადება უკვდავება ქვეყნიერებაზე და ასე დაიბადა საქართველოში მიხეილ ჯავახიშვილი.







განუული უნდა დარჩენოდა და მთელი სხეულიც ცოტა სხვანაირ პოზაში გაშეშებულიყო.

— იქნებ ვილაცამ გვამი გადააადგილა, ანდა სულაც პოზა შეუცვალა? — ვარაუდი გამოთქვა შათირიშვილმა.

— გამოირიცხული არაფერია. თუმცა ცალა ყველა მოწმე, რატი ილურიძით და მანა მოსიძით დანყებულნი და იმ მეზობლებით დამთავრებულნი, რომლებმაც სროლის ხმაზე მათთან მიიბრინეს, ამტკიცებს, რომ არავის არაფრისთვის ხელი არ უხლია.

— მესმის, მაგრამ იქნებ ეს მკვლელობა გააკეთა?

— რისთვის?  
— ალბათ თვითმკვლელობის ინსცენირების მოსაწყობად...

— მაგრამ საიდან უნდა სცოდნოდა მკვლელს, როგორ უნდა იწვეს თვითმკვლელი?

— ნამდვილად არ ვიცი, — მხრები აიჩქა შათირიშვილმა.

— თანაც, ოთახში საკმაოდ ბნელოდა, ილურიძეს კი გადასაფარებელი ეფარა.

ამის შემდეგ ამირეჯიბმა საქმეში უმცროსი ილურიძის ჩვენება, უფრო კონკრეტულად კი, ის ადგილი მოძებნა, სადაც რატი აღნიშნავდა, რომ როცა ის ოთახში შევარდა და მამას გადასაფარებელი გადახადა, იარაღი მამინვე ძირს დავარდა.

— რაც შეეხება იარაღს, — ხანმოკლე ფიქრის შემდეგ განაგრძო ამირეჯიბმა, — შეიძლებაოდა თუ არა, ის სანოლზე დარჩენილიყო, თუკი ილურიძე ტყვიას თვითონ დაიხლიდა?

— არა, — უარის ნიშნად თავი გაიქნია შათირიშვილმა. — უკუცემის შედეგად იარაღი იატაკზე უნდა დავარდნილიყო.

— მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ კატეგორიულად მაინც ვერაფერს დავამტკიცებთ. ამიტომ, საბოლოო დასკვნის გამოსატანად, ბალისტიკის სპეციალისტები უნდა დავიხმაროთ.

— უეჭველად, — დაეთანხმა შათირიშვილი და დასძინა: — ვერ გამიგია, ეს იმ გამოძიებელმა რატომ არ გააკეთა, ვისაც საქმე პირველად მიჰყავდა.

— ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ბალისტიკური ექსპერტიზა აუცილებელია, — დაასკვნა ამირეჯიბმა. — ეს მომხდარში მეტი სიცხადის შეტანაში დაგვეხმარება.

— ისე, არც ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება გვანყენდა, მაგრამ...

— ჰო, ეს კიდევ უფრო რთული საქმეა... — ნაშთი ჩაფიქრდა ამირეჯიბი და განაგრძო: — ვახტანგ ილურიძე ფსიქიატრთან აღრიცხვავ არ ყოფილა. ის მხოლოდ ერთადერთხელ და თანაც,

მრავალი წლის წინ ცნეს ფსიქიკურად დაავადებულად. მაგრამ რაც უფრო მეტ მის ნათესავს, მეგობარსა და თანამშრომელს ვსაუბრებ, მით მეტად ვრწმუნდები, რომ გარდაცვლილს სატყუბით ნორმალური ფსიქიკა ჰქონდა. მაშ, ვინ და რა გზით დაუდგინა შიზოფრენია? ვითომ ექიმები შეცდნენ თუ სერიოზულ სიმულაციას ჰქონდა ადგილი?

— მე პირადად სიმულაციას არ გამოვიცხავ.

— ვნახოთ-ვნახოთ... — თავისთვის ჩაილაპარაკა შეფიქრიახებულმა გამომძიებელმა...

ცოტა მოგვიანებით ავთო შათირიშვილმა ერთი ისეთი ადამიანის, ვინმე შოთა ნემსინვერიძის მოძებნაც მოახერხა, რომელიც ვახტანგ ილურიძესთან ერთად მსახურობდა საბჭოთა ჯარში და რადგანაც სამხედრო ნაწილში მხოლოდ ეს ორი ქართველი იყო, ახალგაზრდები გამსაკუთრებთაც მეგობრობდნენ. თუმცაღა სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ წლები ისე გავიდა, რომ ერთმანეთი ერთხელაც არ უნახავთ. ჯარის მეგობრები ერთმანეთს მხოლოდ მას შემდეგ და ისიც სრულიად შემთხვევით შეხვდნენ, როცა ილურიძე უკვე შეძლებული ოჯახის მამა და ცნობილი ბიზნესმენი იყო, შოთა ნემსინვერიძემ კი, მისგან განსხვავებით, ვერც პირადი ცხოვრება ააწყო და ვერც ნორმალური სამსახური მოძებნა. ნემსინვერიძემ ილურიძეს თავის ერთ-ერთ ფირმაში რაიმე სამუშაოზე მონაცობა სთხოვა. ვახტანგიც შეჰპირდა, მოგატყობო, მაგრამ რამდენიმე თვე მხოლოდ დაპირებებით შეიყოლია, ბოლოს კი საერთოდ დაემალა.

— ეს როგორ გააკეთა?! — გაუკვირდა შათირიშვილს. — ჯარის მეგობრებს ხომ ასე ადვილად არ ივიწყებენ!

— ჯარი, თორემ მაგასაც იქ სამსახურში კუზი არ ამოსვლოდა... — მწარედ ჩაეცინა ნემსინვერიძეს. — ერთი სული ჰქონდა, თავი როგორმე დაეძვრინა. მას-სოვს, ერთხელ სწავლების დროს, ჩვენი ოცუელის ერთ-ერთ ჯარისკაცს საბრძოლო ვაზნა აუფეთქდა და მარჯვენა ხელზე სამი თითი წაწყვიტა. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ ის ბიჭი სახლში გაუშვეს. ჰოდა, ერთ დღესაც ვახომ გამიხილა, მისი ძალიან მშურსო. ხომ არ გადაიბრია, რა გმური-მეთქი?! — ვკითხე გაკვირვებულმა. მან კი ჩაიცინა და მითხრა: კაცისთვის მთავარი — თავია, რამდენიმე წაწყვეტილი თითი კი რა სუფრასთან მოსატანაო?! თანაც, თუ თავი

ვი მხრებზე მყარად გადავს, მიზნის მიღწევა თითების ნაუცვლელადაც სულ თავისუფლად შეიძლებაო. მალე ვახო სამხედრო სამსახურიდან მართლაც გაათავისუფლეს, მაგრამ როგორ და რა საშუალებებით, ზუსტად არ ვიცი...

შათირიშვილმა ეს ამბავი ამირეჯიბს ცხლად მიუბრუნა.

— გამოდის, რომ ვახტანგ ილურიძე მხოლოდ ჯარიდან თავის დაძვრენაზე ოცნებობდა.

— ასე გამოდის.

— მაშინ ამ მიზნის მისაღწევად საკლებით შესაფერისი ავადმყოფობაც მოუგონია... მაგრამ ექიმები როგორ ვერ მიხვდნენ, რომ სიმულანტობდა?

— ალბათ ვილაც მოისყიდა. მოკლედ, დიდი ჯიბიდან გავარდნილი უნდა ყოფილიყო ეს ჩვენი ვითომ პატიოსანი და ლამის კაცობის ეტალონად აღიარებული ილურიძე. ნემსინვერიძის მიერ მონოდებული ინფორმაციის შემდეგ უკვე არც ისე ძნელი დასადგენია, იყო თუ არა ილურიძე შიზოფრენიით დაავადებული და შეეძლო თუ არა ამის ნიდაგზე თავის მოკვლა.

— მე თუ მკითხავთ, ამ კაცს არც



რამე სჭირდა და არც თავი მოუკლავს, — დასკვნის გამოტანა იჩქარა შათირიშვილმა. — ამიტომ იქნებ დროა, უმცროს ილურიძესა და მის საყვარლებსაც მივხედოთ?

— საყვარლები ბევრი არიან?

— აბა, რა! რატი ხომ ამ საქმის ნამდვილი დიდოსტატია. სხვათა შორის, მას ერთი ძმაკაცი ჰყავს, ვინმე ალექო ლომიძე...



— თამუნა ზურიაშვილის საქმეში რომ იყო გარეული?

— დიას. და იცით, ეს ვაჟბატონები რას აკეთებდნენ?

— რას?

— ქალებს ერთმანეთში ცვლიდნენ... თურმე რატი რომელიმე გოგონასთან ერთი-ორი თვე რომ გაერთობოდა, მერე ლომიძეს გადაულოცავდა და — პირიქით.

— ისე, ის გოგონებიც კარგი ხვითოები ყოფილან.

— სხვათა შორის, ამაზე ყველა როდი მიდიოდა. რამდენიმე გოგონამ, როგორც კი ეს ამბავი გაიგო, მაშინვე ორივესთან განწყობა კავშირი.

— მაშინ ალბათ, რატიზე განწყობილებული გოგონებიც მრავლად იქნებოდა?

— რა თქმა უნდა, განსაკუთრებით

— ვინმე ნატა როინიშვილი.

— მასთან რატის ჰქონდა ურთიერთობა დაოჯახებამდე?

— დიას, წლის დასაწყისში.

— საინტერესოა, დაოჯახების შემდეგ მანც თუ დაწყნარდა?

— მგონი, ისე, მისი დაქორწინებაც ცოტა უცნაურად კი მოხდა.

— რას გულისხმობ?

— ყველა ფიქრობდა, რომ მდიდარ და პატრონიან ქალს შეირთავდა. ასეთი საცოლეების სიმცირეს ნამდვილად არ უჩიოდა, მაგრამ რატომღაც, ძალიან თავმდაბალი და უბრალო ოჯახიდან გამოსულ მათა მოსიძეზე შეაჩერა არჩევანი.

— მაშინ იქნებ მთლად ხელიდან წასულიც არ არის ეს ჩვენი რატი? მისი უამრავი სასიყვარულო თავგადასავალი კი ცოტა ზედმეტად თავაშვებული უცოლო კაცის ცოდვიანობა და სხვა არაფერი?

— ჯერ დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი, ბატონო მიხეილ. ისე კი, თუ ილუარი-უმცროსის უკეთ გაცნობა გვინდა, მის თანაგურსელსა და უახლოეს მეგობარ უჩა კორძაძეს უნდა დავულოცოთ. სასწავლებელში მას „ილუარიის ჩრდილს“ ეძახიან და იმასაც ხაზს უსვამენ, რატის აღმერთებსო.

— მაშინ აუცილებლად უნდა დაველაპარაკოთ, რადგან რატის სასიყვარულო ამბებიც ზეპირად ეცოდინება.

— ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც გვეტყვის, ქალების გამო როდის რა უსიამოვნებაში იყო გახვეული ეს ვაჟბატონი.

— კარგი, კორძაძეს მე დავლაპარაკებო და ვნახოთ, რა გამოვა.

მიხეილ ამირეჯიბი კორძაძეს სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში შეხვდა.

უჩა კორძაძე მაღალი, წელში ოდნავ მოხრილი ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა,

რომელიც საუბრისას ცისფერ თვალებს გამუდმებით ჭუტავდა და მოსაუბრეს ისე აკვირდებოდა. ეტყობოდა, ძალიან ახლომხედველი იყო, მაგრამ გამოძიების თანდასწრებით სათვალე მანც არ გაუკეთებია.

საუბრიდან გაიკვავა, რომ უჩა და რატი ერთმანეთს ჯერ კიდევ სტუდენტობამდე იცნობდნენ, დამეგობრებით კი მხოლოდ მას შემდეგ დამეგობრდნენ, რაც ორივე სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წევრი გახდა.

— რატი ნამდვილი გენიოსია! — აღფრთოვანებას ვერ ფარავდა უჩა. — მას ძალიან დიდი მომავალი აქვს.

— მართლა?

— აბა, რა! ჩვენ, უბრალო მოკვდავები, მეცნიერების საფუძვლებს დიდი წვალეებით თუ ვუფლებით, ის კი ყველაფერს წამში ითვისებს.

— წარჩინებული სტუდენტია?

— არა. წარჩინებულები, როგორც მათ თქვენ მოისვენებთ, უბრალო მზუთხავეები არიან, რატი კი ყველაფერს აი, აქ ხარშავს, — შუბლზე მუშტი მიიბრაგუნა კორძაძემ. — თუ მოინდომებს, წარჩინებულად გამოჩინებულიც, მაგრამ ეს არაფერში სჭირდება. განა ერთი და ორი წარჩინებული სტუდენტი გვინახავს, მაგრამ აბა, მითხარით, რომელმაც მათგანმა გაითქვა სახელი? თქვენი არ ვიცი და, მე ასეთს ვერ ვისხენებ... რატი კი კიდევ ბევრს გააოცებს. დამიჯერეთ, ნამდვილად ასე იქნება!

ამ საკმაოდ პათეტიკური გამოსვლის შემდეგ უჩა კარგა ხნით დადუმდა და გამოძიებულს გულმოდგინედ დააკვირდა.

— არ მიჯერებთ, ხომ? — დანაწებით ჰკითხა შემდეგ. — გგონიათ, ვაზვიადებ?

— არა, რატომ?.. მჯერა, — მშვიდად უპასუხა ახალგაზრდას ამირეჯიბმა. — ამქვეყნად ხომ შეუძლებელი არაფერია. გამოდის, რომ რატი დიდ მეცნიერებაზე ოცნებობს, ხომ?

— და ამის სრული უფლებაც აქვს!

— ისევე ანთო კორძაძე. — რატი რომელიმე მივარდნილ პოლიკლინიკასა თუ საავადმყოფოში მუშაობას ვერასდროს შეეგუება. იცით, რა გეგმები აქვს?! მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა როდი ხვდება, რამხელა გაქანების ადამიანია...

— მაინც ვინ ვერ ხვდება?

— თუნდაც ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ რატომაც დანარჩენებივით, წულიდან, ანუ რიგითი ექიმობიდან უნდა დაიწყოს... მაგრამ არა უშავს, ის მაინც ყველას დაუმტკიცებს, როგორი ნიჭიერიცაა.

— მაგრამ ნიჭის გამომჟღავნება ხომ

ყველგან შეიძლება და ეს ნაკლებად დამოკიდებული იმაზე, სად მუშაობს ადამიანი — ჩვეულებრივ კლინიკაში თუ საუკეთესო სამეცნიერო-კვლევით ცენტრში?

— რა თქმა უნდა, — უხალისოდ დაეთანხმა გამოძიებულს უჩა, — რატი თავისას ყველგან გაიტანს, მაგრამ არ მესმის, ზედმეტი სირთულეები რატომ უნდა შეექმნას?! განა გენიოსებმა თავიანთი ძვირფასი დრო ასეთ უმნიშვნელო წვრილმანებზე უნდა ხარჯონ?

„ესეც შენი „ილუარიის ჩრდილი“! — სევდიანად გაიფიქრა ამირეჯიბმა. — საინტერესოა, საკუთარ აზრებს აფრქვევს თუ მათაც თავის კერპს დაესესა?“

უჩა კი განაგრძობდა:

— საწყენია იმის ყურება, თუ როგორი ადამიანები ახვევია გარშემო...

— რას გულისხმობ?

— ალბათ თქვენც კარგად იცით, რატი ახლა რა მდგომარეობაშიცაა... რამხელა უბედურება დაატყდა თავს... მიკვირს, საერთოდ როგორ უძლებს ამ ყველაფერს... და მისი უდღეური ნათესავებიც სწორედ ახლა არ გამოხტნენ?!

— მაინც რომელი ნათესავები?

— ყველანი: ბიძები, ბიძოლები, დედები... მამიდები, ბებიები... შემთხვევით სარგებლობენ და მათი სახლიდან რატის მშობლების ნივთებს ეზიდებიან, ზოგიერთს კი აგარაკზეც აქვს პრეტენზია...

— ეს ყველაფერი რატიმ გითხრა?

— არა, თვითონ ვნახე. ერთმა დეიდამ თუ ბიძოლამ თინა დეიდას ქურქი წაიღო, მეორემ — ვახტანგი ბიძიას ფეხსაცმელი, მესამემ — ფაიფურის ლარნაკი... არადა, რატის ხომ ახლა მატერი-ალურად ძალიან უჭირს. თან, ცოლიც ახალი მოყვანილი ჰყავს და მასაც რჩენა სჭირდება... ასე რომ, ზოგჯერ პურის ფულიც კი აღარ რჩებათ და რატი იძულებულია, ოჯახიდან ნივთები გაიტანოს და გაყიდოს...

— თავის ნივთებს ყიდის?

— არა, მშობლების ტანსაცმელს... რაც სხვებს გადაურჩა, რა თქმა უნდა... ზოგჯერ გაყიდვაში მეც ვხმარები ხოლმე...

— რატის ცოლზე რას იტყვი?

— მაიაზე?.. აბა, რა გითხრათ... როგორც ცოლს, არა უშავს, რატი ძალიან უყვარს, მაგრამ...

— მაგრამ მაინც არ მოგნოს, ხომ?

— რა არის, იცით?.. — თვალები კიდევ უფრო მოჭუტა უჩამ. — ოღონდ ჩვენ შორის დარჩეს, კარგი?..

— კარგი.

— სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, როცა რატიმ მათა ცოლად შეირთო.

— რატომ?





— იმიტომ, რომ მისი შესაფერისი საერთოდ არ არის. ხანდახან ისიც მგონია, რომ ეს გოგო მხოლოდ სასონარკვეთილების გამო მოიყვანა...

— დავიჯერო, დღევანდელ პრაგმატულ ახალგაზრდებში ასეთი რამეებიც ხდება?

— არ ვიცი, არ ვიცი...

— თავი უკმაყოფილოდ გაიქინა უჩამ. — უბრალოდ, როცა ის უბედურება მოხდა, მის გვერდით სწორედ მაია აღმოჩნდა. რატის კი იმ მძიმე წუთებში ვილაცის მხარში დგომა ჰაეროვით სჭირდებოდა... რატომღაც მგონია, ერთმანეთს ძალიან მალე დაშორდებიან...

— ამის ნიშნებს უკვე ამჩნევ?

კორძაძე შეცბა და, პასუხის გაცემის ნაცვლად, საკუთარი ხელისგულების ყურადღებით თვალიერება დაიწყო.

— თუ არ გინდა, ნუ მიპასუხებ.

— არა, რატომ?.. — თავი უხალისოდ ასწია უჩამ. — უბრალოდ, მე მეჩვენება ასე...

— მაიამდე რატის სხვა გოგონებიც ჰყავდა?

— რა თქმა უნდა, ჰყავდა და მერე როგორი გოგონები! თუნდაც ლიზი მამარდაშვილი ავიღოთ... ეს გვარი არაფერს გეუბნება?

— სამწუხაროდ — არა.

— მამარდაშვილი თბილისში ერთ-ერთი ცნობილი ქეიშია, აკადემიკოსი...

— გასაგებია. ლიზისა და რატის სერიოზული ურთიერთობა ჰქონდათ?

— ძალიან სერიოზული! კინალამ იქორწინეს.

— ეს ადრე იყო?

— არა, ამ ზაფხულს, ივლისში... მაგრამ მერე რა მოხდა, არ ვიცი... აგვისტოში კი ჯერ რატის და დაიკარგა, შემდეგ მშობლებიც საშინლად დაეხოცა და...


— რატის გოგონებიდან კიდევ ხომ არავის გაიხსენებ?

— რომელი ერთი გავიხსენო? — ქვემო-ქვემო ჩაეცინა კორძაძეს. — ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ. სხვათა შორის, რატი ერთხანს ჩვენი უნივერსიტეტის კათედრის გამგის ქალიშვილზეც აპირებდა დაქორწინებას, მაგრამ მალევე გადაიფიქრა.

„ამის მიზეზი ლიზი მამარდაშვილის გამოჩენა იქნებოდა“, — თავისთვის დასაკვნა ამირეჯიბმა.

ის ქალები, რომლებთანაც რატი ერთობოდა, უჩა კორძაძეს ამირეჯიბთან საუბრისას საერთოდ არ უხსენებია, რადგან ან მეგობრის კომპრომეტირებას მო-

ერიდა, ანდა ილუზიის ცხოვრების ამ მხარეს არ იცნობდა. ასე იყო თუ ისე, ახალგაზრდა ირწმუნებოდა, — რატის სასიყვარულო თავგადასავლებში მონაწილეობა არასდროს მიმიღიაო.



დასასრულ მიხეილ ამირეჯიბმა უჩა კორძაძე მკაცრად გააფრთხილა, რომ მათ შორის შემდგარი საუბრის შინაარსი არ გაეხმაურებინა.

— ადვილი შესაძლებელია, რომ ამ ბიჭმა მართლაც არაფერი იცოდეს ილუზიის სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ, — შენიშნა ავთო შათირიშვილმა კორძაძის ჩვენების ირგვლივ მსჯელობისას. — როგორც ჩანს, რატი მას უფრო იმიტომ არ იცნობდა გვერდთან, რომ დითირამები ისმინოს. ქალებში კი ალექო ლომიძესთან ერთად ერთობა, რადგან ის ამ როლს უფრო კარგად ასრულებს.

— მეც ასე ვფიქრობ, — დაეთანხმა ხელქვეითი ამირეჯიბი. — ახლა ის მითხარი, გელა ზურიაშვილზე თუ გაარკვე რამე?

— გავარკვე. ასპროცენტინი ალიბი აქვს. 15 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე ანტალიაში ისვენებდა და იქიდან წამითაც არ მოუცვლია ფეხი.

— თუ ასეა, მკვლეელი სხვაგან უნდა ვეძებოთ. იქნებ ნატა როინიშვილთან საუბარმა მაინც მოგვცეს რამე.

— ჯერჯერობით მასთან შეხვედრას ვერაფრით ვახერხებ, — დაბნულად ჩაილაპარაკა შათირიშვილმა.

— რატომ?

— ავადმყოფობს.

— მგონი, შენც რაღაც უნდა განუხებდე.

— არა, უბრალოდ, იცი, რაზე ვფიქრობ?

— რაზე?

— კორძაძე ირწმუნება, რატი ილუზიის იმდენად უჭირს, ფული საჭმელზეც არ ჰყოფნისო. ის კი ბოლო ხანებში რამდენჯერმე ძვირად ღირებულ რესტორანში ნახეს.

— მართლა? — გაუკვირდა ამირე-

ჯიბს. — იქნებ სხვები ეპატიებინა?

— არა, თვითონ ეპატიება და ფულსაც დაუფიქრებლად ფლანგავს, ყველაზე ძვირ სასმელებსა და სადილებს უკვეთს...

— მაინც საიდან უნდა ჰქონდეს ადენი ფული? არა მგონია, მშობლების ტანსაცმელში მიეცა ვინმეს.

— ტანსაცმლის გაყიდვასთან დაკავშირებით კორძაძემ სიმართლე ბოლომდე არ თქვა. რატომ მშობლების ტანსაცმელი კი არა, ძვირფასი ჭურჭელი, ხალიჩები და ავეჯის ნაწილიც გაყიდა.

— რესტორანში ცოლთან ერთად დადის?

— არა. ცოლი შინ უზის.

რესტორნებში კი ერთადერთ ადამიანთან — ვინმე მირიან მირზაშვილთან ერთად ქეიფობს. ამბობენ, ეს ახალგაზრდა კაცი სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მარჯვენა ხელიაო.

— ჰმ, — თავი უკმაყოფილოდ გადააქინა ამირეჯიბმა, — მაგარი წესრიგი უნდა იყოს სასწავლებელში, რომლის სტუდენტებიც რექტორის მარჯვენა ხელთან რესტორნებში ქეიფობენ.

— მთლად მასეც ვერ იტყვი, რადგან ამას თურმე მხოლოდ რატი ახერხებს.

— მაშინ, როგორც ჩანს, იმ ადამიანისგან რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი სჭირდება, თორემ სად რატი ილუზიზე და სად ფულის უმიზნოდ ფლანგვა?!

— რა თქმა უნდა. ილუზიზე მირზაშვილის დახმარებით უნივერსიტეტში დასარჩენ თბილ ადგილს იმზადებს. მიზნის მისაღწევი ფული რომ არ შემოაკლდეს, ავტოკატიც დაიქირავა, რათა ბანკიდან იმ ანაბრის მიღება მოახერხოს, რომელიც მისმა მშობლებმა მკაცრად სახელზე შეიტანეს.

— ჯერ ბოლომდე ისიც არ გარკვეულა, ერთადერთი და ცოცხალი ჰყავს თუ არა და ის უკვე მის ფულს ეპოტივება?

— ეპოტივება, რომელია..

— თანხა დიდი?

— ორმოცდაათი ათასი დოლარი. მაგრამ ამაზეც არ აპირებს შეჩერებას და უკვე მშობლების მთელ ქონებაზეც აცხადებს პრეტენზიას.

— ამაზეა სწორედ ნათქვამი, მადაჭამაში მოდისო.

— ასეა, ოღონდ ამ ქონებაზე თინა ილუზიის გამზრდელ დედინაცვალსაც უჭირავს თვალი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სვეტა კვარაცხელია  
ნაწარმოებზე თქვენი  
შთაბეჭდილება შეგიძლიათ  
გაგვიზიაროთ ელფოსტით  
gza.fantazia@gmail.com

# ყალბი ლტოლვა

დასაწყისი იხ. „გზა“ №23-33

— შენსას არ იშლი, არა? — მუქარის ტონით მკითხა ლადომ, ხელში მწვდა, ფრანი გამომგლიჯა და კუთხეში მოისროლა.

შიშმა ამიტანა. არ ვიცოდი, როგორ დავისჯებოდი, მისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი.

— რას მიპირებთ? — ძლივს გასაგონად წავიფურჩულე.

— აბა, რა გითხრა... ამ შეკითხვას მეც ვუსვამ ჩემს თავს, — დაიღრინა „სალმა კლდე“, — წესით, უნდა დაგიტხოვო... ამ მეორე ვარიანტი... ჭკუა გასწავლო... — და მარჯვენა ხელისგული ისე გადაშალა, თითქოს მიმანიშნებდა, ერთი კარგად უნდა მიგტყიპოო. — სიმართლე გითხრა, მეორე უფრო მანყობს...

გავფითრდი.

— ამას ვერ გამიბუდავთ, — ნერწყვი ძლივს გადავყლაპე წინაწამხდარმა.

— გინდა, შევამოწმოთ? — ნიშნის მოგებით მკითხა და მაჯებში ისე ჩამავლო თითები, ძვლები მეტკინა.

— ბატონო ლადო, ძალიან გთხოვთ... — ავკანკალდი. პირი გამიშრა, ჰაერი აღარ მყოფნიდა. ერთი სული მქონდა, გავვარდნილიყავი ოთახიდან და უკანმოუხედავად გავეცუულიყავი.

„ნეტავ, დამითხოვოს“, — ამწუთას ამაზე დიდი ოცნება არ მქონდა.

მოულოდნელად გამომეტყველება შეეცვალა. ისეთი რამ იკითხებოდა მის თვალბეჭდში, შემაჯრულია. რაღაც სხვა, აქამდე რომ არ შემიმჩნევია, ისეთი —

მრისხანებაც, სურვილიც, შიმშილიც... ბოლომდე ვერ მოვასწარი გამომეცნო, ამ რთული „შენადნობის“ მიღმა რა იმალებოდა, რადგან მის მზერას ვერ გავუძელი და თვალი ავარიდე.

უეცრად გავიგონე, როგორ ამოისუნთქა... ღრმად, თითქოს ჰაერის ჩაყლაპვა სურსო. სანამ გავიზარებდი, რა ხდებოდა, ხელები მკლავებში ჩამჭიდა და ტუჩებზე დაამტკნა. იმდენად გავოგნდი, კინაღამ იატაკზე მოვადინე ზღართან, თუმცა დაცემა არ შემეშრებოდა, ისე მაგრად ყვავდი ჩაბლუჯული. პირველ წამებში წინააღმდეგობის განევა არ მიცდია... უფრო სწორად, ვერ მოვისაზრე. ამასობაში უფრო მჭიდროდ მიმიკრა მკერდზე. იცოცხლე, ახლა კი დავფაცურდი და ხელი ვკარი, მაგრამ...

ჩემს მიაშიტობას საზღვარი არ ჰქონდა! ეს იგივე იყო, კლდის განევა მომენდომებინა! ვიფიქრე, თავს მაინც შევაბრუნებ-მეთქი, მაგრამ იმწამსვე თმაში ჩამაფრინდა და გარყვინის საშუალება არ მომცა. მივხვდი, გაბრძოლებას აზრი არ ჰქონდა და მოვეშვი... როგორც კი ეს იგრძნო, მაშინვე შემიშვა ხელი. ორივენი მძიმედ ვსუნთქავდით.

საწყალო ჩემო თავო! რა უმწეო ვიყავი იმ მომენტში! მინდოდა, რაღაც მწარე მეთქვა, სიტყვებს ვეძებდი, მაგრამ — ამაო.

— თქვენ... თქვენ... — აღშფოთებული ერთსა და იმავეს ვიმეორებდი.

— რა მე? — დამცინავად მკითხა. აცახცახებული მარჯვენა ავნიე, რომ მომეყენია და სილა გამეწნა, მაგრამ

ჰაერშივე ღონივრად დამიჭირა ხელი. — არ გირჩევ ამას, ანა! — მშვიდად გამაფრთხილა.

კუშტად შევხედე. მზერა ჩააყოლა ჩემს აპოლილეულ ღანვებს, მეერ ყელს, მეერ ქვემოთ...

მკერდზე დავისხედე. საკინძე შემსხნოდა და მკერდი მომღვლოდა.

— არ გაბედლოთ ჩემი შემოხედვა! — ზიზღნარევი ტონით ვუთხარი.

თვალი თვალში გამიყარა და... არ მომეწონა ის, რაც მის თვალბეჭდში დავინახე: გაფრთხილება, დაცინვა და ისევე ის შიმშილი...

— ანა... — უეცრად შეშინებული ხმა მოისმა.

ვასიკო იყო. თითქოს გავეცავდი. ლადომაც კი ინება ორიოდ ნაბიჯით უკან დახევა. სასწრაფოდ შევიბნეე გახსნილი ღილი და გახურებულ ლოყებზე ხელისგულები ავიფარე, რათა ცოტა გონს მოვსულიყავი. ბავშვის ხმა განმეორდა. მეც გავძახე, აქ ვარ-მეთქი და სწორედ ამ დროს შემოიჭრა ოთახში, მაგრამ ბიძამისი დაინახა თუ არა, შემცბარი ზღურბლზე გაშეშდა.

— ყველაფერი თავის ადგილზე დაალაგე! — თქვა ლადომ მის გასაგონად. — საუბარი მერე განვაგრძოთ, ჯერ არ დავგიმთავრებია! — მეერ ბავშვს გვერდი აუქცია და გავიდა.

ბიჭუნა მომვარდა.

— გეჩხუბა? — თანაგრძნობით მკითხა და წელზე შემომხევიდა.

თავი ხელში ავიყვანე და გალიმება ვცადე.

— ცოტა. ხომ გაიგონე, რა თქვა? უნდა მივალავოთ აქაურობა, თორემ დაგვბოცავს ორივეს, — ნახალადევად გავიცინე, — მოდი, ეს სკამი წაიღე!

— გეჩხუბა და არ მეუბნები!

— არაფერია. ხომ იცი, როგორი აუტანელი ბიძაც გყავს, რას მეკითხები?

ბავშვმა მხრები აინურა.

— დამსჯის?

— არ ვიცი, პატარავ. კარგი, წამო, გავიდეთ ჩვენს ოთახში. წამოიღე შენი ფრანი და ანი მაინც შეეცადე, ამარიდო მის რისხვას, — ქოჩორი მოვუჩქრე და სწრაფად გავვარდი ოთახიდან.

დარჩენილმა დრომ მეტ-ნაკლებად მშვიდად ჩაიარა. ლევანმა რამდენჯერმე გამომცდელი მზერა მესროლა, მაგრამ ვერ მკითხა, როგორ დამთავრდა ჩვენი შესლა-შემოხლა. როგორც ჩანს, ჩემი გამომეტყველებით მიხვდა, რომ ეს თემა „განხილვას არ ექვემდებარებოდა“, ამიტომაც არაფერი უკითხავს. მეც მადლობელი დავრჩი, რადგან სიმართლეს ვერ ვეტყვიდი, ტყუილის მოგონების თავი კი აღარ მქონდა.



სალამო ხანს ლადო სადღაც გაემგზავრა თავისი მანქანით და მეც შვებით ამოვისუნთქე, თითქოს მიმე ტვირთი ჩამომხსნეს მხრებიდან.

ის დღე კი ჩავამთავრე, მაგრამ ჩემი უსიამოვნებები ამით არ დამთავრებულა. თითქოს ჩემს ჯინაზე, ყოველდღე რაღაცას აფუჭებდა ვასიკო, ყოველდღე ახალ თავსატეხს მიჩენდა. ჯერ იყო და, ინდური ლარნაკი გატეხა. გარბოდა და შემთხვევით ფეხი წამოჰკრა. ამჯერად დანაშაული როზამ აიღო თავის თავზე. მერე ბურთი გახეთქა და ლევანმა, — მე გადავუარე მანქანითო. ორი დღის შემდეგ კომპოტით საცხე ქიქა გაუვარდა ხელიდან და ხალიჩა დასვარა. ამჯერად, სხვა გზა არ იყო, მე უნდა დამებრალებინა მომხდარი. ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ეს ყველაფერი მაინცდამაინც მაშინ ხდებოდა, როცა ლადო შინ იყო.

— მაპატიეთ... უნებურად მომივიდა, — დავინყე თავის მართლებას, რადგან, როგორც კი მსხვრევის ხმა გაიგონა, ქარივით შემოიჭრა ოთახში.

— გადამყვიტე, მაინც გამომიყვანო მოთმინებიდან, არა?! — შუბლშეკრულმა გამომხედა.

— ხომ გითხარით, უნებურად მომივიდა-მეთქი... ჭიქა სველი იყო და ხელიდან გამისრიალდა.

— ძალიან კარგად ვხვდები, ვისაც გაუსრიალდა ხელიდან! — დაიღრიალა უცებ ბოლო ხმაზე. — რაღაც ძალიან თავგამოდებით ცდილობთ ყველანი მის დაცვას! შეთქმულებას მინყობთ თუ როგორ არის თქვენი საქმე?

„შეთქმულები“ ამ დროს სრული შემადგენლობით ვიმყოფებოდით სამზარეულოში და დაბნეულები მივჩერებოდით ერთმანეთს, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ლადო უეცრად დანყნარდა და სწრაფად დატოვა სამზარეულო.

მეგონა, ამ ყველაფრის შემდეგ აუცილებლად გამაგდება და სახლიდან, მაგრამ რატომღაც, ეს არ გააკეთა. არც იმდღევანდელი „დაუმთავრებელი ლაპარაკი“ გაუგრძელებია, რომლის გახსენებაც ასე მზაფრავდა. აქედან ერთადერთი დასკვნა გამოვიტანე — ალბათ დააგროვებს ყველა ამ „დანაშაულს“ და როცა ძალიან „გასუქდება“, მერე გამისწორებს ანგარიშს.

სამუკა მთელი კვირა არ გა-

მოჩენილა. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ გავიგე. მობილური გამორთული ჰქონდა. სამსახურში რამდენჯერაც დავრეკე, ვერ დავიჭირე — ან არ იყო, ან ახლახან გავიდაო, მპასუხობდნენ.

ვბრაზობდი. უკვე ნერვებს მიშლიდა მისი საქციელი. ფულს აღარ ვჯავრობდი, უყურადღებობა მკლავდა. ამასთან, ეჭვი მდრღნიდა, ცოლს ხომ არ დაუბრუნდა-მეთქი?.. იქ დარეკვას კი ვერ ვებდავდი, ამდენის უფლებას თავს ვერ მივცემდი. სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, თათიას დავურეკე, მოვიკითხე, მერე კი სასხვათაშორისოდ ვკითხე, — შენი ძმა სად არის, სულ რომ დამეკარგა-მეთქი.

— ნანიკოსთან იქნება, რა ვიცი მე! — ისე უდარდელად მიპასუხა თათიამ, სისხლი გამეყინა ძარღვებში.

— შერიგდნენ? — მოგუდული ხმით ვკითხე.

— მაგისას რას გაიგებ, კვირაში შვიდი პარასკევი აქვს. არაო, მიმტკიცებს, მაგრამ სულ მასთან არის და აბა, რა გითხრა! შენ რატომ წამოხვედი სამსახურიდან? უკეთესი გამოგჩინდა რამე?

ჩემზე საუბარს, სამუკაზე გამეგო კიდევ რამე, ის მერჩინა, მაგრამ რადგან თათიამ აღარ გააგრძელა, მეც მეტი ველარაფერი ვკითხე.

— ჰო, სხვაგან გადავედი და ისეთი კმაყოფილი ვარ, ვერ წარმოიდგენ, — შევეცადე, ხალისიანად მეთქვა. ვიცოდი, ის ამას აუცილებლად ეტყოდა

თავის ძმას და, ჩემი მოკლე ჭკუით, პატარა შურისძიება გადავწყვიტე.

— მართლა? არ მატყუებ?

— რატომ უნდა გატყუებდე?

— რა ვიცი, სამუკამ მითხრა, ვილაც ამაზრუნენ ტიპს დაუდგა მოსამსახურედო.

— რა მოსამსახურედ, საიდან მოიტანა! — აღვშფოთდი. — სკოლის მოსწავლე ავიყვანე და გაკვეთილების მომზადებაში ვხმარები. ოლონდ ეგაა, მათთან მივდივარ სახლში.

— ვა, რა მაგარი! რამდენს გიხდინან?

— ბევრს, — არ დავაკონკრეტე.

— მაინც, მაინც? — არ მომეშვა თათია.

— ალო! ალო! — ვიეშმაკე, ვითომ მისი ხმა არ მესმოდა და რამდენჯერმე ჩაყვირიე ყურმილში, მერე ხმაძალა დავაყოლე, არაფერი მესმის-მეთქი და გავთიშე.

მაინც არ დამიჯერებდა. როდის იყო, მასწავლებელს და თუნდაც ძიძას ამხელა ხელფასს უხდიდნენ?! არადა, მართლა, რატომ მიხდის? რისი დამტკიცება უნდა ამით? თავისი სიმდიდრის დემონსტრირებას ახდენს? არა მგონია, თავმომწონე არ ჩანს, თუმცა მბრძანებლობა და სხვისი დამორჩილება უყვარს. მამ, რატომ? 2.000 ლარად, ყველაზე ცოტა, 5 მასწავლებელს დაიქირავენ. იქნებ მომატყუა და არც მაძლევს მაგდენს? ჯერ ხომ თვე არ გასულა და მეც კაპიკი არ ამიღია! რამდენს ვიცინებ, რომ გამომიცხადოს, ამდენს არ იმსახურებ, ქალბატონო, ამიტომ შემოთავაზებულს მეოთხედს თუ მეექვსედს დასჯერდით! ისე, ახი კი იქნება ჩემზე! ისედაც არ არის კმაყოფილი ჩემი მუშაობით... მუშაობით კი არა, საქციელით და მიზეზის დასახელება არ გაუჭირდება! რაც იქნება, იქნება! ვნახოთ, რას მოიოქმედებს...

ერთ დღესაც ცოტა დაგვიანებით მივედი. ის იყო, ეზოში შევედი, რომ ლევანმა ვასიკო მოიყვანა სკოლიდან. მოღრუბლული დღე იყო. ბავშვი ისეთი აუტირებული მომვარდა, რომ შევცბი.

— ანა, ანა! იცი? ჩემმა კლასელმა დაბადების დღეზე დამპატიჟა! ხომ წამიყვან?

ცოტა არ იყოს, ნირი წამიხდა. მე კი წავიყვანდი, მაგრამ ბიძამისი გაუშვებდა კი? კითხვით საცხე მზერა ლევანს





მივაპყარი. იმანაც მხრები აიჩქრა, არ ვიცო.

— როდის არის დაბადების დღე? — ისე მკითხა ლევანმა, მივხვდი, რა-ღაც იდეა მოუვიდა.

— დღეს, 4 საათზე, „მაკდონალდსში“, — აწყლოპინდა ვასიკო.

— ჰოდა, შენ და როზა ხომ ბაზარში მიმყავხართ. რა მოხდება, ცოტა ხნით რომ დავტოვოთ ვასიკო ბავშვებთან? — შეთქმულივით აჩურჩულდა ლევანი და თვალბეჭდვითი მომჩივრით.

— კარგი, ასე მოვიქცეთ, — დავყაბულდი გაოცებული, — მიდი, შეჭამე, დავალებები დანერე და მერე გაემზადე, კარგი? — თავზე გადავუსვი ბავშვის ხელი.

ვასიკო ისეთი ყვირილით გავარდა სამზარეულოდან, ლამის დაგვაყრუა.

— საიდან მოგაფიქრდა ბაზარი? — ღიმილით მივუბრუნდი ლევანს.

— არაფერიც არ მომაფიქრდა. შენ და როზა მართლა მიდისხართ საყიდლებზე. შეფმა ასე ბრძანა.

ცოტა არ იყოს, გამივივრდა. ჩემთვის ჯერ არავის დაუვალეზა ბაზარში წასვლა და სურსათ-სანოვარის მოტანა. ეს რაღაც ახალი იყო. როზას საძებნელად გავემართე. ის ვასიკოს ოთახში დამხვდა წამოწოლილი.

— მე რისთვის მგზავნის თქვენთან ერთად, ხომ არ იცით? — იდუმალი ხმით ვკითხე ქალს.

— შენ არა, შვილო, მე უნდა წავსულიყავი, მაგრამ რაღაც ვერ ვარ კარგად და ვთხოვე, ანა რომ მოვა, იმას გავუშვებ-მეთქი და კარგო, მითხრა. ამ ერთხელ შემეხიდე, ჩემი თავი გენაცვალოს, და მეტჯერ აღარ შეგანუხებ.

— რას ამბობთ, როზა დეიდა, რა ხეწნა გჭირდებათ?! რა პრობლემაა, წავალ. უბრალოდ, ლევანმა მითხრა, იმან ასე ინებო და გამივივრდა.

— არა, დედი, ლადო არაფერ შუაშია. მე შევთავაზე.

— თქვენ რა დაგემართათ? რა გტკივათ?

— შაკიკმა შემომიტია. ბოლო დროს გამიხშირდა ტკივილები. ადრე ასე არ მანუხებდა. დავბერდი ალბათ.

— რა დროს სიბერეა, მეორედ არ თქვათ ეგ! — გავუღიმიე და ვასიკოს თვალით ვანიშნე, სასტუმრო ოთახში გამოსულიყო, რათა წასვლამდე დავალებების დანერა მოგვესწრო.

გაოგნებული შევყურებდი ბავშვს, როცა „მაკდონალდსში“ მივიყვანეთ და თანაკლასელებს შევჩინა. თითქოს სხვა სამყაროში აღმოჩნდა, ისეთი გახარებული ჩანდა. მისთვის უჩვეულო იყო

მსგავსი სიტუაცია. ბავშვთა სახლში აბა, რა ეწებოდა ნანახი, ერთფეროვნების გარდა? აქ კი სულ სხვა გარემოში აღმოჩნდა — საპაერო ბუშტები, მუსიკა, ტორტი... ნატუკას დაბადების დღე ყოფილა. ბუთხუზა გოგონა იყო, ლოყებლაულაჟა. დედამისს ჩავაბარე ვასიკო და დავუბარე, ერთ საათში გამოვივლით-მეთქი.

მე და ლევანი ბაზარში გავედით. ვიყიდეთ, რაც ფურცელზე გვქონდა ჩამონერილი, მერე კი კაფეში შევედით ყავის დასალევად, რომ დრო გაგვეყვანა.

ნახევარი საათის დაგვიანებით მივედით. ბავშვებს უკვე თმაგაჩეჩილი და პირმოხატული მასხარა ართობდა. ცოტა არ იყოს, გული დამწყდა, ბავშვი რომ უნდა წამომეყვანა. კიდევ შევეკოვინეთ თხუთმეტოდე წუთი. მეტის მოცდა აღარ შეიძლებოდა. არ ვიცოდი, შინ როგორი სიტუაცია დაგვხვდებოდა და წამოვედით. ბიჭუნა ისე იყო შთაბეჭდილებებით აღსავსე, წამით არ გაუჩერებია მანქანაში ენა, ჰყვებოდა და ჰყვებოდა ამბებს, თან თვითონვე იცინოდა თავის ნაამბობზე.

მე და ლევანს გვიხაროდა, ბავშვმა რომ ასე გაიხარა, თუმცა ნადრევი აღმოჩნდა ჩვენი სიხარული: უკან დაბრუნებულბმა როზა იატაკზე დავარდნილი ვიპოვეთ.

— ღმერთო ჩემო! როზა დეიდა, რა მოგივიდათ? — შევეკვივე.

— ცუდად ვარ, — დაიჩურჩულა გაფითრებულმა ქალმა.

„სასწრაფოს“ გამოძახების დრო არ იყო. ლევანმა ძლივძლივობით ასწია ღონემისილი ქალი და მანქანაში ჩასვა.

— შენ დარჩი, მე წავიყვან, ბავშვს მიხედე! — ჩქარ-ჩქარა მომავარა მამაკაცმა და საჭეს მიუჯდა.

— მარტო რას გახდები?

— უპატრონოდ ვერ დავტოვებთ აქაურობას, ერთ ამბავს ატყეს, — ამისწრა ლევანმა, პასუხს არ დაელოდა, მანქანა დაქოქა და გზას გაუდგა.

ვასიკო ზღურბლთან ატუზული დამხვდა.

— რა მოხდა? სად წაიყვანა? — შეშინებული აფახულბდა თვალბებს.

— ცუდად გახდა და ექიმთან მიიყვანს.

— ხომ კარგად იქნება?

— აბა, რა! წამო, გაკვეთილები ვისწავლით დროზე, მერე ვახშამს უნდა მივხედო, სანამ ბიძამენი დაბრუნებულა.

ჩემი დამემართა, სანამ ლევანი დაბრუნდებოდა. ის კი დაბრუნდა, მაგრამ მარტო. ამან მთლად გამაგია.

— ისე ცუდად იყო, რომ არ გამოუშვს?

— ძლიერი ტკივილები ჰქონდა. აუცილებლად უნდა დატოვოთო და რას ვიზამდი?

— მერედა, იქ ვინ მიხედავს?

— მიხედავენ, რა პრობლემაა. თავზე მდგომებს მინც არ უშვებენ, რა აზრი აქვს. თუ რამეა, დაგირეკავთო.

— ფული?

— ნუ დარდობ, ლადო მისთვის არაფერს დაიშურებს. ვერ წარმოიდგენ, როგორ პატივს სცემს. შენ არ იცი.

— ღმერთმა ქნას... — მხრები ურწმუნოდ ავიჩქე.

— შენ ამაღამ ალბათ აქ მოგიწევს დარჩენა.

— რა-ა?! — გაოცებულმა ავნკიპე წარბები. — გაგიუდი?! გგონია, ლამეს აქ გავათევე? არავითარ შემთხვევაში! ვახშამი გამზადებულია, ვასიკოს როგორც კი დავაძინებ, ეგრევე წავალ. ხვალ მოვალ სამაგიეროდ ადრე, სადილზე ვიზრუნებ, აქაურობასაც მივხედავ, მაგრამ ღამე არ დავრჩები, რა სისულელეა!

ლევანი მოიღუშა.

— რა იყო? რამე ისე ვერ ვთქვი? — ვერ გავიგე, რა ანუხებდა.

— არა, არაფერი... უბრალოდ, მე ამაღამ ქალაქიდან გავდივარ, ბიძამენი გარდაამეცვალა და ხვალ დილაუთენია ლანჩხუთში უნდა ვიყო, მელოდებიან. ვასიკო მარტო ხომ ვერ დარჩება, უპატრონოდ?

— რატომ — უპატრონოდ? ბიძამენი აქ არ იქნება?

— ვერ იქნება. დღეს დაიბარა, ამაღამ ვერ მოვალ, საქონელი ჩამოდის დუბაიდან და თვითმფრინავს უნდა დავხვდეთო.

— რა საქონელი?

— ეგ ჩვენ არ გვეხება, ანა... ეს მისი ბიზნესია.

— ასეთი რა საიდუმლო ბიზნესი აქვს?

— საიდუმლო სულაც არ არის... საყოფაცხოვრებო ტექნიკის მალაზიათა ქსელი აქვს. ალბათ მორიგი პარტია ჩამოაქვთ.

— აჰა! — შეფიქრინებულმა ქვედა ტუჩი მოვიკვირე. — გამოდის, ის ვერ გაიგებს, როზას რაც დემართა. იქნებ დაგვერეკა და გვეთქვა? ვასიკოს ამაღამ მე წავიყვან სახლში, — თითქოს ვიპოვე გამოსავალი.

— რას ამბობ! მთელი ღამით სახლის დატოვება როგორ შეიძლება?! დაგვტოვებს სუყველას!

— ჰო... ეგ არ მიფიქრია... — თავი გადავაქნიე. — კარგი, დავრჩები, თუმ-



ცა არა მგონია, ეს კარგი იდეა იყოს. შეიძლება, იმაზეც კი გაბრაზდეს შენი ბოსი, აქ ლამის გასათევად რომ ვრჩები, რატომ არ გამაფრთხილებთ, იფეთქებს.

— არა მგონია, ამის წინააღმდეგი ყოფილიყო, პირიქით — მე მგონი, გაუხარდება კიდევ.

— შენს პირს შაქარი, — გავუღიმიე ლევანს და ღრმად ამოვიოხრე.

მთელი საღამო რეტდასხმულივით დავბორიალებდი. მეცოდებოდა როზა, რომელიც ახლა უპატრონოდ იყო მიგდებული პალატაში და კაციშვილი მიმხედავი არ ჰყავდა, მდებარეობის გარდა. ისინი კი ისეთი გულგრილები არიან პაციენტების მიმართ... ნეტავ გამოჯანმრთელდეს! ნეტავ დადგეს ფეხზე და არა უშავს, ყველაფერს მოეველებოდა. ოღონდ კარგად გახდეს და მერე მე მივხედავ აქ. ღმერთო, რამე რომ დაემართოს? მე რომ დამანვეს ლადოს ოჯახი მხრებზე? არა, არა, ასეთ ცვლილებებს ვერ ავიტან! ამხელა დატვირთვა მიუღებელია ჩემთვის! ადგეს და სხვა დაიქირავოს, უმუშევარი ქალების მეტი რაა, აქეთ შეეხვეწებიან. თითქოს უსიამოვნო წინათგრძობამ შემოიპყრო. რაღაც მანუხებდა, შეუცნობელი, გაურკვეველი...

გვიან ღამით დარეკეს საავადმყოფოდან. პაციენტს ტკივილებმა გაუარა და მშვიდად სძინავსო. ხვალ გამოკვლევები უნდა ჩაუტარდეს და იქნებ მოაკითხოთ ვინმემ, ხომ იცით, ყველაფერი ფული ღირსო.

ცოტათი დავმშვიდდი. ლევანი კარგა ხნის წასული იყო. მიმარე ბავშვს შუბლზე ვაკოცე და ოთახიდან გამოვედი. ადგილს ვერ ვპოულობდი. ამწუთას არც დაძინება შემეძლო. უზარმაზარ, დაცარიელებულ სახლში დავაბიჯებდი და სიმარტოვის შეგრძნება შიშს მგვრიდა. ჩემი პატარა ბინა მერჩივნა ყველაფერს, ორ წუთში რომ შემოივლიდი ყველა ოთახს. აქ კი ისეთი ამაზრზენი სიჩუმე გამეფებულყო, თან იმხელა ფართობზე, ჟრუანტელი მივიღე.

გადავწყვიტე, სადილი მომემზადებინა და საქმე წინ წაშეგდო, მაინც არ მეკარებოდა ძილი. ხვალ დილით მე მომიწევდა ვასიკოს სკოლაში წაყვანაც.

ხორცი გამოვიღე მაცივრიდან და ის იყო, დაჭრა უნდა დამეწყო, რომ ვილაცის ჩრდილი დაველანდე გამოღებულ კარს მიღმა. დაყვირების შემეშინდა. მოულოდნელად ჩრდილი ამოძრავდა და კარი ფართოდ შემოაღო. პირველად მოხდა, რომ ლადოს დანახვაზე შვებით ამოვისუნთქე.

— შენ რას აკეთებ ასე გვიან აქ? — წარბები შეჭმუხნა.

სანამ აზრზე მოვიდოდი, რა მეპასუხა, თავიდან ფეხებამდე ყურადღებით შემათვალეირა. ჯერ ჩემს გამწვანებულ თმას შეავლო მზერა, მერე მკლავებს, მერე მოტყევილი ჯინსის შარვალს...

— როგორ შემაშინეთ, თქვენს გამოჩენას არ ველოდი, — ოდნავ გავუღიმიე.

— ვინმე სხვის გამოჩენას ელოდი, აბა? — ცალი წარბი აზიდა და გამომხედა.

— არავისაც არ ველოდი. უბრალოდ, მძარცველი მეგონეთ.

— მძარცველი?

— აბა, სხვა რა უნდა მეფიქრა? ლევანმა მითხრა, ამაღამ არ დაბრუნდებაო.

— და თვითონ სად არის?

— ვინ?

— ლევანი.

— ლანჩუთში გაემგზავრა. როზა კი ცუდად გახდა და საავადმყოფოში დავანვინეთ. ბავშვი ვერ დავტოვე მარტო... ვერც სახლი...

ჩემი ყველა ახალი ამბავი „სალმა კლდე“ ურეაქციოდ მოისმინა, ერთი ნაკვთიც არ შერხევა სახეზე, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვოდი ჩემზე, რადგან სწორედ ამ დროს მივხვდი, რომ ამ ვებერთელა სახლში მე და „სალი კლდე“ მარტონი ვიყავით, თუ არ ჩავთვლიდი ვასიკოს, რომელსაც უკვე ღრმა ძილით ეძინა. ამის გაფიქრებაზე სული შემიგუბდა. მომინდა, სამზარეულოდან გავვარდნილიყავი და პირველსავე ოთახში შეგვტყლიყავი. ასეც მოვიქცევი! რაც უნდა, ის იფიქროს! მასთან მარტო დარჩენა არ შემეძლია! მე რა ვიცი, რა მოუფრენს თავში! ძლივს მოვთოკე თავი, რომ მართლა არ გავტყუელიყავი. იმისთვის, რომ უხერხულობა დამეფარა, ხორცი კვლავ ჯამში ჩავაბრუნე და მაცივარში შევდგი, გადავიფიქრე სადილის მომზადება.

— ვერ იძინებ? — თბილად მკითხა.

— ბატონო? რა მითხარით? — ონკანი მოვუშვი და ხელები გადავიბანე. მისმა ხმამ გამაოგნა.

— ვერ იძინებ-მეთქი?

— ა! კი, როგორ არა! უბრალოდ... ვასიკომ წყალი მთხოვა და... — უნიჭოდ მოვიტყუე და სახელწინილმა ჭიქას დავავლე ხელი, წყლით გავავსე და სამზარეულოდან გასვლა დავაპირე.



მინდოდა, მშვიდად ამეცლო მისთვის გვერდი, მაგრამ — ნურას უკაცრავად! ადგილიდან არ დამრულა, არც უფიქრია ჩემი გატარება. შეგწერდი და იმაზე დავიწყე ფიქრი, მეთქვა, გამატარეთ-მეთქი, თუ ხელით შეგვებოდი და მეგრძობინებინა, გზა დაეთმო. მისი თვალები მოუსვენრობას შეეპყრო. გა-

მალებით დარბოდნენ ჩემს სახეზე. უცერად ლამაზი ტუჩები შეერხა, თითქოს გალიმებას აპირებო. შევკრთი, ვიფიქრე, მეჩვენება-მეთქი. მის სახეზე მშვიდი ღიმილი არასდროს მინახავს.

— ანა...

როგორც იქნა, ჩემამდე დავიდა მისი ხმა... ის მე მეძახდა... ახალა დავაფიქსირე, რომ ერთ ადგილას ვიყავი მილურსმული და მას მივჩერებოდი. გავწითლდი. ჭიქიანი ხელი ამიკანკალდა და იძულებული გავხდი, წყლით საგე ჭიქისთვის მეორე ხელი შემემშველებინა.

— რამე მითხარით? — გავისულელე თავი.

— ჰო. საქმელი გვაქვს რამე? ძალიან მშია, — დაღლილი ხმით წარმოთქვა და... თბილად გამიღიმა.

როგორც იქნა, დავინახე მისი უიშვიათესი ღიმილი, მხვდა წილად ეს ბედნიერება. რას მოვესწარი! „სალი კლდე“ ადამიანურად მილიმის!

— კი, როგორ არა! კარტოფილი და ლორის ხორცი შევწვი წელან.

— გამიცხელებ? თუ არ შენუხდები...

თუ არ შენუხდებიოოოო! ვაი! ეს რა თქვა! როდის ყოფილა ასეთი თავაზიანი? გაცობის დამალვა გამიჭირდა.

— დიას, ახლავე, ბავშვს წყალს მივუტან და...

— გეყოფა ეს ტყუილები. მაგას დიდი ხანია, სძინავს. ჯობია, მე მომხედო. მთავარია, ისეთი რამე არ გაუფრიო საქმელში, რომ მომწამლო, დანარჩენს მოველება.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# გზის გზნიღლები

## მოულოდნელად გასხადებული საიდუმლო

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ძვირფასო მკითხველო. როგორ ხართ? ვფიქრობდი, შესავალში რა დავწერო-მეთქი? ამ კვირაში არავის გავუღანძლავებ და არც მგზავნელებში მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი (ყოველ შემთხვევაში ჩემთვის არ მოუწერიათ). რა ძნელი ყოფილა ასეთ შემთხვევაში შესავლის დანერა... ჰოდა, რა ვქნა ახლა მე? რით გაგახაროთ? ავდგები და პირდაპირ ამბებზე გადავალ.

### ძველი ამბავი

„გამარჯობა, „გზა“. როგორ ხართ, ადამიანებო? ძალიან მაგარი ამბავი უნდა მოგიყვებო: ჩემს მეზობელს დედა გარდაეცვალა. არც ისე მოხუცი იყო საწყალი ანეტა დეიდა. შვილთან ხშირად ჩამოდიოდა სტუმრად, ისე კი ხაშურში ცხოვრობდა. გასვენების წინადღეს ჩავედი ხაშურში და საოცარი ამბის მომსწრე გავხდი: ცოტა მოგვიანებით, როცა პანაშვიდი უკვე კარგა ხნის დასრულებული იყო და მხოლოდ შინაურები იყვნენ დარჩენილი, ღია კარში ახალგაზრდა მამაკაცი გამოჩნდა, რომელსაც მკლავზე მოხუცი, წელში მოხრილი მამაკაცი დაყრდნობოდა, მეორე ხელში ჯოხი ეჭირა და ნელა, ფაჩუნ-ფაჩუნით მოდიოდა. როდესაც ოთახში შემოვიდნენ, მივხვდი, რომ მოხუცი უსინათლო იყო. ახალგაზრდამ მიცვალებულთან ახლოს მიიყვანა. მოხუცმა კი ხელის ცეცებით მოძებნა სახე და აკანკალებული თითებით მოეფერა. თვალებიდან ცრემლი სდიოდა და მხრები უცხაცახებდა. როგორც კი თანმხლები მამაკაცი მხარზე შეეხო, მორჩილად გადგა განზე, კედელს მიეყრდნო და თავი ჩალუნა. მივეხმარეთ და სკამზე დავსვით. ახალგაზრდას ვკითხეთ, ვინ იყვნენ, საიდან მოვიდნენ და რა უნდოდათ? აღმოჩნდა, რომ თურმე ვანო პაპას ახალგაზრდობაში ჰყვარებია ანეტა. გვერდით სოფელში უცხოვრია, საიდანაც ანეტა იყო გამოთხოვილი. მაშინ ანეტას უკრავს ხელი — სხვა ჰყვარებია და ცოლად იმას გაჰყო-

ლია. იმის შემდეგ ბევრმა წელმა ჩაიარა, მაგრამ ვანომ პირველი სიყვარულის დავიწყება ვერ შეძლო. დაოჯახდა კიდევ, შვილებიც ჰყავდა და უკვე შვილთაშვილებიც, მაგრამ ანეტა გულიდან ვერა და ვერ ამოიგდო. ახლა შემთხვევით გაუგია, რომ გარდაიცვალა და შვილისთვის უთხოვია, რომ მოეყვანა, რათა საბოლოოდ გამოსთხოვებოდა თავის სიყვარულს. ამის გამგონე ყველა ტირიდა. ღამის გული წამივიდა ტირილისა და ნერვიულობისგან. ასეთი რამე არც გაგონილი მქონდა და არც — ნახაბი. ახლა კი ეს ყველაფერი ჩემ თვალწინ მოხდა. აი, ასე გაცხადდა საიდუმლო. ეს წლების წინ მოხდა. შესაძლოა, ვანოც აღარაა ცოცხალი და იქნებ იმ ქვეყნად მაინც იყვნენ ერთად. ქარბორბალა“.

### „მე თქვენი შვილი ვარ“

„მე მაკა ვარ, 30 წლის. ჯერ არ გავთხოვილვარ, მაგრამ იმედს არ

ვკარგავ. თუმცა ეს იმ ამბავთან, რომლის მოყოლასაც ვაპირებ, არანაირ კავშირში არ არის. ოჯახში მე, მამა, დედა და გაუთხოვარი დეიდა ვცხოვრობთ. ჩვეულებრივი ოჯახი გვაქვს, არაფრით გამორჩეული, საშუალო-სტატისტიკურს რომ ეძახიან, სწორედ ისეთი. ამ 2 წლის წინ, ზაფხულის ერთ საღამოს კარზე ვილაცამ დააკაკუნა. უცხო ახალგაზრდა ქალი იდგა კართან. მომესალმა და გამიღიმა. დეიდაჩემი იკითხა — აქ ცხოვრობსო? — დიახმეთქი, ვუთხარი და შინ შემოვიპატიჟე. შემოვიდა, მორიდებულად ჩამოჯდა სკამზე და დედაჩემსა და დეიდაჩემს ყურადღებით დააკვირდა. ქალებიც გაოცებული უყურებდნენ უცხო ადამიანს. ის კი უხერხულად იშმუშნებოდა. იცით, მე ცოტა ისეთი ამბის სათქმელად ვარ მოსული... — ძლივს ამოიღო ხმა. — იმეღია, არ გამიბრაზდებით.

— გისმენთ, — უკვე მოთმინების ფიალა მევსებოდა, — აი, ეს არის ის ქალბატონი, ვინც თქვენ იკითხეთ, — დეიდაჩემზე მიკუთითე. როგორც იქნა, ამოღერღა: — მე



მუცლისადა, ჭამისცემს, აქვან მე მესხეებშია თუ უშმალოდ, ციყვას ამ იციან?







ლი გამობრუნდა მისაღებში. კახაბერი მშვიდად ადევნებდა თვალს და გულში უკვირდა კიდევ მისას გაუჩინარება.

— შენ კახაბერი ხარ? მიხოს „შნირი“ ხარ, არა? რამდენი შენნაირი პარტნიორი ჰყავს გამოცვლილი? მომიყვანე, საიდანაც გინდა, თორემ მიგიღენავთ აქ ყველაფერს!

ოფისის თანამშრომლები გაცუებული თვალებით შესცქეროდნენ გაკაპასებული გოგოს გაბოროტებულ სილამაზეს (არ გატყუებთ, მისი სილამაზეც გაბოროტებული და გაავებული იყო).

უეცრად თავო მაგიდაზე მიგდებულ მიხოს მობილურს დასწვდა, მთელი ძალით იატაკზე დაახეთქა და ლამაზი ფეხებით ზედ შედგა. კახაბერმა განძრევაც ვერ მოასწრო, რომ მეზობელი ოთახის ღიად დარჩენილი კარიდან ვილაც შემოიჭრა, თავოს დაეტაკა და გადათელა. კახაბერი მხოლოდ მაშინლა მოეგო გონს, როცა თავოს ხავილი გაიგონა და დაინახა, რომ გოგოს მიხო ორივე ხელით ახრჩობდა, თან დასჩხაოდა:

— ამაში 1.800 ლარი მაქვს მიცემული!.. შე მათხვარო!..

კახაბერი მიხოს დაახტა და გონმიხდილი გოგო ხელიდან გამოჰგლიჯა. მოულოდნელად, თვითონ აღმოჩნდა ძირს გაშოტილი, რაც მიხოს მოქნეულ მარცხენას მოჰყვა.

თავო ყელზე ხელს ისვამდა და ნელ-ნელა, უკუსვლით გადიოდა ოფისიდან. კართან მისული თავნება გოგო შემობრუნდა და ეზოში ჩაშლივინდა. თავისი მანქანიდან საჭის ჩამკეტი რკინის ლერძი ამოიღო, მისას ჯიბთან მიიღებინა და დაიკვილა:

— ეიი, მიხუიიილ! მიყურე და დატკბი!

კახაბერმა დანანებით შეავლო თვალი მიხოს ავტომანქანას და თავი გადააქნია. მანქანის პარპრიზს კი საჭის ჩამკეტი ლერძი ჯალათივით დაატყდა თავს. ნამებში მანქანის არც ერთი შუშა მთელი აღარ იყო. მიხო მცირე ხანს თავჩარგული იჯდა. თავაუნეველად გამოიძახა პატრული და სავარძელში უხმოდ ჩაეფლო. კახაბერი მეზობელ ოთახში გავიდა, კიდევ ერთხელ ყურადღებით მოათვალა იქაურობა და უეცრად სიცილი აუტყდა. კართან სეიფი იდგა და კარის გაღებისას ნაწილობრივ თვალს ეფარებოდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ სეიფის თავზე ვინმე ყოფილიყო. კახაბერის სიცილის მიზეზიც ეგ იყო



— წარმოიდგინა კურდღელივით „ჩირგვში“ მჯდარი, სეიფზე შემოსკუპებული მიხო და თავშეუკავებლად ახარხარდა... ულიბკა“.

### შოკური თერაპია

„სასაცილო და საინტერესო ამბავი მაქვს თქვენთვის: პირველ რიგში — გამარჯობა. ერთი ახლობელი ქალი მყავდა, რომელიც ქმრისა და საყვარლის შეთავსებას მშვენივრად ახერხებდა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, არ არსებობს დაფარული, რომელიც არ გაცხადდესო, და ამ ქალსაც ასე მოუვიდა. მოკლედ, ერთ მშვენიერ დღეს ქმარმა უთხრა, რომ თანამშრომელს დედა თუ მამა გარდაეცვალა და გასვენებაში მიდიოდა რაიონში 2 დღით. ჰოდა, ლალის ეგონა, გავში ფრთებს, 2 დღე ქმარი სახლში არ მეყოლებაო, ნაიყვანა ბავშვები დედასთან, დაიბარა საყვარელი და მოემზადა ვნებიანი ღამის გასატარებლად. შუალამისას კი კარზე კაკუნის გაისმა. დაფეთდა ქალი, მგონი, ჩემი ქმარი დაბრუნდაო... კაცსაც ცუდი ფერი დაედო სახეზე. სხვა რომ ვერაფერი მოიგონა, კაცს სახლში საიდანაც შემთხვევით შემორჩენილი თეთრი ხალათი ჩააცვა, წნევის აპარატი და ფონენდოსკოპი შეაჩქა და ისეთი სცენა გაითამაშეს, ვითომ ცუდად

იყო და ექიმი ჰყავდა გამოძახებული. მაგრამ ქმარმა ყველაფერი წინასწარ იცოდა და რას მოატყუებდნენ?! ჰოდა, ეს თეთ-

### ცუდად თუ ხარ, ახლავე გიმკურნალებ, შოკური თერაპიას ჩაგიტარებო

რი ხალათი შემოახია იმ კაცს და გარეთ შიშველი გააგდო, ცოლს კი უთხრა, — ცუდად თუ ხარ, ახლავე გიმკურნალებ, შოკური თერაპიას ჩაგიტარებო, — და მაგრად მიბეგვა. მეორე დღეს კი შინიდან გააგდო. მოკლედ, საიდუმლო გაცხადდა და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ქმარმა ცოლი შინიდან გაუშვა თუ არა, იმ საღამოსვე „ახალი“ ცოლი მოიყვანა. როგორც ჩანს, ცოლიც და ქმარიც ცალ-ცალკე „გულაობდნენ“ და ერთმანეთს ატყუებდნენ. მოკლედ, ნავედი, აბა, თქვენ იცით. თქვენი ნაკლეიკა“.

### „მოულოდნელი“ და

„ერთხელ, უკვე წესისამებრ, შუალამისას ჩემს საყვარელ სოციალურ ქსელს მივაკითხე (აღარ სჭირდება ამ საიტს რეკლამა). რამდენიმე არაფრისმთქმელ კომენტართან ერთად, ერთი დამეგობრების თხოვნაც დამხვდა — ჩემი მოგვარე გოგო „მექაჩებოდა“. რა თქმა უნდა, ეს ჩვეულებრივ მოვლენად აღვიქვი და დავიმეგობრე. მეორე ღამეს მისი შეტყობინება დამხვდა: „შენ ჩემი ძმა ხარ და ნეტავ იცოდე, როგორ მიყვარხარ... დიდი ხანია, გეძებ და აი, ბოლოს და ბოლოს, გიპოვე. მითხარი, მშობლების შეცდომებზე მე და შენ რატომ უნდა ვაგოთ პასუხი? როგორ მინდოდა, ხელჩაკიდებული მეტარებინე სკოლაში, ღამით შენთვის საბანი გამესწორებინა და შუბლზე მეკოცნა“... და ასეთი „ბლა-ბლა“ გრძელდებოდა. პირველი, რაც გავიფიქრე, მგონი, ვილაც მეკაიფება-მეთქი, შემდეგ მივხვდი, ასე არ იყო — მისი ფოტოები დავათვალაიერე და ჩვენ შორის აშკარა მსგავსება დავინახე. და უყოვნებლივ გავედი მამაჩემთან და

**ჭურადლება!** თუ გასურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.





ყველაფრის ახსნა მოვთხოვე. აი, თურმე რა ყოფილა: 17 წლის ასაკში, ახალამონვერილი ღინღლის მქონესა და სრულიად გამოუცდელს, ქალთან პირველად „გაუგულავია“. ისტორია ბანალურია — ქალი დაორსულდა და „კლანჭები“ გამოაჩინა. მართალია, მამას ვერ შეეტენა და ცოლად ვერ გაჰყვა, მაგრამ ბავშვისთვის გვარი მიაცემინა, ბლომად ფულიც „აახია“ და მაინც ვერ დაწყნარდა — პერიოდულად ეცხადებოდა და ისტერიკებს უწყობდა ხოლმე. როცა დედა ჩემზე იყო ორსულად, ეს ალქაჯი თავის ნაბიჭვართან ერთად მოვარდა სახლში და დედას ნიხლი ჩაარტყა მუცელში. ამის წყალობით, ქვეყნიერებას ჯანმრთელობის პრობლემებით, თვე-ნახევრით ადრე მოვევლინე. შემდეგ საცხოვრებელი შევიცვალეთ და ის აღარ გამოჩენილა. მამაჩემს თავის პირველ ქალიშვილთან არასდროს ჰქონია ურთიერთობა. მე მითხრა, შენს არჩევანს პატივს ვცემ და თავად გადაწყვიტე, გინდა თუ არა, რაიმე საერთო გქონდეს ნახევარდასთანო. რა თქმა უნდა, დედაჩემს გული დასწყდებოდა, ამ გოგოსთან ურთიერთობა რომ დამეწყო და ამის სურვილი თავადაც არ მქონდა. იმნამსვე დავუბრუნე პასუხი „დაიკოს“. სალანძლავი სიტყვების მთელი მარაგი გამოვიყენე და თან კედელზე „დავუპოსტე“, რათა ხალხის დასანახად დამემცირებინა. შეიძლება იფიქროთ, რომ შეუბრალებლად მოვიქეცი, მაგრამ როცა დედაჩემის ღირსებას ეხება საქმე, დიას, შეუბრალებელი ვარ. ჩემი საქციელის სისწორეში მალევე დავრწმუნდი. „დაიკომ“ მუქარით საგვეწერილი „მაჯახა“: მალე დედის გვარზე გადავალ, მამაშენს (მანამდე მამაჩვენი იყო) არ ვაპატიებ, რაც გამოიკეთა. იცოდე, შენც გაზღვევინებ ამ სიტყვების გამო და ფრთხილად იყავი, შემთხვევით სადმე არ გადამეყაროო. P.S. ამ ამბის შემდეგ, ერთ ჭეშმარიტებაში დავრწმუნდი: შეუძლებელია, ბოზისა და „ურჩხულის“ გაზრდილი ფრთაშესხმული ანგელოზი იყოს. ნიკოლოზ.

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „ჩაშლილი ქორწილი“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com

# ფოტო, ხომეღმაც ნახნეხა დაკახგა



ამ ფოტოსთვის შესაფარისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ბალაფონის ნომერზე:  
**5.77.45.68.61**  
 ჩეხული ვერსია ჯი ასეთია:

**სოლს ყველაფერი გავრი უნდა ჰქონდეს: სიყვარული, სექსი ფული და ტანსაცმელიც, რომ კარადაში საყვარლისთვის ადგილი არ დარჩეს**



# „პირველი სიყვარულის დაკარგვა ყოველთვის მწარეა“

„გზის“ №32-ში დაიბეჭდა იას მესიჯი. იგი გვწერდა, რომ მომავალი „ლოვე“ სოფელში გაიცნო და ერთმანეთი ძალიან შეუყვარდათ. „სკოლის პერიოდში თბილისში ვხვდებოდით, ზამთარში — სოფელში. ჩემს ბიძაშვილებსაც ელაპარაკა და უთხრა, — მიყვარსო, მაგრამ ერთხელ, როცა დაფურეკე, უხეშად მელაპარაკა. ამის გამო გავუბრაზდი და ვიჩხუბეთ. თითქოს ასე სპეციალურად მოიქცა, რათა დამშორებოდა...“ როგორც იამ გაგვიმხილა, მისმა რჩეულმა სოფელში მცხოვრებ ვიღაც გარყვნილ გოგოსთან გასართობად დაინყო სიარული და ამით გული ძალიან ატკინა. „იცოდა, რომ ამას ვერ ვაპატიებდი... ახლა, როცა ქუჩაში მხვდებო, გამუდმებით მიყურებს, მე კი ხმას არ ვცემ და სიმათლე გითხრათ, არც თვითონ იკლავს თავს მოსალმებით. იცით, ადრე იმ გოგოს თავადაც დასცინოდა, ახლა კი ვერ ვხვდები, რამ მოხიზლა, რა დაემართა?...“ ია იმასაც გვწერდა, რომ გამუდმებით „ლოვეზე“ ფიქრობს და ძალიან ენატრება. „ის ჩემი პირველი შეყვარებულია, რომელთანაც 3-წლიანი ურთიერთობა მაკავშირებს და მასთან ასე უაზროდ დაშორებას ვერ გადავიტან...“

## „იმ გოგომ ისეთი რამ შესთავაზა, რასაც შენ ვერ მისცემდი“

### გაცხადება:

„თუ იცი, რომ იმ გარყვნილთან დადის, მისნაირი კაცი როგორღა გიყვარს? ან თუ ის ბიჭი დარწმუნებული იყო, რომ სიმათლეს გაიგებდი, ასე რატომ მოიქცა? იქნებ უბრალოდ, შენთან ყოფნა მოჰპებრდა და დასაშორებლად ეს გზა ამჯობინა?...“

### ლუნა:

„ეჰ, ჩემო კარგო, ვიცი და მესმის, რა ძნელია, როცა ვინმე გენატრება და მასთან არ ხარ. არ ვიცი, რა გითხრა... 3 წელი ცოტა არაა და არ მესმის, ასე, ერთი ხელის მოსმით როგორ გიღალატა? ალბათ იმ გარყვნილ გოგოსთან შენთან ურთიერთობის პერიოდშიც ჰქონდა რომანი და შესაძლოა, მან თავის ჭკუაზე გადაიყვანა. მერწმუნე, ეგეთ გოგონებს ასეთები არ ეშლებათ. გთხოვ, ნუ იდარდებ, მონატრებას უნდა გაუძლო და დაივინყო. ის შენი ღირსი არაა. აი, ნახავ, მალე გამოჩნდება ისეთი ბიჭი, რომელიც გულს არასდროს გატკენს. ღმერთი შენკენ, გაკოცე“.

### ატარაძისა:

„გულშიც არ გაივლო, რომ იმ გარყვნილ გოგომი გაგცვალა. საერთოდაც, მას თავს როგორ უტოლებ, ის ხომ სუსტი ნებისყოფის ქალია! ჰოდა, შენი „ლოვე“ ცოტა ხანს გაერთობა, მერე კი აუცილებლად მოისვრის (როგორც ხდება ხოლმე)... შენ კი მისი შეყვარებული იყავი და რადგანაც ასე მოგექცა, ე.ი. ამის მიზეზი ჰქონდა.

შეიძლება, მობეზრდი და რაღაც ახალი მოუხდა. დროა, მის დავინწყებას შეეცადო. წარმატებები!“

### ნიკოლო:

„მოდი, არ გელოლიაგები და პირდაპირ გეტყვი: შენს რჩეულს ფეხებზე ჰკიდინარ. სავარაუდოდ, იმ გოგომ ისეთი რამ შესთავაზა, რასაც შენ ვერ მისცემდი. ახლა ვეღარაფერს გააწყობ. ორი ვარიანტი გაქვს: ან ყველაფერს უნდა შეეგუო და ცხოვრება მის გარეშე გააგრძელო, ან თავი ჩამოიხრჩო და ტანჯვას ნერტილი დაუსვა. მოკლედ, არჩევანი თავად უნდა გააკეთო!“

### ცაროდანა, ბათუმიდან:

„მსგავსი რამ მეც შემემთხვა. კარგა ხანს ვიტანჯებოდი და გული მტკიოდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ის ამაღ არ ღირდა. გირჩევ, საკუთარ თავს მეტი ყურადღება დაუთმო და ახალი სიყვარული ეძებო“.

### აუტანელი:

„ვაიმე, შენნაირი გოგონების არ მესმის და რა ვქნა?! დაგშორდა, ცუდი ყოფაქცევის გოგონა გამჯობინა და კიდევ მისტირი? ახლა შენთან დაჩოქილიც რომ მოვიდეს და შერიგება გთხოვოს, მაინც არ უნდა აპატიო. მერწმუნე, ეგ ბიჭი შენი ღირსი არაა. ცხოვრება ნინა და აუცილებლად შეხვდები ისეთ ადამიანს, რომელიც დაგაფასებს. წარმატებები!“

### THE LOVELY:

„პირველი სიყვარულის დაკარგვა ყოველთვის მწარეა. ნეტავ, ეს უაზრო

დაშორება ვისი ბრალია? თუ ერთმანეთი ძალიან გიყვარდათ, არ მესმის, ასე იოლად როგორ შეგელია? საერთოდ, გადამრევთ ეს გოგონები, რა: ბიჭებს რაღაც მოთხოვნები აქვთ და ეს ვერ უნდა გააცნობიეროთ?.. არა უშავს, ამ ყველაფერს როგორმე გადაიტან. წარმატებები მომავალში!“

### ინა:

„შენმა წერილმა გული ამიჩუყა. სიყვარულისთვის იბრძოლე და ნახავ, ყველაფერი შენს სასიკეთოდ მოგვარდება“.

### ნაპროზანი:

„ამის გადატანა მოგიწევს... ხალხო, გასაგებია, რომ გულს ვერ უბრძანებთ, მაგრამ რატომ ცდილობთ ისეთი ადამიანის დაბრუნებას, რომელსაც რბილად რომ ვთქვა, არ აინტერესებთ? თავმოყვარეობა არ დაკარგოთ, რა“.

### უცნობი:

„საყვარელო, ამდენ წერიტულობას ერთი გონივრული ნაბიჯის გადადგმა არ სჯობია? — მიდი და დაელაპარაკე!.. მეც ზუსტად ასეთ მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ ახლა ერთად ვართ და უკვე პატარაც გყავს“.

### რუსიარი (GREEN):

„როცა წყვილს ერთმანეთთან 3-წლიანი, მყარი და ჩამოყალიბებული ურთიერთობა აკავშირებს, შეუძლებელია, რომ მათი სიყვარული ერთმა არაფრისმთქმელმა, უაზრო სატელეფონო ზარმა დაანგრის. მიზეზი, რის გამოც შენს სეროზულ და „ბიძაშვილებთან დალაპარაკებულ“ LOVE STORY-ს დაესვა ნერტილი, სულ სხვა რამაა და ეს თავადაც კარგად იცი. რაც შეეხება ყოფილი, „სეზონური“ შეყვარებულის ახალ გატაცებას (სოფელში მცხოვრებ „გარყვნილ“ გოგოს ვგულისხმობ), დარწმუნებული ვარ, მასთან ურთიერთობა იმ 3 წლის განმავლობაშიც ჰქონდა, როცა ერთმანეთს ხვდებოდით. ბიჭს, მით უმეტეს — ახალგაზრდას 3-წლიანი „აღკვეცას“ ვერ მოსთხოვ მაშინ, როცა მასთან ქორწინებამდე სექსზე ლაპარაკსაც ეი ურიდები. ჩემი აზრით, ეს ყველა გოგოს უნდა ესმოდეს. „გარყვნილი“ აძლევს იმას, რისი მიცემაც ცხოვრების ამ ეტაპზე შენ არ შეგიძლია და არაფრისგან პანიკას ნუ ქმნი! მოეშვი წარსულზე ქვითინს! ახალი ნაცნობები, ურთიერთობები, თავგადასავალი დაგეხმარება იმ პერიოდის დავინწყებაში, რომელსაც ტკივილისა და სინანულის გარდა, შენთვის არაფერი მოუტანია. მომავალზე იფიქრე და ეცადე, გულის კარი ახალ სიყვარულს გაუღო. P.S. დაიმასხოვრე, შენი რჩეული ან ბოლომდე უნდა დააკმაყოფილო, ან გარკვეულ დათმობაზე უნდა ნახვიდე. წარმატებები!“





# „მადლობა თქვი, რომ ვირთხები არ გესიზმრება!“

„გზის“ №32-ში დაიბეჭდა უცნობი ბიჭის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა: „2 წელი მიყვარდა გოგო, მაგრამ ამის თქმას ვერ ვუბედავდი. ის უბრალოდ ხვდებოდა, მის მიმართ რასაც ვგრძნობდი. დიდხანს კარგი მეგობრები ვიყავით, მაგრამ მერე გული ძალიან მატკინა და მივხვდი, რომ გადამიყვარდა. მას შემდეგ სიზმრებში ვხვდავ. ზმანებაში ისევ ძალიან მიყვარს, მაგრამ გავიღვიძებ თუ არა, ეს გრძნობა სიზმარივით, სადღაც ქრება. თქვენი აზრით, ჩემი ასეთი „სიზმარ-სიყვარულობა“ რისი ბრალი უნდა იყოს?“

## „სიზმარს ყურადღება არც უნდა მიაქციო“

### ატარეძსია:

„აღბათ, ეს შენი სიზმარ-სიყვარულობა უფრო ეროტიკული უნდრისაა და ამაში ბოლომდე არ გამოგვიტყვი. შემთხვევით, გარდაქმნის ასაკში ხომ არ ხარ? რაცხატენი, მიდექ-მოდექი, ვინმე გამოქებნე, ვნებები დაიკმაყოფილე და მერწმუნე, უაზრო სიზმრები აღარ შეგანუხებს“.

### რუისარი (GREEN):

„მეგობარო, 2 წელი გოგო გიყვარდა, გრძნობდი, რომ შენ მიმართ ისიც არ იყო გულგრილი და არაფერი მოიმოქმედებ? კაცურად, რას ელოდებოდი? მაყვალასავით უნდა მოსულიყო და ეთქვა: ან თავ რას იტანჯავ, ან მე რასა მტანჯავო? დაილალო გოგო ლოდინით, წავიდა და გული გატკინა. ჰოდა, გაბრაზებულმა საკუთარი თავი დაარწმუნე, რომ აღარ გიყვარს, სინამდვილეში კი ისევ მასზე ფიქრობ, მაგრამ ამაში თავს არ უტყდები, არა? გირჩევ, დაელაპარაკო, საკუთარ გრძნობებში კარგად გაერკვე, დალაგდე და გადაწყვეტილებაც ამის შემდეგ მიიღო. გაიხსენე ფილმი „სიყვარული ყველას უნდა“. იქ ამბობენ მშვენიერ ფრაზას: პირადი გრძნობების გარეშე ერთი დღეც ნუ მამყოფოს ღმერთმაო. შენ კიდე...“

### აურა:

„ყველა, ვისაც სიზმარში ხვდავ, ცხადში ვერ გეყვარება. შეიძლება, იმიტომ გესიზმრება, რომ ადრე გიყვარდა და ეტყობა, თავი რაღაცით დაგამახსოვრა. სიზმარი არარსებული სამყაროა, რომელსაც ყურადღება არც უნდა მიაქციო“.

### THE LOVELY:

„როგორც ჩანს, ის გოგო ისევ გიყვარს, მაგრამ რადგანაც განყენინა, პატივმოყვარეობა არ გაძლევს უფლებას, ეს ცხადშიც აღიარო, სიზმრებში კი თავის გაკონ-



ტროლება ძნელია. ეს სიზმარ-სიყვარულობა კი არაა, საკუთარ თავში გაურკვეველობაა. აბა, შენ იცი“.

### ნიკოლო:

„შენს ამბავზე ბევრი ვიხალისე. ბიჭო, თავს რატომ იტყუებ? ეგ გოგო ისევ გიყვარს, შენ კი ამის აღიარება ცოცხალი თავით არ გინდა. დაელაპარაკე და უთხარი, მისგან რაც გეწყინა. ჰოდა, ვინ იცის, იქნებ რამე გამოგივიდეთ კიდეც“.

### ბარცისტი:

„ყველაფერი იმის ბრალია, რომ ისევ გიყვარს — ეს შენი სიზმრის ერთადერთი ახსნაა და თუ კარგად დაფიქრებდი, ამას თავადაც მიხვდები“.

### ბაპო:

„არ ინერვიულო. დარწმუნებულად ვარ, შენს ცხოვრებაში ღირსეული ადამიანიც გამოჩნდება და შენი გრძნობაც იმ სიზმარივით გაქრება, რომელიც ახლა ასე განუხებს. ყოველ შემთხვევაში, ჩემი დახმარების იმედი გქონდეს. თუ სურვილი გექნება, დამიმესიჯე“.

### ლუნა:

„ამბობენ, — ვისზეც დაწოლის

წინ ფიქრობ, სიზმარშიც იმას ხედავო, ან ვინც გენატრება, ის გესიზმრებაო. ჰოდა, ვგონებ, ის გოგო ისევ გულში გყავს და სწორედ ამიტომაც არ გასვენებს სიზმრებში. აბა, შენ იცი, დროებით, უსიზმრო ძილს გისურვებ!“

### მაცვაცუნა:

„უბრალოდ, მასზე გაბრაზებული ხარ და გგონია, რომ აღარ გიყვარს ან უბრალოდ, უკაცრავად და, გარევე“.

### ნია:

„მადლობა თქვი, რომ ვირთხები არ გესიზმრება! კაცო, გამიგონია, ადამიანი იმაზე წუნუნებდეს, ყოფილი „ლოვე“ ღამითაც არ მაძლევს მოსვენებასო? შე შტერო, იმასაც ვერ ხვდები, რომ ისევ გიყვარს და აბა, რა უნდა გელაპარაკო? ჩვენგან რა რჩევას ელოდები? სასაცილო ხარ!“

### ელიკო:

„საინტერესოა, მისთვის სიძარტლის თქმა ამ 2 წლის განმავლობაში ერთხელაც ვერ მოახერხე? ვაი, ვაი...“

მეცოდება შენნაირი ადამიანები. მე გოგო ვარ და როცა მიყვარს, ამას არ ვმაღავ“.

### გიო:

„შენ ეგ გოგო ისევ გიყვარს. რაც შეეხება სიზმარს, არა მგონია, ზმანებაში მისი ნახვა არ გსიამოვნებდეს. ისე, ძმაო, სალოლ, შენ, 2 წელი გიყვარდა გოგო და ამას უმაღავდი? ეჰ, ვერ ყოფილხარ მამაცი რაინდი და მიგატოვებდა, აბა, რას იზამდა?! ეტყობა, შენი დუმილი აუტანელი გახდა და არჩია, დაგშორებოდა... ისე, რა იცი, იქნებ ჩხუბითა და დაშორებით შენს ალაპარაკებასაც ცდილობდა? ხომ გაგიგონია, როცა შეყვარებულები შორდებიან, ერთმანეთის ფასს მერე იგებენო. ჰოდა, იქნებ ის გოგო სწორედ ასეთ ხავსს ეჭიდებოდა, შენ კი რა ქენი? — ადექი და მასზე უარი თქვი, ხელი ჩაიქნიე, ახლა კი დგახარ და წუნუნებ, — სიზმრებში არ მასვენებსო! ჯობია, კაცურად მოიქცე და იმ გოგოს სერიოზულად დაელაპარაკო. წარმატებები!“



# მოხილი-ზასია

იმისათვის, რომ თქვენ მესიჯი „მოხილი-ზასიაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ გრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ. მისიჯის ფასი 50 თეთრი


## ქაღაბი



1. გთხოვთ, „გზა“ 32-ის მე-20 სმს-ის ავტორს მისწეროთ ჩემი ნომერი ან მე მომწეროთ მისი.
2. გამარჯობა მარი, გთხოვ მომცე „გზა“ №33, 38-ე მესიჯის ავტორის კოორდინატები.
3. გთხოვთ, „გზა“ 32-ის მე-20 სმს-ის ავტორს მისწეროთ ჩემი ნომერი ან მე მომწეროთ მისი.
4. ვეხმაურები 33-ე ნომერში დაბეჭდილ, 31-ე სმს-ის ავტორს. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი ან მე მომცეთ მისი ნომერი.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოხილი-ზასიისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h



## მამაკაცები

5. 32-ე ნომრის მე-6 სმს ავტორს, ცისფერთვალეა გოგოს. გთხოვთ, მომცეთ მისი ტელეფონის ნომერი.
6. ვარ 22 წლის, სამსახურით უზრუნველყოფილი, ფოთელი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქართულ ტრადიციებზე აღზრდილ გოგონას, სასურველია, ფოთელს.
7. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ გოგოს, რეალური შეხვედრებისთვის. გიორგი.
8. ვეხმაურები 32-ე ნომრის მე-6 სმს ავტორს. გთხოვთ, მომცეთ ნომერი.
9. გთხოვთ, გამომეხმაუროს „გზის“ 31-ე ნომერში არსებული მე-3 მესიჯის ავტორი.
10. ვეძებ 19 წლამდე ასაკის, სიმპათიურ გოგოს. ვარ 23 წლის.
11. ვარ 28 წლის, ქერა, ცისფერთვალეა ბიჭი. მაქვს ბინა თბილისში და აგარაკი — გომბორში. მაქვს საკუთარი ბიზნესი. გავიცნობ 27 წლამდე გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის.
12. ოჯახის შექმნის მიზნით მსურს გავიცნო ქვერვი ან განქორწინებული, 35 წლამდე ასაკის, თბილი, კარგი მეოჯახე, გამხდარი გოგონა, მცირეწლოვანი 1 ან 2 ბავშვით. დამიმიჯივთ.
13. ვარ 24 წლის, ნორმალური გარეგნობის მამაკაცი. გავიცნობ 35 წლამდე მანდილოსანს, სამეგობროდ. ლუკა.
14. ვარ 19 წლის. ამჟამად ვმუშაობ თბილისში. ვარ ნაქირავებში. თუ ხართ მარტოხელა და გინდათ ვინმეს გაცნობა, ვინც გვერდით დაგიდგებათ, მომწერეთ.

15. ვარ 30 წლის, ქუთაისელი. ვარ სიმპათიური და განონასწორებული. გავიცნობ მომხიბვლელ და საინტერესო მანდილოსანს, შეხვედრებისთვის.
16. ვარ სიმპათიური, სპორტული აღნაგობის, 29 წლის მამაკაცი, უცლოშვილი. გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის, ჰიგიენურ მანდილოსანს. მომწერეთ თქვენზე.
17. გავიცნობ 20 წლამდე გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ ცისფერთვალეა და სიმპათიური.
18. ვარ 29 წლის, სიმპათიური, თბილისელი ახალგაზრდა. უზრუნველყოფილი ვარ საკუთარი ბინით, ავტომობილითა და სამსახურით. ასევე მაქვს საკუთარი ნივრის ბიზნესი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ ლამაზ მანდილოსანს, სასურველია, არათბილისელი.
19. გთხოვთ, მომცეთ 30-ე ნომრის მე-6 მესიჯის ავტორის ნომერი. გმადლობ ნინასწარ.
20. ვარ 30 წლის, ქუთაისელი, სიმპათიური და სანდო პიროვნება. გავიცნობ ახალგაზრდა, მომხიბვლელ გოგონას. შემეხმანოს ის, ვისაც სიყვარული აკლია.
21. ვარ თბილისელი, დასაქმებული, სიმპათიური, სერიოზული მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ სიმპათიურ, უკომპლექსო მანდილოსანს. ზურა.
22. ოჯახის შექმნის მიზნით ვიახლოვლებდი ძალიან ლამაზ, ზრდილ, მეოჯახე, 27 წლამდე ასაკის, ამბროლაურელ, სანდო ქალიშვილთან. ვარ 43/174/80, სანდო, ახალგაზრდა შეხედულების, უმაღლესი განათლებით, ნაკლიანი მამაკაცი.
23. ვეხმაურები გზა №33, 1-ელი





სმს-ის ავტორს. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი! ვაკმაყოფილებ მის მოთხოვნებს.

24. ვარ 28 წლის. გავიცნობ 20-26 წლამდე ასაკის ლამაზ გოგოს, ცხოვრების გასალამაზებლად.

25. გთხოვთ, მომცეთ 33-ე ნომრის მე-2 სმს-ის ავტორის ნომერი.

26. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, ლამაზ მანდილოსანს.

27. ვარ 28 წლის, სიმპათიური მამაკაცი. მაქვს საკუთარი ბინა და ჯიპი. ვმუშაობ ბანკში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 18-28 წლამდე ასაკის, წესიერ და ლამაზ გოგოს.



### სწავლასწავ

• პატარავ, დედას სიხარულო, როგორ ხარ? რას შვრები დე, უკვე ძალიან მენატრები... სუთშაბათს ან პარასკევს ტანსაცმელს შემოგანვდი და განცხადებასაც დავენერ ნახვავ. ჩემი პანია ბიჭუნა უნდა ვნახოოოო! პანიას რომ გეძახი, ვინ იცის, ზოგს მოცუტქნული ჰგონიხარ, ამსიგრძე ვაცი, იმათ ხომ არ იციან, რომ პატარა იმიტომ ხარ, რომ უმცროსი ხარ :). ჩემო დახატულო, გეფერები... ბესო იყო ჩამოსული, 2 დღით, ლეტოპი იყიდა და წავიდა. ისეა გასუქებული, გაგიკვირდება, რომ ნახო. დე, ცოტაც გაუძელი, რა... უფრო სწორად, ცოტაც გაუძლოთ. სხვა ახალი არაფერია, საბა ყოველდღე რაღაც ახალს სწავლობს. იმ დღეს კლანჭო ეძახდა დაბლიდან, ჩამოდი, პივას დაგაღვინებო და ის უზუნებოდა, საღამოს ჩამოვალ, ახლა ცხელაო. ყველაზე ძალიან მამა და ნინო მიყვარს და მერე ნინელიო, ასე იძახის. დე, მენატრები... ღმერთი გფარავდეს. გიკოცნი მწვანე და ციმციმა თვალებს. დედა.

• კვაჭი, როგორ ხარ? ჩვენ ვართ, რა. გუშინ როლოს დაბდღე იყო და გვაკლდი ძაან. აქეთ არაფერია ახალი. გვენატრები. ბიჭებმა მოგიკითხეს. დეა.

• იკა, დედი, ტელეფონზე რომ მელაპარაკე, შენი ხმა არ მომეწონა. თანაც, ცოტა გალაპარაკეს. ახლა მაინც მომისმინე, დაიიჯერე. შენ ვერც წარმოიდგენ, ისე სწრაფად დამთავრდება ყველაფერი, დე.

• იკა, შენ რომ გელაპარაკე, დაუფრეკე ბექას და ვუთხარი წერილის შესახებ და გაუუზგავნიო, მითხრა. ვუთხარი, მარისთვის ეთქვა, რომ დაურეკავ 30-ში. ვუთხარი და ელოდებო. მენატრები, დე.

• გელუკა, როგორ ხარ? თავს გაუფრთხილდი, ვიცით, ძალიან გიჭირს, ღმერთმა დაგიფაროს, იმედი, მალე ყველა

ერთად ვიქნებით. გვენატრები. ქეთი, ლელა, დაჩი და ყველა.

• იკა, დედიკო, გილოცავ ფერისცვალების ბრწყინვალე დღესასწაულს. უფლის მაღლი და მარიამ ღვთისმშობლის კალთა გფარავდეს, შვილო და ჩვენი გულის ტკივილი წარსულს ჩაბარებოდეს. გაკოცე.

• პეპ, როგორ ხარ? ჩვენ ჩამოვედით. რატომ დაიკარგე ნეტავ, მშვიდობაა? სექტემბრამდე არ ვიქნები სამსახურში. სალაპარაკო მაქვს. რომ მოახერხებ, დამირეკე. გკოცნი.

• გიო, გილოცავთ დაბადების დღესმინდა, რომ იყო ძალიან ბედნიერი, ცხოვრება გქონდეს ძალიან მშვენიერი, ბევრჯერ მომელოცოს ლამაზი დღეები, ამ დღეს გილოცავ და გეფერები. ხომ კარგად ხარ? უზომოდ მოგვენატრე, ჩვენ ბორჯომში ვართ და ყოველდღე გვახსენდები, ერთად რომ ვისვენებდით. გვიყვარხარ. გკოცნით. ფერისცვალების მაღლი გფარავდეს. უფალმა დაგლოცოს. გაუძელი, მალე შეგვხვდებით. მაგდა, იზა, ციო, ია, გია, მიშო.

• პეპ, ძალიან გთხოვ, დამირეკე, ასე ნუ დამტოვებ. გეხვენები, შენ გარდა არავინ მინდა, ძალიან მიყვარხარ და იცი კიდევ, რომ მარტო შენ მიყვარხარ. ცუდ სიტუაციაში ვარ.

• თეე, ჩემო სიცოცხლე, როგორ ხარ? მე შენმა მონატრებამ დამალა მხოლოდ, სხვა მხრივ კარგად ვარ, არაფერია, ჩემო იმედო, უნდა გაუძლოთ, შენ სულ ჩემთან ხარ. ბუტია.

• თეე, ძალიან იმედიანად ვარ, მალე დამთავრდება, არ იდარდო, ყველა შენს დაბრუნებას ველოდებით, ვითვლი დღეებს, საათებს, წუთებს, მენატრები, მიყვარხარ. ბუტია.

• თეე, რამდენი დრო გავიდა უშენოდ ჩემო, რამდენჯერ დაღამდა და გათენდა... რა უნდა გითხრა, უშენოდ ჩემ ირგვლივ არაფერი ხდება ან ხდება და მე ვეღარაფერს ვამჩნევ. ყველა მხოლოდ შენ გელოდებით, სანდრი საჩხერეშია, კახამ მაგარი ანკესი აჩუქა და ყოველდღე სათევზაოდ დაჰყავს დათოს, ძაან უხარია, გოგონები კარგად არიან, შენი დედიკოც კარგადაა, ჩემო სიცოცხლე, იმედიანად იყავი, მალე ყველაფერი გაირკვევა, ჩემო დარდო და ჩემო მონატრება, მიყვარხარ, შენი ბუტია.

• მია, როგორ ხარ? ჩვენ ყველა კარგად ვართ, არ ინერვიულო, მე სოფელში ვარ საბუჯასთან, ბავშვებიც აქ არიან, ვერთობით კარგად, მია, მიყვარხარ ძალიან, სანდრო.

• პეპ, რაზე მაინც მითხარი, დამარიგე ჭკუა, გთხოვ, მჭირდები. ნუ დამტოვებ მარტო. რაზეთი დამაიმედე ცოტა მაინც, იფიქრე და მითხარი, რა გავაკეთო. თავგზა ამებნა. მიშველე.

• რავა ხარ იკა, ძმა, მაგრად მოგვენატრე. ოთო და ვასკა ვართ ბათუმში ძმა და შენ გაგისხენეთ. გამაგრდი ძმაო, ჩვენ

შენთან ვართ... ირაკლი კვაჭანტირაძეს.

• თეე, დუნიაშა ვარ. გვენატრები, გვენატრები, შენზე ფიქრში თენდება და ღამდება. მალე დაგვიბრუნდები და დაგვიბრუნდება ბედნიერება და სიხარული. თეე, საყვარელო თეე.

• თეე, კუნია ვარ. გვეყვარებიხარ, გვეყვარებიხარ. დაგვიბრუნდი, დაგვიბრუნდი, მალე დაგვიბრუნე ბედნიერება, სინათლე, სიხარული, მზე. გვენატრები, გვენატრები. მიაა, დათო.

• თეე, კუნია ვარ, როგორ ხარ, როგორ? ჩვენო თეე, გვემაცები. იცი, გვესიზმრები. იცი, გვიყვარხარ. იცი, გელოდებით, გელოდებით.

• გამაგრდი, ძმაო. ეტყობა, ბედისწერას გვერდს ვერ ავუვლით. თავს ზევით ძალა არ არის. გვინდა თუ არ გვინდა, ცხოვრება მაინც გრძელდება.

• თეე, სანდრიმ მითხრა, როგორ დამავიწყდა, მამასთვის მიმეწერა, მათემატიკის ოლიმპიადაში მე და ნიკამ სიგელები რომ ავიღეთ, გაუხარდებოდაო. გაკოცე, მენატრები, ბუტია.

• თეე, ღრუბლებით დაფარულ ზეცაზე დაგხატავ, მინდვრიდან ავიღებ სხვადასხვა ლამაზ ფერს, მე უკვე გიპოვე და ველარ დაგკარგავ, დაგხატავ და მერე გაჩუქებ ყველაფერს. ბუტია.

• თეე, ჩემი უშენობა გაგიყდა... ფიქრში გხედავ და სულამდე ვთბები... შენს თავს ვფიცავარ, გულწრფელად მიკვირს, როგორ ვცხოვრობდი ერთ დროს უშენოდ... მიყვარხარ. ბუტია.

• თეე, ფერისცვალებას გილოცავ, ჩვენო სიხარულო, ჩვენო მხიარულო, სიმშვიდეს გისურვებ. კუნია ვარ, ვერ ვიტყვი, როგორ მოგვენატრე, ვერ ვიტყვი, ვერა, მეამაცები.

• ჯოტი, როგორ ხარ? ღმერთმა კარგად მიმყოფოს შენი თავი. ძალიან მიჭირს უშენობა. გთხოვ, კარგად იყავი, რომ ვიბრძოლო და დაგეხმარო. დამიჯერე, ყველაფერი კარგად იქნება.

• თეე, ძამიკო, შენი რწმენისა და სიძლიერის იმედით ვართ ყველანი. ვცდილობთ, გაუძლოთ ამ დიდ განსაცდელს. მთავარია, შენ იყო კარგად. გკოცნით, იაკო და თათა. გვენატრები.

• თეე, ძამიკო, როგორ ხარ? შენი დიდი რწმენისა და სიძლიერის იმედით ვართ ყველანი. გვენატრები და გვაკლიხარ. მინდა, მალე გნახო. გკოცნით და გეფერებით, შენი დაიკოები.

• თეე, ყოჩაღად იყავი. შენი გული სიყვარულის უღვევი ზღვაა. ჩემს გულში ჩემი შვილების გვერდით ხარ. შენი იუმორი გვენატრება. გვიყვარხარ, გკოცნით. ლოლა, ამირანი.

• თეე, ჩემო საყვარელო, აბა, შენ იცი, მე ძალიან მინდა, ისევე კარგად იყო, როგორც მე ვარ, ისე ძლიერი აღმოჩნდე, როგორც ყოველთვის მეგონე, ჩვენთან ყველაფერი კარგადაა, არ იდარდო, მალე დამთავრდება და ისევე ყველაზე ყველაზე ბედნიერები ვიქნებით, თუმცა მე



ახლაც ბედნიერი ვარ, ჩემი რომ გქვია. გოცნი ბუევერს, მიყვარხარ, შენი ბუტია.

• თე, მუამაყება შენი მამიდობა. ჩემი ჯიშისა და გენის მშვენიერება. უზომოა შენი სითბო და სიყვარული. გულით სიცილი დამაფინყდა. უფლის იმედი მაქვს, შემოგვევლე. ლოლენტი.

• თე, ფერისცვალებას გილოცავთ ყველანი. ყორამ — აბა, შენ იცი, მაგრად იყავი და ყველაფერი კარგად იქნებაო. დედიკო კარგადაა. ეცადე, არ ინერვიულო. ბიძი, ჩვენ ნატანებში ვართ. ყორა ვაზიარე და ღვთის მადლით, უკეთესად არის. დიდი სიყვარულით მოგიკითხა ყველამ. ძალიან გვენატრები, უფალი გვარავდეს. თეკლე.

• თემო, ძამიკო, ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. ყოველ დღეს რწმენითა და იმედით შეეყურე. უფალი გწყალობდეს, გაძლიერდი. მალე ჩვენთან იქნები. შენი უფროსი დაიკო.

• იკა.ხ. როგორ ხარ, ნეტავ? რა გაცვია ახლა, ან რას აკეთებ... მე სულ ახლოს ვარ, აქვე ვარ, საყვარელი. მამასთან მოვედი. მაგიუებს იმაზე ფიქრი, რომ რამდენიმე კედლის იქით შენი თვალები, ტუჩები, ხელები მელოდებოდა და მე არ შემძლია შენამდე მოსვლა. ქარი უბერავს. მე კოცნას ვატან შენთან, ათას, უნახეს კოცნას! მითხარი, რომ გრძობს ხოლმე ჩემს სიახლოვეს და სიშორის მიუხედავად, ჩვენი სულები ისევ შეერთებულია. საყვარელი... მინდა ერთი სიტყვა გამაგონო, წამით შეგხედო, წამით შეგეხო. ნატვრად მექეცი, იკა! არ შემძლია, არ შემძლია, აღარ შემძლია უშენოდ და ვისაც უნდა, დამაბრალოს სისუსტე! გელოდები. უსაზღვროა ჩემი ლოდიანი, ჩემი სიყვარულივით! არ დაგავინყდე, რა! ვიცი, ეს ჩვენი გამოცდაა და მოდი, ორივემ კარგად ჩავაბაროთ, კაი? მე ჩვენს პირველ შვილს — სიყვარულს ორივეს ნაცვლად ვუვლი და ვუფრთხილდები, იცოდე. ტომირანდა.

• 3კ198.გი, ძალიან გვენატრები, საშინლად მიმძიმს უშენობა. თავს გაუფრთხილდი ბუუს, ცხადში თუ სიზმარშიც მეფიქრები. გოცნი. თე.

• იკა.ხ. ახლა იმ მალაზიას ჩავუარე, სადაც ჩვენი სახლისთვის უნდა ვიყიდოთ რაღაცები. რა კარგია, რომ არსებობს ოცნება და მოგონებები და მხოლოდ აწმყოთი არ ვცხოვრობთ, რა კარგია, რომ არსებობ შენ და იმის რწმენა, რომ მალე დამიბრუნდები, მოხვალ და მომიტან უსაზღვრო სიხარულს და მერე მე და შენ სულ ერთად ვიქნებით. ტომირანდა.

• რა მალე გავიდა ზაფხული და საერთოდ, დრო ძალიან სწრაფად გადის. თუ მეჩვენება? ჰო, მოვიკითხავ დიდი სიყვარულით ბარამბოს, აურას, ინას, ატარექსიას, ნაომის. თქვენი ლი23.

• სულში საშინელი სიცარიელეა, წარსული — ტკივილიანი, მომავალი —

უიმედო. რატომ მომექეცი ასე საშინლად? თინა.

• უშენობა ტკივილიანია, შენთან ყოფნა სიგიჟე. თინა.

• ისე აქ გეიფართი რომ მოაწყეთ და გოგოები რომ იცავენ ბიჭების ღირსებას, არ ტყუას? კაცმა ისეთი რამ არ უნდა გააკეთო, რომ ვინმეს საბაბი მისცე, ჭორი გაგივრცელოს.

• მოკლედ, დღეს გამომწერეს და ერთი სული მქონდა, „გზას“ როდის ვნახავდი. აქ კი ისევ ჩხუბობთ და ორიენტაციებს ურჩევთ ერთმანეთს. გამაბრაზეთ... ინა.

• ამ XXI საუკუნეში რომანტიკაც ხომ ევროპული გვაქვს და თეთრი რაშის შემცველი ბეგევა თუ მერსი, აბა, ჭაბუკები გრძელთმიანი, ლანდგამტარი შარვლიანი ბიჭებია და... ინა.

• ჩემო პატარავ, დედასავით ლამაზი და მამასავით მაგარი იქნები. სიყვარულით გელი. უკვე მიყვარხარ, მართლა ჩემო... ალი.

• წინა ნომერს როგორ ველოდი და არ დაიბეჭდა ჩემი სმს. ალბათ ფეისკონტროლი ჩემ გავიარე. ნიკოლო, გაიხარე, გამოვასწოროთ მერე. აქ არა ვართ? ინა.

• რა მინტერესებს იცით? რას გადაეკიდეთ რუისპირს? რა თქვენი საქმეა მისი ორიენტაცია? თქვენ განუხებთ რამეზე თუ? მიხედეთ თავებს, თუ გაგაჩნიათ საერთოდ. სოფი21.

• აუტანელს: თუ შენი ნიკით ვიმსჯელებთ, რალაც კარგი უნდა იყო. :) სიამოვნებით გაგეცნობი. ატარექსია.

• ვიცი, სიცოცხლე გზადგაზა მრჩება. ატარექსია.

• დედიკოს სახეზე მამიკოს თვალეებით ვიყურები. პატარა ვარ და მაია მქვია. დამელოდეთ, უკვე გიყვარვართ.

• მამიკოს პატარავ, გეფერები, გიკოცნი პანანუნა თათუნებს. ჩემო შავთვალა დედოფალო, მიყვარხართ ორივე. ალი.

• ხანდახან ვფიქრობ, იქნებ ჯობდა, ნოეს თავის კიდობანზე ასვლა დაჰგვიანებოდა. ატარექსია.

• სიყვარულისთვის ეს ცხოვრება ისე ცოტაა, უშენოდ ფლანგვა ამ დღეების ალბათ ცოდვაა.

• თუ ეს ცხოვრება უშენობის წუთებს მპირდება, მაშინ იცოდე, ეს ცხოვრება მე არ მჭირდება. თინა.

• ნიკოლო, ლიზისაც უყვარხარ გულში, ჩემო თბილო და კეთილო! ატარექსია, გილოცავ მაგისტრატურას, ეგ ერთი და მრავალი წარმატებაა. ბარამბო, მილოკო რათა არ მომწერე? :| ლი23.

• ნიკოლოოო, კარგი ბიჭი ხარ და არ აპყვეთ არც შენ და არც რუისპირი ამათ, კაი? წუ, ახლა თავისუფალი აზრის პრინციპით მავანთ ვეცხვი, რომ წერეთ და იკითხეთ, OK? სოფი21.

• ცეცხლოვან მთვარეს დასდგომოდა ღრუბელი სვეტად, ვით კვამლი ხან-

ძრის და მოჩანდა უღრანთა ტყეთა, ცის კიდურამდე განოლილი წყვდიადის ზოლი. ჩვენ უხმაურად გადავლახეთ ცვრიანი მოლი და როცა ბუჩქნარს და გაუვალ ეკალბარდს გავცდით, ჩვენ მთვარის შუქზე ნაკვალევი ვიხილეთ მგელთა და მოწინააღმდეგე ნადირის კვალს გავყევით ერთად. მაგრამ მანამდე მივაყურეთ, მოვითქვით სული, ტყესა და მინდორს დადუმებულს მოსვლოდა რუელი. განმარტოებით აზიდული კომპლექსის თავზე, მხოლოდ ფლუგერი ჭრიანლებდა წუხილით სავსე. ქვევით მუხები ჩაქინდრული მოხუცებებით, ებჯინებოდნენ იდაყვებით კლდეების ფერდებს, და თითქოს გვერდზე გადახრილნი იდგნენ და თვლემდნენ. სულ არაფერი ხმაურობდა, როცა ნადირის კვალზე დამდგარმა უხუცესმა, ვინც ბელადივით, წინ მიგვიძღოდა და არასდროს აცდენდა ნიშანს, და ახლა ისევ თავდახრილმა დახედა ქვიშას, გვითხრა ხმადაბლა: გზას გავუდგეთ აღარ ვახანოთ, მგლებს აქ ლეკვებით გაუვლიათ, სულ ახლახანო. მაშინ ლულეს რომ მთვარის შუქზე არ ეკამკამა, დაგმალეთ თოფი, ხელი დანებს მოვიდეთ მყისვე, თან ტოტებს ნელა ვიშორებდით, ვფრთხილობდით ისე. წინ შედგნენ სამნი, შეეფერთდი მეც იმ აზრდილებს, რომ დამენახა რას ხედავდნენ და გავარჩიე, მგლების თვალები გიზნაფებდა და იმ ღამეში, მე მთვარის შუქზე ვნახე ოთხი ლანდის თამაში. ყოველდღე ძალი ეგებება ასეთი ამბით, შინ მოსულ პატრონს ზედ ახტება, ცქმუტავს და დარბის, ჰგავდა უცნაურ მოლანდებს იმათი ცეკვა, ბუჩქებში ფრთხილად გაიბრინა ორივე ლეკვა. რადგან ფრთხილობდნენ და იცოდნენ, რომ სანახევროდ ფხიზლობდა მტერი ორ ნაბიჯზე და თვალს ახელდა. ძუ მგელი ხესთან ისვენებდა, შორს იდგა ხვადი, ვით მარმარილოს წინაპარი ისვენებს მათი, ატარა რემი და რომოელი ვისმა ფერდემამაც და ვისაც რომი თაყვანს სცემდა. მიხაროდა ოჯახში შრომა გამარჯვებული, სიღარიბე დუხჭირი მქონდა დამარცხებული. შორით გადამეყარა სიღატაკე მსხვერუელი და ცხოვრება ღელავდა, ვით ზღვა ატალეებულნი, მაგრამ ჩემს ცოლს მძინარას, დღისით უღამდებოდა, ზიზლით გული აევსო, სისხლით ვეღარ ძლებოდა. აღსასრული დღეები ძილში მეღანდებოდა, ცეცხლი მისგან ნასროლი თავზე დამეფრქვეოდა. რა ვიციდი სანყალმა, ცოლი მახეს მიგებდა, თურმე მუხანათურად სამარის კარს მიღებდა. უღმობელი ნადირი ჩუმად გულში მიღრენდა, ბოროტებას განზრახულს, დამიზნებულს მიშენდა. ყეფა ღრენით დაკანრა, მთები-კლდენი ბრჭყალებით, ჯოჯოხეთში მისროლა ცოფიანი თვალებით. თავის თავიც დალუპა, მეც მომისპო ცხოვრება, დღეს სულ ქარმა წაიღო, რაც ქონება გამაჩნდა. ჩემო ბედის ვარსკვლა-





ვო, ველი შენგან ნათებას, ჩემს საყვარელ ოჯახის, ცეცხლის გადანათებას. სცემდა და აღმერთებდა. მამალი ჩვენკენ წამოვიდა და მხარნაქცევმა, ფეხები ქვიშას მიაბჯინა, მაგრამ გაქცევა გზამოჭრილმა და დაბნეულმა ვერ შეძლო ვერსად. გაოცებული შეჰყურებდა ტყესაც და ველსაც და რადგან უკან დასახევი ველარსად ნახა, გაოგნებულმა ანთებული დაალო ხახა. უეცრად ქოფავს ყელში ეცა, და ფოლადივით ყბები ჩავლო და ებრძოდა. თუმცა ნადირი ტყვიით დავეცხრილეთ და ვუყრიდით დაინებს სხეულში, მან მაინც პირი სისხლიანი მტერს არ შეუშვა და იმ წუთამდე გამკლავებას ვკლავ ახერხებდა, სანამ ქოფავი არ დაეცა იმის ფეხებთან. მერე უაზროდ შემოგვხედა დალილიმა ბრძოლით, დანებდა ჰქონდა გარჭობილი, ხასხასა მოლი სისხლით შეღებოდა და გაიქცა. მაშინ მუქარით თოფებით ახლოს მივედით და გზა შევუკარით. მან ტუჩზე სისხლი გაილოკა გადმონთხეული, წამოიწია და არ დაჰყვა ნებას სხეული, და მოკვდა უხმოდ და სიკვდილის პირას მისულმა, თუ რად ესროლეს, რომ გაეგო არ მოისურვა. თოფს დავეყრდენ და ვიდექ ასე მოცული ფიქრით, ვერ გადავწყვიტე, წავსულიყავ თუ არა იქით, სადაც ძუ მგელი მოშორებით ლეკვებთან იდგა. ო, დამერწმუნეთ, იგი ასე ძალიან დიდხანს, ვერ მოიცდიდა ის ლეკვები რომ არ ჰყოლოდა და მეგობართან იქნებოდა ჭირში ბოლომდე. ეკვეთებოდა იმას, ვისაც ხვადი ეკვეთა, მაგრამ ის უნდა ყოფილიყო თავის ლეკვებთან, რომ მათ სცოდნოდათ, მგლები როგორ უძლებენ შიმშილს, არ მიწობოდნენ და ქალაქის ჰქონოდათ შიში. რადგან მოდრიკოს ადამიანს უნდა ისინი და ტყის უწინდელ დამონებულ მკვიდრს უსისინებს. ადამის ძეო, რა დიადი და რა ნათელი სახელი გქონდა, უბადრუკმა როგორ გათელე. შესძელ და მოკვდი ისე, როგორც ცხოველი კვდება, ამქვეყნიურ განიშორე ქუჩაყი და ვნება. დუმილით დასთმე მინიერი როგორც ცხოველი, უხმოდ გათავადი ამაოა ქვეყნად ყოველი! ძმაო ველურო, მე მიგიხვდი და მე დაეასკვენ, შევხედე მზერას გულში ჩამწვდომი და უკანასკნელს. მან მითხრა: როცა დაგიდგება ჟამი განკითხვის, შეინარჩუნე ეგ მხნეობა და დააკვირდი, რომ გონებამ და სიამაყემ არ გიღალატოს, ის მე უღრანში თან მახლდა და ვთმობდი არასდროს. ატარე ტვირთი უშიშმისი, ნუ გასურს ვედრება, ტირილი, ოხვრა და ჩივილი ლაჩირის ხვედრია, იყავ მდუმარე და სიკვდილის კართან მისული, ამ ტანჯვისაგან შენც უსიტყვოდ გათავისუფლდი. მარი, ავტორი ფრანგი პოეტია. აღარ მახსოვს სახელი. ზეპირად ვისწავლე ბიბლიოთეკიდან.

• ვიცი, ვერასოდეს ველარ გნახავ, ასეთ ლამაზს და ასეთ მშვენიერს, უმან-

კო თვალებს ეშხით ავსებულს, რომლებმაც ოდეს მე გადამრიეს. ახლა კი ვიცი, სულ სხვა ჭკვავზე ხარ და დაგავიწყდა, რა დედამ გშობა, დაკარგე ყველა და მარტო ავი, დარჩება შენი ზიზლი მრუშობა. იხეიალებ როგორც ავისა, თმაგანწილი როსკოპი ქალი, შენი გზა იქით წარიმართება, საითაც გასწევს ამაყი ქარი. ვნებააშლილი ლოთებს აჰყვები, როგორც გარყვნილი და უსახლკარო, ღიმილის წლები, ახალგაზრდობა, ოპ! ქუჩა-ქუჩა უნდა ატარო. შენ ალბათ გჯერა სულელყო ქალი, რომ არ შეგხვდება მაგ გზაზე ავი, დრო მოვა, როცა თვითონ მიხვდები, ქვეყნად რამდენჯერ შეგისვამს შხამი. რა დაგიშავე მითხარ ასეთი, ვისზე გამცვალე, პასუხი გამე, მე გული მტკივა, რომ ასე მალე გსვავე გამცვალე და გამეცალე. ეს ჩემი გული ველარ ვახარე, ამ ცეცხლში ვინვი, რომ ვერა ვახარობ, შენ უკვე სხვასთან ნახვედი ვიცი, ამაზე ტურფა მეტია ფიცი. ჩემი ცხოვრება ვერ გავიხარე, ახალგაზრდობა ტანჯვაში მიდის, სულ დამეკარგა ტვილი ფიქრები, ნუთუ შენ კიდევ ჩემი იქნები. მხოლოდ რასა გთხოვ, რას გევედრები, სიყვარულს არ გთხოვ, რადგან მე ვკვდები. როდესაც მოკვდე და დავიმარხო, საფლავზე მოდი რომ გავიხარო. ჩემი საფლავი ცრემლით დანამე, ყვავილით მორთე ჩემი სამარე, და ხალხს უთხარი, ჩემი ბრალია, მე მიზეზი ვარ, ის რომ მკვდარია. მოვალ და გეტყვი, მიყვარხარ! რა ვქნა, მომიახლოვდი, მომეცი ხელი, თუ არ მაღირსე მე პირველობა, უკანასკნელი მაინც ვიქნები. გულს ვიმაგრებ მომავალზე ოცნებით, პატიმარ კაცს ასულდგმულებს იმედი. ჩამეძინება და სიზმარს ვხედავ სანატრელს, გამოვფრინდი, ვითომ შენთან მოვედი. დრო მოვა და მზეც გაფანტავს ღრუბლებს, დაგვიდგება ტურფა გაზაფხული. გაიღება დაკუტილი კარი, გაიხარებს დაჩაგრული გული. რა ვუყო, ბედმა მეც მიღალატა და მომამორა მე შენი თვალი, მაგრამ იცოდე, შენ ჩემო ტურფავ, ვაი! არ არის ეს ჩემი ბრალი.

• მოდგაფუნე ქალღმერთს: განდიდების მანისა სისუსტედ მიიჩნევ? მე — პირიქით. არ მისხენებიხარ. ალბათ იმედნად გინდოდი, ჩათვალე, რომ შენ გითხარი რამე. :) ხითხითიუს/ნიკოლო.

• ქალები ნამდვილად გვაძლევენ შემართებას და შთაგვაგონებენ მაღალი დედას, თუმცა გამუდმებით ხელს გვიშლიან მათ განხორციელებაში. ნიკოლო.

• სიყვარულით მოვიტოხავ მოსკოვში მცხოვრებ ჩემებს: ტანია კუზნეცოვას, თამარას, სერგეის, ანიას, ჩემს ელიზავეტას, ვალერიას, იულიას, ირინას, კატინას. ძალიან მიყვარხართ. მილენა.

• ჩემს დედიკოს, იანა კულიკოვას ვეტყვი: მიყვარხარ და მეამაყებთ დე.

• მოკითხვა მემეს, ლაკვასტს, ტირიფს,

აურას, ფლამინგოს, კუტრინას, 9717-ს, გრუზინკას, ბერბიჭას, კლეოპატრას, კიბორჩხალას, აზიელს, ემის. მამატივით, ზოგჯერ უყურადღებობა. მილენა.

• ზაფხულობით, როცა მზე კარგა გვარიანად დააცხუნებს და ქალაქში ყოფნა გაუსაძლისი ხდება, ადამიანების უმეტესობა სოფელს აფარებს თავს. ნიამ და ლექსომაც იქ გაიცნეს ერთმანეთი. მათი ურთიერთობა მსუბუქი ფლირტით დაინყო და ეს ყველაფერი მალე სიყვარულში გადაიზარდა. ქალაქთან შედარებით სოფელში ნაკლები გასართობია, ამიტომ იქაურები დღედაღამ „ჯოკერის“ თამაშით ირთობდნენ თავს და ქალაქელები აქტიურად აჰყვინენ იქაურ ცხოვრების წესს. ერთ დღეს, ნიამ და ლექსომაც გადაწყვიტეს „ჯოკერის“ თამაში, მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ ამ თამაშის აინუნში არ იყო არც ერთი და არც მეორე. მეგობრებმა გამოსავალს ადვილად მიაგნეს და მათთვის თამაშის სწავლება გადაწყვიტეს. 2-დღიანი სწავლების შემდეგ, ისინი გუნდის სრულყოფილებიანი წევრები გახდნენ და თამაშში აქტიურად ჩაებნენ, თუმცა პირველი თამაში ნაგებობის დასრულდა და მოწინააღმდეგეებთან სასაცილო ანგარიშით დამარცხდნენ. ნიამ ლექსო გვერდით გაიხმო და უთხრა: უესტებით ვანიშნოთ ერთმანეთს, რა კარტი გვყავს და მეგობრები „გალიმებულები“ დავტოვოთ. მთელი დღე „მიუთაობდნენ“ ამ საკითხზე, თანაც, ძალიან სასიამოვნო აღმოჩნდა მათთვის ეს პროცესი. საღამოს კი „ჯოკერის“ სათამაშოდ წავიდნენ. გაიმართა თამაში და... ნიამ ტურქებზე მიიღო საჩვენებელი თითი, ლექსოც სასურველ კარტს ჩამოვიდა. მეგობრებს მათი თვალების პაჭუნზე და ჰაეროვან კოცნებზე ეჭვი არ მიუტანიათ, რადგან მათგან ამგვარ საქციელს მიჩვეულები იყვნენ და არც უფიქრიათ, რომ სწორედ აქ იყო ძალის თავი დამარხული. თამაში გახურდა და კვლავ ნია და ლექსო იყვნენ წინ. ბოლოს, გადაწყვიტეს მომენტში, ნიამ ლექსოს ფეხი ფეხზე შეახო და... თამაშიც მათ სასარგებლოდ დასრულდა.

• იმას ვცდილობდი, რომ შენთვის მესწავლებინა კაცობა/ ზრდილს, პატიოსანს, ნიჭიერს ვინ დაუწუნა ქალობა? მზეში ლაქებს რომ ვერ ნახავ, ნურც მთვარეს დალლი მზენითა/ თუკი ტრახახობ კაცობით, ქალი აავსე ქებითა.../ ისე, რა ტყვილა ვკითხულობ მგლის თავზე სახარებასა/ თავის ტრახახსა შეეშვი, შენს გაზრდა, გახარებასა.../ თუ ხარ ქართველი ვაჟკაცი, რაღად მაშინებ ქალსაო/ ეგეთ ბოროტს და ბაქიას არვინ გაგიღებს კარსაო.../ ნეტავი გამაგებინა, კარგს რას დამართებ პატრონსა/ მხოლოდ სიტყვები რა არის, საქმით ემსგავსე ბატონსა/ სიტყვასაც ხომ აზრი უნდა, როგორც კაცსა — კაცობა/ ნუთუ ასე ძნელი არის, რომ შენვიტო ანცობა? ლუნა.



• ნევროზიანო, მადლობა სიხარულო, გელოდები „გზავნილებში“. გაკოცე. CRAZY GIRL, ზღვა მადლობა კეთილი სიტყვებისთვის. ინა, მეც მოგიკითხავ, გენაცვალე... თქვენი ლუნა.

• აუ, ძალიან, ძალიან მიყვარს ჩემი ხუჭუჭა კუტრინა! P.S. ჩემი მეორე ხუჭუჭა — კიბორჩხალა სად დამეკარგა? მომენატრა და არ მესმინება :( მშვიდობაა? CRAZY GIRL.

• დიდი, დიდი მადლობა ჩემი მონათხრობის გამოქვეყნებისთვის. სიმართლე გითხრათ, მართლა არ მეგონა, თუ გამოაქვეყნებდით. უფრო ლამაზად და შინაარსიანად მოგწერდით. მარი, 26 წლის.

• აუ, არ დაიღალეთ? სხვისი ორიენტაციების გარჩევას ჯობია, ყველამ ჩვენ საკუთარ ცხოვრებას მივხედოთ. ჩვენ არა გვაქვს ისეთი ნაკლი, რომელსაც ვმაღალეთ? ლიზი123.

• გამარჯობა, ჩემო კარგო მარი, ყველაზე უსინდისო საქციელი გერასიმემ ჩაიდინა, როცა მოხუცი დედა მიატოვა და ვიღაცა ბერძნის მოსაველეად წავიდა. გერასიმე, არ მიყვარხარ! გერასიმე.

• დიდი სიამოვნებით გავიცნობ ლუნას, სევდიან ქალს, ქვრივს, რუისპირს. ახლა თქვენი დახმარება მჭირდება... ლიზი123.

• სევდიან თვლებს რა ვუყო თორემ, სევდიან ფიქრებს დავმაღალე მაინც. მალიზა.

• დაგვარგე... მაგრამ მე არასოდეს დავიკარგები! თუმცა დამაკლდები... მალიზა.

• ცოლად გავყვები ფულიან, მანქანიან, ბინიან მამაკაცს. ჭკუა არ მინდა, მააქვს. :) ნაომი.

• ლი23, აღარ მიზიდავს, ფეისბუქები შეისბუქები და დეისბუქები, რა ვი, შეიძლება შევიწუხო თავი და დაგდო პატივი და მოგწერო! გაკოცე. ნაომი.

• რას გადაევიდეთ ამ რუისპირს? არა მგონია, ცისფერი იყოს, ან და რომც იყოს, თქვენ ვინ გეკითხებათ? ეს საკითხი უკვე სახალხო გარჩევის საკითხი გახდა. მოეშვი, რა. ფიფქი.

• არავის გამო არ ვაპირებ ტანჯვას. ვინცე ახალ ცხოვრებას... ლიზი123.

• ვილაცები აშკარად ნერვებს მიშლიან უკვე! ყველამ მის ორიენტაციას მიხედოს, რა! ძალიან კარგად ვიცი, ვინც ქმნის ამ „შედევრებს“ და თუ პირი მოვალე, მტრისას... CRAZY GIRL.

• მოგესალმები „გზა“, მარი ჯაფარიძე და ძველი და ახალი მგზავნილებო. ძალიან მომენატრეთ. რაც თვალისჩინი და მაკლად, ჟურნალი არ წამიკითხავს. ოპერაციისადმი სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, ამ ასაკში მხედველობის დაბრუნება მართლაც რომ ძნელი დასაჯერებელია. ამას დავმატა ისიც, რომ 17 ივლისს დავკრძალეთ ჩემი მანანა, რომელიც უცბად თრომბოემბოლით გარდაიცვალა, ბიოლოგიის ბრწყინვალე პედაგოგი, ჩემი მარჩენალი, ვისთანაც ვი-

ყავი შეხიზნული, მარტოხელა. უკვე ოპერაცია კი არა, სიკვდილი მინდოდა, მაგრამ რადგან მერიიდან დამირეკეს, მობრძანდით საოპერაციოდო, უხერხული იყო უარის თქმა და წამიყვანეს საავადმყოფოში. იქ ექიმმა ოფთალმოლოგმა, ირინე შანიძემ მომამზადა საოპერაციოდ. გამიკეთეს გამოკვლევები და 27 ივლისს დაინიშნა ოპერაცია ისე, რომ ჩემი ქირურგი არ მინახავს, მხოლოდ მისი გვარი და სახელი იყო აღნიშნული ჩემს ანკეტაზე. ოპერაციის დღესაც, რომ იტყვიან, თქვენი ხმალი და ჩემი კისერიო, ზუსტად ასე ვიყავი. დამაწვინეს გასაგორებელ საოპერაციო სანოლზე და შემაგორეს საოპერაციოში. 15-20 წუთის შემდეგ გამომაგორეს თვალზე მიკრული ბილით და მეორე დღეს დაგვიბარეს, სახლი უკვე ირინე შანიძესთან. უადრესად სათნო და სიმბათიური ქალბატონი თბილად შემხვდა. თვალისა და მთხრობის საფარისა და კაბინეტში დამონტაჟებულ საჭერტში გამახედა... მხედავო? — შემეკითხა. მეორე მხრიდან თვითონ იყურებოდა. სიხარულით ვიკვილე... გხედავთ! გხედავთ! მამ, ყველაფერი კარგად არისო და დამინიშნა თვალში ჩასანვეთებელი წვეთები, გამომიწერა სხვა ნამლებიც და რჩევა-დარიგებების შემდეგ დავემშვიდობე ამ კეთილშობილ მანდილოსანს. მართლაც, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ავადმყოფისადმი თბილ მოპყრობას. არასოდეს დამავიწყდება ირინა ექიმი, მისი გაბრწყინებული სახე, ოპერაციის შემდეგ პერველად ის რომ დავინახე. აი, ასე გავხდი ისევ თვალხილული. სიხარული არ მოუშალოს ღმერთმა ბრწყინვალე ოფთალმოლოგს, მიხეილ ომიბაძეს! მედიცინის დარგის რაინდს, ჩემს დასტაქარს გიძღვნი საღამს, გული სიხარულით მიძგერს, კალმით ვერ აღგიწერთ ამას. თვალისჩინი მოხუცებულს, უკვე მქონდა დაკარგული, აღმიდგინე, შენი ცოდნით, მოახდინე სასწაული. ერის საუნჯე ყოფილხარ, ოფთალმოლოგი ბრწყინვალე, ამიტომაც შენს კართან, პაციენტების სიმრავლე. ვამაყობ შენი სახელით, მეც მწვდება შენი დიდება, ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებ, რომელიც ჩვენვე გვჭირდება. ხელთათმანს გიძღვნი საჩუქრად, ვიცი, რომ გაგეცინება, შენს ოქროს ხელებს სათუთად ხომ გაფრთხილება სჭირდება?! უღრმესი პატივისცემით, პაციენტი ნანი დუმბაძე, 82 წლის. 27.07.2011. გამიკეთეთ მარჯვენა თვალში კატარაქტის ოპერაცია. სურვილი მაქვს, მივიღე საავადმყოფოში, ჩემს ქირურგს მივუტანო ჟურნალი და დანაპირები. მინდა, თვალეში ჩავხედო ქართველს ვაჟკაცს, რომელმაც მაჩუქა მეორე სიცოცხლე.

• გამარჯობა მარი, როგორ ბრძანდებით? მე თქვენი ძველი მგზავნი ვარ. გადავწყვიტე, დაგიბრუნდეთ, მაგრამ შეცვლილი სახელით. ხშირად ვკითხულობ გზავნილებს და ძალიან არ მომწონს, რომ

ერთმანეთს ლანძღვენ და არც გათანამედროვეული გოგო-ბიჭები მომწონს, რომლებიც სექსისა და ინტიმის გარდა ვერაფერზე ან არაფერზე ფიქრობენ. აქაოდა, XXI საუკუნეაო. რა შუაშია საუკუნე? განა საუკუნე განსაზღვრავს პატიოსნებასა და გარყვნილებას? საუკუნე აქ არაფერ შუაშია. თვითონ თქვენ უნდა სცეთ საკუთარ თავებს პატივი. უცხოელებს ჰბაძავთ? მიკვირს. არადა, უცხოელები ჩვენს ტრადიციებზე გიჟდებიან. ჩვენ კი ჩვენივე პირობით, ქცევით უარყოფთ მას. ასე არ შეიძლება. ჩვენ ქართველები ვართ და ქართულად უნდა ვიცხოვროთ. ტრადიციებს რომ თავი დავანებოთ, ღირსების გრძნობა მაინც არ უნდა დაკარგოთ ხალხნო. პატიოსნება, სიყვარული, რწმენა — აი, ამან გადაარჩინა საქართველო და არა ცალკე ადამიანი. ქართველობა ასოცირდება პატიოსნებასთან, რელიგიურობასთან, სინამდისთან და ახლა, XXI საუკუნეში გინდათ, ტრადიციები მოსპოთ? ქართველი ქალები საკუთარი პატიოსნებით იცავდნენ სამშობლოს, ზუსტად მათ უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენი სახელმწიფო არსებობს, ზუსტად იმ ვაჟკაცებს და ქვეყნისთვის თავდადებულ პატრიოტებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ დღეს ქართველების სახელი ისევ არსებობს. თქვენ კი, ახალგაზრდებო, რას აკეთებთ? გეობა, ლესბოსელობა, გარყვნილება ცხოვრების წესად აქციეთ. ქალიშვილებს დასცინით. რელიგიას არაფრად აგდებთ. ქართველობას უარყოფთ, საქართველოდან წასვლაზე ოცნებობთ. და ამის შემდეგ, საქართველოს თქვენნიარები დაიცავენ? შემირცხვენია თქვენი ქართველობა. მაგრამ თქვენ თვითონ არცხვენთ საკუთარ სახელსა და ვიწყანას. ალბათ იტყვიან, თვითონ რას წარმოადგენს, მორალს რომ გვიკითხავსო. მეც თქვენი თანატოლი ვარ. 18 წლის და გული ძალიან შემტკივა, როცა ამდენ გარყვნილებას ვხედავ და ვისმენ ყოველდღიურად. საქართველო არ უნდა გადაგვარდეს. მტრებს გული არ უნდა გაუფხაროთ (მტრებში განსაკუთრებით ევროპასა და ამერიკას ვგულისხმობ, ვისკენაც გვაქვს გეზი აღებული და მათი „მენტალიტეტი“ ვაპირებთ ცხოვრებას). დამიხსოვრეთ, საქართველო გადაარჩინა რწმენამ და პატიოსნებამ! თუკი გამოფხიზლდებით, ღმერთი ჩვენკენ იქნება. იმედია, საქართველოს სოდომ-გომორად არ გადააქცევთ! თქვენს ნამუსზე იყოს, ახალგაზრდებო! წინაპრებმა თავიანთი ვალი უკვე მოიხადეს და მათ სახელს ნუ შევარცხვენთ. ვიცხოვროთ ისე, როგორც ნამდვილ ქართველებს შეეფერებათ და არა ისე, როგორც ცხოვრობენ უცხოელები. დაე, ისინი მოილტვოდნენ ჩვენკენ და ჩვენი ტრადიციებისკენ (ასეც არის). ახლა კი მინდა ჩემი გულისტკივილი ლექსად მოგწეროთ. ვიცი, ბევრი განმსჯის, მაგრამ



არ მეშინია, რაც მთავარია, ჩემი სათქმელი უნდა ვთქვა ხმაშალა:

მე მასხარა ვარ! მეცინება ყველაფერზე და საკუთარ თავზე. დავდივარ ხელებით და ტაშს ვუკრავ ფეხებით.

პეპლების საქმით ბოროტებას ვიჭერ და სიცილის ცრემლებით მეტირება... ვითხოვ ვალს, რომ გავისტუმრო ხელფასი, გთხოვ ხუთ თეთრს, რომ დაგიმკვიდრო სასუფეველი... შენი სასუფეველი 5 თეთრი ღირს, მე აქ მაქვს დამკვიდრებელი და არ იყიდება! შენი იაფფასიანი მუსიკა ხარ, მე კი შტრაუსის ვალსივით თავბრუდამხვევი მელოდია. შენ დროს ემორჩილები, საათის ისრები გაკარნახობს მიმართულებას... ხშირად იყურები მაჯაზე და საკუთარ თავთან ერთად მეც მპასუხობ: ჩემი დროით სიკვდილის 25 წუთია, სიყვარული 10 აკლია, იმედგაცრუების საათია, სასონარკვეთის ნახევარია... მე კი ამაყი, გასასუხობ: უკვე დიდი დრო გავატარე დროში, ახლა უდროობის დრო დამიდგა! გიჟი გოგონავარ? ამაყობ ყველაფერი ქართული და მაკრიტიკებ, ვერ ეგუები ჩემს ბრაზილიურ სიმბასავით ეგზოტიკურ, ინგლისური ღირებულებების, ფრანგული მოშიბვლელობითა და ამერიკული თავისუფლებით დაჯილდოებულ ხასიათს... მე გაფრთხილებ: ფრთხილად, შენს მზერაში ჩემი ღმერთი ცხოვრობს. ისევე გიჟივით ხარხარებ, აი, ისე, მე რომ ვიცი ხოლმე მაშინ, როცა სამყარო ყვირის ჩემში... ნუ დაუხუჭავ სამყაროს თვალებს, ჩემს ღმერთს ნუ დააძინებ, „მე“ გთხოვს... „შენ“ — მუნჯია!

ახლა ისევე სევდა მომანვა... განა იმიტომ, რომ „შენ“ ვერ მეტყველებს, არა! იმიტომ რომ... იძულებული ვარ დაგემალო, იძულებული ვარ უარყვო ჩემი ინგლისური ღირებულებები და გერმანული სიზუსტე... იძულებული ვარ ნიღბის უკან დავემალო ასორსოცებულ ბრბოს... და უმთავრესად შენ, უნიჭოთა ნიჭიერო დირიჟორო... ვთანხმდები ვიყო ორკესტრი და მივდივარ... P.S. ოდესმე მოვიხსნი გადაღლილ, გაცრეცილ ნიღაბს და ჩაგაბარებ ისე, როგორც შედეგს და მიზეზს იმ ცხოვრებისას, მე რომ არასოდეს ამირჩევია... დაიმასხვრე... P.P.S. აი, ასეთი პასუხი შემიძლია გავცე მათ, ვინც ჩემზე ათასგვარ საძაგლობას ამბობს. რუისპირი (GREEN).

პირველ რიგში მადლობას გადავუხადი იმ ადამიანს, რომელმაც კაცუნა და SEX BOY მოიკითხა და ასევე მოვიკითხავ მეც მას! მეორე რიგში ამ ჟურნალში მყოფ კარგ ადამიანებს მოვიკითხავ! აი მესამე რიგში კი გაგიმხელთ საიდუმლოს! იცოდით, რომ კაცუნა და SEX BOY ერთი და იგივე პიროვნებაა? ხომ არ იცოდით? და ახლა კი გაიცეთ. ცუდად არ გამოიგოთ, უბრალოდ, ნიკების ცვლა შევასება. ერთი და იგივე ნიკი მალე მწყინდება! კაცუნა, SEX BOY. P.S. კაცუნა და SEX BOY ერთი და იგივე პი-

როვნებაა, P.P.S ვისთვის კაცუნა ვარ, ვისთვის SEX BOY, და ვისთვის არაფერი.

• მარიამულ, როცა შენი ანტიფანის მესიჯი წაივითხე, მაშინვე საეჭვოდ, ამას წინათ მომხდარი ამბავი გამახსენდა. ერთერთ მგზავნელს ველაპარაკებოდი, ტელეფონზე და უცებ მითხრა, მე შემიძლია ისე გავაკეთო, რომ მარიმ შენი გზავნილები აღარ დაბეჭდოსო. გავიფიქრე, ალბათ ჩემზე უკეთესად დანერს და დამჩრდილავს-მეთქი. მაგრამ ნურას უკაცრავად, მარის რამდენჯერმე მივწერე, ლუნას რატომ უბეჭდავ მესიჯებს, სხვებიც ამყვებიან და აღარ დაგიბეჭდავსო... მისმა ამ სიტყვებმა ძალიან გამაოცა. ალბათ თქვენც. თუ რამე მოვიტყუე, შეუძლია, მატყუარობაში ბრალი დამდოს! მზად ვარ. :-)

ჩემო კარგ ანტიფანო, შეგიძლია, ჩემი ერთ-ერთი გზავნილი დამისახელო, რომელშიც სისულელეა ასახული? შეიძლება მისი შინაარსი და აზრი შენ თვითონ ვერ გაიგე და ეს ჩემი ბრალი სულაც არაა. ან სად იყავი ამ ხნის მანძილზე, მე, რუისპირი, ნიკოლო (მისტერი) და სხვები რომ ვაცოცხლებდით „გზავნილებს“? ვერ დაწერე ჩვენზე უკეთესი ამბავი და არა სისულელე? მარიამული აქ იმისთვისაა, რომ „გზავნილები“ დანეროს. ჰოდა, ვინც ვნერთ ამბებს, მათ გვიბეჭდავს, აქ სანყენი და გასაკვირი არაფერია, ჩემო კარგო. კარი ყველასთვის ღიაა. ლუნა.

• სალაში. თავი ერთმა ბიჭმა დამამახსოვრა, რომელსაც დავცინოდი და ვალადავებდი, არადა, შემეყვარადაა. მიშველეთ რამე. უცნობი.



### გილოცავ!

• ჩემს გოგონებს, ნათია და სოფო ზუბაშვილებს ვულოცავ ფერისცვალების ბრწყინვალე დღესასწაულს. ამ დღის მადლი გფარავდეთ მუდამ. გისურვებთ უღვე სიხარულს.

• გიორგი, 19 აგვისტოს გილოცავთ ფერისცვალებას და დაბადების დღეს. იყავი ჯანმრთელად და მხნე. ღმერთი გფარავდეს. პაპა და ბებო.

• სამეველ, გილოცავ დაბადების დღეს — 26.08.2011. იყავი კარგად. იკა. ფოთი.

• 8 აგვისტოს ჩემს მგზავრს ვულოცავ ვაჟის, გაბრიელის დაბადებას. დიდხანს, ჯანმრთელად და ბედნიერი გვეყოლეულღისგან დალოცვილი. სიყვარულით, შენი ტირიფი73.

• ბარისახოში დაბადების დღეს ვულოცავთ ნანული ნიკლაურს, გენერალს.

უფალი გფარავდეს, შენი შვილებით, ჩვენო იმედო, ღმერთს ებარებოდე ქ ა ო. ჟორიკიე და გენა.

• ბესიკო ცინარიძეს: ჩემო საყვარელო ბებო, შენ ხომ ჩვენი ოჯახის პირველი მერცხალი ხარ! ჩვენი თვალხატულა ბიჭო, შორეული საბერძნეთიდან გილოცავ დაბადების დღეს, 19 აგვისტოს. 13 წლის გახდი, ბებო. მინდა იცოდეთ, ყოველ ცისმარე დღეს, ყოველი მზის ამოსვლისას, ყოველი დღის გათენებინას, როცა ჩიტების საამო ჭიკჭიკი ჩაგესმით ყურში, როცა ყვავილების საამო სურნელებს გრძნობთ და როცა თქვენი ფრთაჩამოტეხილი დედიკო სიხარულით დაგყურებთ თქვენ, ჯერ კიდევ მძინარს, აი, მე აქედან გილოცავთ ორივეს და გისურვებთ, თქვენი ცხოვრების სავალ გზაზე უღვე სიხარულსა და ლამაზ სიცოცხლეს. ძალიან ადრე დაგტოვავთ თქვენმა საყვარელმა მამამ, გოდერძი ცინარიძემ, მართლა ვაჟკაცმა კაცმა, ვაჟკაცმა, რომელიც მძიმე ავადმყოფობით გამოგტაცათ უღომბელმა სიკვდილმა ხელიდანაგრამ მას თქვენი იმედი ჰქონდა სიცოცხლემოვიე და აქვს, იმ შორეულ, სამუდამო სასუფეველში, რომ თქვენ ვაჟკაცურად დაუდგებთ გვერდში ერთმანეთს და ორივენი კი თქვენს საყვარელ დედიკოს, რომელსაც მოუშუშებელი დიდი ტკივილი დააქვს გულთ, თქვენი მამიკოს გარდაცვალების გამო. კიდევ ერთხელ გილოცავ დაბადების დღეს და გისურვებ, უფალმა გააბრწყინოს შენი ცხოვრება, დაგიფაროს ყოველი განსაცდელისგან და მუდამ სიკეთისა და ტაძრის გზით გველოს, ჩემო სიხარულო. სიყვარულით, შენი ბებო და დეიდა, საბერძნეთიდან.

• გზა ჩემს მონატრებულ შვილებს, თეას, ანას და ბექა ლომიძეებს 11 და 27 აგვისტოს, 6 სექტემბერს დაბადების დღეს ვულოცავ. ღმერთი გფარავდეთ, შვილებო.

„მოზილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნით ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნით 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



# ტაიმ-აუტში

## „პტიცა“ — კალათბურთის ჯადოქარი და ფრანკისტულ სამეფო ალუბთან მოგებული ეპროვის თასი

გულშემატკივრები მას სხვანაირად არც მოიხსენიებდნენ. ის მართლაც „პტიცა“ იყო, უფრო სწორად — ჰაერში მონარნარე ბუმბული თუ გინახავთ, სწორედ ასე მსუბუქად „ჩამოეკიდებოდა“ ხოლმე ნახტომში და საოცრად რბილად ტყორცნიდა ბურთს კალათაში. კალათბურთის გურმანებს ბევრი ჩინებული ქართველი და არა მხოლოდ ქართველი მოთამაშე გვინახავს, მაგრამ ასეთი ლამაზი, მე ვიტყვოდი, მოხდენილი კალათბურთელი მეორე არ მეგულება.


### კობი ფრანკივილი

ძალისმიერი თამაში არ უყვარდა, ფიზიკურადაც არ იყო ძლიერი, მისი თამაში ტექნიკასა და ნამიერ ცრუმოდრაობებზე იყო აგებული, ნახტომი კი, რა თქმა უნდა, მაღალი ჰქონდა. როცა ძია მიმას (მიხეილ კველიძე) უნახავს, თვალში არ მოსვლია, ჩხირივით გამხდარი იყო და უფიქრია, — ამან რა კალათბურთი უნდა ითამაშოსო?! მაგრამ „პტიცა“ ფარზე რომ ამხტარა და ორივე ხელით კალათას ჩამოჰკიდებია, მწვრთნელს მაშინვე გუნდში დაუტოვებია. ცოტა ხანს საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელ მიხეილ კველიძესთან ვარჯიშობდა, შემდეგ კი ამავე წოდების მქონე გეორგი ავალიშვილმა თბილისის „დინამოში“ მიიწვია. მალე უგრესელიძე ჩვენი მთავარი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

მასსოვს, 60-იანი წლების ბოლოს თბილისის „დინამო“ მოსკოვის არმიელთა გუნდს (ცსკა) მასპინძლობდა. სპორტის სასახლის ტრიბუნები გადაჭედილი იყო. თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა. ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე ბონდო ბოლქვაძე თამაშობდა, მის წინ კი, თავდამსხმელის ადგილას „პტიცა“ იდგა. ერთ-ერთ ეპიზოდში მან ბურთი მიიღო და ცრუმოდრაობით მოსკოველ მცველს ბოლქვაძეზე გადაცემა „აჩვენა“. მცველმა უკან ისკუბა, გადაცემა რომ

ჩაეჭრა, მაგრამ „პტიცას“ ბურთი ხელიდან არ გაუშვია, მშვიდად „ჩაუჯდა“ და ზუსტად ტყორცნა. შემდეგივე შეტევაში დაახლოებით იგივე გაიმეორა, ოღონდ ამჯერად ჯერ გადაცემა „აჩვენა“, მერე — „ტყორცნა“, ბოლოს კი ბურთი მართლაც ბოლქვაძეს გადააწოდა და მანაც აუღელვებლად ჩააგდო... ახლა უკვე მესამედ შეიქმნა ანალოგიური სიტუაცია. მცველი დაბნეულია, რომელს მიხედოს, აღარ იცის. „პტიცამ“ ჯერ ტყორცნის იმიტაცია გააკეთა, შემდეგ — გადაცემის, მცველიც შესაბამისად, ჯერ წინ „ამოხეთქა“, მერე ბოლქვაძისკენ გადახტა, ხოლო როდესაც თავდამსხმელმა ჩვეულ მაღალ ნახტომში ზუსტად ტყორცნა, მოსკოველ კალათბურთელს ამდენი მოძრაობისაგან ფეხი მოუცურდა და მოედანზე დავარდა. ის მატჩი „დინამომ“ 3 ქულის სხვაობით მოიგო.

უკაცრავად, გავერთე: ახალგაზრდებისთვის არც მითქვამს, ვისზეა საუბარი. „პტიცა“ — „ჩვენი“ ვლადიმერ უგრესელიძეა. ახალი თაობაც ჩვენია, მაგრამ ის პლეადა მაინც სხვა იყო: ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია, ლევან მოსეშვილი, თამაზ ჩიხლაძე, აიროან სხირელი, ვალერი ალთაბაევი... თითქმის ყველა — ევროპის, მსოფლიოს ან ოლიმპიური ჩემპიონია. აღარაფერს ვამბობ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობაზე. დღევანდელ ჩვენს კალათბურთელებს მცირედი წარმოდგენა მაინც რომ შეუქმნათ



მცველი დაბნეულია, რომელს მიხედოს, აღარ იცის

ვლადიმერ უგრესელიძეზე, მაიკლ ჯორდანის ერთ კადრს გაგახსენებთ. ყველას გვინახავს და ადვილადაც მიხვდებიან: ჯორდანი საჯარიმოს წინა საზიდან აირეკნება და მარჯვენა ხელით ზემოდან დებს ბურთს კალათაში. დაახლოებით იმავეს აკეთებდა „პტიცა“, ოღონდ ის ძლიერად კი არა, პირიქით — რბილად, ამობრუნებული მაჯით ჩაუშვებდა ხოლმე ბურთს კალათაში. რა თქმა უნდა, ქართველისა და ამერიკელის შედარება ცოტა გადაჭარბებულია, მაგრამ ნუ დაგვაინწყდება — „პტიცა“ ჯორდანამდე სამი ათეული წლით ადრე „დაფრინავდა“. ერთხელ მისმა მაღალმა ნახტომმა კინაღამ აზარალა კიდეც საბჭოთა ნაკრები.

რომის ოლიმპიური თამაშების წინასწარ ქვეჯგუფში საბჭოთა გუნდი პუერტო-რიკოს ნაკრებს ხვდებოდა და თითქმის 40 ქულას უგებდა. მატჩის დამთავრებამდე ნუთზე ნაკლებიღა რჩებო-





და და ამ დროს უგრესელიძე მაღალ ნახტომში კალათიდან ასხლეტილი ბურთისათვის იბრძოდა. მეტოქემ უხერხულად გამოსდო მხრები ფეხებზე და თავდაყირა რომ არ დარჩებოდა იატაკს, „პტიცა“ ორივე ხელით კალათას ჩამოეკიდა. ფიბერგლასის მინამ ვერ გაუძლო, დაიმსხვრა, კალათბურთის ფერმა (ფარის კონსტრუქცია) კინაღამ თავზე დაეშხო. წესით, ახალი ფერმა ნახევარ საათში უნდა დაედგათ, მაგრამ სანყოფის გასაღები, სადაც სათადარიგო ფერმა ინახებოდა, მთელი ორი საათი ვერ იპოვეს. ასეთ სიტუაციაში ფიბას (კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია) პრეზიდენტი უილიამ ჯონსს საბჭოთა და პუერტო-რიკოელი კალათბურთელები მეორე დღეს ხელახლა უნდა ეთამაშებინა და ვინ იცის, განმეორებით მატჩს ვინ მოიგებდა. წინააღმდეგ პუერტო-რიკოს გაჭირვებით მოუგეს მსოფლიოს ჩემპიონებმა — ბრაზილიელებმა, მათთან კი საბჭოთა ნაკრებს უკვე ჰქონდა წაგებული. მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა. ჯონსი თავად ამშვიდებდა უგრესელიძეს, შეხვედრას დღესვე დავასრულებთ, თქვენი უპირატესობა ამკარაო. ის მატჩი 100:63 მოიგეს საბჭოთა კალათბურთელებმა.

ვლადიმერ უგრესელიძე რომ გავიცანი, ის უკვე აღარ თამაშობდა. სასიამოვნო მოსაუბრე იყო, თავისუფლად შეიძლებოდა მასთან სხვადასხვა თემაზე ლაპარაკი. ძირითადად კი, რაღა თქმა უნდა, კალათბურთზე ვსაუბრობდით. ყოველთვის მაინტერესებდა, საიდან გაჩნდა ეს მეტსახელი — „პტიცა“ და ერთხელაც ვკითხე.

**ვლადიმერ უგრესელიძე:**

— ასე, მეხუთე-მეექვსე კლასში ვიქნებოდი, თბილისის პირველობა რომ ჩატარდა მოსწავლეთა შორის მძლეოსნობაში. ჩემს კლასელთან — მურჟინსკისთან ერთად სიმაღლეზე სტომებში გამოვდიოდით. ჯერ 160 სმ-ზე გადავხტი, მერე — 165 სმ-ზე, ბოლოს კი 170 სმ რომ გადავვალხე. მურჟინსკიმ წამოიძახა: **Смотри, как птица прыгает!** (ნახე, ჩიტავით ხტებაო!). მართალია, ჩიტი კი არ ხტება, დაფრინავს, მაგრამ ეს სახელი კი შემომრჩა. სიმართლე გითხრაო, თავიდან არ მომწონდა, როგორღაც ვერ „მოვირგე“, მაგრამ შემდეგ შევეჩვიე და თქვენ წარმოიდგინეთ, მომეწონა კიდევც... კალათბურთაშენი ფრენბურთის ვთამაშობდი. მაღალი ნახტომის გამო წარმატებით გა-

მომდიოდა ყველაფერი და საქართველოს ნაკრებშიც ვიყავი. თუ დამიჯერებთ, სტომებში სპეციალურად არ მივარჯიშია, თავისთავად გამომდიოდა. ძია მიმსაც (მიხეილ კველიძე. — ავტ.) ამიტომ მოვეწონე. მერე თბილისის „დინამოშიც“ მიმიწვიეს. იმ პერიოდში იქ უკვე თამაშობდნენ აღიარებული ოსტატები: ლევან ინჟირველი, ალექსანდრე კილაძე, გურამ მინაშვილი, გურამ აბაშიძე. თბილად მიმიღეს, ყოველმხრივ მენმარებოდნენ. იმ სეზონში ჩვენმა გუნდმა საკავშირო ჩემპიონატში მეხუთე ადგილი დაიკავა, სამაგიეროდ, მომდევნო წელს ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი მოვიგეთ. მაშინ იყო ასეთი შეჯიბრება, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატისგან დამოუკიდებლად ტარდებოდა, მაგრამ ოქროს მედლები არ მოგვეცეს. საკავშირო ფედერაციამ, — საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადსაც თუ მოიგებთ, ორივე ჯილდოს ერთად მოგცემთო. სპარტაკიადა სწორედ იმ წელს ტარდებოდა მოსკოვში. ფავორიტები ლატვიელები იყვნენ. მათ 217 სმ სიმაღლის გიგანტი — იანის კრუმინი ჰყავდათ, ხოლო რიგის არმიის სპორტული კლუბი უკვე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგანიზაციის მფლობელი იყო. სწორედ ლატვიელებთან შედგა ის ისტორიული მატჩი, რომლის დროსაც სამმა ქართველმა ხუთი ბალეტისპირელი დაამარცხა. მანამდე ყველასათვის მოულოდნელად ერთი ქულით 63:64 წაგავთ ყაზახეთის ნაკრებთან, იმათთან მთლად უარესი — 232 სმ სიმაღლის უვას ახტაევი თამაშობდა. ფინალურ ჯგუფში მოსახვედრად ლატვიელებისათვის აუცილებლად უნდა მოგვეგო. ჩვენები ისე განწყვიტდნენ მატჩისათვის, რომ მთელი თამაშის განმავლობაში წინ ვიყავით. ტაიმი 10 ქულით მოვიგეთ, მაგრამ შეხვედრის ბოლოსთვის კრუმინმა გაათანაბრა ანგარიში 64:64. დამატებით დროშიც წინ ვიყავით, მაგრამ 5-5 პერსონალური ჯარიმის გამო, მოედანი დატოვეს: რევაზ გოგელიამ და გურამ მინაშვილმა, ხო-

ლო ხესტმა ისევ გაათანაბრა ანგარიში 72:72. მეორე ოვერტიმში თამაშს გამოეთიშნენ: ალექსანდრე კილაძე და ანზორ ლეჟავა, კრუმინმა კი კვლავ ისხნა გუნდი, ფრე — 80:80. მესამე ხუთწუთულში ჯერ ლევან ინჟირველმა მიიღო ბოლო ჯარიმა, მერე მეც და მოედანზე დარჩნენ სამნი: გურამ აბაშიძე, თამაზ კაკაურიძე და ვალერი ალთაბაევი. კალათბურთში ოთხმა რომ ხუთის წინააღმდეგ ითამაშოს, კიდევ დასაშვებია, მაგრამ სამმა ხუთს როგორ უნდა გაუძლოს?! ეს უკვე წარმოუდგენელია. მსგავსი შემთხვევა სხვა მე არ ვიცი. თანაც, კრუმინი ისევ მოედანზე იყო. მზმნ მაინც ჩვენ მოვიგეთ.

იმ სპარტაკიადზე საქართველოს ნაკრებმა საბოლოოდ მეორე ადგილი დაიკავა და, როგორც ხვდებით, ზამთრის ჩემპიონატის დანაპირები ოქროს მედლები ვერც ვლადიმერ უგრესელიძემ და ვერც მისმა თანაგუნდელებმა ვერ მიიღეს. სამაგიეროდ, „პტიცას“ თამაში სულ უფრო და უფრო მოსწონდა საბჭოთა ნაკრების უფროს მწვრთნელს, სურენ სპანდარიანს და მან 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშებისათვის ქვეყნის მთავარ გუნდში მიიწვია კიდევ იგი. რომის საკალათბურთო ტურნირში ვლადიმერ უგრესელიძესთან ერთად, გურამ მინაშვილიც მონაწილეობდა. ორივემ კარგად ითამაშა და ვერცხლის მედლებიც მოიპოვა. ბრაზილიელებთან მარცხის შემდეგ საბჭოთა ნაკრებმა ფინალურ ტურნირში რევაზში აიღო, მაგრამ აშშ-ის გუნდთან წააგო და მეორე ადგილი დაიკავა.

ჩემპიონის პირველი ოქროს მედალი ვლადიმერ უგრესელიძემ 1961 წელს ევროპის პირველობიდან ჩამოიტანა. კონტინენტის ჩემპიონატი მაშინ იუგოსლავიაში ჩატარდა. მასპინძლებს უკვე ჰყავდათ ძლიერი გუნდი და საბჭოთა ნაკრების წინასწარ ჯგუფშიც და ფინალშიც ძნელი მატჩების ჩატარებამ მოუწია, მაგრამ ორივეში იმარჯვა და ჩემპიონის ტიტულიც შეინარჩუნა.

მომდევნო, 1962 წელი ტრიუმფული აღმოჩნდა არა მარტო ვლადიმერ უგრესელიძისათვის, არამედ მთელი ქართული კალათბურთისათვის — თბილისის „დინამო“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა. ეს პრესტიჟული პრიზი 1958 წელს პოპულარული ფრანგული გაზეთის „ეკიპოს“ ინიციატივით დაწესდა. პირველ სამ ტურნირში რიგელობა არმიელებმა იმარჯვეს. 1960 წელს სწორედ მათთან წააგეს ჩვენმა „დინამოელებ-



**თბილისის „დინამო“ — ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962 წ.)**



მა“ ფინალში. ამჯერად ქართველმა კალათბურთელებმა სტარტზე ბუქარესტის არმიელთა გუნდი — „კკა“ დაამარცხეს. შემდეგ, ასევე ორრაუნდიან პაექრობაში სტამბოლის „დარუზაფაგს“ სძლიეს, ხო-



ნინა სალამოს ვარჯიშზე რომ მივედით, მათ უკვე დაემთავრებინათ წვრთნა და სპეციალურად შეჩერდნენ, ჩვენი მოთელვა რომ ენახათ. მასსოვს, რომ გადმოგვხედეს, ჩაეღიმათ. სახეზე ეტყობოდათ კითხვა, ამათ როგორ უნდა მოგვიგონო?! მათი მწვრთნელი მატჩისწინა ინტერვიუებში დაუფარავად ამბობდა, რომ „რეალი“ გაიმარჯვებდა, ხოლო ბატონი ოთარ ქორქიას კომენტარები თავმჯავებული იყო: თამაში გვიჩვენებსო. მატჩი უალრესად დაძაბული აღმოჩნდა. ანგარიში დაახლოებით ათჯერ მანაც გათანაბრდა. ძირითადად, ჩვენ ვიყავით წინ, მაგრამ ესპანელებიც რამდენჯერმე დანინაურდნენ. ისინი თამაშს ჰეიტაუერზე აგებდნენ. ანზორ ლეჟავას უჭირდა მისი შეჩერება. საბოლოოდ, მან 32 ქულა მოაგროვა კიდევ. ჩვენ მთელი გუნდით ვთამაშობდით და ქულებიც დაახლოებით თანაბრად მოვაგროვეთ. რაც მთავარია, ვაჯობეთ და 90:83 გავიმარჯვეთ. დაუვიწყარი მატჩი იყო, საოცრად რთუ-

რიბლად, ამობრუნებული მაკით ჩაუშვებდა ხოლმე ბურთს კალათაში

ლო ნახევარფინალში თასის იმჟამინდელ მფლობელებს, მოსკოველ არმიელებს მოუგეს. თამაშის შემდეგ თბილისელთა გამარჯვებით გამწარებული, საკავშირო ფედერაციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ჩვენი გუნდის მწვრთნელს, ოთარ ქორქიას ეჩხუბა: „ფინალში თქვენ მადრიდის „რეალს“ ვერ აჯობებთ და საბჭოთა კალათბურთის დაღუპავთ!“ კამათი დედის გინებადღე მივიდა. საქმე ის არის, რომ იმ პერიოდში საბჭოთა კავშირსა და ფრანკისტულ ესპანეთს შორის შავმა კატამ გაიბრინა და ფინალს პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა. მართლაც, სწორედ პოლიტიკის გამო, ესპანელებმა უარი თქვეს საბჭოთა კავშირში ჩამოსვლაზე. ამიტომ ფიბამ „რეალი“ კომპრომისული ვარიანტი შესთავაზა და ფინალი ნეიტრალურ მოედანზე — ჟენევაში დანიშნა. სამაგიეროდ, თბილისელების ყველა სატრანსპორტო ხარჯს მადრიდული კლუბი გადაიხდიდა, თუ არა და, „დინამო“ ავტომატურად გახდებოდა თასის მფლობელი.

**ვლადიმერ შტრახალიძე:**

— ჟენევაში თამაშამდე ერთი დღით ადრე ჩაფრინდით, ესპანელები კი უკვე მთელი კვირა იქ იყვნენ. უნდა ითქვას, რომ ფინალამდე მათაც ძლიერი გუნდები დამარცხეს, ასე რომ, სერიოზული მეტოქეები იყვნენ. ამასთან, ორი ამერიკელი — ჰეიტაუერი და მორისონი ჰყავდათ დამატებული. განსაკუთრებით ძლიერი იყო ჰეიტაუერი — მაღალი, ათლეტური აღნაგობის მოქნილი და სწრაფი.

ლი. შესაბამისად, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თბილისში რომ ჩამოვფრინდით, უროპორტში უამრავი ხალხი დაგვხვდა. მიგვიყვანეს საქართველოს კომპარტიის ცუკას პირველ მდივანთან, ვასილ მუჟანაძესთან. მან მოგვილოცა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, გივი ჯავახიშვილს ჰკითხა: ბატონო გივი, ეს ბიჭები როგორ დავაჯილდოოთო? ბატონი გივი ჩაფიქრდა და თითოეულს 15-15 ათასი მანეთით დასაჩუქრებას დაგვპირდა. თუმცა საბოლოოდ, მხოლოდ 3.500-3.500 მანეთი მოგვცეს.

იმავ 1962 წელს ვლადიმერ უგრეხელიძეს თანაგუნდელებთან ერთად მანლის მსოფლიოს ჩემპიონატშიც უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ ისევ ახირებული პოლიტიკოსების გამო, ფილიპინების პრეზიდენტმა სოციალისტური ქვეყნების კალათბურთელებს ვიზები არ მისცა და ფიბამაც ჩემპიონატი მომდევნო წლისთვის ბრაზილიაში გადაიტანა. საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ალექსანდრე გომელსკიმ ამჯერად გუნდში, ვლადიმერ უგრეხელიძესთან და გურამ მინაშვილთან ერთად, ანზორ ლეჟავაც მიიწვია, ნაკრები კი იმდენად ძლიერი იყო, მხოლოდ ოქროს მედლებზე ფიქრობდნენ. მაგრამ მოულოდნელად, 67:69 იუგოსლავიელებთან წააგეს. ეს საბჭოთა გუნდის პირველი მარცხი იყო ბალკანელებთან. კურორტული აღმოჩნდა მასპინძლებთან შესვედრაც.

რიო-დეჟანეიროს გადაჭედული სპორტის სასახლეში ტევა აღარ იყო. იქაურ

გულშემამტკივართა სამხრეთული ტემპერამენტი კი ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ტემპერამენტი ეტყობა, არც ბრაზილიელთა მწვრთნელს კანელას აკლდა და შესვენებაზე ურუგაველი არბიტრის, პადილეს მსაჯობით უკმაყოფილომ, სილა გაანწა მას. კანელა გააძევეს და ის თავის გუნდს ტრიბუნიდან, ხალხის კარნახით მანაც ხელმძღვანელობდა. აი, გომელსკი კი იძულებული იყო, დარბაზი დაეტოვებინა. მას ტრიბუნიდან ნასროლი რაღაც საგანი მოხვდა თავში და ცუდად გახდა. საბოლოოდ, ბრაზილიელებმა მანაც თავისი გაიტანეს, 90:79 გაიმარჯვეს და ჩემპიონებიც გახდნენ, ხოლო ვლადიმერ უგრეხელიძეს, თანაგუნდელებთან ერთად, ბრინჯაოს მედლები ერგო. „პტიცასათვის“ ის ბოლო სანაკრებო სეზონი იყო. იმ წლებში ვერ ბრწყინავდა თბილისის „დინამოც“ და მხოლოდ 1968 წელს, როდესაც გუნდს ლევან ინსკირველი ჩაუდგა სათავეში, ჩვენმა კლუბმა საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ისევ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოქროს მედლები.

**ვლადიმერ შტრახალიძე:**

— გადაწყვეტი, რიგის „ვეფთან“ თამაში აღმოჩნდა. რიგელები არაფრით გამოირჩეოდნენ. მათ თითქმის ყოველთვის ვუგებდით, მაგრამ ამჯერად თავი გაიგიჟეს. თავიდანვე დანინაურდნენ. ამასთან, ზურაბ საკანდელიძე საკავშირო ნაკრებში იყო გამოხატებული, ოლიმპიადისთვის ემზადებოდა, ხოლო ჩვენს კაპიტანს, ამირან სხიერელს მუხლის ტრავმა ჰქონდა და კოჭლობით თამაშობდა. არადა, რიგელებისთვის რომ არ მოგვეყო ჩვენს სპორტის სასახლეში, ბოლო ტურში კაუნასში ვხვდებოდით „ჟალგირისს“, იქ კი ძნელი იქნებოდა გამარჯვება. მაგრამ „ვეფს“ მანაც მოუფუტე 64:61 და ჩემპიონებიც გახვდით. საკმაოდ კარგად ვითამაშეთ მომდევნო წელსაც. საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლის მედლებს დავეფუტეთ, საბჭოთა კავშირის თასი ლამის 20 წლის შემდეგ დავიბრუნეთ, ხოლო ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში ფინალში გავედით და იქ სულ რამდენიმე ქულა წავაგეთ პრალის „სლავისთან“.

„პტიცა“ კიდევ რამდენიმე წელი იყო „დინამოში“, თუმცა თამაში უფრო იშვიათად უწევდა. ახალი თაობა მოდიოდა. თავად გრძობდა, რომ კიდევ შეეძლო, გუნდს გამოსდგომოდა, მაგრამ 35 წლის ვეტერანს მანაც ხშირად უწევდა სათადარიგოთა საკმაოდ ჯდომბა.

**ვლადიმერ შტრახალიძე:**

— ვხედავდი გუნდი აგებდა, მე კი თამაშის საშუალებას არ მაძლევდნენ. ვეღარ გავუქელი, ავდექი და წამოვივდი...





# სამსსკანდალი პოლიტიკასა და ბიზნესში

## ჯონ პროფიუმი, ბრიტანეთი, 1963 წელი

ბრიტანეთის სამხედრო მინისტრს, ჯონ პროფიუმოს მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, კრისტინ კილერი ექიმა — სტივენ უორდმა გააცნო. ორწლიან რომანს პროფიუმოსა და პრემიერ-მინისტრ ჰაროლდ მაკმილანის თანამდებობები შეეწირა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ კილერს სამხედრო მინისტრის პარალელურად, რუს

## ბილ ჯლინტონი, აშშ, 1995-1997 წლები

ამერიკის ექსპრეზიდენტისა და მონიკა ლევინსკის სექსუალურმა სკანდალმა დიდი მღელვარება გამოიწვია, მაგრამ კლინტონს მოსახლეობამაც დაუჭირა მხარი და ცოლმაც აპატია ლაღატი.

მოააშკარავა. 2008 წელს დეტროიტის სასამართლომ მერი დამნაშავედ ცნო. კილპატრიკმა მერის თანამდებობა დატოვა და კომპენსაციის სახით 1 მლნ დოლარი გადაიხადა.

## ბარა ჰერდი, Hewlett-Packard, 2011 წელი

Hewlett-Packard-ის მმართველს მსახიობმა ჯოდი ფიშერმა სექსუალურ ძალადობაში დასდო ბრალი. სასამართლომ ჰერდი გაამართლა,

## ჰარი სტონსაიფარი, Boeing, 2005 წელი

2005 წელს Boeing-ის მმართველი-



ჯონ პროფიუმი

ბილ კლინტონი

სილვიო ბერლუსკონი

ბარა სტონსაიფარი

ჯაშუშთან ჰქონდა რომანი. ქალს პატიმრობა მიუსაჯეს. უორდს სუტენიორობაში დასდეს ბრალი, რის გამოც თავი მოიკლა. პროფიუმი გარდაცვალებამდე (იგი 2006 წელს, 91 წლის ასაკში გარდაიცვალა) ქველმოქმედებით იყო დაკავებული.

სა და მისი თანამშრომლის, დებრა პიბოდის რომანი გამოაშკარავდა, რის გამოც, მამაკაცმა თანამდებობა დატოვა. ცოლმა ხანში სტონსაიფარი ცოლს გასცილდა, რომელთანაც 50 წელი იცხოვრა და დებრა შეირთო.

მაგრამ გაირკვა, რომ მამაკაცი ფიშერთან ვახშობისა და მოგზაურობის თანხას კომპანიას ახდევინებდა, რის გამოც ჰერდიმ თანამდებობა დაკარგა.

## იააოზ ზუმა, სახრეთ აფრიკის რესპუბლიკა, 2005 წელი

ზუმას მეგობრის შვილმა, შიდსით დაავადებულმა 31 წლის ქალმა გაუპატიურებაში დასდო ბრალი. 2006 წელს იოჰანესბურგის სასამართლომ ზუმა გაამართლა. 2007 წელს ნიდერლანდებმა ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს პოლიტიკური თავშესაფარი შესთავაზა, ხოლო 2009 წელს ზუმა სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტად აირჩიეს.

## ფერდინანდ ლუგო, პარაგვაი, 2009 წელი

პრეზიდენტობამდე ლუგო კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსი იყო. პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ სამმა ქალმა იგი საკუთარი შვილის მამად გამოაცხადა. ფერდინანდმა მხოლოდ ერთი, ვივიან კარილიოს ვაჟი აღიარა შვილად.

## ჯლიოტ სპიტცარი, აშშ, 2008 წელი

ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა თანამდებობა დატოვა, როცა გაირკვა, რომ იგი ელიტური მეძაგების მომსახურებით სარგებლობდა და მათ 80 ათასი დოლარი დაახარჯა. შელახული რეპუტაციის გამოსწორებას სპიტცარი ქველმოქმედებით ცდილობს.

## სილვიო ბარლუსკონი, იტალია, 2011 წელი

ინფრიდან მილანის პროკურატურა პრემიერ-მინისტრის საქმეს იძიებს. სილვიო არასრულწლოვან მეძაგ კარიმა ელ-მარუგთან, მეტსახელად „რუბი“, სექსუალურ კავშირს უარყოფს, მაგრამ აღიარებს, რომ სილამაზის ცენტრის გასახსნელად ქალს 45 ათასი ევრო მისცა. იტალიელი პოლიტიკოსი არაერთხელ გამხდარა სექსუალური სკანდალების გმირი. 2009 წელს პრესაში ბერლუსკონისა და 18 წლის მოდელის, — ნაომი ლუტიციას პიკანტური ფოტოები გამოქვეყნდა, რის გამოც პრემიერ-მინისტრს ცოლი განქორწინებით დაემუქრა. თუმცა, როგორც ჩანს, სილვიო ბერლუსკონი ლამაზმანებთან ურთიერთობაზე უარს მაინც ვერ ამბობს.

## ჯავა აილვაბრანი, აშშ, 2008 წელი

დეტროიტის მერის და მისი აპარატის თანამშრომლის, კრისტინ ბიტის რომანი ორმა პოლიციელმა გა-

## ჰარი ჰარბი, აშშ, 1987 წელი

კოლორადოს შტატის სენატორი საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წარდგენას აპირებდა. მაგრამ რეპორტიორებმა ფოტომოდელ — დონა რაისთან გადაღებულ პიკანტური ფოტოები ჯერ მის ცოლს გაუგზავნეს, შემდეგ პრესაში გამოაქვეყნეს და ჰარტის, როგორც პოლიტიკოსის კარიერა დასრულდა. იგი ადვოკატობით ირჩენდა თავს.

## ანანა ბანანა, ზიმბაბვე, 1997 წელი

1997 წელს ზიმბაბვეს ექსპრეზიდენტს თანამშრომელი მამაკაცების გაუპატიურებაში დასდეს ბრალი. გამოძიებისას გაირკვა, რომ ბანანას დაცვის თანამშრომელმა მოკლა კაცი, რომელმაც სახალხოდ „ბანანას ცოლი“ უწოდა. მან გაუპატიურების ფაქტიც დაადასტურა. კანაანი 1999 წელს დააპატიმრეს. 2001 წელს ციხიდან გამოვიდა და ორი წლის შემდეგ კიბოთი გარდაიცვალა.



# გონების საპარჯიშო

## „გზის“ ერთგული მართხვალისათვის (პითხვაები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გაცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

### „პასუხების“ სვამისათვის არ გაგაჩხეთ თვალი

1. მართხვის ბრძოლაში გამარჯვებულმა ბერძნებმა ათენში მასპრობლად მალემსროლი ფიდიპიდე აფრინეს. რა ბედი ეწია მას, 41 კილომეტრის შეუჩერებლად გარბენის შემდეგ, დედაქალაქში სმამალა რომ შესძახა: „გისაროდეთ, გავიმარჯვეთ!“
2. მოლიერის კომედიის — „ორი ბატონის მსახურის“ მიხედვით რუსების მიერ გადაღებულ ფილმში — „ტრუფალდინო ბერგამოდან“ მთავარ როლს კონსტანტინ რაიკინი ასრულებს. ვინ მღერის ამ ფილმში?
3. დაასახელეთ ილია რეპინის განთქმული ტილო, რომელსაც ფერმწერი 13 წლის განმავლობაში ხატავდა და რომელშიც მას რუსეთის მეფემ 35.000 მანეთი გადაუხადა.
4. რომელ პოპულარულ ლიტერატურულ პერსონაჟს ეკუთვნის სიტყვები: „თუ შეუძლებელია საქმის ვითარების ლოგიკური ახსნა, მაშინ დიდია ალბათობა, რომ ყველაზე არალოგიკური ვერსია ქვშმარიტი აღმოჩნდეს“?
5. რა არის „კუივიაკი“?
6. რა არის „ნაჩხატი“?
7. დაასახელეთ სახელმწიფო, სადაც მძღოლები ყოველწლიურად 90 მილიონ საბურავს ცვეთენ.
8. რომელი დარგის ფუძემდებლად მიიჩნევა ლუი პასტერი?
9. რა არის „ტრეჯენი“?
10. დაასრულეთ ბრიტანელ ისტორიკოსთა სიტყვები: „მეორე მსოფლიო ომის დროს ერთი ბრიტანელი ჯარისკაცი ათ იაპონელ ჯარისკაცს უდრიდა, მაგრამ მთელი უბედურება ის იყო, რომ ამ ომში...“
11. რა უტყუარი სიმპტომით იგებენ ექიმები, რომ მათთან მიყვანილი გონწასული პაციენტი (ზვირ შემთხვევაში — ბავშვი) მორიელის მიერ არის დაკბენილი?

# ანექდოტები



\*\*\*

„პლანაქეშმა“ ოქროს თევზი დაიჭირა.

— გამოშვი და 3 სურვილს შეგისრულებ, — უთხრა თევზმა.

— 10000 ზვინი პლანი მინდა! — ინატრა „პლანაქეშმა“. თევზმა აუსრულა სურვილი.

— რაც კი ქვეყნად მცენარეა, სულ პლანად აქციე!

თევზმა ესეც შეუსრულა.

დიდხანს ფიქრობდა „ქეში“, კიდევ რა ვინატროო და ბოლოს ხელი ჩაიქნია:

— ორი „მასტირკაც“ დაამატე და თავისუფალი ხარ.

\*\*\*

— რამდენი წლის ხარ, გოგონი?

— მალე რვის გავხდები, ჯერ კი სამის.

\*\*\*

განცხადება: „გვესაჭიროება მთვრალი მძღოლი, საბუთების გარეშე, მოპარული მანქანით. დარეკეთ 022-ზე“.

\*\*\*

პატარა მიხო მამამისს ეკითხება:

— მამი, პრეზერვატივი იხევა ხოლმე?

— ჩაიხედე სარკეში და გაიგებ!

\*\*\*

სვანთან სახლში სტუმარი მივიდა. მასპინძელმა აივანზე გაუშალა სუფრა. სტუმარი ეკითხება:

— შენი ძმა სად არის?

სვანმა მთა დაანახვა, სადაც ადამიანები ნერტილებივით მოჩანდნენ:

— აგერ, იქ თიბავს.

— ვერ ვხედავ, რომელია? — შუბლი მოიჩრდილა სტუმარმა.

სვანმა სახლიდან კარაბინი გამოიტანა, ისროლა და სტუმარს ეუბნება:

— აგერ ისაა, ფერდობზე რომ მოგორავს.

\*\*\*

— შენს პარიკმახერს ყოველთვის ამინდზე რატომ ელაპარაკები?

— კაცს ხელში სამართებელი უჭირავს და გინდა, რომ პოლიტიკაზე ველაპარაკო?!

\*\*\*

მათხოვარი გამველეებს ეხვეწება:

— დაეხმარეთ წიგნის — „გამდიდრების ათასი მეთოდი“ — ავტორს.

— თუ მართლა ამ წიგნის ავტორი ხართ, რატომღა მათხოვრობთ?

— ეს გამდიდრების ერთ-ერთი ხერხია.



\*\*\*

3 წლის გიორგის 3 ტყუპი ძმა შეეძინა. მან დიდხანს ათვალიერა პატარები და მამას ჰკითხა:

— ესენი ჩვენთან რჩებიან თუ ასარჩევად მოგვიყვანეს?!





\*\*\*

სტიუარდესა:

— ეკიპაჟი გემშიდობებათ და სასიამოვნო ფრენას გისურვებთ!..

\*\*\*

ლაპარაკობს ორი სპორტული კომენტატორი:

— როგორ მოგნონთ ცენტრალური თავდასხმელის თამაში?

— მე ის შოთა რუსთაველს მაგონებს.

— რუსთაველს?! რუსთაველს ხომ არასდროს უთამაშია ფეხბურთი!

— სწორედ მაგიტომ მაგონებს!..

\*\*\*

— რას იზამ, მიხო, რასტვორ აურევე?

— ხუთასკაციან ქორწილ ვურევე და რასტვორი რალა ჩემი ფეხებია?!

\*\*\*

— ალო, ეს ცხოველთა დაცვის კომიტეტია?

— რა მოხდა, განყენინა ვინმემ?..

\*\*\*

გოგონა ეკითხება დედას:

— დედიკო, მამიკოს რატომ აქვს თავზე ასე ცოტა თმა?

— იმიტომ, რომ ბევრს ფიქრობს.

— შენ რომ ბევრი გაქვს?..

— გაჩუმდი. ჭამის დროს ლაპარაკი არ შეიძლება, — უწყრება დედა.

\*\*\*

დიალოგი მამა-შვილს შორის:

— მამიკო, მე რომ შენხელა ვიქნები, შემეძლება, რაც მინდა, ის ვაკეთო?

— არა, შვილო, ამ დროს უკვე ცოლი გეყოლება.

\*\*\*

— ძვირფასო, მოდი, ხუთ საათზე შევხვდეთ ერთმანეთს.

— კარგი, შევხვდეთ, ოღონდ მითხარი, შენ რომელ საათზე მოხვალ?

\*\*\*

მეორე მსოფლიო ომის დროს სოფლის სადალაქოში წვერის გასაპარსავად შესულ კლიენტებს დალაქი ტყვიის ორ ბურთულას აძლევდა, რომ როგორმე ჩაცვენილი ლოყები გაეპარსა.

— კი, მაგრამ რომ გადამეყლაპოს? — იკითხა ჭიჭიკიამ.

— რა მოხდა, შე კაცო?! აგერ ბიქტორამაც კი გადაყლაპა, მარა

ქე მომიტანა მეორე დღეს, — დაამშვიდა დალაქმა.

\*\*\*

— რატომ ჰქვია მარტორქას მარტორქა?

— რატომ და ეს ცხოველი რომ გაჩნდა ამქვეყნად, ტანი ბეჭემოთმა მისცა, ფეხები — სპილომ, თავი — ღორმა, მარტო რქა იყო მისი და ამიტომ დაარქვეს მარტორქა.

— მასე შეაქროიამ ცოლი რომ მოიყვანა, ბინა სიდედრმა მისცა, მანქანა — ცოლისძმამ, ფული — სიმამრმა... და რა ჰქვია ახლა მაგ პრინციპით შეაქროიას?



\*\*\*

გურული მამა შვილს ეკითხება:

— აბა, როგორ არის ქართულად „სტოლ“?

— მაგიდა!

— „სტულ“?

— სკამი!

— „სახარ“?

— აქ ვარ!

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მაითხვალისათვის

(პასუხები)

1. დალილობისგან ადგილზე გარდაიცვალა.
2. მიხაილ ბოიარსკი.
3. „ზაპოროჟიელი კაზაკები წერილს სწერენ თურქეთის სულთანს“.
4. შერლოკ ჰოლმსი.
5. „მაზურკის“ მსგავსი, პოლონური ხალხური ცეცვა.
6. ერთი ან ორი წლის უხნავი მიწა.
7. ამერიკის შეერთებული შტატები.
8. მიკრობიოლოგიის.
9. „კროლის“ მსგავსი თავისუფალი სტილი ცურვაში.
10. „ერთ ბრიტანელ ჯარისკაცზე თერთმეტი იაპონელი ჯარისკაცი მოდიოდა“.
11. მორიელის მიერ დაკბენილ ადამიანს თვალების ტრიალი ეწყება.

## რვანიფორსო მადანა





# ჰოროსკოპი

25-31 აგვისტო

### ვიწი



მეტი ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანის მიმართ. არ გაართულოთ ურთიერთობა ნათესავებთან. უქმეებზე მეგობრებთან ერთად, ქალაქგარეთ პიკნიკი მოაწყვეთ.

### კუჩი



საოჯახო საქმეები ნათესავებს გადააბარეთ და მთელი დრო და ენერჯია სამსახურს დაუთმეთ. გარშემო მყოფთა მიმართ მეტი თავაზიანობა გამოიჩინეთ. მარტოხელა კუროებს რომანტიკული შეხვედრა ელით.

### ტყუპი



გაგიუმჯობესდება მატერიალური მდგომარეობა. ნუ ეცდებით დაზიანებული ნივთების შეკეთებას, საბოლოოდ რომ არ მოშალოთ. კვირის მეორე ნახევარი ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

### კირჩხიბი



მოანსრიგებთ იურიდიულ დოკუმენტებს, რაც საქმეში წაგადგებათ. გაგიუმჯობესდება მატერიალური მდგომარეობა. საოჯახო საკითხების მოგვარებისას ოჯახის წევრების აზრიც გაითვალისწინეთ.

### ლომი



შესაძლოა, კოლეგებმა ინტრიგების მახეში გაგაბან. ამიტომ აუცილებელია გადაამოწმოთ ნებისმიერი ინფორმაცია. ნუ აპყვებით ჭორებს. უქმეები საყვარელ ადამიანთან ერთად ქალაქგარეთ გაატარეთ.

### ქვამლედი



შვებულებამდე დაასრულეთ დაწყებული საქმეები. მოერიდეთ ექსტრემალურ თავგადასავლებს. კარგი პერიოდია საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად, რემონტის დასაწყებად, ინტერიერის შესაცვლელად.

### სასწორი



რთულ საქმეებს ნუ შეეჭიდებით. ხშირად დაისვენეთ და გაერთეთ მეგობრებთან ერთად. ურთიერთობას განაახლებთ ძველ მეგობრებთან და შეყვარებულთან. უქმეებზე რომანტიკული პაემანი გელით.

### მირიფი



არახელსაყრელი პერიოდია ახალი საქმეების წამოსაწყებად. მოგზაურობაც კვირის ბოლოსთვის გადადეთ. უსიამოვნებები რომ არ შეგექმნეთ, იყავით კანონმორჩილი. სასიამოვნო მგზავრობა გელით.

### მშვიდღოსახი



მჭრელი და აალებადი საგნების მოხმარებისას სიფრთხილე გმართებთ. მოერიდეთ ღამით უკაცრიელ ადგილებში სიარულს. კვირის მეორე ნახევარში სამსახურში წარმატებას მიაღწევთ.

### თხრი



აგრესიულობას იჩენთ და ამის გამო გარშემო მყოფებთან საერთო ენის გამონახვა გიჭირთ. ბიზნესპარტნიორებთან მოლაპარაკება მომავალი კვირისთვის გადადეთ. არ ისესხოთ და არ გაასესხოთ ფული.

### მეწყობი



მიუხედავად დაძაბული სამუშაო რეჟიმისა, უნდა მოიცალოთ დასვენებისთვის. თუ მეუღლესთან ურთიერთობის გაფუჭება არ გსურთ, არ აეჭვიანოთ და არ მოატყუოთ.

### თევზები



საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა დაგეგმებათ. კონფლიქტი მოსალოდნელია კოლეგებთანაც. მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ შვილების მიმართ. კვირის ბოლოს წვეულებაზე დაგვატიყუებენ.

## პაემანი ზოლიაქოს ნიშნებთან

გაგრძელება. დასაწყისი „გზა“ №33

**სასწორი** რომანტიკული ადამიანია. უყვარს ლამაზი ნივთები, ადამიანები. მასთან პაემანზე ელეგანტურად უნდა ჩაიცვათ. თქვენი ნაყიდი ყვავილები რომ არ დაიწუნოს, თაიგული მასთან ერთად შეარჩიეთ. ხელოვნებასა და მოდურ ტენდენციებზე ესაუბრეთ.

**მორიელი** — ზოდიაქოს ყველაზე სექსუალური ნიშანი, მუდამ მზადაა სექსუალური თავგადასავლებისთვის. ოქროს წესი აქვს: გაცნობა, ვახშამი, სექსი. თავი ძლიერ და განათლებულ ადამიანად უნდა მოაჩვენოთ. სუსტებს ჩაგრავს, უვიცებს კი მასხრად იგდებს.

**მშვილდოსანი** თავისუფლების მოყვარული, მხიარული და ენერჯიული ადამიანია. არ უყვარს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება. გახსოვდეთ, რომ მას

გართობა უფრო იზიდავს, ვიდრე ქორწინება.

**თხის რქა** სერიოზული ნიშანია და საკუთარ თავში დარწმუნებული, ძლიერი ადამიანები ხიბლავს. შესაძლოა, მის გვერდით თავი უხერხულადაც კი იგრძნოთ, რადგან თქვენს ყოველ სიტყვასა და ქცევას აკვირდება. თუ მოენონეთ, ქორწინებაზეც დაგითანხმებთ.

**მერწყული** თავისუფლების მოყვარული ნიშანია და თავიდან მოგიშორებთ, თუ თავს მოაბეზრებთ. აცადეთ, თავად დაგინიშნოთ პაემანი. შეხვედრა მხიარულ და სასიამოვნო ატმოსფეროში ჩაივლის. მთავარია, გაერთოთ და საკუთარ თავში არ ჩაიკეტოთ.

**თევზები** საკმაოდ რომანტიკული და სენტიმენტალური ნიშანია. მასთან ერთად ბუნებაში გაისეირნეთ. ხშირად შეაქეთ, იზრუნეთ მასზე. მიახვედრეთ, რომ მისი ერთგული ხართ და თავადაც დადებითად განწყობა თქვენ მიმართ.







# სასმელები და დალავის წესები



საკე

ლისგან ხდიან. სოჯუს ბრინჯის ფქვილის ხმიადს აყოლებენ.

• იაპონელები საკეს სვამენ. მას ნუხონსიუს ეძახიან. 15-დან 25 გრადუსამდე სიმაგრის სასმელი ლუდს უფრო ნააგავს, ვიდრე არაყს. მას ცივსაც სვამენ, მაგრამ უფრო ხშირად ფაიფურის ბოთლებში — ტოკურიში ათბობენ და ისე


• ფრანგული აბსენტი, რომელსაც აბზინდას ექსტრაქტს ურევდნენ, ევროპის მრავალ ქვეყანაში აკრძალული იყო, რადგან მიაჩნდათ, რომ სასმელი ჰალუცინაციასა და შიზოფრენიას იწვევდა. რამდენიმე წლის წინ ამ სასმელზე აკრძალვა მოიხსნა. აბსენტი საკმაოდ მწარე სასმელია. მის ერთ წილს 5 წილ წყალში აზავებენ. მას სხვადასხვაგვარად მიირთმევენ, მაგრამ ყველაზე გავრცელებული წესი ფრანგულია. აბსენტით ჭიქის 1/3-ს ავსებენ, ჭიქაზე ნასვრეტებიან კოვზში შაქრის ნატეხს დებენ და ზემოდან წყალს ასხამენ. მიღებულ დამტკბარ, გაზავებულ სასმელს louche ჰქვია.

• მექსიკელები ტეკილას სვამენ. სასმელს ვინროყელიან გრძელ ჭიქებში ასხამენ, რომელსაც caballito („ცხენი“) ჰქვია; ცერა და საჩვენებელ თითებს შორის ჩაღრმავებაზე მარილს იყრიან, ლოკავენ, ტეკილას გადაკრავენ და ლაიმის მეოთხედს აყოლებენ.

• სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მამპოერს — ატმის ღვინოს მიირთმევენ.

• სამხრეთკორეულ ნაციონალურ სასმელს — სოჯუს სპეციფიკური სუნი აქვს. მას ხორბლის, ბრინჯისა და კარტოფი-

მიირთმევენ. იაპონიის ქალაქ საიძეში ყოველწლიურად საკეს სმის ფესტივალი ეწყობა.



ტეკილა



მამპოერი



აბსენტი

## იაპონური სენსაცია

### sudoku

„გზის“ წინა ნომერი გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

8	3	5	9	1	6	2	7	4
7	2	9	5	3	4	1	6	8
1	6	4	2	7	8	5	9	3
6	7	3	4	5	2	8	1	9
4	8	2	7	9	1	6	3	5
5	9	1	8	6	3	4	2	7
9	4	8	1	2	7	3	5	6
3	1	7	6	8	5	9	4	2
2	5	6	3	4	9	7	8	1

5	8	7	4	2	6	9	1	3
1	6	4	5	3	9	2	7	8
2	3	9	7	1	8	5	6	4
4	1	8	6	9	2	3	5	7
3	9	6	1	7	5	4	8	2
7	5	2	8	4	3	1	9	6
8	2	3	9	6	1	7	4	5
9	7	5	3	8	4	6	2	1
6	4	1	2	5	7	8	3	9

6	2	8	4	1	9	7	5	3
1	9	7	5	3	6	2	8	4
4	5	3	8	7	2	9	6	1
3	7	2	1	8	5	6	4	9
9	4	5	2	6	7	1	3	8
8	6	1	3	9	4	5	7	2
2	3	6	9	5	8	4	1	7
7	8	4	6	2	1	3	9	5
5	1	9	7	4	3	8	2	6

\* მარტივი

6		4	3	1				
	2		1					5
	1			9	6			
	3		4					
9		1						2
						8		
	7	8			5			
2			7		3			
	4	5	1					7

\*\* საშუალო

				1		2		
		7		5		6		
8		4			1			
	2			3	6	8		
	7			1		5		
		4	9			3		
		2			8		6	
	3	6			7			
4		2						

\*\*\* რთული

8		3				2		
			8			4		
	1		7			6		
		1	4			3		
5		9	2					1
		3	8			6		
	8		3			5		
	2		6					
9				2				8



# ფოტოკუჩიონები





ყოველ პარასკევს,  
 ყურნალ „საბავშვო  
 ქარუსელთან“ ერთად,  
 დიდი ქართვლებს  
 ბიოგრაფიების  
 თითო წიგნი!

**მაღე გამოვა:**

- 18 აკაი წერეთელი
- 19 დიმიტრი უზნაძე
- 20 ქაქუცა ჩოლოყაშვილი
- 21 ნატო ვაჩნაძე
- 22 მეფე ერეკლე II
- 23 პეტრე მელიქიშვილი
- 24 გიორგი ბრწყინვალე  
 და სხვა დიდი ქართველები



**26 აგვისტოდან -  
 2 საქებამბრძოლე**

წიგნის ფასი: 2.50  
 (ყურნალთან ერთად 3.50)



**დავით საჩაჩიშვილი**



**შემდეგი**



**გამოცემი  
 აღმინაების ბიოგრაფიათი**  
 წიგნების სერია ბავშვებისთვის

აკაი გამოცემის ტომები №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13, №14, №15, №16 შვიდიტლით შვიდიტლით წიგნის მალაზიაში

**ბიბლიუსი**

წიგნის მალაზიათა  
 ქალი მთელ  
 საქართველოში

*ჩაიწიონებე ჩიკნები  
 უწეოესად იქნები!*



**25**

**აგვისტოდან**

**ახალი მალაზია**

**აკაი-ფრანკლან №47**





# „გამოცემლობა ჰალიბრა L“-ის ახალი წიგნები



**ჰ ი ც ი**

გვ. რაოდ.: 124 გვ.  
ყდა: ბალიშა



ფასი: 17.99

ამ წიგნში თქვენ იხილავთ ჰიცის 50-ზე მეტ იოლად მოსამზადებელ, ეკონომიურ, და, რაც მთავარია, უგემრიელეს რეცეპტებს, სადაც დეტალურად არის განხილული ჰიცის მომზადების ყველა ეტაპი. ეს ორიგინალური ფორმის წიგნი საუკეთესო საჩუქარია ყველა დიასახლისისათვის!



## მხიარული ხმაები ზოროსახლი

ფასი: 19.99

გვ. რაოდ.: 10 გვ.  
ფორმატი: 25.5X25.5  
ყდა: მაგარი



## მხიარული ხმაები წვეულაბა



გვ. რაოდ.: 10 გვ.  
ფორმატი: 25.5X25.5  
ყდა: მაგარი

ფასი: 19.99

ამ ხმოვანი, მოძრავი სურათებით გაფორმებული წიგნის საშუალებით თქვენი პატარები იუბილარ ჯაჟუჩას ყველაზე მხიარულ და სასაცილო დღეობაზე ეწვევიან.

## სახლისმო ამოცანები



## გააპარჩიშე გონება




ფასი: 16.99

გვ. რაოდ.: 30 გვ.  
ფორმატი: 26X29.5  
ყდა: მაგარი

ამ წიგნებში თავმოყრილია ლოგიკური და საზნოვანო ამოცანები, რომლებიც თქვენს პატარებს დაეხმარება გააპარჩიშონ გონება, ყურადღება და კონცენტრაციის უნარი. პასუხების შემოწმება შესაძლებელია ელექტრონული ფანქრის დახმარებით, რომელიც წიგნს თან ახლავს.

## 3D ახსნა




ფასი: 17.99

გვ. რაოდ.: 10 გვ.  
ფორმატი: 28X23  
ყდა: მაგარი

ამ მოძრავი ნახატებით გაფორმებულ წიგნში პატარები აღბატროს აღბერტთან ერთად მოივლიან ჯუნგლებსა და ველებს, მდინარეებსა და ოკეანეებს. ნახატების ამოძრავებისას კი მათ წინაშე ჯუნგლების ბინადარი ცხოველები გაცოცხლდებიან.

## ჩემი პირველი ჯიბეებისა და პასუხების წიგნი



გვ. რაოდ.: 512 გვ.  
ფორმატი: 17.5X22.5  
ყდა: რბილი

ფასი: 18.99



რამხელაა სპილო? საიდან იქმნება ძაბვა? რატომ აშენებენ ციხესიმაგრეებს ბორცვებზე? ასეთ ჯიბეებს პატარები ხშირად სვამენ. წიგნში პასუხი ყველა ჯიბეზეა გაცემული. მარტივი ამოცანები ბავშვის მიერ უკვე ნაჯიბულ მასალას ამოწმებს, მშენიერი ილუსტრაციები კი შემეცნების პროცესს უფრო საინტერესოსა და სახალისოს ხდის.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიეში!



სუფე გამოსული №1, №2, №3 ტომების შექენა შევიძლიათ წიგნის მატარებში!



სახელი, გვარი:  
*თინო ჭერიასვილი*

პროფესია:  
*დიასახლი*

ასაკი:  
*47 წელი*

### სერვის წიგნები:

1. იტალიური სამზარეულო
  2. მექსიკური სამზარეულო
  3. არგენტინული სამზარეულო
  4. **ჩინური სამზარეულო**
  5. ფრანგული სამზარეულო
  6. იაპონური სამზარეულო
  7. ავსტრიულ-გერმანული სამზარეულო
  8. ქართული სამზარეულო
- ... და სხვები



მსოფლიო კულინარია

4 ჩინური სამზარეულო



ფონი 4

**29 აგვისტოდან - 5 სექტემბრამდე**  
**სპეციალური ფასი 10 ლარი**  
 მხოლოდ "კუირის პალიტროს"  
 მკითხველისთვის



*ვთქვითოჯი ჟეა ნიჯეებ! მომეზღვი,  
 გიანს რ იმკვი აქოქა!*

მსოფლიო კულინარია • ჩინური სამზარეულო

Temperature Rinse Spin Delay Start

